683
1964

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული
ბიბლიოთეკა

683
1964

ბ ა თ უ მ ი ს

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის

შ რ ო მ ე ბ ი

III

Т Р У Д Ы

БАТУМСКОГО НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКОГО ИНСТИТУТА

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
თბილისი — 1964 — ТБИЛИСИ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

68

გ ა თ უ მ ი ს

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის


შ რ ო მ ე ბ ი

III

Т Р У Д Ы

БАТУМСКОГО НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКОГО ИНСТИТУТА

962



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
თბილისი — 1964 — ТБИЛИСИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საredაქციო კოლეგია

კ. ბაბილოძე, ა. ინაიშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), დ. მოურავიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ჯ. ნოღაიდელი, ალ. რობაქიძე

[illegible]

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1964
Труды Батумского научно-исследовательского института, т. III, 1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. სურგულაძე

სკკპ XXII ყრილობა და მუშათა ახალი ყოფის შესწავლის ამოცანები*

სკკპ XXII ყრილობამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანები და სახელმძღვანელო მითითებანი დაუსახა საზოგადოებრივ მეცნიერებას. კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებანი „შეადგენენ საზოგადოებრივი განვითარების ხელმძღვანელობის მეცნიერულ საფუძველს. ამ დარგში მთავარია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის შესწავლა და თეორიული განზოგადოება, სოციალიზმის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების და კომუნიზმად მისი გადაზრდის ძირითად კანონზომიერებათა გამოკვლევა, კომუნისტური აღზრდის პრობლემების დამუშავება[1]. ამ სიტყვებში მოცემულია საბჭოთა მეცნიერების შემოქმედებითი საქმიანობის არა მარტო მიმართულება, არამედ დასმულია უაღრესად თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები, რომელთა აქტუალობა შეპირობებულია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანებით.

საზოგადოებრივი მეცნიერების წინაშე დასმულ კონკრეტულ საკითხებს შორის უმნიშვნელოვანესია: ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში სოციალისტური ერების შემდგომი განვითარების გარკვევა და მის კანონზომიერებათა ახსნა; სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებში მიმდინარე კულტურულ-ყოფაცხოვრებითი პროცესის მეცნიერული გაშუქება; აზიისა და აფრიკის სახელმწიფოებისა და ჩამორჩენილი ქვეყნების შესწავლა და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებათა დადგენა; კაპიტალისტური ქვეყნების (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი და ა. შ.) ეთნოკულტურული პროცესის განხილვა და კაპიტალიზმის მსოფლიო კრიზისის მოახლოებასთან დაკავშირებით, საერთოდ, ბურჟუაზიული ყოფისა და კულტურის შემდგომი გაბრწნის საქვეყნოდ მხილება (ამასთან კავშირშია კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და რასობრივი თეორიების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტივება).

ამ პრობლემების მეცნიერულ შესწავლაში დიდი როლი ეკისრება ეთნოგრაფიულ მეცნიერებას, რამდენადაც კაცობრიობის ისტორიული წარსულის, კომუნიზმისაკენ მისი მსვლელობის ყველა ეტაპის, საერთოდ, ხალხთა ეთნიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განვითარებას გარკვევით შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს კომუნისტური საზოგადოების თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებაში.

---

* წაკითხულია მოხსენებად ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე ქ. ბათუმში 1962 წლის 25 მაისს.

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. კრებული სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბილისი, 1962, გვ. 516.

აქედან გამომდინარე ხალხთა ძველი და ახალი ყოფის შესწავლა საბჭოთა ეთნოგრაფიის გადაუდებელი ამოცანაა. კერძოდ, მისი ვალია ხალხთა (განვითარების რა სტადიაზეც არ უნდა იდგეს იგი) კულტურის შესწავლა. ნაციონალური და ეთნიკური სპეციფიკის გამოვლენა მის წარმოშობა-ჩამოყალიბებასა და ისტორიულ განვითარებულობაში[2]. ერთი სიტყვით, ხალხთა ყოფის განხილვით შესაძლებელია საზოგადოების განვითარების მთელი ისტორიის, კერძოდ, მატერიალური და სულიერი ცხოვრების ზრდა-განვითარების, კონკრეტულ პირობებში მისი ცვალებადობის მეცნიერული ახსნა-დადგენა.

ამ მხრივ, გლეხთა ყოფისა და კულტურის შესწავლა წარმოადგენს აუცილებელ პირობას თანამედროვე კულტურისა და ყოფის სპეციფიკური ელემენტების ბუნებისა და არსის შესწავლისათვის, სოციალისტურად მათი გარდაქმნის სწორი გაგებისათვის.

ეს მითუმეტეს ითქმის მუშათა კლასის მიმართ, რომლის ყოფის ფორმირებაში აისახება ის თავისებურებანი, რაც ახასიათებს მის წარმომშობ პირობებს. კიდევ მეტი, მუშათა ყოფა საინტერესოა არა მარტო იმ სპეციფიკის გამო, რაც მას (ყოფას) ახასიათებს, არამედ უმთავრესად იმ აქტიური როლით, რასაც იგი ასრულებს თავისი ხალხის მთელი ყოფის გარდაქმნაში[3].

ამ მიმართულებით საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში წარმატებითაა გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები და მნიშვნელოვანი შედეგებიცაა მოპოვებული. შეგროვილია საკმაო მასალა და მასზე არ ერთი ნაშრომიც დაიწერა. თუმცა მეცნიერული კვლევა უკანასკნელ დრომდე, ძირითადში გლეხთა, ისიც კოლმეურნე გლეხთა ყოფისა და კულტურის შესწავლისაკენ იყო მიმართული. ამან საბჭოთა ეთნოგრაფთა ნაწილში (მაგალითად ნ. ი. ვორობიოვი და სხვ.) წარმოშვა მცდარი შეხედულება, თითქოს ახალი სოციალისტური ყოფა და კულტურა სოფლად იქმნებოდეს. ასეთმა დამოკიდებულებამ კი გარკვეული ზიანი მიაყენა მუშათა ყოფის შესწავლას. ამის შედეგად ეს უკანასკნელი ჩრდილში მოექცა, თუმცა თავისი მნიშვნელობით იგი საერთოდ პროლეტარიატის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხია, რამდენადაც მუშათა კლასის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს საფუძვლიანი ანალიზი რევოლუციური მოძრაობის მიზეზების გარკვევის საშუალებას იძლევა. ამ ფაქტს სპეციალურად აღნიშნავდა ფ. ენგელსი[4]. ამასთან, მუშათა კლასის ეთნოგრაფიული შესწავლა იმიტომაა აუცილებელი, რომ აქ გაცილებით ადრე, ვიდრე მოსახლეობის სხვა კლასში (გლეხობაში), განვითარდა მოწინავე რევოლუციური იდეოლოგია და დაიწყო ცხოვრების ძველი ტრადიციული ფორმების მსხვრევა. აქედან მუშათა ყოფის შესწავლით შესაძლებელია საერთოდ ყოფის გარდაქმნის პროცესის კანონზომიერებათა დადგენა. ამის მიუხედავად აღნიშნული პრობლემა 50-იანი წლებამდე უყურადღებოდ იყო მიტოვებული. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ს. პ. ტოლსტოვს თავის სტატიაში, რომელიც საბჭოთა ეთნოგრაფიის

---

[2] С. П. Толстов, В. И. Ленин и актуальные проблемы этнографии, «Советская этнография», № 1, 1949, გვ. 3.

[3] А. И. Робакидзе, Некоторые стороны быта рабочих чиатурской марганцевой промышленности, Тбилиси, 1953, გვ. 3—4.

[4] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3, გვ. 298.

ამოცანების განსაზღვრას მიეძღვნა. არც კი დაუსვამს საკითხი ამ თემის აქტუალობის შესახებ; კიდევ მეტი, 50-იანი წლებისათვის, ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო წრეებში (უკრაინაში) მხედველობიდან „გამორჩათ“ მუშათა ყოფის შესწავლის საკითხი[5].

უნდა ითქვას, რომ ბურჟუაზიულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებას მუშათა ყოფის შესწავლა არ აინტერესებდა. იგი „მუშათა კლასს განიხილავდა როგორც „ნიველირებულ მასას“, რომელსაც დაკარგული აქვს ეთნიკური სპეციფიკა და აქედან გამომდინარე, ამ მასის ყურადღება გადაჰქონდა გლეხობაზე, რამდენადაც მას მიიჩნევდა ნაციონალური კულტურის შემოქმედად და განმავითარებლად. ამას კი, თავის მხრივ, მოჰყვა მავნე შედეგი — მოსახლეობის ნაწილი, რომელიც დასაქმებული არ იყო მიწათმოქმედებაში, დარჩა ეთნოგრაფიული შესწავლის გარეშე, რაც არა მარტო მნიშვნელოვნად აღარიბებდა, არამედ ამახინჯებდა ხალხთა ყოფისა და კულტურის განვითარების საერთო სურათს.

საგულისხმოა, რომ დემოკრატიული მიმართულების ეთნოგრაფიულმა მეცნიერებამ რევოლუციამდე ნაბიჯი გადადგა მუშათა ბიუჯეტის შესწავლისაკენ[7]. ამ საკითხს, საერთოდ, გარკვეული მნიშვნელობა აქვს მუშათა ყოფის გაშუქებისათვის, რამდენადაც ცვლილებანი ყოფის ცალკეულ ელემენტებში სწორედ მუშის მატერიალური უზრუნველყოფის საფუძველზე უნდა აიხსნას. მართალია ამ მხრივ რევოლუციამდე ზოგი რამ გაკეთდა, მაგრამ ის მაინც ცალმხრივ ხასიათს ატარებს — მუშის ოჯახის ბიუჯეტი იზოლირებულადაა განხილული და სრულიადაც არ უკავშირდება ყოფის ცალკეული ელემენტის ფორმირებას ასე რომ ბურჟუაზიულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებას (თვით დემოკრატიული მიმართულებისასაც) მუშათა ყოფა თავისი კვლევის ობიექტად არ გაუხდია.

„ქართველი ეთნოგრაფების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეკუთვნით პირველობა ჩვენი ქვეყნის მუშათა ყოფის შესწავლის საქმეში. თანამედროვე სამრეწველო ყოფის ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება დაიწყო საქართველოს მრეწველობის ერთ-ერთი მძლავრი უბნის — ჭიათურის მაღაროების შესწავლით და ამ მხრივ მნიშვნელოვანი შედეგებიცაა მოპოვებული“[8]. აქ მხედველობაშია ალ. რობაქიძის ნაშრომი „ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მუშათა ყოფის ზოგიერთი მხარე“, რომელიც 1953 წელს გამოქვეყნდა რუსულ ენაზე. ამის შემდეგ მუშათა ყოფის შესწავლა გარკვეული ინტენსივობით მიმდინარეობს[9]. თუმცა პირველ ნაბიჯებს სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებდათ, რა-

---

[5] С. П. Толстов, Задачи советской этнографии. «Вопросы истории», № 11, 1954.

[6] С. П. Толстов, Основные задачи и пути развития советской этнографии. Краткие сообщения Института Этнографии АН СССР, вып. 12, 1950, გვ. 12.

[7] Условия быта рабочих в дореволюционной России (по данным бюджетных обследований), под ред. Н. К. Дружинина, Москва, 1958.

[8] ა. აფაქიძე, გ. ჩიტაია, ე. ხოშტარია. ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 3, 1958, გვ. 41.

[9] უკანასკნელ ხანს მუშათა ყოფისადმი ინტერესი გაძლიერდა საზღვარგარეთ, კერძოდ, ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ამ მხრივ საინტერესოა: პოლონელი ეთნოგრაფების —ჰ. ჟიხოვსკის (კრაკოვის მეტალურგთა დასახლება და ტრანსპორტი), დ. დობროვოლსკაიას (კრაკოვის მუშათა კადრის ფორმირება, დასახლება, საქმიანობა), ე. პეტრაშკის (კრაკოვის საწარმოდოს სერმეს ქვანახშირის მრეწველობის მუშათა ყოფა და კულტურა), ე. ვეროჩკას (ზემო სილეზიის მეშახტეთა ოჯახი) და სხვების გამოკვლევები მუშათა ძველი და ახალი ყოფის ცალკეულ საკითხებზე.

მდგნადაც ისინი მხოლოდ ახალი ყოფის მიმართ იქნა გადადგმული, კერძოდ კი ამ ცვლილებათა გასარკვევად, რაც მოხდა მუშათა საწარმოო, საზოგადოებრივ და საოჯახო ცხოვრებაში სოციალისტური ურთიერთობის გამარჯვების შედეგად. ასე რომ აღნიშნულ პრობლემა გადაწყვეტილი იყო იმის გაუთვალისწინებლად, თუ როგორ ყალიბდებოდა მუშათა დღევანდელ ყოფაში არსებული ახალი ფორმები ისტორიულად[10]. აქ მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ სოციალისტური ერი ალმოცენდა ბურჟუაზიული ერის ნანგრევებზე; ასევე მისთვის დამახასიათებელი ყოფის ძირითადი ნიშნები ბურჟუაზიული ერისათვის დამახასიათებელი ყოფის თანდათანობითი ლიკვიდაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა, თუმცა ამ უკანასკნელისაგან პირველმა კულტურის (და აგრეთვე ცხოვრების სხვა) სფეროში ბევრი რამ დადებითი მემკვიდრეობით მიიღო. ამიტომ ყოფის შესწავლისას მარტო სოციალისტური ყოფის თუნდაც ყოველმხრივი განხილვა საკმარისი არაა. ეს ვერ მოგვცემს საკითხის რეალურ სურათს. აუცილებელია, რომ მოვლენა შესწავლილ იქნას წარმოშობა-განვითარებაში. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა დამუშავდეს ძველი, კერძოდ რევოლუციამდელი ყოფა, რომ ამის საფუძველზე შესაძლებლობა გვქონდეს აღვნიშნოთ თუ როგორი შრომითი ჩვევები, საწარმოო გამოცდილებანი და ხალხური კულტურის ნიშნები იყო ძველად და როგორია ისინი ამჟამად, ახალ სოციალისტურ საზოგადოებაში. მხოლოდ ამით თუ ავხსნით ძველ და ახალ ყოფასა და კულტურაში მომხდარ ცვლილებათა ბიზეზებს. სწორად მიუთითებდა ვ. კრუპიანსკაია, რომ მუშათა თანამედროვე ყოფა მხოლოდ ძველთან კავშირ-ურთიერთობაშია შესასწავლიო[11]. ამ ასპექტში საკითხის გაშუქებას, მეტადრე მუშათა ძველი ყოფის განხილვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეს „გვჭირდება არა მარტო იმიტომ რომ ვიცნობდეთ სოციალისტური წყობილების გამარჯვებით გამოწვეული გრანდიოზული ცვლილებანი ყოფასა და შეგნებაში, არამედ იმიტომაც რომ გავარკვიოთ ოკეანური ხალხის ყოფაში ახალი ფორმების განვითარების თუ დამუხრუჭების თავისებურებანი, მეცნიერულად ავხსნათ ისინი... და მიღებული შედეგების განზოგადოების საფუძველზე დავადგინოთ სოციალისტური ყოფის, სოციალისტური კულტურის ფორმირების კონკრეტული გზები“[12]. სწორედ ასეთი ისტორიული პრინციპის უგულებელყოფის შედეგია, რომ რუსეთის იმ მსხვილი სამრეწველო ცენტრების მუშათა ახალი ყოფის შესწავლა, რაც 50-იანი წლების დამდეგს წარმოებდა, უპერსპექტივო გამოდგა. მუშაობის შედეგად ვერც კვლევის სრული მეთოდიკის ჩამოყალიბება შეძლეს და ვერც მუშაობის საერთო გეგმის დასახვა მოახერხეს (თუმცა შეგროვილი მასალის მნიშვნელობის უარყოფაც მთლად გამართლებული არაა).

---

[10] ამ მხრივ გამონაკლის წარმოადგენს ქართველ ეთნოგრაფთა ცდები მუშათა ყოფის შესწავლაში, რაც აღნიშნული პრობლემის მეცნიერულ გაშუქებაში დღეს საუკეთესოდაა მიჩნეული ჩვენს ქვეყანაში (იხ. В. Ю. Крупянская, К вопросу о проблематике и методике этнографического изучения советского рабочего класса, «Вопросы истории», № 11 გვ. 43, 1960.

[11] В. Ю. Крупянская, Некоторые аспекты этнографического изучения рабочих (на основе русского материала). Краткие сообщения Института этнографии АН СССР, вып. 29, 1958, გვ. 3.

[12] А. И. Робакидзе, К некоторым спорным вопросам этнографического изучения нового быта, «Советская этнография», № 2, 1952, გვ. 137.

მუშათა ძველი და ახალი ყოფის შესწავლა გარკვეულ სიძნელეებს უკავშირდება. აქ დღემდე ჯერ კიდევ სრულად არაა გამომუშავებული ამ საკითხის კვლევის მეთოდიკა, სათანადოდ არაა დადგენილი შესწავლის ამოცანები, მიზნები და სხვ., რასაც სპეციალურად აღნიშნავდნენ ა. ი. ზალესკი[13] და პ. ი. კუშნერი[14]. მაგრამ საბჭოთა ეთნოგრაფების შრომებში, კერძოდ, ვ. ი. კრუპიანსკაიას ახლახან გამოქვეყნებულ წერილში[15], ამ საკითხზე მოცემული მითითებების საფუძველზე შესაძლებელია პრობლემის შესწავლის ზოგადი მეთოდის ჩამოყალიბება.

უნდა ითქვას, რომ ჟურნალ „საბჭოთა ეთნოგრაფიის“ ფურცლებზე ცნობილი დისკუსიის დროს წარმოშობილი დავა მაინცადამაინც თვით მეთოდის გარკვევა-დადგენას არ ეხებოდა. ავტორთა ერთი ნაწილი მაშინ საკითხის მონოგრაფიულ გაშუქებას მოითხოვდა, მეორენი კი — მისდამი დიფერენცირებულ მიდგომას. სტატიაში, „ახალი ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის ზოგიერთი სადავო საკითხისათვის“, ალ. რობაჭიძემ დამაჯერებლად აღნიშნა, რომ თაობათა მანძილზე მუშათა ცალკეული ოჯახების კომპლექსური შესწავლა და მიღებული შედეგების განზოგადოება მათი სამეურნეო თუ საწარმოო საქმიანობის განვითარებასთან მჭიდრო კავშირში, შესაძლებლობას იძლევა თვალი მივადევნოთ ცვლილებებს მოცემული ოლქის მოსახლეობის მთელ საზოგადოებრივ ყოფაში, მეცნიერულად ავხსნათ ამ ცვლილებათა მიზეზებიც[16].

საერთოდ, მუშათა ყოფის შესწავლისას აუცილებელია გამოყენებულ იქნას ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრინციპი, უპირველესად ძნელია, მაგალითად, დადგენა ამა თუ იმ ხალხის ეროვნული და სოციალური შემადგენლობისა, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ყოფისათვის დამახასიათებელი ნიშნების წარმოქმნაში. მართლაც, მუშათა კლასი ყალიბდება სხვადასხვა კლასებისა და სოციალური ჯგუფების (გლეხები, ხელოსნები, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია და სხვ.) ხარჯზე. ცხადია ყველა კლასისა თუ ფენის წარმომადგენლებს მუშათა კლასში მოაქვთ თავიანთი შეხედულებანი, ზნე-ჩვეულებანი და თავიანთი ყოფისათვის დამახასიათებელი სხვა ფორმები. ამასთან მუშათა კოლექტივი განუწყვეტლივ ივსება სხვადასხვა ერის წარმომადგენლებითაც. ამის გამო მუშათა კლასი ითვისებს, გადაამუშავებს მათი ყოფისა და კულტურისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.

აქ, მაგალითისათვის შეიძლებოდა მიგვეთითებინა რევოლუციამდელი ბათუმის ნავსადგურის მუშათა ეროვნული შემადგენლობა, რაც მეტისმეტი სიჭრელით გამოირჩეოდა. ასევე ჭრელი იყო იგი სოციალურადაც. მართალია, აქა-

---

13 А. Н. Залесский, Об изучении быта рабочего класса СССР, Вопросы истории», № 5, 1955.

14 П. И. Кушнер, Об этнографическом изучении социалистической культуры и быта народов СССР (к итогам дискуссии), «Советская этнография», № 1, 1953.

15 В. Ю. Крупянская, К вопросу о проблематике и методике этнографического изучения советского рабочего класса, «Вопросы истории», № 11, 1960, გვ. 49.

16 «Советская этнография», № 2, 1952, გვ. 129—137

„ამა თუ იმ მოვლენის კომპლექსური შესწავლა კი გულისხმობს არა მარტო ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების განხილვას, არამედ ყოველი საგნის აღწერას „როგორც ადამიანის შრომის ჯამი“ (კ. მარქსი), ე. ი. სტრუქტურის, ტექნიკის და ფუნქციის მიხედვით“ (გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წ. მიმომხილველი, I, 1949, გვ. 364).

ურ მუშათა უმრავლესობა გლეხური წარმოშობისაა, მაგრამ მის რიგებს ავსებდნენ აგრეთვე სხვა წვრილბურჟუაზიული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებიც.

ცხადია, სხვადასხვა ეროვნებისა და სოციალური წარმოშობის ადამიანებმა, რომლებმაც შემდეგ შექმნეს ჩვენი ქალაქის მუშათა არმია, თან მოიტანეს თავიანთი ყოფისათვის დამახასიათებელი თვისებები ტრადიციით რომ ჰქონდათ შემუშავებულ-ჩამოყალიბებული, მაგრამ კაპიტალიზმი ანიველირებდა რა მათ „ადგილობრივ თავისებურებებს“[17], ამით აჩქარებდა თვისობრივად განსხვავებული მუშური ყოფის ჩამოყალიბებას[18]. ამიტომ მკვლევარმა მუშათა ყოფის შესწავლა უნდა დაიწყოს სწორედ მუშათა კადრის ფორმირების ისტორიით, კერძოდ მისი სოციალური თუ ტერიტორიული ფესვების ჩვენებით. უნდა გაშუქდეს, რა კულტურულ-საყოფაცხოვრებო გამოცდილება და ტრადიცია მოიტანეს სხვადასხვა კლასების, სოციალური და ეთნოგრაფიული ჯგუფების ან ერის წარმომადგენლებმა. საკითხის მხოლოდ ასეთი შესწავლის შემდეგ უნდა გაირკვეს, თუ როგორ ხდება ამ სხვადასხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო თავისებურებათაგან მუშათა ყოფისა და კულტურის საერთო ფორმების გამომუშავება. მაგრამ საკმარისი არც ესაა. საქმე იმაშია, რომ მუშათა ყოფა ბევრ რამეში ენათესავება გლეხურს და ძალიან ახლო დგას ინტელიგენციის ყოფასთან. ამიტომ რომელიმე მაკრორაიონის — საწარმოს ან კოლექტივის მუშათა ყოფა შესწავლილი უნდა იქნეს მთელი ქალაქის ან სამრეწველო ოლქის ხალხთა ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში, რაც აღნიშნული პუნქტის ისტორიული განვითარების, ადგილობრივი ტრადიციის და ეკონომიური ცხოვრების თავისებურებითაა გამოწვეული[19].

საკითხის ასეთი შესწავლის შედეგად ჩვენ არა მარტო ავხსნით კადრის მუშათა ბირთვის, სამრეწველო პროლეტარიატის შექმნა-ჩამოყალიბების პროცესს, არამედ მივუთითებთ მუშათა ახლად ფორმირებულ ყოფაში გლეხური ყოფის გადმონაშთების არსებობაზე, მის დონეზე. ამით კი შესაძლებლობა გვექნება, გავარკვიოთ ქვეყანაში კაპიტალიზმის სიღრმითა და სიფართით განვითარების საკითხიც. მაგალითად, 900-იან წლებამდე, ბათუმის ნავსადგურში მუდმივი მუშებიც იყვნენ დასაქმებული, მაგრამ სჭარბობდნენ ისეთები, რომლებსაც სხვადასხვა ფორმით კავშირი ჰქონდათ სოფლებთან. ცხადია, მათ სამრეწველო პროლეტარიატს ვერ მივაკუთვნებთ, რადგან სოფლის მეურნეობას ძირითად საქმიანობად მიიჩნევდნენ, ნავსადგურში მუშაობას კი თვლიდნენ დამხმარე საშუალებად, რომელსაც ფულით უნდა შეევსო მათი სასოფლო-სამეურნეო ბიუჯეტი. მაგრამ ეს მდგომარეობა იყო დროებითი. იგი ახასიათებდა მუშათა იმ ნაწილს, რომელსაც ჯერ კიდევ გააჩნდა მიწის ფართობი, ჰქონდა სასოფლო ინვენტარი

---

[17] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 704.

[18] ბათუმის ნავსადგურის მუშათა ყოფაზე მუშაობა ამ ორი წლის უკან დავიწყეთ ალ. რობაქიძის რჩევით. დავინტერესდით არა მარტო ახალი ყოფით, არამედ ძველი ყოფის შესწავლითაც, რადგან უამისოდ შეუძლებელია იმ ცვლილებათა გარკვევა, რაც მოხდა ნავსადგურის მუშათა ყოფაში სოციალისტური წყობილების გამარჯვების შედეგად. დღესდღეობით კვლევის შედეგების ნაწილია გამოქვეყნებული — „ბათუმის ნავსადგურის მუშათა რევოლუციამდელი ყოფის საკითხისათვის“ (ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. 2, 1961), ხოლო ნაშრომი —„ბათუმის ნავსადგურის მუშათა ახალი ყოფა“ მზადაა დასაბეჭდად.

[19] А. С. Куницкий, К вопросу о методике этнографического изучения рабочих Украины. Краткие сообщения Института этнографии АН СССР, вып. 29, 1958, გვ. 2. 20; В. Ю. Крупянская, Некоторые аспекты этнографического изучения рабочих, გვ. 8.

და საჭირო რაოდენობის გამწევი მუშა-ძალა[20]. კაპიტალიზმის განვითარების შედეგად მათი ჭონებრივი დიფერენციაცია ძლიერდება და ისინიც თანდათანობით ავსებდნენ ბათუმის სამრეწველო პროლეტარიატს. ამიტომაა, რომ ნავსადგურის მუშათა რევოლუციამდელი ყოფა სრულად არაა ჩამოყალიბებული და იგი გლეხური ყოფის აშკარა ნიშნებს ატარებს. საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის საერთო სისუსტის შედეგი იყო, რომ მუშათა ყოფის ახლად წარმოშობილმა ფორმებმა მაშინ (და შემდეგაც დიდხანს) გაბატონებულ მდგომარეობას ჩვენში ვერ მიაღწიეს.

ამის შემდეგ, საჭიროა იმ ცვლილებათა განხილვა, რაც ხდება (ან უკვე ხდა) მუშათა საწარმოო-საზოგადოებრივ საქმიანობაში; კერძოდ, აუცილებელია წარმოებაში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის პროცესის შესწავლა და მუშის კულტურულ-ტექნიკურ დონეზე, მისი მსოფლმხედველობის გაფართოებაზე, კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდაზე ამ ფაქტორის ზეგავლენის გარკვევა. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუშათა საერთო კულტურული დონის ჩვენებას, რომ ნათელვყოთ მუშათა კლასის როლი საბჭოთა ინტელიგენციის, კერძოდ ტექნიკური ინტელიგენციის შექმნაში.

შემდეგ, მიზანშეწონილია შესწავლა იმ ურთიერთობისა, რაც ჩამოყალიბდა მუშათა კოლექტივში შრომის პროცესში: როგორია ურთიერთობა თვით მუშათა შორის, მუშების დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისადმი და სხვ. აქვე აუცილებელია სოციალისტური შეჯიბრების ყველა ფორმის დახასიათება, რის საფუძველზე შესაძლებელია მუშებში კომუნისტური შეგნების ფორმირების გარკვევა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და ბრიგადების შექმნის პროცესს. მივუთითოთ რა გავლენას ახდენენ საწარმოოს გეგმიან მუშაობაზე, შრომის ორგანიზებულ განაწილებასა და სამუშაო დროის რეგულირებაზე, ავხსნათ თუ რატომ გადადის ამა თუ იმ ფაბრიკა-ქარხნის მოწინავე ბრიგადის ოსტატი ჩამორჩენილ ბრიგადაში, გამოვარკვიოთ რა უდევს საფუძვლად ასეთ პატრიოტულ შრომით საქმიანობას და ვაჩვენოთ თანამედროვეობის ამ შესანიშნავი მოძრაობის ზეგავლენა საბჭოთა ადამიანების საზოგადოებრივ ყოფაზე.

ასევე აუცილებელია ოჯახისა და საოჯახო ურთიერთობის გათვალისწინებაც. საერთოდ ამ საკითხს აქვს დიდი თეორიული მნიშვნელობა, რადგან მისი ყოველმხრივი შესწავლით ღრმად წარმოჩნდება ყოფის ახალი ფორმების ჩამოყალიბების პროცესი და ის წყაროები, რომლებიც ასაზრდოებენ ოჯახისა და საოჯახო ურთიერთობის სფეროში შეხედულებათა შემორჩენილ ძველ ნორმებს. ამიტომ ამ პრობლემასთან ორგანულ კავშირშია ოჯახში არა მარტო ქალის როლის ზრდისა და მისი შრომის შემსუბუქების ასახვა, არამედ ძირითადად ოჯახის სტრუქტურის, მისი კულტურული და ეკონომიური (განსაკუთრებით ბიუჯეტის) ღონის ჩვენება.

შემდეგ, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მატერიალური კულტურის ისეთი საკითხების გაშუქებას, როგორიცაა დასახლების ფორმები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა ტიპი. ცნობილია, რომ „საცხოვრებელი ბინების ტიპები, როგორც მატერიალური კულტურის სხვა ობიექტებიც, ემორჩილებიან თავის განვითარების გზაზე, იმავე საქმანსიპაციო პროცესს, რომელსაც ადამია-

---

[20] А. И. Робакидзе. Некоторые стороны быта рабочих чиатурской марганцевой промышленности, გვ. 23.

ნი თავისი ბრძოლის დროს ქმნის ბუნების ექსტენსიური და ინტენსიური ბატონობის წინააღმდეგ"[21]. ამიტომ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას თუ როგორია მუშათა საცხოვრებელი სახლები, ისინი მოცემული ოლქის ნაგებობათა ტიპის მექანიკური გადმოღებაა თუ მისი შემდგომი განვითარება და ახალ პირობებთან შეგუება. ამით კი, თავის მხრივ, შესაძლებელია ეთნიკური ტრადიციის როლის გარკვევა მუშათა ყოფის ახალი ფორმების ჩამოყალიბებაში.

ცხადია, აღნიშნული საკითხების გაშუქებაში მთავარია არა არსებული ლიტერატურული წყაროები (მემუარული, საარქივო, მხატვრული), არამედ ეთნოგრაფის მიერ შეგროვილი უტყუარი მასალა ყოფის ცალკეული ელემენტების ფორმირების შესახებ. პირველს აქ მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ისტორიული გეოგრაფიის მონაცემებიც (მუშათა დაბებისა და ფაბრიკულ-ქარხნული დასახლების ისტორია, ტოპონიმიკა და სხვ.). რომლებიც, მიუხედავად ცვლილებებისა, დღესაც აშკარად გვიჩვენებენ ამა თუ იმ ოლქის მოსახლეობის ყოფის ნიშნებს. ამიტომ მუშათა ახალი ყოფის გაშუქებისას აუცილებელია ეთნოგრაფისა და ისტორიკოსის თანამშრომლობა, კავშირ-ურთიერთობა. ეს იმიტომ, რომ ისტორიკოსები მუშათა კლასის შესწავლისას წინ სწევენ ამ კლასის ფორმირებას, მის როლს წარმოებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხოლო ეთნოგრაფები, სარგებლობენ რა კონკრეტული მასალებით, სწავლობენ უშუალოდ ადამიანს, მის შეგნებას, ახალი ოჯახის, ახალი საზოგადოებრივი ყოფის ჩამოყალიბებას, რითაც მნიშვნელოვნად ამდიდრებენ ისტორიული პროცესის მსვლელობის გაგებას, ნათლად ხსნიან მუშათა კლასის რევოლუციურ-გარდამქმნელ, შემოქმედებით როლს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში[22].

ამრიგად, მუშათა ახალი ყოფის შესწავლა საბჭოთა ეთნოგრაფიის გადაუდებელი ამოცანაა, რამდენადაც ამით შესაძლებელია არა მარტო ყოფის გარდაქმნის კანონზომიერებათა დადგენა, არამედ მეცნიერული ახსნა ყველა იმ ცვლილებისა, რაც მოხდა (ან ხდება) ამ სფეროში სოციალისტური წყობილების გამარჯვებისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შედეგად. საბჭოთა ეთნოგრაფების მიერ შემუშავებული, კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით ეთნოგრაფიული მასალის შეგროვება, ყოფის ყველა ელემენტის ფიქსაცია, საწარმოო-საზოგადოებრივი და ოჯახური ურთიერთობის, ეროვნული და სოციალური, მატერიალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს შესწავლა მის წარმოშობა-განვითარებაში, აგრეთვე წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად ეფექტურ საშუალებათა შემუშავება და ყოფის ჯანსაღი ელემენტების შენარჩუნება-განვითარებისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნა, — აი, ის ძირითადი პრინციპები, რომლითაც უნდა მოხდეს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე მუშათა კლასის ახალი, სოციალისტური ყოფის მეცნიერული გაშუქება.

---

[21] გ. ჩიტაია. გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი, 1. 1926. გვ. 137.

[22] В. Ю. Крупянская, К вопросу о проблематике и методике этнографического изучения советского рабочего класса, გვ. 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

А. Т. СУРГУЛАДЗЕ

XXII СЪЕЗД КПСС И ЗАДАЧИ ИЗУЧЕНИЯ НОВОГО БЫТА РАБОЧИХ

Резюме

XXII съезд КПСС наметил важнейшие задачи перед общественными науками, актуальность которых обусловлено строительством коммунистического общества. Исходя из этого, особое внимание уделяется изучению нового быта рабочих, поскольку этим возможно объяснить все изменения, происшедшие и происходящие в быту народа в результате победы социалистического строя и строительства коммунистического общества.

В настоящей статье подчеркнуто значение исследования данного вопроса, отмечены недостатки, имеющиеся в этой сфере и указаны задачи, намеченные XXII съездом КПСС в изучении нового быта рабочих. Тут же дается некоторые методические указания для освещения этого вопроса.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1964
Труды Батумского научно-исследовательского института, т. III, 1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. გაუჭაძე

შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საკითხები აჭარის ჩაის მრეწველობაში

1. შრომის მწარმოებლურობის დინამიკა

ჩაის მრეწველობის ძირითადი ამოცანაა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას მიაწოდოს რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხოვანი სამამულო წარმოების პროდუქცია. მისი ყოველწლიური ზრდის საფუძველზე უმოკლეს ვადაში უნდა მივაღწიოთ სამამულო წარმოების ჩაით საბჭოთა კავშირის ხალხთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და განვთავისუფლდეთ მისი იმპორტისაგან. ჩვენ ამისათვის საჭირო ყოველი პირობა გაგვაჩნია. ჩაის წარმოებისათვის შექმნილია მაღალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესებულია ჩაის ტექნოლოგია, ყოველწლიურად მატულობს მისი ნედლეული.

აჭარის ჩაის მრეწველობაზე სრულ წარმოდგენას მოგვცემს ჩაის ფაბრიკების რაოდენობის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების, ბაიხისა და მწვანე აგურა ჩაის წარმოების ყოველწლიური ზრდის მაჩვენებლები, რომელიც მოტანილია 1 ცხრილში.

ცხრილი 1

აჭარის ასსრ ჩაის წარმოება 1940 — 1960 წლებში

წლები	ჩაის ფაბრიკების რაოდენობა	ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება (ტონობით)	პროდუქციის გამოშვება (ტონობით)	მ ა თ შ ო რ ი ს	
				ბაიხის ჩაი	მწვანე აგურა ჩაი
1940	7	10500	4966	2375	2591
1950	8	15600	5554	3754	1800
1955	10	20936	7460	5082	2378
1956	10	19288	7040	4680	2360
1957	11	21492	7753	5235	2518
1958	11	23531	7715	5711	2004
1959	11	23648	7514	5758	1756
1960	11	26691	7295	6445	850

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1940 წლის შემდეგ აჭარაში 5 ჩაის ახალი ფაბრიკა აშენდა, თუმცა ჩაის ფაბრიკების წარმოებრივი სიმძლავრე მარტო ფაბრიკების რაოდენობით როდი განისაზღვრება. თუ 1940 წელს თითოეულ ჩაის ფაბრიკაზე გადასამუშავებლად საშუალოდ 1750 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოდიოდა (10500:6)[1], 1960 წელს ერთმა ფაბრიკამ საშუალოდ 2669 ტონა ნედლეული გადაამუშავა (26691:10)[1].

[1] ჩაის საწნეხი ფაბრიკის გამოკლებით.

იგივე ცხრილი გვიჩვენებს, რომ გაიზარდა გამომუშავებული პროდუქციის საერთო რაოდენობა. 1940 წელს დამზადებულ 4966 ტონა პროდუქციის ნაცვლად, 1960 წელს დამზადდა 7295 ტონა. ეს მაშინ, როცა მთლიან პროდუქციაში 1940 წელს მწვანე აგურა ჩაის ეჭირა 52,2%, ხოლო 1960 წელს—11,7%. პროდუქციის რაოდენობის დიდი ზრდა მოდიოდა ჩაის ცალკეულ ფაბრიკებზე. ასე მაგალითად: თუ 1940 წელს ერთმა ჩაის ფაბრიკამ, საშუალოდ 396 ტონა პროდუქცია გამოუშვა, 1960 წელს ეს რაოდენობა 663 ტონაზე ავიდა, ე. ი. თითოეული ჩაის ფაბრიკის წარმოებრივი სიმძლავრე ამ წლებში საშუალოდ 62.6%-ით გაიზარდა.

სხვა მდგომარეობა გვაქვს მწვანე აგურა ჩაის მიმართ. როგორც ცხრილიდან ჩანს, მისი წარმოება წინა წლებთან შედარებით შემცირდა. პირველ ყოვლისა, ეს ქ. ზუგდიდში ახალი ჩაის საწნეხი ფაბრიკის აშენებამ გამოიწვია, რომელმაც ძირითადად დააკმაყოფილა მოთხოვნილება მწვანე აგურა ჩაიზე. საერთოდ მწვანე აგურა ჩაის წარმოების ზრდა ამჟამად მცირე რაოდენობითაა გათვალისწინებული. ამიტომ ჩვენი აზრით, თუ გავითვალისწინებთ იმ მდგომარეობას, რომ ძირითადი მოთხოვნილება მწვანე აგურა ჩაიზე დაკმაყოფილებულია, ამასთან, შესაძლებელია, გაიზარდოს ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკის წარმოება, უკეთესი იქნებოდა ჩაქვის ჩაის საწნეხი ფაბრიკის გადაკეთება ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკად. ჯერ ერთი, ამ რაიონში ჩაის ფაბრიკები დიდი დატვირთვით მუშაობენ, ხოლო მომავალში მისი კიდევ უფრო ზრდაა გათვალისწინებული. გარდა ამისა, როგორც ვიცით, ქ. ბათუმში არის საბჭოთა კავშირში ერთადერთი კოფეინის ქარხანა, რომელიც მუშაობს ჩაის ბუჩქების ფორმირების დროს ნასხლავი მასალით და ჩაის მრეწველობის სხვა ნარჩენებით. ასევე კოფეინის ქარხნის საუკეთესო მასალად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლაო ჩაი, რომელიც წარმოადგენს მწვანე აგურა ჩაის მასალას. გასაგებია, რომ აჭარის ჩაის მეურნეობის მიერ მიწოდებული მასალა კოფეინის ქარხნისათვის ნაკლებ ტრანსპორტს მოითხოვს, რაც უფრო ხელსაყრელი და ეკონომიური იქნება.

მომავალში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა აგრეთვე შრომის მწარმოებლურობის გადიდებას ჩაის მრეწველობაში. როგორც ცნობილია, შრომის მწარმოებლურობა ფასეულობით გამოხატულებაში იანგარიშება, ე. ი. მისი დონის განსაზღვრისათვის გარკვეული პერიოდის მთლიანი პროდუქცია გაიყოფა იმავე პერიოდში წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობაზე. შრომის მწარმოებლურობის ზრდის დინამიკის გამოსავლინებლად ბაზისური პერიოდის დონე უნდა შეუფარდდეს საანგარიშო პერიოდის დონეს. გასულ წლებში სამრეწველო ჩაის წარმოების გადიდების გარკვეული ნაწილი სწორედ შრომის მწარმოებლურობის ზრდის ხარჯზე მოდის, რაზედაც წარმოდგენას მოგვცემს ჩვენთ მოტანილი ცხრილი.

როგორც ვხედავთ, შრომის მწარმოებლურობა ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მრეწველობაში იზრდება ყოველწლიურად. გამონაკლისს მხოლოდ 1957 წელი შეადგენს. 1959 წელს შრომის მწარმოებლურობა 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 45,8%-ით. ეს მაშინ, როცა ამ წლებში შემცირდა სამუშაო დღის ხანგრძლიობა.

ცხრილში მოტანილი ციფრებიდან საყურადღებოა ისიც, რომ მთლიანი პროდუქციის ზრდასთან ერთად კი არ მატულობს წარმოებაში დასაქმებულ მუშათა რაოდენობის რიცხვი, არამედ, პირიქით, კლებულობს. ეს უკვე მეტყვე-

ლებს წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვაზე და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ცხრილი 2

შრომის მწარმოებლურობის ზრდის დინამიკა ტრესტ „საქართველოს ჩაის“ წარმოებებში 1950 — 1959 წლებში[2]

წლები	მთლიანი პროდუქციის 1/VII-1955 წ. ფასებით (ათას მანეთებით)	წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა	ერთ მიმუშავეზე ვაჭრობაში (შრომის მწარმოებლურობა მანეთობით)	შრომის მწარმოებლურობის ზრდა წინა წლების მიმართ (პროცენტებით)	შრომის მწარმოებლურობის ზრდა 1950 წ. მიმართ (პროცენტებით)
1950	1.161.244	6212	186937	—	100,0
1955	1.728.968	7747	223319	100,0	119,4
1956	1.707.373	7591	224920	100,7	120,3
1957	1.715.676	7734	221835	98,6	119,2
1958	2.022.700	7835	258168	116,3	138,1
1959	2.030.000	7396	274472	106,3	145,8

შრომის მწარმოებლურობის სიდიდეზე გარკვეულ გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხი და ასორტიმენტი. რაც მეტია უმაღლესი ხარისხის ხვედრითი წონა გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის მოცულობაში, მით უფრო დიდია მთლიანი პროდუქციის მოცულობა. მაგალითად, ერთი კილოგრამი შავი ბაიხის ჩაის „საქართველოს თაიგულის“ გასაშვები ფასი 82 მანეთია, ხოლო მესამე ხარისხისა—22 მანეთი. ჩაის მაღალი ხარისხის წარმოების ხვედრითი წონის გადიდებასთან ერთად მატულობს მთლიანი პროდუქციის მოცულობაც ფასეულობით გამოხატულებაში და ამ აზრით პროდუქციის ხარისხის ამაღლება პირდაპირ პროპორციულია შრომის მწარმოებლურობის გადიდებისა.

აჭარის ასსრ ჩაის ცალკეული ფაბრიკების შრომის მწარმოებლურობის სიდიდეზე წარმოდგენას მოგვცემს ქვემოთ მოტანილი ცხრილი (ცხრილი 3). ამასთან, ცხრილში მოგვყავს გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა ნატურალურ და ფასეულობით გამოხატულებაში.

მე-3 ცხრილიდან ჩანს, რომ აჭარის ჩაის ფაბრიკებში 1959 წელს წარმოებაში დასაქმებულ ერთ მომუშავეზე გამომუშავებამ საშუალოდ შეადგინა: ნატურით 4977 კგ, ფულით 235,184 მანეთი.

იგივე ცხრილიდან ჩანს, აგრეთვე ის, რომ შრომის მწარმოებლურობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები როგორც ნატურით, ისე ფულად ერთეულში გაანგარიშებით ჰქონდა ქობულეთის № 1 ჩაის ფაბრიკას, სადაც ერთ მომუშავეზე საშუალოდ მოდიოდა: ნატურით 5735 კგ, ფულით 301.263 მანეთი. შრომის მწარმოებლურობით ყველაზე უფრო დაბალი მონაცემებია სალიბაურის ჩაის ფაბრიკაში, სადაც ერთ მომუშავეზე საშუალოდ მოდის: ნატურით 3592 კგ,

[2] ტრესტ „საქართველოს ჩაის“ წლიური ანგარიშგების შესადგენ მასალებიდან ჩვენი გაანგარიშებით.

ხოლო ფულით 173.081 მანეთი. სალიბაურის ჩაის ფაბრიკაში ერთი მუშაკის საშუალო გამომუშავება ქობულეთის ჩაის ფაბრიკასთან შედარებით დაბალია ნატურით 38,4%, ფულად ერთეულში—42,5%; აჭარაში არსებულ ჩაის ყველა პირველადი გადამუშავების ფაბრიკასთან შედარებით კი შესაბამისად — 27,8% და 26,4%.

ცხრილი 3

შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლები 1959 წელს აჭარის ჩაის ფაბრიკებში[3]

№№ რიგზე	ჩაის ფაბრიკების დასახელება	წარმოების მუშაკთა რიცხვი	გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა			
			ნატურით		მთლიანი პროდუქცია	
			სულ (ტონობით)	ერთ მომუშავეზე (კილოგრამობით)	სულ (ათას მანეთობით)	ერთ მომუშავეზე (მანეთობით)
1	ბათუმის	109	455,3	4176	23555	216100
2	სალიბაურის	86	308,9	3592	14885	173081
3	ხელვაჩაურის	106	552,8	5215	27648	260830
4	ჩაქვის	166	839,4	5056	41799	251801
5	აჭყვის	126	553,3	4391	28458	225857
6	ბობოყვათის	95	521,3	5487	23949	252094
7	ხუცუბნის	95	472,7	4975	21102	222126
8	მუხაესტატეს	113	622,2	5506	32284	285700
9	ქობულეთის № 1	129	739,8	5735	38863	301263
10	ქობულეთის № 2	132	692,5	5246	37399	283325
	სულ	1157	5758,2	4777	272108	235184

თუ ჩვენ მე-2 და მე-3 ცხრილების მონაცემებს დავუკავშირებთ ერთმანეთს, დავინახავთ, რომ 1959 წელს ტრესტ „საქართველოს ჩაის“ წარმოებაში ერთი მუშაკის საშუალო გამომუშავებამ ფულად ერთეულში გაანგარიშებით შეადგინა 274472 მანეთი, ხოლო აჭარის ჩაის ფაბრიკებში—27210 მანეთი, ე. ი. 99,1%. შრომის მწარმოებლურობის დონის მიხედვით ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მთლიან მონაცემებს ჩამორჩება აჭარის 4 ჩაის ფაბრიკა, კერძოდ: სალიბაურის, ხუცუბნის, ბათუმისა და ბობოყვათის ჩაის ფაბრიკები. სწორედ დასახელებულ ჩაის ფაბრიკებში ტექნიკური შეიარაღება და შრომის ორგანიზაცია დაბალია, რაზედაც ლაპარაკი გვექნება შემდეგ თავში.

2. ჩაის ფაბრიკების ტექნიკური შეიარაღება და მისი როლი შრომის მწარმოებლურობის გადიდების საქმეში

ყველა იმ ფაქტორს შორის, რომლებიც აპირობებენ შრომის მწარმოებლურობის ზრდას, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას უთმობენ წარმოების ტექნიკურ პროგრესს. სკპპ XXI ყრილობამ აღნიშნა, რომ

[3] აჭარის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების მიხედვით, ჩვენი გაანგარიშებით.

.საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებათა განხორციელების, მრეწველობის სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარების საფუძველზე მომავალ შვიდწლედში მნიშვნელოვნად გადიდდება შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში, რაც წარმოების ზრდისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების გადამწყვეტი ფაქტორია"[4].

პარტიისა და მთავრობის ზრუნვისა და მშრომელი ხალხის ენერგიული და თავდადებული შრომის შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ თუ ჩაის მრეწველობის შექმნის პირველ წლებში ჩვენ ჩაის წარმოების მოწყობილობა თითქმის მთლიანად საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა, შემდგომში ჩაის ფაბრიკების ტექნოლოგიური აღჭურვის დარგში საკუთარი გზით წავედით. ამასთან შეგვიძლია კიდეც ვიამაყოთ, რომ უახლოეს დროში მივაღწიეთ მის შედარებით მაღალ დონეს. ვიდრე დღევანდელი ჩაის მწარმოებელ კაპიტალისტურ ქვეყნებშია. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში (ჩინეთი, ვიეტნამი) ვაწარმოებთ ჩაის მანქანების ექსპორტს.

მზა პროდუქციის მიღებამდე ჩაის ფაბრიკაში შემოსული ნედლეული რამოდენიმე ტექნოლოგიურ პროცესს გაივლის, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. აჭარის ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებში ძირითადად შავი და მწვანე ბაიხის ჩაის ამზადებენ. შავი ბაიხის ჩაის მიღებისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნეს შემდეგი ტექნოლოგიური პროცესები: ღნობა, გრეხა, ფერმენტაცია და შრობა; მწვანე ბაიხის ჩაისათვის—გაორთქლა, შეშრობა (ახალი წესით კი ეს ორი პროცესი გაერთიანებულია ერთად და წარმოებს ფერმენტაცია), გრეხა და შრობა. საბჭოთა ხუთწლედებში ჩვენმა მეცნიერ-გამომგონებლებმა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა მრავალი ახალი მანქანა-დანადგარები შექმნეს ჩაის გადამუშავების ცალკეული პროცესების გასაუმჯობესებლად. ზოგიერთი მათგანი დიდი ხანია დანერგილია წარმოებაში, რამაც გააუმჯობესა სამამულო ჩაის წარმოების ხარისხი, გააადვილა წარმოებაში ჩაბმული მუშის შრომა, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და გაზარდა შრომის მწარმოებლურობა.

ჩაის მრეწველობაში ამჟამად ფართოდაა ცნობილი შ. მარდალეიშვილის უწყვეტი მოქმედების ჩაის საღნობი მანქანა. პირველად ეს მანქანა დაიდგა 1952 წელს აჭყვის ჩაის ფაბრიკაში. იმავე წელს გამოირკვა, რომ მისი წარმოება 4—5-ჯერ აღემატებოდა წარმოებაში იმ დროს არსებულ შარკოვსკის სადგარის წარმადობას, გაუმჯობესებული იყო მზა პროდუქციის ხარისხი 0,12 ბალით[5], ხოლო ჩასაბარებელი საშუალო ფასის მიხედვით 2 მან. 14 კაპიკით. გარდა ამისა, მარდალეიშვილის აგრეგატის წარმოებაში დანერგვით შესაძლებელი გახდა წარმოების ხარჯებისა და მანამდე საჭირო მუშაძალის შემცირება, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომის პირობები. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1958 წელს ტრესტ „საქართველოს ჩაის" ფაბრიკებში არსებულმა მარდალეიშვილის 127-მა აგრეგატმა სახელმწიფოს მოუტანა 72 მილიონი მან. ეკონომია[6].

---

[4] სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრები, თბილისი, 1959, გვ. 64.

[5] ამჟამად დამტკიცებულია, რომ შ. მარდალეიშვილის საღნობი აგრეგატი მზა პროდუქციის ხარისხს აუმჯობესებს 0,15—0,25 ბალით.

[6] გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1959, № 110.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრესტ „საქართველოს ჩაის“ სპეციალისტთა ჯგუფმა ჩაის მრეწველობის მუშაკებთან მჭიდრო თანამშრომლობით მოახდინეს ჩაის საგრეხი მანქანის მოდერნიზაცია. მოდერნიზაციის შედეგად გაიზარდა მანქანების ბრუნვათა რიცხვი და გადიდდა ჩასატვირთი მასის მოცულობა. მანვე უზრუნველჰყო ჩაის საგრეხი აგრეგატების — როლერების — ნაკადაში ჩაის ფოთლის დამუშავების განუწყვეტელი პროცესი. ეს პატარა ღონისძიება როდია. საროლერო საამქროს მოდერნიზაცია ამცირებს სამუშაო დროს, რომელიც საჭიროა ამ შრომატევად სამუშაოზე; აუმჯობესებს ჩაის გრეხის ხარისხს და ზრდის მის მწარმოებლურობას 50%-ზე მეტით. წინასწარ იქნა გაანგარიშებული და გამოირკვა, რომ საქართველოს ყველა ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებში საროლერო საამქროს მოწყობილობათა მოდერნიზაციის შედეგად წლიურად 40 მილიონი მან. დაიზოგება.

აჭარაში ახალი მოდერნიზებული მანქანებით 1960 წლის სეზონზე მუშაობდნენ მუხაესტატეს, ქობულეთის № 2, აჭყვისა და ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკები.

ამჟამად რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებში მიმდინარეობს განუწყვეტელი მოქმედების ჩაის საგრეხი აგრეგატის გამოცდა, რომლის ავტორია დოცენტი ა. კიკალეიშვილი. მისი განხორციელებით იქმნება შავი ბაიხის ჩაის დამუშავების განუწყვეტელი ტექნოლოგიური ხაზი.

ცოტა ცვლილებები როდი მოხდა მწვანე ბაიხის ჩაის ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების საქმეში. ჩაის მრეწველობის სრულიად საკავშირო საცდელ-საკვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა ი. აშიანმა და გ. ლომინაძემ დიდი მუშაობის შედეგად მოახდინეს ორი პროცესის — გასაორთქლი აგრეგატისა და საშრობი ღუმელის შეერთება, რითაც შესაძლებელი გახდა ჩაის ფოთლის ფიქსაცია გატენიანებული ცხელი ჰაერით. ტრესტ „საქართველოს ჩაის“ სპეციალური კომისიის დასკვნით აღნიშნული მეთოდი შემდეგი უპირატესობით ხასიათდება[7]:

ტექნოლოგიური (საშუალო 4 თვის განმავლობაში);

ა) ფოთლოვანი ჩაის გამოსავლის გადიდება 9,9%-ით;

ბ) მზა პროდუქციის საშუალო ბალური შეფასების გადამეტება 0,19 ბალით;

გ) უმაღლესი ხარისხის (თაიგული±უმ) 1+1 ს.).

გამოსავლიანობის გადიდება 12%-ით;

დ) მზა პროდუქციის 1 კგ წარმოების საშუალო საბითუმო ფასის გადამეტება 2 მან. 19 კაპიკით.

ტექნიკურ ეკონომიკური:

ა) შრომის დანახარჯი 1 ტონა ჩაის ფოთოლზე ფიქსაციის დროს საჭიროა 0,25 კაცდღე წინააღმდეგ 0,783 კაცდღისა, ე. ი. შრომის მწარმოებლურობა 300%-ით დიდდება. ამასთან მარტივდება თვით შრომის პროცესები.

ბ) სათბობის ხვედრითი დანახარჯი მცირდება თითქმის 3-ჯერ, ხოლო ელექტროენერგიისა — 2,5-ჯერ.

ფიქსაციური მანქანის მუშაობას დიდად აუმჯობესებს ახალი გამოსათვლელი მანქანა, რომელიც შექმნეს თბილისის ხელსაწყოებმშენებლობისა და ავ-

---

[7] ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტის ბიულეტენი, მახარაძე-ანასეული, 1957, № 4, გვ. 61.

ტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ადრე ამ მანქანას მუშა ემსახურებოდა. ის მიახლოებით საზღვრავდა ჩაის ფოთლის ტენიანობას და მის შესაბამისად ცვლიდა აპარატში მისაწოდებელი ჰაერის რაოდენობას, ან კონვეიერის ლენტზე მოძრავი ფოთლის ფენის სისქეს. ამჟამად კი მუშის მაგივრობას ასრულებს გამოსათვლელი მანქანა, რომელიც თვითონვე საზღვრავს ჩაის ფოთლისა და ჰაერის ტემპერატურის ტენიანობის ხარისხს და ავტომატურად იცავს ტექნოლოგიურ რეჟიმს. დასახელებული გამოსათვლელი მანქანა გამოიყენება აგრეთვე შავი ბაიხის ჩაის დამზადების დროსაც.

მწვანე ბაიხის ჩაის ფაბრიკების მექანიზებული ნაკადური ხაზის შექმნის საქმეში დიდი როლი ითამაშა შარკოვსკის სისტემის უწყვეტი მოქმედების ჩაის საგრეხმა როლერმა.

მწვანე ბაიხის ჩაის წარმოებაში მსოფლიო პრაქტიკაში პირველი უწყვეტი ნაკადური ხაზი და მართვის ავტომატური პულტი ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში განხორციელდა. ხაზი შექმნეს ჩაის მრეწველობის ანასეულის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითმა და გორის კვების მრეწველობის საწარმოო პროცესთა ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა. უწყვეტი ავტომატიზებული ხაზი აერთიანებს განუწყვეტლივ მოქმედ მექანიზმებს — საფიქსაციო მანქანას, საგრეხ როლერებსა და ორიარუსიან მახარისხებელს. ეს მანქანები ერთმანეთთან შეერთებულია ტრანსპორტიორებით და ჩაის გადამუშავების მთელი პროცესი ისე სრულდება, რომ ის ადამიანის ხელის შეხებას არ საჭიროებს. ამ სახის საშუალებით პირველი პარტიის —127 ტონა ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავების შედეგად გამოირკვა, რომ შრომის მწარმოებლურობა იზრდება 24%-ით, უმჯობესდება წარმოების კულტურა და ჩაის ხარისხი. გაანგარიშებულია, რომ აღნიშნული ღონისძიების განხორციელებით საქართველოს მწვანე ბაიხის ჩაის ფაბრიკების წარმოებრივი სიმძლავრე გადიდდება 10 ათასი ტონა ჩაის ფოთლის გადამუშავებით. ეს კი დაახლოებით 4 ჩაის ახალი ფაბრიკის აშენებას უდრის, რომლიდანაც თითოეული მათგანი 10 მილიონი მან. ჯდება.

როგორც დავინახეთ, ტექნიკური პროგრესის დარგში ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებში წარმატებები დიდია. მაგრამ იბადება კითხვა: როგორ წარმოებს ახალი ტექნიკის პრაქტიკული განხორციელება წარმოებაში? ეს კითხვა უბრალო პასუხით არ ამოიწურება. ცხადია, რომ ჩვენი ჩაის მრეწველობა წავიდა წინ. მეცნიერ თანამშრომლებმა ჩაის მრეწველობის მუშაკებთან მჭიდრო კავშირში მრავალი ახალი სახის მანქანა აითვისეს და შექმნეს, რის საფუძველზე გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, შემცირდა მისი თვითღირებულება და გაიზარდა შრომის მწარმოებლურობა.

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშაკები, რომლებიც ჩაის მრეწველობას საჭირო მანქანა-იარაღებით ამარაგებენ, ენერგიას არ ზოგავენ, რათა ხარისხოვნად დაამზადონ და დროულად მიაწოდონ ეს მანქანა-დანადგარები წარმოებას.

მიღწეული წარმატებების მიუხედავად ზოგიერთ ჩაის ფაბრიკას ახალი ტექნიკის ათვისების საქმეში გააჩნია ნაკლოვანებები, რაზედაც საჭიროა ძირითადი ყურადღების გამახვილება.

ავიღოთ ჩაის მრეწველობის ერთ-ერთი უძველესი საწარმო — სალიბაურის ჩაის ფაბრიკა. სწორედ იმის გამო, რომ ის უძველესი საწარმოა, მისი ნაგებობანი და ტექნიკური აღჭურვილობანი მოძველდა. მოძველდა არა უბრალოდ, არა-

მედ ახალაშენებულ ფაბრიკასთან მისი უბრალო შედარებაც კი უკვე ძნელია. მაშინ, როცა ჩაის ფოთლის მოსავალი ამ მიკრორაიონში წლიდან წლამდე მატულობს, თუმცა ის ამჟამადაც საკმარისია ერთი ახალაშენებული ტიპის ჩაის ფაბრიკისათვის. სალიბაურის ჩაის ფაბრიკაში მიმდინარე რემონტზე ყოველწლიურად იხარჯება დიდი რაოდენობის თანხები. 1958 წელს შეიცვალა შარკოვსკის სისტემის ჩაის ფოთლის საღნობი ძველი მანქანები და მათ მაგივრად დაიდგა მარდალეიშვილის ორი ახალი აგრეგატი. 1960 წელს მზა პროდუქციის საამქროში დამატებით დაიდგა ჩაის საბეკნი და საჭრელი მანქანები, განხორციელდა რამდენიმე შრომატევადი პროცესის მექანიზაცია, სახმობი საამქრო გადაიხურა რკინაბეტონით, ცენტრალურ მიმღებ პუნქტში მთავარი ტრანსპორტიორის ბუნკერი ჩაიდგა იატაკში, რამაც შეამსუბუქა მუშების შრომა და დააჩქარა ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი როდია. თუგინდ დავიწყოთ იმით, რომ თუმცა დროულად დადგეს მარდალეიშვილის ჩაის საღნობი აგრეგატი, მაგრამ იმის გამო, რომ სხვა საამქროებში ნედლეულის გამტარუნარიანობა დაბალი იყო, აგრეგატი მთელი წლის განმავლობაში უმოქმედოდ იდგა. ამ ფაბრიკის ნაკლი მარტო ამით როდი ამოიწურება. მიღებული ჩაის ფოთოლი მთავარი ტრანსპორტიორით მეორე სართულზე ადის და პირდაპირ იატაკზე იცლება, რომლის აქედან გადატანა ხელით წარმოებს 10—12 მეტრის მანძილზე, რისთვისაც ცვლაში 5—6 კაცის დაძაბული მუშაობაა საჭირო. მდგომარეობის გამოსასწორებლად საკმარისია ჰორიზონტალური ტრანსპორტიორის დადგმა, რომელიც უმნიშვნელო ხარჯებს მოითხოვს და ამ ძნელი სამუშაოსაგან განთავისუფლდება 4—5 კაცი, გაადვილდება მუშაობის პირობები, გაუმჯობესდება სანიტარიის დაცვა და გაიზრდება შრომის მწარმოებლურობა. იგივე მდგომარეობა გვაქვს ამ საამქროს პირველ სართულზე, საიდანაც მომღნარი ფოთოლი როლერებში ჩასატვირთავად ხელით გადააქვთ. არც სამუშაო მოითხოვს დიდ ხარჯებს. მისი კომპლექსური მექანიზაცია კი გააუმჯობესებდა პროდუქციის ხარისხს, შეამცირებდა მის თვითღირებულებას და დიდად გაზრდიდა შრომის მწარმოებლურობას.

სალიბაურის ჩაის ფაბრიკამ 1959 წელს სახელმწიფოს 14,9 ტონით ნაკლები მზა პროდუქცია მისცა, 202 ათასი მანეთით გააძვირა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება და სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლო 677 ათასი მანეთი

შემდგომში სალიბაურის ჩაის ფაბრიკაში მუშაობის გაუმჯობესების ერთად ერთი სწორი გზა მისი რეკონსტრუქცია და ხელახალი ტექნიკური აღჭურვაა, რითაც გადიდდება ფაბრიკის წარმადობა და ამაღლდება გამოშვებული პროდუქციის ეკონომიკურ-ხარისხობრივი მაჩვენებლები. ეს კი შრომის მწარმოებლურობის გადიდების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

სპეციალისტების მიერ ჩაის მრეწველობაში უკვე ტექნიკურ-ეკონომიურად დასაბუთებული მანქანა-დანადგარები ჯერ კიდევ არ დანერგილა აჭარის ზოგიერთ ჩაის ფაბრიკებში. ეს განსაკუთრებით ითქმის ხუცუბნისა და ბობოყვათის ჩაის ფაბრიკებზე, რომლებიც მწვანე ბაიხის ჩაის ამუშავებენ. ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში, სადაც მწვანე ბაიხის ჩაი მუშავდება, უკვე განხორციელდა უწყვეტი ნაკადური ხაზი და მართვის ავტომატური პულტი, ხოლო დასახელებულ ჩაის ფაბრიკებში ჩაის გადამუშავება ჯერ კიდევ ძველი წესით წარმოებს. უწყვეტი ნაკადური ხაზისა და მართვის ავტომატური პულტის უპირატესობის შესახებ

ჩვენ უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ. ახლა მე-4 ცხრილში მოტანილი მასალების მიხედვით გადავხედოთ მის ფაქტიურ მონაცემებს.

ცხრილი 4

გამოშვებულ პროდუქციაში უმაღლესი ხარისხის რაოდენობა ლანჩხუთისა და ხუცუბნის ჩაის ფაბრიკებში 1955 — 1960 წლებში[8] (პროცენტობით)

ფაბრიკების დასახელება	წ ლ ე ბ ი					
	1955	1956*	1957	1958	1959	1960
ლანჩხუთის	28.9	—	18,4	25,5	23,5	38.0
ხუცუბნის	36,4	15,9	16,1	14,3	20,0	20,5

მე-4 ცხრილი გვიჩვენებს, რომ ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის მიერ გამოშვებულ პროდუქციაში უმაღლესი ხარისხის ხვედრითი წონა 1955 წელს, ნაცვლად 28,9%-სა, 1960 წელს გაიზარდა 38,0%-მდე. პირიქით, აღნიშნულ დროში ხუცუბნის ჩაის ფაბრიკაში იგივე მონაცემები 36,4%-დან შემცირდა 20,5%-მდე

მართალია უმაღლესი ხარისხის ხვედრითი წონის შემცირებას ადგილი ჰქონდა ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაშიაც, მაგრამ მოვიგონოთ, რომ აქ უწყვეტი ნაკადური ხაზისა და მართვის ავტომატური პულტის გამოცდა დაიწყო 1957 წელს. თუმცა ამ ფაბრიკას არც 1960 წელს გადაუმუშავებია მთელი პროდუქცია უწყვეტი ნაკადური ხაზით, მაგრამ მისი ძირითადი ნაწილის გადამუშავებამ დანარჩენ ფაბრიკებთან, კერძოდ, ხუცუბნის ჩაის ფაბრიკასთან, შედარებით მაინც დიდი სხვაობა მოგვცა.

უწყვეტი ნაკადური ხაზისა და მართვის ავტომატური პულტის განხორციელებამ ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკას მისცა მომუშავეთა რიცხვის შემცირების შესაძლებლობა. ამასთან, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საფუძველზე გაიზარდა ერთი კილოგრამი პროდუქციის საშუალო გასაყიდი ფასი, ხოლო საბოლოოდ — მთლიანი პროდუქციის რაოდენობა. ამ ფაქტორებმა კი განაპირობა შრომის მწარმოებლურობის ზრდა.

როგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს, 1960 წელს. 1955 წელთან შედარებით, ორივე ჩაის ფაბრიკაში გაზრდილია შრომის მწარმოებლურობა. მიუხედავად ამისა, ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის მონაცემები ბევრად უკეთესია, ვიდრე ხუცუბნისა. საყურადღებოა ისიც, რომ პროდუქციის ზრდა ღირებულებით და ნატურალური მონაცემების მიხედვით მათში სხვადასხვაა. მაგალითად, ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში მთლიანი პროდუქციის ზრდა 1960 წელს, 1955 წელთან შედარებით უდრიდა 20,7%, ხოლო ნატურალური მონაცემებით — 19,9%. შესაბამისად ხუცუბნის ჩაის ფაბრიკაში მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 12,3%-ით, ნატურალური პროდუქცია კი — 25,1%-ით.

აღნიშნული ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში მთლიანი პროდუქციის ზრდა მოხდა ჩაის ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე, ე. ი. საერთო პროდუქციის მოცულობაში უმაღლესი ხარისხის ჩაის ხვედრითი წონის გადიდებით. ხუცუბნის ჩაის ფაბრიკაში კი პირიქით მოხდა, მთლიანი პრო-

---

[8] ამ წელს ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში მწვანე ბაიხის ჩაის გადამუშავება არ წარმოებდა (გადამუშავდა მხოლოდ 13 ტონა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 5

მრომის მწარმოებლურობის ხრდის დინამიკა ლანჩხუთის და ხეცუბნის ჩაის ფაბრიკებში[a]

მაჩვენებლები	ლანჩხუთის							ხეცუბნის						
	წლები						1960 წელს 1955 წლის მიმართ. (პროცენტობით)	წლები						1960 წელს 1955 წლის მიმართ (პროცენტობით)
	1955	1956	1957	1958	1959	1960		1955	1956	1957	1958	1959	1960	
მთლიანი პროდუქცია (ათას მანეთობით)	37.556	32.950	36.187	39.629	40.434	45.323	120,7	19,816	10.916	18.962	22.339	21.102	24.041	121.3
წარმოების მუშაკთა რიცხვი	206	183	186	172	164	163	79.1	102	91	110	105	96	111	108.8
გამომუშავება ერთ მომუშავეზე (მანეთობით)	182.310	180.054	194.553	230.401	246548	276360	151.6	194.274	119.956	189,620	216903	219812	216585	111,5

[a] ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკა ერთიანებს ორ სახეობას — შავი მწვანე ბაიხის ჩაის ფაბრიკებს. ამიტომ მონაცემებიც ორეულია

ბიბლიოთეკა

ღუქციის ზრდა გამოიწვია არა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებამ, არამედ ნატურალური ერთეულის ზრდამ.

გარდა ამისა, ცხრილიდან ჩანს, რომ ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში 1960 წელს 1955 წელთან შედარებით შემცირებულია წარმოების მუშაკთა რიცხვი 20,9%-ით, მაშინ, როცა ხუცუბნის ჩაის ფაბრიკაში, ამავე პერიოდში გაზრდილია 8,8%-ით. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მეტყველებს ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში ტექნიკის უპირატესობაზე, რამაც გამოიწვია ის, რომ ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში 1960 წელს, 1955 წელთან შედარებით, შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა 51,6%-ით, ხოლო, იმავე პერიოდში, ხუცუბნის ჩაის ფაბრიკაში — 11,5%-ით.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ერთი საკითხი. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ სალიბაურის ჩაის ფაბრიკაში მთელი წლის განმავლობაში უმოქმედოდ იდგა მარდალეიშვილის ჩაის საღნობი აგრეგატი. ეს იმ დროს, როცა ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკას (იგივე რაიონი) მარდალეიშვილის ჩაის საღნობი აგრეგატის უქონლობის გამო მომსახურეობას უწევდა შარკოვსკის ტიპის მოძველებული 3 სადგარი. ჩაის ფაბრიკებში ამგვარ მდგომარეობას ხშირად აქვს ადგილი. ამიტომ იყო, რომ ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მიერ 1959 წლის სექტემბერში მოწვეულ თათბირზე მომხსენებელი გულისტკივილით აღნიშნავდა: „ჩვენ დავამზადეთ 4 ცალი მრავალიარუსიანი ბალანსირული ხმელი ჩაის დამხარისხებელი, რაზედაც დიდი შრომა და ენერგია დავხარჯეთ. მარტო მოდელებისა და ყალიბყუთების დამზადებას ოთხ თვეზე მეტი მოვუნდით. მაგრამ რა გამოვიდა? — ჩაის ფაბრიკაში ოთხივე უქმად დგას. რატომ? თუ ცუდია, ამას თქმა და გარკვევა უნდა, ხოლო თუ კარგია. მაშ რატომ არ ვნერგავთ მათ წარმოებაში? ასეთივე ბედი ეწია ჩაის პნევმატურ გამამდიდრებლებს, რომლებიც სულმოუთქმელად გავაკეთებინეს“[10].

როგორც ცნობილია, ამჟამად ჩაის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებისათვის მანქანა-დანადგარებს ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა ამზადებს. არის შემთხვევები, როდესაც წარმოებაში ახალი ტექნიკა ინერგება და ყველა ჩაის ფაბრიკა მოითხოვს მის დროულ შეცვლას. მისი ერთდროულად დამზადება კი არ მოხერხდება; ასეთ შემთხვევაში „საქართველოს ჩაის“ ტრესტმა წინასწარ უნდა შეისწავლოს და დაგეგმოს, თუ სად იქნას ათვისებული და გამოყენებული პირველად ეს ახალი ტექნიკა და თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად მოაწყოს მისი განხორციელება. თვითმოქმედება და უგეგმობა კი, როგორც აღინიშნა, გამოიწვევს იმას, რომ დამზადებული მანქანა ერთ ფაბრიკაში იქნება უმოქმედოდ, ხოლო მეორე ფაბრიკა განიცდის ამ მანქანის ნაკლებობას და ამით უდიდეს ზარალს აძლევს სახელმწიფოს.

ახალი მანქანის დამზადება, ანდა ძველის მოდერნიზაცია მოითხოვს უაღრესად რთული სამუშაოს შესრულებას. ამიტომ ჩაის მრეწველობის მუშაკების, ანასეულის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, თბილისის სამეცნიერო საკონსტრუქტორო ბიუროსა და ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივებს შორის აუცილებლად უნდა დამყარდეს მჭიდრო კავშირი, რაც ჯერჯერობით არასაკმარისია. მხოლოდ ამ ორგანიზაციების არამჭიდრო კავშირით უნდა აიხსნას ამჟამად მარდალეიშვილის ჩაის საღნობი აგრეგატის ზოგიერთი ნაკლი. მაგალითად, მარდალეიშვილის საღნობი აგრეგატის კალორიფერის მილები დღემდე იმდენად ცუდი მზადდება, რომ ჩაის ფაბრიკები იძულებული

---

[10] გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1959, № 191.

არიან იმავე წელს ჯართში ჩააბარონ. ჩვენ, აღვნიშნეთ უწყვეტი ნაკადური წარმოების უაღრესად დიდი მნიშვნელობა, მაგრამ მთელ რიგ უპირატესობასთან ერთად უწყვეტი მოქმედების დანადგარები ხასიათდება რთული მექანიზმებით; ამიტომ მათი მომსახურება და ექსპლოატაცია მოითხოვს მუშაობის სიზუსტეს, მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას. ასეთი მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, რომელიც ზიანს აყენებს ჩაის ფაბრიკებს. „საქართველოს ჩაის“ ტრესტი ამგვარ ნაკლოვანებებს არ უნდა შეურიგდეს და ყოველი ღონე იხმაროს, რათა ფაბრიკებისათვის დროულად და მაღალხარისხოვნად იქნას დამზადებული მანქანა-დანადგარები.

3. ნედლეული და მისი გავლენა შრომის მწარმოებლურობაზე

ჩაის პირველად გადამუშავების ფაბრიკებში ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება, მასში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა ამაღლებს მზა პროდუქციის ხარისხს. პირველი ტექნოლოგიური პროცესი ფოთლის ღნობით იწყება, მაგრამ სანამ ხელოვნური ღნობა დაიწყებოდეს, (ე. ი. პირველ ტექნოლოგიურ პროცესამდე) ფოთოლი განიცდის ბუნებრივ ღნობას. ჩაის მრეწველობის მუშაკები ვალდებული არიან ყოველი ძალღონით იბრძოლონ იმისათვის, რომ ჩაის მწვანე ფოთოლმა შეინარჩუნოს ის ძვირფასი ქიმიური ნივთიერებანი, რომელსაც ის შეიცავს.

ჩაის მწვანე ფოთლის მიღებას ფაბრიკები თავდაპირველად მიმღებ ან ცენტრალურ პუნქტებში აწარმოებენ. იმ კოლმეურნეობების ან ჩაის საბჭოთა მეურნეობების ფართობებში, რომლებსაც ჩაის ნაკვეთი ფაბრიკებიდან 10—15 კილომეტრით და ზოგჯერ კიდევ უფრო მეტი მანძილით აქვთ დაშორებული, აწყობენ მიმღებ პუნქტებს. აქ, ცენტრალურ პუნქტთან შედარებით, ფოთლის მიღების რთული სისტემაა და ფაბრიკის ხელმძღვანელობას უძნელდება სათანადო კონტროლის გაწევა. ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს ფოთლის მიღების წესების დარღვევას, ფოთლის დაზიანებას და სხვა შემთხვევებს. ფაბრიკის ცენტრალური პუნქტი კი ამ შემთხვევაში უპირატესობით სარგებლობს. ამის მკაფიო მაგალითს იძლევა გასულ წლებში ზოგიერთი ჩაის ფაბრიკის მუშაობის ანალიზი.

ხუცუბნის ჩაის ფაბრიკას ცენტრალური პუნქტის გარდა რამოდენიმე მიმღები პუნქტი აქვს. 1955 წლიდან ამ ფაბრიკამ ყოველწლიურად უკლო ჩაის მაღალი ხარისხის გამოშვებას და მის ხარჯზე გაზარდა უფრო დაბალი ხარისხის პროდუქცია. 1955 წელს ხუცუბნის ჩაის ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის უმაღლესი და პირველ ხარისხზე მოდიოდა 36,4%, 1956 წელს—16,9%, 1957 წელს — 16,1%, 1958 წელს—14,3% და 1959 წელს — 20,0%. თუმცა პროდუქციის ხარისხის გაუარესება მარტო ჩაის პუნქტების სიშორით არ იყო გამოწვეული, მაგრამ, როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, მისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ნედლეულის მიღების ცუდი ორგანიზაცია იყო. ჯერ ერთი, რომ ხუცუბნის ჩაის ფაბრიკის მიმღებ პუნქტებს არ გააჩნდათ ჩაის ფოთლის შენახვის ნორმალური პირობები. ამას გარდა, იყო შემთხვევები, როდესაც დილით მოკრეფილ ჩაის ფოთოლს პუნქტებში ღამის 12 საათამდე და ზოგჯერ მეორე დღემდეც კი ტოვებდენ. პუნქტიდან ნედლეულის გადაზიდვის სხვა წესების დაცვასაც არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. ხშირად ცენტრალურ პუნქტში პირველი და მეორე ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი ერთმანეთში არეული მიდიოდა და სხვ.

ნედლეულის მიღების ამგვარმა ორგანიზაციამ ხელი შეუწყო ფაბრიკის მიერ გამოშვებული საერთო პროდუქციის მოცულობაში შემცირებულიყო მაღალი ხარისხის ხვედრითი წონა და მის ხარჯზე შედარებით გაზრდილიყო უფრო დაბალი ხარისხების ხვედრითი წონა.

ხუცუბნის ჩაის ფაბრიკასთან შედარებით განსხვავებულ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ქობულეთის № 1 ჩაის ფაბრიკაში. ეს ფაბრიკა ჩაის მწვანე ფოთოლს ღებულობს ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობიდან, რომელთანაც ტერიტორიულად ახლო იმყოფება და ნედლეული უშუალოდ ცენტრალურ პუნქტში ბარდება. ცენტრალური პუნქტის გარდა ფაბრიკას არ გააჩნია მიმღები პუნქტები და ამიტომ მათთან დაკავშირებული ყოველგვარი ნაკლიც მოხსნილია ამ ფაბრიკის კოლექტივის მუშაობა ყოველწლიურად მაღალი წარმატებებით ხასიათდება, რაც ფაბრიკის მთელი კოლექტივის კარგი ორგანიზაციული და სწორი ხელმძღვანელობით არის გამოწვეული. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქობულეთის № 1 ჩაის ფაბრიკის მიღწევების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ნედლეულის მიღების კარგი ორგანიზაციაა. 1955 წელს ფაბრიკის მიერ გამოშვებული მთლიანი პროდუქციის მოცულობაში უმაღლესი და პირველი ხარისხის ხვედრითი წონა იყო 18.3%, 1956 წელს—19.5%, 1957 წელს—19.8%, 1958 წელს — 20.1%. 1959 წელს ქობულეთის ჩაის ფაბრიკამ წლიური გეგმა 109 %-ით შეასრულა და დამატებით 55,8 ტონა მზა პროდუქცია გამოუშვა. შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა 2%-ით და სახელმწიფოს 641 ათასი მან. ზეგეგმითი მოგება მისცა. როგორც ვხედავთ, წარმატებები კარგია. აქ, ხუცუბნის ჩაის ფაბრიკისაგან განსხვავებით, ჩაის უმაღლესი ხარისხის ხვედრითი წონა ყოველწლიურად კი არ მცირდება, არამედ იზრდება. ეს საშუალებას იძლეოდა შემცირებულიყო პროდუქციის თვითღირებულება და გაზრდილიყო შრომის წარმოებლურობა.

ამრიგად, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩაის ფაბრიკებს, რომლებიც მარტო ცენტრალური პუნქტით სარგებლობენ, ჩაის მწვანე ფოთლის მიღებისა და შეხახვის უკეთესი პირობები აქვთ. თუმცა აქვე ვიტყვით, რომ მათ სხვა ნაკლი გააჩნიათ. მაგალითად, ფაბრიკებს,რომლებიც მიმღები პუნქტებით სარგებლობენ, ცენტრალური პუნქტის განტვირთვამდე საშუალება ეძნებათ დროებით შეინახონ დამზადებული ნედლეული. ის ჩაის ფაბრიკები, რომლებიც მხოლოდ ცენტრალური პუნქტით სარგებლობენ, ამგვარ უპირატესობას მოკლებულნი არიან. მათ ტექნოლოგიური პროცესის დაწყებამდე ნედლეულის შენახვა უნდა უზრუნველჰყონ ადგილზე. ამიტომ მათი ცენტრალური პუნქტის ტერიტორიის მოცულობა უნდა იყოს შედარებით დიდი, ე. ი. აკმაყოფილებდეს მის მოთხოვნებს.

დავუბრუნდეთ იგივე ქობულეთის № 1 ჩაის ფაბრიკას, რომელიც მხოლოდ ცენტრალური პუნქტით სარგებლობს, ის ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდება. ჩვენ აღვნიშნეთ მისი უპირატესობა ნედლეულის მიღების სწორი ორგანიზაციისა და მასზე კონტროლის გაწევის საქმეში, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სიძნელე, რომელსაც ამჟამად განიცდის მისი კოლექტივი. ფაბრიკა წლიურად აწარმოებს 3 ათასი ტონა ნედლეულის მიღება-გადამუშავებას. არის დღეები, როდესაც ფაბრიკაში 70—75 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი შემოდის ისეთი მოცულობის ტერიტორიაზე, როგორიც ამჟამად ქობულეთის № 1 ჩაის ფაბრიკის ცენტრალურ პუნქტს გააჩნია, ტექნიკური პროცესის დაწყებამდე ასე-

ის დიდი რაოდენობით ჩაის ფოთლის შენახვა ყოვლად შეუძლებელია, მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ჩაის ფოთლის დაზიანების და ხარისხის დაცემის შემთხვევა ხშირია, უკეთეს შემთხვევაში კი ჩაის ფოთლის დიდი ნაწილი კარგავს იმ ძვირფას ქიმიურ ნივთიერებას, რომელსაც ის შეიცავს.

აშრიგად, ქობულეთის № 1 ჩაის ფაბრიკის ცენტრალური პუნქტის ამჟამად არსებული ტერიტორიის მოცულობა მცირეა და მას არ შეუძლია უზრუნველყოს ფაბრიკის მიერ მიღებული ნედლეულის ნორმალური შენახვა. ყოველივე ეს მოითხოვს ცენტრალური პუნქტის ტერიტორიის დროულ გაფართოებას, რომლის გადაჭრას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩაის მწვანე ფოთლის ხარისხზე უსათუოდ ცუდად მოქმედებს ჩაის პლანტაციებში და, განსაკუთრებით, მიმღები პუნქტებიდან ჩაის ფაბრიკამდე არსებული საავტომობილო გზების მოუწესრიგებლობა. აჭარაში არსებულ ჩაის ფაბრიკებს შორის ამ მხრივ კარგი მდგომარეობა აქვს მხოლოდ ქობულეთის №1 ჩაის ფაბრიკას. დანარჩენ ფაბრიკებში ცოტად თუ ბევრად საავტომობილო გზები მოუგვარებელია. ჩვენ არ მოვიყვანდით ფაქტებს პლანტაციებში არსებული გზების ნაკლოვანებებზე, სადაც ზოგიერთ ადგილებში გავლა თვით ჩაის მკრეფავებსაც კი უჭირთ. მაგრამ პუნქტებიდან ჩაის ფაბრიკამდე არსებული გზების მოუწესრიგებლობა ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელ პირებს არ უნდა ეპატიოთ. გზების გაყვანისათვის თანხა და შესაძლებლობა ყველა ჩაის ფაბრიკას გააჩნია, საჭიროა მხოლოდ ინიციატივა და საქმის ორგანიზაცია.

დავუბრუნდეთ სალიბაურის ჩაის ფაბრიკას. მის ეზოში მისასვლელი საავტომობილო გზა იმდენად ვიწროა, რომ შეუძლებელია ორმა მანქანამ გვერდი შეუაროს ერთმანეთს. ამიტომ, როცა ფაბრიკის ეზოდან მანქანა მოდის ქვევიდან მომავალი ჩაის ფოთლით დატვირთული მანქანა მას ელოდება, თუ როდის გაივლის, ან პირიქით ხდება. ყოველივე ეს მაშინ, როდესაც მანქანაში ჩატვირთულ ნედლეულზე თითოეული წუთი უარყოფითად მოქმედებს. კიდევ უარესი მდგომარეობაა ფაბრიკის ეზოში, სადაც წარმოებს ჩაის ფოთლის მიღება. აქ მისადგომი მოედანი მეტად მცირეა და მანქანას უძნელდება მობრუნება, თანაც დიდ დროსა და სიფრთხილეს მოითხოვს. ჩაის ფაბრიკის ეზო რომ გაფართოვდეს, ამისათვის საჭიროა ამოითხაროს ერთი ძირი ტუნგო და რამდენიმე ძირი ჩაის ბუჩქი. თითქმის ამდენივე თუ ცოტა უფრო მეტი ნარგავების ამოთხრაა საჭირო მისასვლელი გზის გაფართოებისათვის. როგორც ეზოს, ისე გზის გასაფართოებელი თანხა ფაბრიკას ყოველთვის გააჩნია. მაშ, რაშია საქმე? რა უშლის ხელს მის მოგვარებას? არ იქნა და ფაბრიკის ხელმძღვანელობამ დღემდე ვერ მიაღწია მის წებართვას, ნებართვა საჭიროა რამდენიმე ძირი ტუნგოსა და ჩაის ბუჩქის ამოსათხრელად, რომელიც სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნის. ამ ნებართვის აღება კი დღემდის ვერ მოხერხდა.

ამრიგად, აღნიშნული საქმის მოგვარება არ მოითხოვს ახალი ტექნიკის დანერგვას. ამისათვის საჭიროა ორი ორგანიზაციის შეთანხმება, რომლებიც ფაქტიურად ერთი და იგივე საქმისათვის იბრძვიან. დავუშვათ, რომ ტუნგოსა და ჩაის ამოთხრით ზარალს ნახავს სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. განა ეს ზარალი შეედრება იმას, რასაც სალიბაურის ჩაის ფაბრიკა ნახულობს მანქანებისა და მუშაძალის უშედეგო მოცდენით და ჩაის ხარისხის დაცემით?

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საავტომობილო გზების მხრივ არახელსაყრელ მდგომარეობას ადგილი აქვს ჩაის სხვა ფაბრიკებშიაც. ცუდი გზები ართულებს ბობა კი ზიანს აყენებს ტრანსპორტს, უშედეგოდ აცდენს მუშაძალას და აფუჭებს ჩაის მწვანე ფოთოლს. ყოველივე ეს მოქმედებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე, ზრდის მის თვითღირებულებას და სცემს შრომის მწარმოებლურობას.

И. С. БАУЖАДЗЕ

ВОПРОСЫ УВЕЛИЧЕНИЯ ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТИ ТРУДА ЧАЙНОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ

Резюме

В 1959 — 1965 годах в организации треста «Чай Грузия» производительность труда возрастает более чем на 30%.

В этой работе дан рост выпускаемой продукции, ее сортовое изменение и динамика производительности труда в чайной промышленности Аджарской АССР. Кроме того, показана роль и значение новой техники и технологии трудовых процессов, механизация и автоматизация процессов производства чая в деле роста производительности труда. При анализе выявлено, что в Ланчхутской чайной фабрике, где уже внедрены автоматическая линия и линия непрерывной переработки чайного листа, в 1960 году, по сравнению с 1955 годом, производительность труда увеличилась более чем на 50%, а в тот же период, в Хуцубанской чайной фабрике, где технологический процесс чая не изменился — только на 11,5%.

Зеленый лист чая содержит богатое химическое вещество. Если его до начала технического процесса не сохраним, то это скажется на выпускаемой продукции.

В работе даны факторы, воздействующие на нем.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1964
Труды Батумского научно-исследовательского института, т. III, 1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. მოუსავიძე

მრეწველური პროდუქციის თვითღირებულების ელემენტთა კლასიფიკაციის საკითხისათვის

1. ამოსავალი მომენტები

პროდუქციის თვითღირებულების ქმნადობა მრავალგვარ დანახარჯთა დაწლექვისა და განივთების რთულ პროცესს წარმოადგენს. თვითღირებულების დონეს განსაზღვრავს უამრავი ფაქტორი, რომლებიც თავისი ბუნებითა და ქმედობის ხასიათით ერთიმეორისაგან დიდად განსხვავდებიან, მაგრამ მჭიდრო კავშირში იმყოფებიან, ეხლართებიან და ხშირად ერთიმეორეშიაც გადადიან ხოლმე. ამიტომ თვითღირებულების შესწავლისა და დაგეგმვა-ანალიზისათვის, მისი შემცირების რეზერვების გამოვლენისათვის აუცილებელია მისი დაშლა შემადგენელ ელემენტებად, მათი დაჯგუფება ერთგვაროვანი ნიშნებისა და წარმოებაში შესრულებული როლის მიხედვით და იმ მთავარი ფაქტორების გამოყოფა, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეული დანახარჯებისა და მთლიანად თვითღირებულების მოძრაობას.

აღსანიშნავია, რომ სოციალისტური მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების ელემენტთა კლასიფიკაციის საკითხებს უკანასკნელ ხანებში მრავალი ავტორი შეეხო. გამოქვეყნდა ცალკეული სტატიები და შრომები[1], მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვისა და კალკულაციის დარგობრივი ინსტრუქციები და სხვ., მაგრამ ეს საკითხები ჯერ კიდევ საჭიროებენ უფრო ღრმა დამუშავებას.

იმის გამო, რომ დანახარჯთა ამჟამად მიღებული დაყოფა ყოველთვის არ არის ზუსტ მეცნიერულ-ეკონომიკურ დასაბუთებაზე დამყარებული, ერთი და იგივე სახის დანახარჯები სხვადასხვა დარგში ზოგჯერ ხარჯთა სხვადასხვა მუხლში შეიტანება. განსაკუთრებით დიდია აზრთა სხვადასხვაობა თვითღირებულე-

---

[1] К. Федосеев, себестоимость промышленной продукции в СССР и пути ее снижения, М.. 1954; С. Щенков, Бухгалтерский учет в промышленности, М., 1956; В. Ганштак, себестоимость продукции в машиностроении, М., 1954; Н. Бурмистров, Как планируется себестоимость промышленной продукции, М., 1954; В. Бунимович, Себестоимость продукции и вопросы калькулирования в промышленности СССР, М., 1955; Основные положения по планированию, учету и калькулировании себестоимости промышленной продукции, М., 1955; И. Узор, Накладные расходы и пути их снижения в социалистической промышленности, М., 1956; С. Гамкрелидзе Себестоимость промышленной продукции и пути ее снижения, Тб., 1956; И. Усатов, А. Сибиряков, Пути снижения затрат на производство промышленной продукции М., 1957; А. М. Кантор, Себестоимость в социалистической промышленности М. 1958, И. Поклад, Вопросы методологии учета и калькулирования себестоимости промышленной продукции, М., 1960 და სხვ.

ბის კალკულაციის მუხლების, ძირითადი და ზედნადები, პირდაპირი და არაპირდაპირი. ცვალებადი და მუდმივი ხარჯების განმარტებაში.

ასე მაგალითად, ზოგი ეკონომისტი ძირითად და ზედნადებ ხარჯებს აიგივებს პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებთან[2]. ზოგს ზედნადებ ხარჯებში შეაქვს წარმოების მართვისა და მომსახურების მთელი ხარჯები[3], ხოლო ზოგი მისგან გამოყოფს მოწყობილობის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯებს და მას ძირითადი ხარჯების კატეგორიას აკუთვნებს[4], ზოგს კი ზედნადები ხარჯები საერთოდ მხოლოდ კაპიტალისტურ კატეგორიად მიაჩნია[5] და სხვ. და ა. შ.

წარმოების დანახარჯთა ნამდვილი მეცნიერული კლასიფიკაცია და მისი გამოყენება მეურნეობრივი საქმიანობის პროცესში ყველა საწარმოს მიერ შესაძლებელია მხოლოდ გეგმიანი მეურნეობის პირობებში, სადაც წარმოების საშუალებანი საზოგადოებრივი საკუთრებაა, შრომა თავისუფალია ექსპლოატაციისაგან, ხოლო წარმოების მიზანს საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეადგენს.

კაპიტალიზმის დროს ამა თუ იმ ნაკეთობის წარმოების ინდივიდუალური დანახარჯთა მოცულობა, მისი შემადგენლობა და სტრუქტურა კომერციული საიდუმლოებაა. კაპიტალისტები მას გულმოდგინედ უმალავენ ერთმანეთს, რადგან ამაზე ბევრად არის დამოკიდებული ჭარბი მოგების მიღება ანდა ცუდი ფინანსური მდგომარეობის მიჩქმალვა. კაპიტალისტურ წარმოების ხარჯებში დიდი ხვედრიწონა უკავია არამწარმოებლურ (უნაყოფო) და პროდუქციის გასაღების ხარჯებს. პირველ რიგში კი — რეკლამისა და ტრანსპორტის ხარჯებს, რაც განუწყვეტლივ იზრდება. სოციალისტურ მეურნეობაში კი, მცირეა რეალიზაციის ხარჯები, ხოლო უნაყოფო ხარჯები მინიმუმამდე იკვეცება.

სოციალისტურ და კაპიტალისტურ მეურნეობაში ერთი და იგივე სახელწოდების ხარჯებისა და კალკულაციის მუხლების შემადგენლობა და სტრუქტურა პრინციპულად იცვლება. მაგალითად, კაპიტალისტისათვის მთელ ხარჯების დაყოფას ძირითად და ზედნადებ, პირდაპირ და არაპირდაპირ, მუდმივ და ცვალებად, მწარმოებლურ და არამწარმოებლურ ხარჯებად სულ სხვა შინაარსი და დანიშნულება აქვს, ვიდრე სოციალისტური საწარმოსათვის.

კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, სოციალისტურ საწარმოში დანახარჯთა კლასიფიკაცია და მისი სტრუქტურის შესწავლა თვითღირებულების დაგეგმვისა და მისი შემცირების, მეურნეობრივი ანგარიშიანობის განმტკიცებისა და რენტაბელობის ამაღლების მძლავრი ბერკეტია. ამიტომ აუცილებელია სოციალისტური წარმოების დანახარჯთა კლასიფიკაციის შემდგომი სრულყოფა და გამარტივება.

წარმოების დანახარჯთა სწორი კლასიფიკაცია ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ პროდუქციის თვითღირებულების მოცემულ დონესთან ერთად ღრმად შევისწავლოთ მისი შემადგენლობა, სტრუქტურა და ძირითადი ტენდენციები, თვალი ვადევნოთ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის მოძრაობას. იგი

---

[2] И. Узор, დასახ. ნაშრომი, გვ. 8; Основные положения . . . გვ. 8 — 9

[3] С. Щенков, დასახ. ნაშრომი, გვ. 17; В. Ганштак, დასახ. ნაშრომი, გვ. 85; Н. Бурмистров, დასახ. ნაშრომი, გვ. 11; И. Усатов, Л. Сибиряков, დასახ. ნაშრომი, გვ. 28; Л. М. Кантор, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

[4] И. Поклад, დასახ ნაშრომი, გვ. 55 — 56;

[5] К. Федосеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 15 — 16; И. Поклад, დასახ. ნაშრომი, გვ. 57

საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ თვითღირებულებაზე ზემოქმედი ფაქტორები და მისი შემცირების რეზერვები, დავსახოთ მათი გამოყენების კონკრეტული გზები, რაციონალურად გავუძღვეთ მეურნეობას.

ამ სტატიაში ჩვენ დავახასიათებთ პროდუქციის თვითღირებულების ელემენტებს მრეწველობაში და განვიხილავთ მათი კლასიფიკაციის საკითხებს. აქასთან ვრცლად მხოლოდ თვითღირებულების კალკულაციის მუხლების კლასიფიკაციაზე შევჩერდებით.

2. თვითღირებულების ელემენტების არსი

მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში, — როგორც მარქსი გვასწავლის, — ყოველთვის მონაწილეობენ პიროვნული და მატერიალური, სუბექტური და ობიექტური ფაქტორები: სამუშაო ძალა და წარმოების საშუალებანი, რომლებიც თავის მხრივ შრომის საშუალებებად და საგნებად იყოფიან. ცოცხალი შრომა, ანუ ადამიანის მიზანშეწონილი საქმიანობა, შრომის იარაღებით ზემოქმედებას ახდენს შრომის საგანზე, უცვლის მას ფორმასა და სტრუქტურას იმგვარად, რომ მისგან წინასწარჩაფიქრებული განსაზღვრული სახმარი ღირებულების მქონე პროდუქტი მიიღოს.

მართლაც, წარმოების პროცესში სამუშაო ძალის მიზანშეწონილ ხარჯვასთან ერთად შრომის საგნების სახით მრეწველობაში იხარჯება წარმოების ისეთი საშუალებანი, როგორიცაა: მასალები, ნედლეული, ნახევარფაბრიკატები, საწვავი, ელექტროენერგია; წარმოებაში გამოიყენება, აგრეთვე შრომის საშუალებანი: მანქანები, მოწყობილობ-დანადგარები, შენობა-ნაგებობანი და სხვ. რომლებიც ცვდებიან და თანდათანობით გამოდიან მწყობრიდან. ეს დანახარჯები აისახება პროდუქციის თვითღირებულებაში.

მასალები, ნედლეული და ნახევარფაბრიკატები წარმოების პროცესში ასრულებენ განსხვავებულ როლს, მრეწველობის სხვადასხვა დარგში გამოიყენებიან სხვადასხვა რაოდენობით და წარმოების პროდუქტშიც სხვადასხვაგვარ ასახვას პოულობენ. ზოგი მათგანი მზა სახით არსებობს ბუნებაში, ხოლო ზოგს თვითონ მრეწველობა ან სოფლის მეურნეობა ამზადებს. მასალებს, თავის ჯერზე, ყოფენ ძირითად და დამხმარე მასალებად, ხოლო ნახევარფაბრიკატებს — ნაყიდ და საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატებად.

ძირითადია ის მასალები, რომლებიც პროდუქტის ძირითად ნივთობრივ შინაარსს, მის ნატურალურ სხეულს წარმოქმნიან, ე. ი. შეადგენენ მის „მთავარ სუბსტანციას“. დამხმარე მასალები კი, მართალია ხელს უწყობენ ტექნოლოგიურ პროცესებს და მონაწილეობენ პროდუქტის წარმოქმნაში, მაგრამ ნივთობრივად მასში თითქმის არ შედიან.

„დამხმარე მასალა ან მოიხმარება შრომის საშუალების მიერ, როგორც მაგალითად, ნახშირი — ორთქლის მანქანის მიერ, ზეთი — თვლების მიერ, თივა — მუშა-ცხენის მიერ, ან იგი უერთდება ნედლ მასალას, რათა მასში ნივთიერი ცვლილება გამოიწვიოს, — როგორც მაგალითად, ქლორი უერთდება ხამ ტილოს, ნახშირი — რკინას, საღებავი, — მატყლს, ანდა ხელს უწყობს თვით შრომის შესრულებას, როგორც, მაგალითად, სამუშაო სადგომის გასანათებლად და გასათბობად გამოყენებული მასალა“[6].

---

[6] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954. გვ. 233.

იმ ძირითად მასალებს, რომლებიც წარმოადგენენ არა ბუნების მზა პროდუქტებს, როგორც, მაგალითად, მარგანეცის, რკინის, სპილენძის და ა. შ. მადანი, ქვანახშირი, კირქვა, თიხა, სილა-ხრეში, ხე უღრან ტყეში და სხვ., არამედ — „უკვე შრომით დაწმენდილ საგანს, უკვე თვით შრომის პროდუქტს“ — ნედლეული ეწოდება. „თუ შრომის საგანი თვით უკვე, ასე ვთქვათ, წინანდელი შრომით არის დაწმენდილი, მაშინ ჩვენ მას ნედლ მასალას ვუწოდებთ. ასეთია, მაგალითად, ამოღებული მადანი, რომელიც გარეცხვის პროცესშია“.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ამჟამად ფართოდ არის გავრცელებული მასალების, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ცალმხრივი განმარტება, რასაც საფუძვლად უდევს მათი როლი წარმოების პროცესში და მის პროდუქტში, აგრეთვე გარეგნული, ანუ წონით — ნატურალური მახასიათებლები. მრავალი ავტორის აზრით ნედლეული მხოლოდ შრომის ისეთი საგანია, რომელიც წინანდელი შრომის შედეგია და ნივთობრივად შედის ახალ პროდუქტში[8].

ჩვენი აზრით, ამგვარი განმარტება, ჯერ ერთი, აბუნდოვანებს განსხვავებას ნედლეულსა (ნახევარფაბრიკატის ჩათვლით) და იმ მასალებს შორის, რომლებიც აგრეთვე წარმოქმნიან პროდუქტის საგნობრივ სხეულს, თუმცა არ არიან წინანდელი შრომის შედეგები; მეორე, დამხმარე მასალების წრეში ექცევა ისეთი ელემენტები, რომლებიც სრულიადაც არ წარმოადგენენ მასალას ბუნების მზა პროდუქტის თვალსაზრისით. ისინი „შრომით გაფილტრული ნედლი მასალებია“ და „დამხმარე მასალებად“ მხოლოდ წარმოების პროცესში მათმა შეზღუდულმა ფუნქციამ აქცია.

წარმოშობის მიხედვით ნედლეულია არა მარტო შრომის ისეთი საგანი, რომელმაც „შრომის მეშვეობით უკვე ცვლილება განიცადა“ და ნივთობრივად შედის ახალ პროდუქტში, არამედ — ამგვარივე წარმოშობის ე. წ. დამხმარე მასალებიც, რომლებიც პროდუქტის ნივთობრივობის წარმოქმნაში თითქმის არ მონაწილეობენ. მარქსი ამგვარ დამხმარე მასალებსაც უბრალოდ ნედლს მასალას უწოდებს[9]. მასალა კი შრომის ისეთი საგანია, რომელიც ბუნების მიერაა მოცემული და მას დედამიწიდან შრომა „მხოლოდ გამოაცალკევებს“.

მარქსი ნედლეულს უწოდებს აგრეთვე ნახევარფაბრიკატს, რადგან ისიც წინანდელი შრომის პროდუქტია და წარმოების პროცესში ფაქტიურად შედის როგორც ნედლეული. ნახევარფაბრიკატი, როგორც წესი, შრომის ისეთი პროდუქტია, რომელმაც დამუშავების ერთი ან რამოდენიმე საფეხური გაიარა, მაგრამ მოცემული წარმოების თვალსაზრისით მზა პროდუქტად გარდაქმნის ყველა ფაზა არ გაუვლია და შემდგომი დამუშავება უნდა განიცადოს ამავე ან სხვა საწარმოში. ამის მიხედვით ანსხვავებენ საკუთარი წარმოების და ნაყიდ ნახევარფაბრიკატებს.

---

[7] იქვე, გვ. 229.

[8] „შრომის ის საგანი, ან ის მასალა, რომელიც შეადგენს პროდუქტის ნივთობრივ საფუძველს, მის „მთავარ სუბსტანციას“, უწოდებენ ნედლეულს“, ანდა: „ნედლეული — ეს ისეთი მასალაა, რომელიც მოცემულ საწარმოში თამაშობს მთავარი სუბსტანციის როლს, მაგრამ „გაფილტრულია“ სხვა საწარმოში შესრულებული შრომის პროცესით“. — Л. М. Кантор, დასახ. ნაშრომი, გვ. 35 — 36.

[9] „ნედლი მასალა შეიძლება პროდუქტის მთავარ სუბსტანციას შეადგენდეს ან მის წარმოქმნაში მონაწილეობდეს როგორც მხოლოდ დამხმარე მასალა“. — კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 234.

ვიწრო გაგებით, ნედლეულისაგან ნახევარფაბრიკატი, ჩვენი აზრით, იმით განსხვავდება, რომ დამუშავების ხარისხის მიხედვით ნახევარფაბრიკატი ჩვეულებრივ უფრო მაღალ დონეზე დგას, ვიდრე ნედლეული.

ნედლეული, როგორც წესი, ძირითადად წარმოადგენს ერთგვაროვან ნივთობრივ მასას, რომელიც წარმოების პროცესში ფიზიკურ-ქიმიური თვისებების, მათ შორის ნატურალური ფორმის საფუძვლიან ცვლილებას განიცდის. ნახევარფაბრიკატი კი, ჩვეულებრივ, უფრო რთული შრომის პროდუქტია და თავისი დამუშავების ხარისხით თითქმის მზა ნაწარმს უახლოვდება. იგი შემდგომი დამუშავების პროცესში ნედლეულის მსგავსად არ განიცდის არსებით ცვლილებებს და ახალ პროდუქტში წინასწარვე განსაზღვრულ ადგილს იკავებს ანდა მასში თავისი ძირითადი ნატურალური ფორმით თავსდება.

მაგრამ ნახევარფაბრიკატი დამუშავების მიხედვით ნამდვილ მზა ნაწარმის ხარისხამდე ჩვეულებრივ ვერ ადის. მას გავლილი არა აქვს შრომის უკანასკნელი პროცესი, საიდანაც ის უკვე მზა საარსებო საშუალების ან შრომის მზა საშუალების სახით გამოვიდოდა[10].

მეორე მხრივ, ყოველი მზა ნაწარმი, რომელიც გაცვლის სფეროში გამოდის, როგორც კონკრეტული შრომის დასრულებული პროდუქტი, წარმოების პროცესში ხელახლა შესვლისას, გამონაკლისის გარდა. შეიძლება იყოს მხოლოდ ნედლეული და არანახევარფაბრიკატი. მზა ნაწარმი ამ შემთხვევაში უბრალოდ ნედლეულად იქცევა, მაგრამ ეს მისი ერთადერთი სახმარი ღირებულება როდია; ნახევარფაბრიკატი კი დაუსრულებელი წარმოების პროდუქტია. მას წინასწარ განსაზღვრული, ძირითადად წარმოებული მოხმარებისათვის და თანაც შეზღუდული, სახმარი ღირებულება აქვს. შრომა ამ შემთხვევაში „თავის პროდუქტს ისეთი ფორმით იძლევა, რომლითაც იგი კვლავ მხოლოდ ნედლ მასალად გამოიყენება". სწორედ ამიტომ უწოდებს მარქსი მას საფეხურფაბრიკატს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ნედლეულის, ნახევარფაბრიკატის, ძირითადი და დამხმარე მასალების, აგრეთვე მზა ნაწარმის ცნებები შეფარდებითია. შრომის ესა თუ ის საგანი შეიძლება ნედლეულიც იყოს, ნახევარფაბრიკატიც, მზა ნაწარმიც, ძირითადი ან დამხმარე მასალაც. შრომის საგანთა ფუნქციის ეს ცვალებადობა დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე, დროსა და სივრცეზე.

ამასთან დაკავშირებით სწორად არ მიგვაჩნია იმის თქმა, რომ თითქოს „გასაყიდად გამოშვებული ქსოვილი მზა პროდუქტია, ხოლო იგივე ქსოვილი სამკერვალო ფაბრიკის ან ატელიესათვის ნახევარფაბრიკატია"[11].

ყოველგვარი მზა ნაწარმი წარმოებაში ხელახალი ჩართვისას, როგორც აღვნიშნეთ, ნახევარფაბრიკატად არ იქცევა. ასევე ქსოვილი სამკერვალო წარმოებისათვის, ტყავი ფეხსაცმელის წარმოებისათვის და ა. შ. არ შეიძლება ნახევარფაბრიკატი იყოს, რადგან ისინი საფეიქრო და ტყავის მრეწველობის, ფეიქრის, მეტყავის და სხვ. შრომის დასრულებული პროდუქტებია. სამკერვალო წარმოება სხვა დარგია და იქ ქსოვის, ან ტყავის წარმოების არავითარი გაგრძელება, თუნდაც ქსოვილის შეღებვა არ ხდება. აქ ნახევარფაბრიკატი შეიძლება იყოს არა ქსოვილი ან ტყავი, არამედ — ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის ცალკეული დეტალი, რომელთა თანდათანობითი შეერთებით მიიღება მზა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. თვითონ ქსოვილი და ტყავი კი სამკერვალო წარმოების ძირითადი

---

[10] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 234.
[11] Краткий экономический словарь, М., 1958, გვ. 240.

ნედლი მასალაა და მეტი არაფერი.

ლ. კანტორი მართალია სწორად შენიშნავს, რომ ნედლეულისა და მასალების განსხვავება არ შეიძლება მათი მრეწველობის სხვადასხვა დარგში ან მატერიალური წარმოების სხვადასხვა სფეროში წარმოშობით აიხსნას, როგორც ამას ფიქრობს ა. როჟანსკი[12]. მაგრამ მეორე უკიდურესობაში ვარდება. იგი შრომის საგანთა ნედლეულად, ნახევარფაბრიკატად, ძირითად და დამხმარე მასალებად დაყოფის ერთადერთ საფუძვლად თვლის მათ ფუნქციას წარმოებაში და შრომის საგანთა წარმოშობის თავისებურებებს მთლიანად უარყოფს[13].

ამასთან როგორც ლ. კანტორი, ისე სხვა ავტორები ნედლეულს, ნახევარფაბრიკატებს, ძირითად და დამხმარე მასალებს კლასიფიკაციის მხოლოდ ერთ, კერძოდ მოცემულ საწარმოს ასპექტში იხილავენ. ამგვარი დაჯგუფება, მართალია შეესაბამება თითოეული საწარმოს მეურნეობრივი საქმიანობის მოთხოვნებს, შრომის საგნები წარმოებისა და აღრიცხვის მუშაკთა ცნობიერებაში სწორედ ასე აისახებიან, მაგრამ ეკონომიკური პროცესების თვალსაზრისით შრომის საგნების აღნიშნულ კლასიფიკაციაზე შეჩერება საკმაო არ იქნებოდა, რადგან იგი არსებითად ზედაპირულ მოვლენებს და პრაქტიკის ვიწრო გაგებას ემყარება.

მართლაც, შრომის ესა თუ ის საგანი მოცემულ საწარმოში მხოლოდ ნედლეულის, ნახევარფაბრიკატის, ძირითადი ან დამხმარე მასალის ფუნქციას ასრულებს. ამასთან ძირითად მასალას, ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატს საწარმოში დამუშავების ხარისხის ან უბრალო გარეგნული ნიშნების მიხედვით ანსხვავებენ და წარმოების პროცესისათვის მათ შორის პრინციპული განსხვავება თითქმის არ არის. შესაძლოა მზა ნაწარმის მისაღებად ძირითად ნედლეულს და მასალებს ჯერ ნახევარფაბრიკატად გარდაქმნა დასჭირდეს, ანდა უშუალოდ შეუერთდნენ ისინი ერთმანეთს და ორივე ერთად — ნახევარფაბრიკატს, მაგრამ ყველა ისინი ერთობლივად წარმოქმნიან პროდუქტის საგნობრივობას. დამხმარე მასალა კი, როგორც ითქვა, მხოლოდ ხელს უწყობს ამ წარმოქმნას.

მაგრამ წარმოების საერთო პროცესის თვალსაზრისით ნედლეულის, ნახევარფაბრიკატის, ძირითადი და დამხმარე მასალების შინაარსი იცვლება. შრომის ერთი და იგივე საგანი შეიძლება ერთი საწარმოსათვის ნედლეული იყოს, მეორისათვის — ნახევარფაბრიკატი, მაშინ როცა მესამე ამას შეიძლება მზა ნაწარმის სახით უშვებდეს; ძირითადი მასალა ერთ საწარმოში, შეიძლება დამხმარედ იქცეს მეორეში და პირიქით. საერთოდ კი ნედლეული, ნახევარფაბრიკატი და მზა ნაწარმი წარმოების პროცესში ხელახლა შესვლისას უბრალოდ ძირითად ან დამხმარე მასალებად იქცევიან. ხშირად ძირითად და დამხმარე მასალად, ანუ შრომის საგნად ხდება ისეთი ნივთი, რომელიც მზა სახითაა ბუნებაში და პირველად ექცევა შრომის ზემოქმედების ქვეშ.

შრომის საგნების კლასიფიკაციისათვის მათი წარმოშობისა და გამოყენების სფეროს გაუთვალისწინებლობა იწვევს, ჩვენი აზრით, იმ არევ-დარევას და ტავტოლოგიას, რაც ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, ძირითად და დამხმარე მასალების განმარტებაში არსებობს. ამიტომ აუცილებელია შრომის საგნების კლასიფიკაცია ნედლეულად, ნახევარფაბრიკატად, ძირითად და დამხმარე მასა-

---

[12] А. И. Рожанский, Вспомогательные материалы и резервы их снижения, М., 1956, გვ. 9.

[13] Л. М. Кантор, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

ლად მოხდეს როგორც მათი წარმოშობის მიხედვით, ისე წარმოების პროცესში მათ მიერ შესრულებული ფუნქციისა და პროდუქტში ასახვის თავისებურებათა გათვალისწინებით. კლასიფიკაციის ამ ასპექტების ერთიმეორეში არევა, ან ერთის შეცვლა მეორეთი არ იქნებოდა სწორი, რადგან თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება და შინაარსი აქვს.

პირველ შემთხვევაში უპირატესად შრომის საგანთა სახით დახარჯული წინანდელი შრომისა და ბუნების მზა პროდუქტის საერთო ფიზიკურ რაოდენობას ვიკვლევთ და შეგვიძლია განვსაზღვროთ ამა თუ იმ ნაწარმის როგორც ფიზიკური, ისე ეკონომიკური მასალატევადობა. მეორე შემთხვევაში კი ჩვენ არსებითად აღარ გვაინტერესებს შრომის საგანთა წარმომავლობა. ყველა ისინი წარმოების პროცესისათვის უბრალოდ მასალებად იქცევიან. მაგრამ ამავე დროს ძირითად და დამხმარე მასალებად დაყოფით წარმოვაჩენთ თითოეული მათგანის ფუნქციას ამ პროცესში, ვშლით მათ თავის შემადგენელ უამრავ კონკრეტულ ელემენტად და მათი ხელახალი სინთეზის მეშვეობით ვადგენთ დანახარჯთა ერთობლივ ღირებულებას. სწორედ ამას ეყრდნობა წარმოების დანახარჯთა აღრიცხვისა და თვითღირებულების კალკულაციის ახლანდელი სისტემა მრეწველობაში.

ამრიგად, შრომის საგნები წარმოშობის მიხედვით იყოფა მასალებად და ნედლეულად. პირველი ბუნების მზა პროდუქტია, ხოლო მეორე — შრომისა. წარმოების პროცესისათვის კი ისინი საერთოდ წარმოადგენენ მასალებს, რომელთაგან ზოგი ძირითად ფუნქციას ასრულებს და ზოგიც დამხმარეს. ამის შესაბამისად წარმოებაში გამოყენებული ყოველგვარი მასალა ძირითად და დამხმარედ უნდა დაიყოს.

წარმოების პროცესში და პროდუქტის შექმნაში ძირითადი მასალების, მათ შორის ძირითადი ნედლეულის, განსაკუთრებული და ერთნაირი როლის გამო მათი დანახარჯები ამჟამად ერთ მუხლში — „ნედლეული და ძირითადი მასალები“ — ერთიანდებიან. ამავე მუხლში შედის ნახევარფაბრიკატიც, რომელიც ამ მსრივ ნედლეულისაგან არაფრით განსხვავდება. ცალკე გამოიყოფა მუხლი — „დამხმარე და სხვა მასალები“, რომელშიაც ფაქტიურად არა მასალების, არამედ არსებითად დამხმარე ნედლეულის დანახარჯები ერთიანდება.

ეკონომიკურმა პრაქტიკამ მასალებისა და ნედლეულის ამგვარი დაჯგუფება ტრადიციად აქცია და მის შეცვლას პრინციპული მნიშვნელობა, შესაძლოა, არც ჰქონდეს. ამიტომ მეურნეობრივი საქმიანობის კონკრეტული ანალიზის დროს შეიძლება იგი გამოვიყენოთ. მაგრამ თეორიულად, ეკონომიკური პროცესის ზუსტი შემეცნებისათვის უფრო სწორი იქნებოდა დანახარჯთა პირველი მუხლისათვის გვეწოდებინა — „ძირითადი მასალები და ნედლეული“, ხოლო მუხლისათვის „დამხმარე და სხვა მასალები“ — „დამხმარე მასალები და ნედლეული“, ანდა უბრალოდ: „ძირითადი მასალები“ და „დამხმარე მასალები“.

მასალების, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების მოპოვების, დამუშავებისა და შეერთების, ანუ მზა პროდუქტად მათი გარდაქმნის პროცესში იხარჯება დიდძალი სათბობი და ელექტროენერგია. უზარმაზარი მანქანების, დანადგარების, შიგაქარხნული ტრანსპორტისა და სხვ. მოძრაობაში მოსაყვანად, რომლებიც ნედლეულითა და მზა ნაწარმით არიან დატვირთულნი, აგრეთვე ტექნოლოგიური და თერმიული (გახურება, გამოწვა, გადნობა, შედუღება და ა. შ.). პროცესების შესასრულებლად საჭიროა დიდი რაოდენობის სითბური და მექანიკური ენერგია.

ამ მიზნით მრეწველობაში ფართოდ გამოიყენება ელექტროენერგია, ქვანახშირი, კოქსი, შეშა, გაზი, მაზუთი, ბენზინი, ნავთი, ზეთი და სხვ. საწვავი და ელექტროენერგია გამოიყენება, აგრეთვე ტექნოლოგიური ორთქლის მისაღებად, თბოელექტროსადგურებში, შენობა-ნაგებობათა გასათბობად და გასანათებლად.

საყურადღებოა, რომ სათბობი და ელექტრობა უაღრესად აქტიურად მონაწილეობენ ტექნოლოგიურ პროცესებში, ხელს უწყობენ პროდუქციის წარმოქმნას, მაგრამ მასში ნივთობრივად არ შედიან და ამიტომ დამხმარე მასალის როლს ასრულებენ.

მარქსი.—როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატიდან (გვ. 31) ჩანს, შენობა-ნაგებობათა განათებისა და გათბობისათვის გამოყენებულ მასალებს უბრალოდ „დამხმარეს“ უწოდებდა და შრომის საგნების სფეროში ათავსებდა.

სათბობი თავისი ეკონომიური ბუნებით ნედლეულია, რადგან წინანდელი შრომის შედეგია[14], მაგრამ სპეციფიური მოხმარების გამო წარმოებაში იგი უპირატესად მხოლოდ დამხმარე მასალის როლს ასრულებს. სათბობი დამხმარე მასალაა არამარტო მაშინ, როცა სითბოს მისაღებად გამოიყენება, არამედ მაშინაც, როცა იგი კაზმის კომპონენტად იქცევა (მაგ., კერამიკულ ნაკეთობათა ნედლეულის გამჭლევებისა და ნახევარფაბრიკატის გამოწვის პროცესის დაჩქარების მიზნით ნედლეულისა და მასალების კაზმში შეჰყავთ სათბობი).

სათბობი ძირითადი მასალის როლს ასრულებს მხოლოდ მაშინ, როცა იგი ტექნოლოგიური ორთქლის ან ელექტროენერგიის მისაღებად გამოიყენება. ის რომ სათბობი ნივთობრივად არც ამ შემთხვევაში შედის წარმოების პროდუქტში, კვლავ იმით აიხსნება, რომ სათბობი თავისი სახმარი ღირებულების რეალიზაციას მხოლოდ მისი თავდაპირველი საგნობრივობის გაქრობის გზით აღწევს. ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ.— „იწვება“. მეორე მხრივ, თვით წარმოების პროდუქტებს — ორთქლსა და ელექტრობასაც ხელშესახები, მყარი საგნობრივობა არ გააჩნია.

წარმოების დანახარჯებში სათბობის ცალკე მუხლად გამოყოფა კი გაპირობებულია მისი დიდი რაოდენობით (როგორც ნატურალურად, ისე ღირებულებრივად) მოხმარებითა და იმ განსაკუთრებული როლით, რომელსაც ამის გამო ასრულებს თვითღირებულების წარმოქმნაში. სათბობის დანახარჯთა ზუსტ აღრიცხვასა და მის სისტემატურ შემცირებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის იმ დარგებში, რომელთა წარმოების დანახარჯებში სათბობს დიდი ხვედრიწონა უკავია (შავი მეტალურგია. გაზის მრეწველობა, საშენ მასალათა მრეწველობა, თბოელექტროენერგიის წარმოება და სხვ.).

უფრო სხვაგვარადაა საქმე ელექტროენერგიის მიმართ. მართალია ელექტრობა ნივთობრივად არ შედის პროდუქტში, მაგრამ იგი მარტო დამხმარე მასალის ან ტექნოლოგიური პროცესების უბრალო ხელშემწყობის ფუნქციას როდი ასრულებს. ტექნიკური პროგრესის კვალობაზე სულ უფრო იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება და მისი როლი წარმოებაში. ელექტროენერგია სულ უფრო მეტად გამოდის როგორც შრომის საშუალება; მას მოძრაობაში მოჰყავს მთელი თანამედროვე წარმოების ურთულესი და გიგანტური მექანიზმი, აღძრავს და აჩქარებს ტექნოლოგიურ პროცესებს, ზემოქმედებს შრომის საგნებზე და ადამიანის მოთხოვნილებისამებრ უცვლის სახეს მათ.

---

[14] ამას შენიშნავს ლ. კანტოროვიც: „სათბობი დამზადების, შენახვისა და მოხმარების ხასიათით ნედლეულს უახლოვდება“ — დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

ელექტრობა ჩვეულებრივი შრომის საგნებისაგან იმით განსხვავდება, რომ მას ნატურალური ფორმა, ხელშესახები ან დასანახი საგნობრივობა არ გააჩნია. იგი ყოველთვის არსებობს როგორც პოტენცია, უხილავი ძალა, რომელსაც გარკვეულ პირობებში ჩაყენების (დადებითი და უარყოფითი ფაზების შეერთების) შემდეგ შეუძლია სასწაულები მოახდინოს.

მაგრამ ელექტრობა თავისი ეკონომიკური ბუნებით, რაგინდ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს ასეთი განმარტება, მაინც ნედლი მასალაა. იგი წინანდელი შრომის ისეთი პროდუქტია, რომელიც თავის სახმარ ღირებულებას მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში და დამატებითი ფაქტორების ზეგავლენით ამჟღავნებს. რაიმე პროცესში ჩართვამდე, ანუ მოხმარების მომენტამდე ელექტრობა, როგორც მზა პროდუქცია, ფაქტიურად თავს ვერ იჩენს. არსებობს როგორც ისეთი შესაძლებლობა, რომელიც ადამიანის კონკრეტულმა შრომამ შექმნა, მაგრამ განსაზღვრული საგნობრივი ფორმა არ მიანიჭა. სწორედ ამით არის გაპირობებული ელექტროენერგიის წარმოების ის თავისებურება, რომ აქ მზა პროდუქციის ანუ ელექტროენერგიის შენახვა, რაღაც განსაზღვრულ ნატურალური ფორმით მისი გადატან-გადმოტანა (მხედველობაში არ ვიღებთ მავთულსადენებით გადაცემას), ცალკე ეგზემპლარებად არსებობა, გაფუჭება და სხვ., თითქმის არ შეიძლება და მისი წარმოებისა და მოხმარების პროცესი ერთიმეორეს დროში კინაღამ ემთხვევა.

ამრიგად, ელექტროენერგია შრომის საგანიცაა და მისი საშუალებაც. ასევე სათბობი შრომის საშუალების სახით გამოდის მაშინ, როცა იგი თვით არის ტექნოლოგიური პროცესების მთავარი აღმძვრელი და მისი ზემოქმედება შრომის საგნებზე მათი ფორმაცვლის ხარისხს აღწევს. ამასთან ელექტროენერგიისა და სათბობის ეს ორმხრივი ფუნქცია ნამდვილ წარმოებაში ყოველთვის წმინდა სახით კი არა ჩანს, არამედ ერთიმეორეს ეხლართება.

ამ ორმხრივი ფუნქციის ნაწილობრივ ასახვას პრაქტიკაში წარმოადგენს, სხვათა შორის ის, რომ სათბობსა და ელექტროენერგიას ტექნოლოგიურად, არატექნოლოგიურად, მამოძრავებელ ძალად და სხვ. ყოფენ.

თანამედროვე მრეწველობაში ტექნოლოგიური პროცესები, ყველა წარმოებრივი ოპერაცია ურთულესი და ათასნაირი მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობის და ა. შ. გამოყენებით ხორციელდება. შრომის იარაღები სპეციალურ მოედნებზე, ნაგებობებში და შენობებში არიან განლაგებული. მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და მზა ნაწარმის გადასაადგილებლად და შესანახად გამოიყენება ტრანსპორტის მრავალგვარი საშუალებანი, საწყობები, სპეციალური ჭურჭელი და ა. შ. ყველაფერი ეს წარმოების პროცესში თანდათანობით ცვდება, ნელ-ნელა კარგავს თავის ღირებულებას, რაც ნაწილ-ნაწილ, გაცვეთის კვალობაზე, ამორტიზაციის სახით გადადის მზა ნაწარმის ყოველი ერთეულის თვითღირებულებაში.

წარმოების ძირითადი დანახარჯების უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ხელფასი. ხელფასი იხარჯება წარმოებისა და მიმოქცევის ყველა სტადიაზე, უბანსა და კუნჭულში. ადამიანი ყველგან ან თვითონ მუშაობს, ან ხელმძღვანელობს წარმოებას, მართავს, კონტროლს უწევს და არეგულირებს მოწყობილობას, იცავს და აღადგენს მათი ექსპლოატაციის პირობებს, ემსახურება წარმოებას მისი ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ქმნის და ნერგავს ახალ ტექნიკას, წარმოების სხვა საშუალებებს და მოწინავე მეთოდებს. უზრუნველყოფს სამუშაო ძალისა და ინჟი-

ნერ-ტექნიკური პერსონალის გაფართოებულ აღწარმოებას და ა. შ. ამიტომ ხელფასი[15] ეძლევა მუშას და ჭარხნის დირექტორს, ავტომძღოლსა და ინჟინერს, ეკონომისტს და მექანიკოსებს, ტექნიკოსს და ბუღალტერს, მეცნიერ მუშაკს, კანცელარიის მუშაკს, ვაგონის გამცილებელს, დარაჯს, დამლაგებელს, მეხანძრეს და სხვ.

წარმოების პროცესი რომ შეუფერხებლად მიმდინარეობდეს, საჭიროა ჭარხნის შენობა-ნაგებობანი, მთელი მოწყობილობა, ტრანსპორტის საშუალებანი ნორმალურად იქნას მოვლილი და შენახული, დროზე შეკეთდეს, გამოეცვალოს დაზიანებული და გაცვეთილი ნაწილები, ე. ი. დაცულ იქნეს მათი ექსპლოატაციის პირობები, არ დაიტაცონ და სხვ. ამისათვის კი აუცილებელია მრავალი სახის ხარჯების გაწევა, როგორც ხელფასის, ისე მასალებისა და ფულის სახით.

გარდა ამისა, წარმოების ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა საბრუნავ საშუალებათა, პირველ რიგში მიმოქცევის საშუალებათა ნაკლებობის დროული შევსება, რაც ძირითადად სახბანკის მოკლევადიანი კრედიტის გაცემით შეიძლება .აუცილებელია აგრეთვე აღრიცხვა-დაგეგმვა, ხელმძღვანელობა საერთო ცენტრიდან, მიმოწერა და კავშირი სხვა საწარმოებთან, ზემდგომ ორგანოებთან. ყველაფერი ეს კი დაკავშირებულია კრედიტზე პროცენტის გადახდასთან, ხელმძღვანელი აპარატის შენახვის, საკანცელარიო და სამნეო, ფოსტა-ტელეგრაფის, მივლინებისა და ა. შ. ხარჯებთან.

წარმოება განუწყვეტლივ ფაროვდება და წინ მიდის. იქმნება და ინერგება ახალი ტექნიკა, ტექნოლოგია და მოწინავე გამოცდილება. აღმოაჩენენ და ითვისებენ ნედლეულისა და პროდუქციის ახალ სახეობათა წარმოებას, მზადდება ახალი კადრები, წარმოების მუშაკები იმაღლებენ კვალიფიკაციას და ა. შ.. რისთვისაც საწარმომ უნდა გაიღოს ხარჯები მეცნიერულ-კვლევითი მუშაობისათვის, ცდებისა და გამოცდილების ჩატარების, მოწინავე ტექნიკისა და გამოცდილების დანერგვის, კადრების მომზადებისათვის და სხვ.

დამზადების შემდეგ მზა ნაწარმი უნდა დახარისხდეს, შეიფუთოს, შეინახოს საწყობებში, შემდეგ დაიტვირთოს ტრანსპორტზე და გაიგზავნოს დანიშნულებისამებრ. ე. ი. მოხდეს მისი რეალიზაცია. მაშასადამე, წარმოების დამთავრების შემდეგ კვლავ უნდა იქნეს გარკვეული ხარჯები გაწეული, რომ პროდუქტი მომხმარებლამდე მივიდეს.

წარმოების პროცესში მეტ-ნაკლები ზომით წარმოიშობა არამწარმოებლური ანუ უნაყოფო ხარჯები: წუნი და სხვა წარმოებრივი დანაკარგები, მოწყობილობის მოცდენები, დანაკარგები მასალებისა და მზა ნაწარმის გაფუჭებისაგან, ჯარიმები, საურავი და პირგასამტეხლო (ტრანსპორტის მოცდენისათვის, სიმძლავრეთა გამოყენების დაბალი კოეფიციენტისათვის, კოოპერირებულ საწარმოებთან. მომწოდებელთან ან განმსაღებელ ორგანიზაციებთან ხელშეკრულების პირობების, აგრეთვე საკრედიტო დისციპლინის დარღვევისათვის და სხვ.).

ამრიგად, წარმოების დანახარჯთა უმნიშვნელოვანესი ელემენტებია: მასალები, ნედლეული, ნახევარფაბრიკატები, საწვავი. ელექტროენერგია, მუშების ხელფასი (დარიცხვით), ძირითადი წარმოებრივი მოწყობილობისა და შენობა-ნაგებობათა გაცვეთის ღირებულება ანუ ამორტიზაციის ანარიცხები, მათი შენახვისა და ექსპლოატაციის სხვა ხარჯები, წუნი და წარმოებრივი დანაკარ-

---

[15] საერთო თვალსაზრისით ხელფასში, და ამ გზით თვითღირებულებაში, შედის აგრეთვე ანარიცხები სოცდაზღვევაზე.

გები, პროცენტი ბანკის კრედიტზე, არამწარმოებლური (უნაყოფო) ხარჯები. რეალიზაციის და ტრანსპორტის, წარმოების ხელმძღვანელობისა და ორგანიზაციის ხარჯები. ხარჯები მეცნიერულ-კვლევით მუშაობაზე, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა-გადმონერგვაზე, ახალ წარმოების ათვისებაზე, კადრების მომზადებაზე და სხვ[16].

ამ ხარჯების ერთობლიობა წარმოქმნის სწორედ პროდუქციის თვითღირებულებას.

მაგრამ თვითღირებულების გამოანგარიშების, მისი მრავალრიცხოვანი შემადგენელი ნაწილების ანალიზისა და მათი შემცირების წყაროების გამოვლინებისათვის აუცილებელია წარმოების ამ მრავალგვარი ხარჯების გაერთიანება უფრო მსხვილ ჯგუფებად, მათი კლასიფიკაცია ერთგვაროვანი ნიშნებისა თუ როლის მიხედვით. ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. აგრეთვე თვითღირებულების გეგმის დაკავშირება წარმოებრივ-ფინანსური გეგმის სხვა მაჩვენებლებთან, თვითღირებულების სტრუქტურის შესწავლა და ა. შ.

3. თვითღირებულების ელემენტთა კლასიფიკაციის მოტივები და ძირითადი სახეები

თვითღირებულების ელემენტების და საერთოდ წარმოების დანახარჯთა კლასიფიკაცია შეიძლება მრავალნაირ ასპექტში, რასაც კლასიფიკაციის კონკრეტული ამოცანები და მოტივები განსაზღვრავენ.

წარმოების დანახარჯთა უმნიშვნელოვანესი კლასიფიკაცია არაპირდაპირ უკვე მოვახდინეთ, როცა წარმოების ელემენტები და მათი როლი დავახასიათეთ. შრომა, შრომის საგანი და შრომის საშუალება შრომის პროცესის ეკონომიკური შემეცნების თვალსაზრისით უკვე თვითონ წარმოადგენენ წარმოების ერთობლივ დანახარჯთა დაშლისა და კლასიფიკაციის უპირველეს პროდუქტებს; წარმოების დანახარჯები, თავისთავად, შრომის პროცესის მონაწილე ელემენტების დახარჯული ნაწილის ჯამია. მაგრამ მასში, როგორც მთელში, წაშლილია მისი ნაწილების ერთგვაროვან ელემენტებად დაშლის ნიშნები. ამიტომ, როცა წარმოების დანახარჯებს ვშლით და გარკვეული ნიშნების მიხედვით ვაჯგუფებთ, ამით მხოლოდ აღვადგენთ კლასიფიკაციის პირობებს, ხელახლა გადავდივართ სინთეზიდან ანალიზზე.

მეურნეობრივ ურთიერთობათა ზედაპირზე, რაკი წარმოების პროცესი განუწყვეტლივ მეორდება, აღნიშნული თავისებურება იჩქმალება. წარმოების ელემენტები ადამიანის ცნობიერებაში ხელახალ უკუსინთეზს განიცდიან წარმოების საერთო დანახარჯებად, რომელსაც შემდეგ კვლავ შემადგენელ ნაწილებად ვშლით. წარმოების ელემენტები, ერთი მხრივ, განიხილებიან როგორც პირობები მისთვის, პროცესის აღმძვრელი ფაქტორები, ელემენტები მოქმედებაში, ხოლო, მეორე მხრივ, შრომის პროცესის დამთავრების ანუ ამა თუ იმ სახმარი ღირებულების შექმნის შემდეგ, ისინი უკვე გამოდიან როგორც „ნამუშევარი“ ფაქტორები, პროდუქტში დაფერფლილი გაქვავებული ელემენტები და, ამრიგად წარმოების დანახარჯთა ელემენტებად იქცევიან.

---

[16] დანახარჯების სახეები განგებ ჩამოთვლილია უბრალოდ, რაიმე მტკიცე კლასიფიკაციის გარეშე, ისე როგორც ისინი არსებობენ წარმოების ამა თუ იმ სფეროში, როგორც აღიქმებიან ისინი ერთი შეხედვით, ზედაპირულად.

შრომის ერთობლივი დანახარჯები პირველ რიგში, როგორც ცნობილია, წარსული (განივთებული) და ცოცხალი შრომის დანახარჯებად (C+V) იყოფა[17]. ცოცხალი შრომის დანახარჯია ის, რაც სამუშაო ძალის სახით იხარჯება ამა თუ იმ პროდუქტის დასამზადებლად წარმოების მოცემულ პროცესში. წარსული შრომის დანახარჯი კი ამავე პროდუქტის წარმოებაზე მოხმარებული შრომის საგნებისა და საშუალებათა ანუ განივთებული შრომის ღირებულებაა.

წარმოების დანახარჯთა ამგვარი დაყოფა შესაძლებლობას იძლევა გამოვიკვლიოთ შრომის ერთობლივი დანახარჯების სტრუქტურა, ე. ი. განვსაზღვროთ, თუ რა ხვედრიწონა უკავია პროდუქტის მთლიან ღირებულებაში ან თვითღირებულებაში ახლადშექმნილ და გადატანილ ღირებულებას. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის მწარმოებლურობის დინამიკის დახასიათებისა და წარმოების დანახარჯთა შემცირების რეზერვების შესწავლისათვის, მოხმარებისა და დაგროვების ტემპების განსაზღვრისათვის.

მეურნეობრივი საქმიანობის დაგეგმვისა და ანალიზის დროს წარმოების იმ დანახარჯებს, რომლებიც თვითღირებულებას წარმოქმნიან ეკონომიკური ელემენტებისა და ხარჯთა მუხლების ანუ კალკულაციის მუხლების მიხედვით აჯგუფებენ[18].

დანახარჯების დაჯგუფება ელემენტებად მათი ეკონომიკური ერთგვაროვნობის მიხედვით ხდება. ამ შემთხვევაში თითოეული ელემენტის წარმოებრივი დანიშნულება და გაწევის ადგილი მხედველობაში არ მიიღება. მაგალითად, მრეწველობაში ამჟამად გამოიყენება დანახარჯთა ეკონომიკური ელემენტების შემდეგნაირი დაჯგუფება:

ნედლეული და ძირითადი მასალები ნარჩენების გამოკლებით,
დამხმარე მასალები,
სათბობი გარედან,
ყველა სახის ენერგია გარედან,
ძირითადი და დამატებითი ხელფასი,
ანარიცხები სოცდაზღვევისათვის,
ძირითად-საშუალებათა ამორტიზაცია,
სხვადასხვა ფულადი ხარჯები.

ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერგიის დანახარჯებში მთლიანად, ე. ი. მათი გაწევის ადგილისა და წარმოებრივი დანიშნულების მიუხედავად, გაერთიანებულია როგორც ძირითად წარმოებაზე, ისე მის მომსახურებაზე გამოყენებული ნედლეული, მასალები, სათბობი და ენერგია; ხელფასის დანახარჯებში შედის გაცემული ხელფასის მთელი ფონდი, მიუხედავად იმისა, თუ სად იხარჯება იგი — საამქროებში, ძირითადი წარმოების მომსახურე უბნებზე თუ საწარმოს მმართველობაში. ცოცხალი შრომის დანახარჯთა გარკვეულ ნაწილს ასახავს, აგრეთვე ანარიცხები სოცდაზღვევისათვის, რომელიც ხელფასის მიხედვით იანგარიშება. ამორტიზაციის თანხაში შედის როგორც ძირითადი წარმოებრივი მოწყობილობის, ისე საამქროებისა და საერთოქარხნულ შენობანაგებობათა გაცვეთის მთელი ღირებულება.

---

[17] ამ შემთხვევაში V-ში ვგულისხმობთ v + m, ანუ მთლიანად ცოცხალი შრომის დანახარჯს.

[18] ქვემოთაც წარმოების დანახარჯებზე და მათ საერთო მოცულობაზე მსჯელობისას იგულისხმება მისი მხოლოდ ის ნაწილი, რაც თვითღირებულებას წარმოქმნის.

რაც შეეხება სხვადასხვა ფულად ხარჯებს, ეს მუხლი კომპლექსური ხასიათისაა და მეტად ფართო ნომენკლატურის ხარჯებს აერთიანებს. მასში შედის მაგალითად:

ა) წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის ხარჯები (ხარჯები რაციონალიზაცია-გამომგონებლობაზე, ტექნიკური ლიტერატურის შეძენაზე, სტანდარტიზაციაზე, კადრების მომზადებასა და მუშაძალის ორგანიზებულ შეგროვებაზე, მივლინებებზე, სანიტარულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გატარებაზე);

ბ) სხვა ორგანიზაციათა მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება (ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის ხარჯები, დაქირავებული ტრანსპორტის საზღაური, შენობა-ნაგებობათა იჯარა, წარმოების საკითხებზე მოწყობილი კონსულტაციების ანაზღაურება, ელექტროქსელის, საანგარიშო და საბეჭდი მანქანების შეკეთება, ახალი წარმოების ათვისებასთან დაკავშირებული პროექტული სამუშაოების ხარჯები);

გ) სხვადასხვა გადასახდელები და გადასახადი (პროცენტი ბანკის კრედიტზე, სავალდებულო ანარიცხები ზემდგომი ორგანოების განკარგულებით ადგილობრივი გადასახადები, არბიტრაჟისა და სასამართლოს ხარჯები, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების გამოწერა, სამედიცინო პუნქტებისა და წითელი კუთხეების შენახვა, ჭარხნის ტერ-ტორიის გამწვანება;

დ) ფაქტიურ დანახარჯებში იანგარიშება აგრეთვე არამწარმოებლური ხარჯები (საურავი, პირგასამტეხლო და ჯარიმები — სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა პირობების, ანგარიშსწორებისა და საკრედიტო დისციპლინის დარღვევისათვის, ტრანსპორტის მოცდენის, მოწყობილობისა და ელექტროენერგიის არასწორი გამოყენებისათვის და სხვ.).

ამრიგად, ფულადი ხარჯების მუხლი მოიცავს არამარტო, ასე ვთქვათ, წმინდა ფულად ხარჯებს (ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის მომსახურება, ჯარიმები, პროცენტი ბანკის კრედიტზე, სავალდებულო ანარიცხები ზემდგომი ორგანოების განკარგულებით, ადგილობრივი გადასახდელები და სხვ.), არამედ მატერიალურ დანახარჯებს და ხელფასსაც. მაგრამ რაკი საწარმოსათვის ყველა ისინი ფულადი ხარჯის სახით წარმოსდგება, ამიტომ უბრალოდ ფულად ხარჯებს უწოდებენ.

წარმოების დანახარჯთა კლასიფიკაცია ეკონომიკური ელემენტების მიხედვით შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ მთელი ხარჯების მოცულობა ამა თუ იმ პერიოდში. მის საფუძველზე დგება წარმოების ხარჯთაღრიცხვა (ფორმა № 5) და თვითღირებულების გეგმა ძირითადი და საბრუნავი ფონდების შრომისა და ფინანსების გეგმას უკავშირდება. წარმოების ხარჯთაღრიცხვა აუცილებელია შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების დაგეგმვისათვის. სახალხომეურნეობრივი ბალანსების შედგენის, ეროვნული შემოსავლისა და დაგროვების განსაზღვრისათვის. იგი უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს წარმოების დანახარჯთა საერთო სტრუქტურის, მასში მომხდარი ცვლილებებისა და სხვ. შესასწავლად.

დანახარჯთა კლასიფიკაცია ერთგვაროვანი ეკონომიკური ელემენტების მიხედვით და მის საფუძველზე შედგენილი წარმოების ხარჯთაღრიცხვა დანახარჯთა საერთო მოცულობას და მთლიანი პროდუქციის თვითღირებულებას ასახავს, მაგრამ მის მიხედვით პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების განსაზღვ-

რა არ შეიძლება. ამ მიზნით წარმოების დანახარჯებს ხარჯთა მუხლების ანუ კალკულაციის მუხლების მიხედვით ყოფენ.

ხარჯთა მუხლების მიხედვით კლასიფიკაციის დროს საწარმოს მთელ დანახარჯებს მათი წარმოებრივი დანიშნულებისა და გაწევის ადგილის გათვალისწინებით აჯგუფებენ. ამიტომ იგი საშუალებას იძლევა ხარჯები დაიგეგმოს და აღირიცხოს კონკრეტული ადგილებისა და წარმოებრივი დანიშნულების მიხედვით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს თვითღირებულებაზე მოქმედი ფაქტორებისა და მათი ურთიერთ შეფარდების, დაგეგმვისა და ანალიზის, ეკონომიის წყაროების გამოვლენის, შიგამეურნეობრივი ანგარიშიანობის განმტკიცებისა და წარმოების ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის. დანახარჯთა მუხლების მიხედვით გამოიანგარიშება მთელი საქონლური პროდუქციის და მისი ელემენტების, თითოეული ნაკეთობის თვითღირებულება.

კალკულაციის დროს წარმოების ძირითადი დანახარჯების დაჯგუფება ხდება ელემენტების მიხედვით, ხოლო მართვისა და მომსახურების ხარჯებს კომპლექსურ მუხლებში აერთიანებენ. კალკულაციის მუხლების საფუძველზე შემუშავებულია დანახარჯთა ტიპური ნომენკლატურა, რომელიც საბუღალტრო ანგარიშგებას № 1—C და № 6 ფორმების სახით ერთვის.

მრეწველობაში 1955 წლიდან შემოღებულია შემდეგი ძირითადი ტიპური მუხლები:

ნედლეული და მასალები (უკუქცევადი ნარჩენები აკლდება);
წარმოებრივი მუშების ძირითადი ხელფასი;
წარმოებრივი მუშების დამატებითი ხელფასი;
მოწყობილობის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯები;
დანაკარგი წუნისაგან;
საამქრო ხარჯები;
საერთოქარხნული ხარჯები;
გარეწარმოებრივი ხარჯები.

გარდა ამისა, მრეწველობის მრავალ დარგში, წარმოებისა და პროდუქციის თავისებურებების შესაბამისად, ცალკე მუხლებად გამოიყოფა აგრეთვე:

დამხმარე მასალები;
ნაყიდი ნაკეთობანი, ნახევარფაბრიკატები და კოოპერირებულ საწარმოთა მომსახურება;
სათბობი ტექნოლოგიური მიზნით;
ენერგია ტექნოლოგიური მიზნით;
ანარიცხები სოცდაზღვევისათვის;
ახალი წარმოების ათვისების ხარჯები;
ტრანსპორტისა და დამზადების ხარჯები;
ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია;
სამთომოსამზადებელი სამუშაოები და სხვ.

ასევე შეიძლება კალკულაციის ტიპური ნომენკლატურის ცალკეული მუხლები გავაერთიანოთ, ან სულ არ გამოვიყენოთ. კერძოდ, აუცილებელი არ არის ყველა დარგში ცალკე აღვრიცხოთ უკუქცევადი ნარჩენები, ნაყიდი ნაკეთობანი და ნახევარფაბრიკატები, წარმოებრივი მუშების დამატებითი ხელფასი და სხვ.

დანახარჯთა კალკულაციურ ხარჯთაღრიცხვაში ნედლეულისა და მასალების მუხლში უჩვენებენ მათი მთელი ხარჯების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ იხარჯება პროდუქციის წარმოებაზე, სათბობისა და ენერგიის დანახარჯებში — მხოლოდ ტექნოლოგიური მიზნით გამოყენებული სათბობისა და ენერგიის დანახარჯებს, ხოლო ხელფასში — მარტო ძირითადი წარმოებრივი მუშების ხელფასს. მასალების, სათბობის, ენერგიისა და ხელფასის სხვა დანახარჯები კი წარმოების მართვისა და მომსახურების, აგრეთვე გარეწარმოებრივ ხარჯებში აისახება[19].

ნედლეულისა და მასალების დანახარჯები იანგარიშება წარმოების უკუქცევადი (ხელახლა გამოსაყენებლი) ნარჩენების ღირებულების გამოკლებით. ამავე მუხლში შეიტანება ნაყიდ ნაკეთობათა და ნახევარფაბრიკატების ღირებულება, თუ ეს მუხლი ცალკე არაა გამოყოფილი.

მოწყობილობის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯებში აისახება მოწყობილობის შენახვასა და ექსპლოატაციაზე დახარჯული მასალები, სათბობი და ენერგია, მოწყობილობის მომსახურე, დამხმარე მუშებისა და სხვა პერსონალის ხელფასი (თუ ცალკე არ აღირიცხება), მოწყობილობის მიმდინარე რემონტის ხარჯები, წარმოებრივი მოწყობილობის ამორტიზაცია (თუ ცალკე მუხლში არ აღირიცხება), მცირეხელფასიანი და სწრაფცვეთადი ინსტრუმენტების გაცვეთის ღირებულება და სხვ.

საამქრო ხარჯებში ერთიანდება: საამქროს ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ხელფასი; საამქროს შენობების, ნაგებობების, ლაბორატორიების ამორტიზაცია, შენახვა და მიმდინარე რემონტი; ხარჯები; ცდებზე და გამოცდებზე, რაციონალიზაცია-გამომგონებლობაზე, შრომის დაცვაზე, საამქროს არამწარმოებლური ხარჯები(მარტო ფაქტიური): გაცდენების ანაზღაურება, დანაკარგი და დანაკლისი მატერიალური ფასეულობებისა და დაუმთავრებელი წარმოების გაფუჭებისაგან და სხვ. თუ მოწყობილობის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯები ცალკე მუხლში არ აღირიცხება, მაშინ ისიც საამქრო ხარჯებში შეაქვთ.

საერთოქარხნულ ხარჯებში შედის საწარმოს მართვისა და საერთომეურნეობრივ საჭიროებებზე გაწეული ყველა დანახარჯი: ა) ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები (ადმინისტრაციული პერსონალისა და მომსახურეთა ხელფასი, მივლინებები და სხვ.); ბ) საერთომეურნეობრივი ხარჯები (საერთოქარხნული არაადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი, ქარხნის შენობების, ნაგებობებისა და ინვენტარის შენახვა, ამორტიზაცია და მიმდინარე რემონტი, ცდების, გამოცდების, გამოკვლევების, გამომგონებლობისა და ტექნიკური სრულყოფის ხარჯები, შრომის დაცვის, სახანძრო უშიშროების, საგუშაგო და სხვა ხარჯები); გ) გადასახდელები, მოსაკრებლები, გამოსაღებები და სხვა სავალდებულო ხარჯები; დ) არამწარმოებლური, ანუ უნაყოფო ხარჯები (ჯარიმები ტრანსპორტის მოცდენისათვის, კოსინუს „ФИ“-თვის, საურავი და პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, გაცდენების ანაზღაურება, მასალებისა

---

[19] სხვათა შორის, ამასთან არის დაკავშირებული ის, რომ ნედლეულისა და მასალების, სათბობის, ელექტროენერგიისა და ხელფასის ხვედრიწონა თვითღირებულების სტრუქტურაში ცალკე მუხლების მიხედვით გაცილებით დაბალია, ვიდრე ელემენტების მიხედვით ხარჯთაღრიცხვაში.

და მზა ნაწარმის დანაკლისი და გაფუჭება საწყობში, სხვა არამწარმოებლური ხარჯები);

ჩამოთვლილი მუხლების მიხედვით გაწეული ყველა დანახარჯები წარმოქმნიან პროდუქციის ფაბრიკულ-ქარხნულ თვითღირებულებას. ეს ე. წ. უშუალო, შიგაწარმოებრივი ხარჯებია, რომლებიც გაიწევა პროდუქციის გამოშვებაზე, თუმცა სხვადასხვანაირად არიან დაკავშირებულნი მის წარმოებასთან.

შიგაწარმოებრივ ხარჯებზე ანუ ფაბრიკულ-ქარხნულ თვითღირებულებაზე გარეწარმოებრივი ხარჯების დამატებით კი გამოიანგარიშება სრული თვითღირებულება.

გარეწარმოებრივი ხარჯების მუხლი აგრეთვე კომპლექსური ხასიათისაა, რომელიც უმთავრესად პროდუქციის რეალიზაციის ხარჯებს მოიცავს. მათ შორის მთავარია: მზა პროდუქციის დახარისხება, ტარა, შეფუთვა, გასაგზავნად მომზადება, დატვირთვა და გაგზავნა. აქვე შედის ხარჯები — სტანდარტიზაციაზე, ტექნიკური პროპაგანდისათვის, ნაწილობრივ მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოებისათვის, კადრების მასიურ მომზადებაზე და სხვ.

მაშასადამე, პროდუქციის თვითღირებულებაში შედის როგორც წარმოების უშუალო, შიგაწარმოებრივი, ასე ვთქვათ, შიგაპროცესული ხარჯები, ისე — გარეწარმოებრივი ანუ გარეპროცესული ხარჯები.

ეკონომიკური თვალსაზრისით, აღნიშნული ორი ძირითადი ჯგუფის ხარჯებიდან თვითეული, თავის მხრივ, შეიძლება მწარმოებლურ და არამწარმოებლურ (უნაყოფო) ხარჯებად დავყოთ.

მწარმოებლურია ცოცხალი და განივთებული შრომის ის დანახარჯები, რომლებიც წარმოების უშუალო პროცესთან ან მის გაგრძელება-დამთავრებასთანაა დაკავშირებულნი, ე. ი. პროდუქტის ღირებულებისა და სახმარი ღირებულების ქმნადობის, აგრეთვე მათი რეალიზაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენენ. მწარმოებლური ხარჯების ღირებულებრივი ექვივალენტი უშუალოდ წარმოების პროდუქტში იჩენს თავს (ნედლეული, მასალები, სათბობი, ენერგია, ხელფასი დარიცხვით, ამორტიზაცია და სხვ., მათ შორის მზა ნაწარმის დახარისხების, შეფუთვის, გაგზავნისა და რეალიზაციის ხარჯები) და ისინი მთლიანად საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს შეადგენენ. ამიტომ ეს ხარჯები მთლიანად აისახებიან როგორც თვითღირებულებაში, ისე — ღირებულებაში.

არამწარმოებლური ანუ უნაყოფო ხარჯები კი ისეთი ხარჯებია, რომლებიც პროდუქტის წარმოებისა და გაცვლის აუცილებელ პირობას არ წარმოადგენენ და არც რაიმეს მის სახმარ ღირებულებას მატებენ. მაგრამ არამწარმოებლური ხარჯები (ჯარიმები, საურავი, პირგასამტეხლო, ბუნებრივი დანაკლისი, დანაკარგები: წუნისაგან, სიმძლავრეთა მოცდენისაგან, გაფუჭებისაგან, სტიქიურ ღბედურებათაგან, დატაცებისაგან და სხვ.) მარტო მეურნეობისადმი ცუდი გაძღოლის შედეგი და პროდუქტის ნამდვილ ღირებულებაზე რაღაც უბრალო „დანალექი“ როდია. წუნი, წარმოებრივი დანაკარგები, მოცდენები, ტრანსპორტის სისტემის ნაკლოვანებანი, ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორების ზემოქმედება და სხვ. ნაწილობრივ ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების მიღწეულ დონესთან, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის, წარმოებისა და მიმოქცევის არსებულ ფორმებთანაცაა დაკავშირებული. ამის გამოა, რომ ტექნიკური პროგრესის, წარმოებრივი გამოცდილების გამდიდრების, შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მართვის სრულყოფის კვალობაზე არამწარმოებლური ხარჯებიც მცირდება.

ამიტომ არამწარმოებლური ხარჯები ინდივიდუალურ თვითღირებულებათა გზით საშუალოდარგობრივ თვითღირებულებაში (და აქედან, ნაწილობრივ ღირებულებაშიც) აისახება. წუნი, წარმოებრივი დანაკარგები, დანაკარგები გაფუჭებისაგან, სტიქიური მოვლენებისაგან, ნასესხები სახსრების გამოყენება, წარმოებისა და მიმოქცევის ორგანიზაციულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებული ხარჯები (საურავი, ჯარიმები, პირგასამტეხლო) და სხვ., თუ წარმოების საერთო პირობებითაც არის ნაკარნახევი, მაშინ გარკვეული ზომით აუცილებელიცაა, საშუალო არამწარმოებლური ხარჯებია მოცემულ ეტაპზე და რაოდენობრივ ასახვას იპოვის თვითღირებულებაში და ღირებულებაში. საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის განსაზღვრისას ხომ იმ საშუალო სამუშაო დროიდან გამოვდივართ, რასაც ფაქტიურად ხარჯავენ ამა თუ იმ პროდუქციის ძირითადი მასის მწარმოებლური საწარმონი. ამიტომ ეკონომიკური თვალსაზრისით არამწარმოებელი ხარჯები, რომლებიც პროდუქტში ნივთობრივად ან პირდაპირ ვერ პოულობენ ასახვას, საზოგადოებრივად აუცილებელ ხარჯებს განეკუთვნება იმ ზომით, რა ზომითაც მათ საშუალოდ ადგილი აქვთ საწარმოებში, რომელნიც პროდუქციის ამ სახეობის ძირითად მასას აწარმოებენ[20].

ამრიგად, არამწარმოებლური ხარჯები, ერთი მხრივ და გარკვეული ზომით წარმოების აუცილებელი ხარჯებია; მათი ნაწილი საშუალოდარგობრივი თვითღირებულების მეშვეობით ღირებულებაშიც შედის და მოცემულ ეტაპზე საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებად იქცევა. მეორე მხრივ, არამწარმოებლური ხარჯების ნაწილი, ასე ვთქვათ, წმინდა არამწარმოებლური (უნაყოფო) ხარჯებია და მათი ღირებულებრივი ექვივალენტი მხოლოდ ინდივიდუალურ თვითღირებულებაში იჩენს თავს[21]. ამგვარი არამწარმოებლური ხარჯები მთლიანად გამოწვეულია საწარმოს ცუდი მეურნეობრივი საქმიანობით, ეკონომიის რეჟიმისა და მეურნეობრივი ანგარიშიანობის პრინციპების უხეში დარღვევით. ამიტომ როგორც ამ სახის, ისე მთელი არამწარმოებლური ხარჯების მინიმუმამდე დაყვანასა და ლიკვიდაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

უნდა აღინიშნოს, რომ კალკულაციის მუხლების ტიპურ და დარგობრივ ნომენკლატურებს მრავალი ნაკლი გააჩნია. ხშირად ერთ მუხლში გაერთიანებულია სხვადასხვა ფუნქციისა და ეკონომიკური შინაარსის ხარჯები (ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალები, ტექნოლოგიური სათბობი და ენერგია და სხვ.). ზოგიერთ დარგში ცალკე არ აღრიცხავენ ახალი წარმოების ათვისების, მოწყობილობის შენახვა-ექსპლოატაციისა და სხვ. ხარჯებს, რასაც წარმოებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. ცალკეულ დარგებში კალკულაციის მუხლები მეტად მრავალრიცხოვანია და ა. შ.[22]. ამიტომ თვითღირებულების ანალიზისა და მის შემცირებაზე კონტროლისათვის აუცილებელია კალკულაციის მუხლების შემდგომი უნიფიკაცია,

---

[20] უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. ჩვენი სტატია — „პროდუქციის თვითღირებულების რაობისათვის სოციალიზმის დროს“ — ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „შრომები“, ტ. 1, 1960, გვ. 61 — 63.

[21] ყოველდღიურ მეურნეობრივ პრაქტიკაში ამგვარი არამწარმოებლური ხარჯები, ჩვეულებრივ ზარალის სახით ვლინდება. ინდივიდუალური არამწარმოებლური ხარჯების სიჭარბე საშუალოდარგობრივ ან გეგმურ (იმ დარგებში, სადაც ზოგიერთი არამწარმოებლური ხარჯი იგეგმება) არამწარმოებლურ ხარჯებთან შედარებით იფარება საწარმოს წმინდა შემოსავლიდან, ან რაც იგივეა — თვითღირებულების სხვა მუხლებში გაკეთებული ეკონომიით.

საერთოდ თვითღირებულების აღრიცხვისა და დაგეგმვის მეთოდიკის შემდგომი გამარტივება და სრულყოფა.

მრეწველობის უმრავლესი დარგებისათვის, ჩვენი აზრით, ამჟამად ყველაზე მიზანშეწონილია გამოვიყენოთ კალკულაციის შემდეგი მუხლები:

1. ნედლეული და ჯასალები;

ა ქ ე დ ა ნ:

დამხმარე მასალები და ნედლეული,
ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და ნაკეთობანი, კოოპ. საწარ. მომსახურება,
უკუქცევადი ნარჩენები (აკლდება).

2. ტექნოლოგიური სათბობი;
3. ტექნოლოგიური ენერგია;
4. წარმოებრივი მუშების ხელფასი დარიცხვით;

ა ქ ე დ ა ნ:

ძირითადი ხელფასი,
დამატებითი ხელფასი,

5. ათვისების ხარჯები;
6. დანაკარგები წუნისაგან, აგრეთვე მარკიანობის, სორტიანობისა და ხარისხის დაქვეითებისაგან;

მ ა თ შ ო რ ი ს:

დანაკარგი წუნისაგან,

7. მოწყობილობის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯები;

მ ა თ შ ო რ ი ს:

ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია,

8. საამქრო ხარჯები,
9. საერთოქარხნული (საერთოფაბრიკული) ხარჯები,
10. სხვა წარმოებრივი ხარჯები,
ქარხნული (ფაბრიკული) თვითღირებულება
11. გარეწარმოებრივი ხარჯები,
სრული თვითღირებულება.

ამასთან კალკულაციის მუხლების ეს ტიპური ნომენკლატურა მრეწველობის ზოგიერთ დარგში (მაგ., ცემენტის და სხვა საშენი მასალების, მომპოვებელი, ხორცისა და სხვ.) შეიძლება შემოკლებული სახით გამოვიყენოთ. კერძოდ, კალკულაციის მუხლებში შეიძლება არ შევიტანოთ ტექნოლოგიური სათბობი და ენერგია, ახალი წარმოების ათვისების ხარჯები, დანაკარგი წუნისაგან, უკუქცევადი ნარჩენები ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და ნაკეთობანი, ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია, დამატებითი ხელფასი და ა. შ. ზოგ დარგში კი, პირიქით, ტიპურ ნომენკლატურას უნდა დავუმატოთ მუხლები: ტარა და შეფუთვა, ტრანსპორტისა და დამზადების ხარჯები, სამთომოსამზადებელი სამუშაოები და სხვ.

---

[22] ამის შესახებ ვრცლად იხ. И. Поклад, Вопросы методологии учета и калькулирования себестоимости промышленной продукции, М., 1960, გვ. 40 — 48.

ჩვენ მიერ რეკომენდებული კალკულაციის მუხლების ტიპური ნომენკლატურის მნიშვნელოვანი თავისებურება არსებულთან შედარებით, ჯერ ერთი, ის არის, რომ იგი ძირითადი და ქვემუხლების გამოყოფით ხაზს უსვამს ძირითადს და არაძირითადს, რითაც თვითღირებულების შემადგენლობისა და მისი შემცირების რეზერვების უფრო ღრმა ანალიზის საშუალებას იძლევა; მეორე, განსხვავება კალკულაციის ტიპურ და დარგობრივ ნომენკლატურებს შორის საგრძნობლად მცირდება; მესამე, ტიპურ ნომენკლატურაში „ტრადიციული" მუხლების გვერდით ახალი ძირითადი და ქვემუხლების შემოტანა (ტექნოლოგიური სათბობი, ტექნოლოგიური ენერგია, დამხმარე მასალები, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და ნაკეთობანი, ათვისების ხარჯები, ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია), კალკულაციის დარგობრივი ნომენკლატურის ზოგი ძირითადი მუხლის საერთო ქვემუხლად გადაქცევა (დამხმარე მასალები, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და ნაკეთობანი, უკუქცევადი ნარჩენები, ძირითადი ხელფასი, დამატებითი ხელფასი, ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია). ხოლო ზოგი მათგანის შინაარსის შეცვლა (წარმოებრივი მუშების ხელფასი დარიცხვით, დანაკარგები წუნის, მარკიანობის, სორტიანობისა და ხარისხისაგან) ასახავს მწარმოებლური ძალების განვითარებისა და წარმოების დანახარჯთა სტრუქტურის ცვლილების ძირითად ტენდენციებს.

კალკულაციის პირველი ტიპური მუხლის — „ნედლეული და ძირითადი მასალები, უკუქცევადი ნარჩენები (აკლდება)"—შეცვლა ერთი საერთო მუხლით —„ნედლეული და მასალები", ხოლო ამ უკანასკნელიდან ქვემუხლების: „დამხმარე მასალები", „უკუქცევადი ნარჩენები", „ნაყიდი ნახევარფაბრიკატები, ნაკეთობანი და კოოპერირებულ საწარმოთა მომსახურება"—გამოყოფა გამართლებულია არამარტო თეორიულად, არამედ — პრაქტიკულადაც.

საერთო ასპექტში წარმოების დანახარჯთა ეკონომიკური ელემენტების, მისი სტრუქტურისა და თავისებურებების შესწავლისათვის საინტერესოა სწორედ ნედლეულისა და მასალების მთელი დანახარჯები და არა მათი შემადგენლობა. მეორე მხრივ, ნედლეულისა და მასალების ერთობლივი დანახარჯებიდან დამხმარე მასალების, წარმოების უკუქცევადი ან ხელახლად გამოსაყენებელი ნარჩენების, აგრეთვე ნაყიდი ნახევარფაბრიკატების, ნაკეთობებისა და კოოპერირებულ საწარმოთა მომსახურების გამოყოფა იმის შესაძლებლობას ქმნის, რომ შევისწავლოთ წარმოების დარგობრივი თავისებურებანი, კოოპერირება — სპეციალიზაციის და კომბინირების განვითარების დონე და მთავარი მიმართულებანი.

ტექნიკური პროგრესისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავება-გაფართოების კვალობაზე სპეციალიზებულ და კოოპერირებულ საწარმოთა რიცხვი სწრაფად იზრდება. თანამედროვე მრეწველობის უმრავლეს დარგში ამა თუ იმ პროდუქტის დეტალებისა და ნაწილების დამზადებაზე ათობით, ასობით და ზოგჯერ ათასობით საწარმოა გაერთიანებული. კოოპერირებისა და მასიური წარმოების განვითარების გამო წარმოიქმნება უმსხვილესი გიგანტები, რომლებიც შეზღუდული ასორტიმენტის პროდუქციის გამოშვებაზე არიან დასპეციალიზებულნი. ასეთი საწარმონი ხშირად პროდუქციის ცალკეულ სახეობათა ძირითად მასასაც კი აწარმოებენ. ბუნებრივი რესურსებისა და წარმოების ნარჩენების კომპლექსური გამოყენების ბაზაზე სწრაფად ფართოვდება კომბინირება, რაც უზარმაზარი კომბინატების წარმოქმნით მთავრდება. ასევე ქიმიური და ელექტრული მეთოდების ფართოდ გამოყენება გადატრიალებას ახდენს წარმოების პროცესში და მისი პროდუქტის ხასიათში; კოლოსალური რაოდენო-

ბის ნედლეული და ბუნებრივი რესურსები ხშირად რაღაც უბრალო „დამხმარე მასალებად“ იქცევა, ხოლო სრულიად უმნიშვნელო ფიზიკური მოცულობის ნივთიერებანი — ძირითად მასალებად და ნედლეულად, პროდუქტის „მთავარ სუბსტანციად!“.

აი ამ პროცესების შესწავლისათვის, თვითღირებულების დაგეგმვისა და მისი ელემენტების ღრმა ანალიზისათვისაა საჭირო ნედლეულისა და მასალების ერთობლივ დანახარჯთა ერთ საერთო მუხლში გაერთიანებაც და ამავე დროს მისი ქვემუხლებად დაშლაც. ამასთან ეს თანაბრად ეხება როგორც კალკულაციის მუხლების, ისე დანახარჯთა ეკონომიკური ელემენტების კლასიფიკაციას. ამიტომ აღნიშნული ცვლილებების შეტანა, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება არამარტო კალკულაციის მუხლების, არამედ —დანახარჯთა ეკონომიკური ელემენტების (ფორმა № 5) ნომენკლატურაშიც.

თანამედროვე მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ იგი მძლავრ ენერგეტიკულ ბაზას ეყრდნობა. სათბობი და ელექტროენერგია ამჟამად არამარტო საფუძველი და წყაროა მრავალგვარი ფორმისა და კოლოსალური რაოდენობის სითბური და მექანიკური ენერგიის მისაღებად. არამედ ტექნოლოგიური პროცესების აუცილებელი პირობაცაა მრავალ დარგში. ამიტომ არის, რომ ტექნოლოგიური მიზნით დახარჯულ სათბობს და ენერგიას მნიშვნელოვანი ხვედრიწონა უჭირავს პროდუქციის თვითღირებულებაში, ხოლო ზოგი დარგი სათბობის და ენერგიის დანახარჯტევადობით გამოირჩევა. მაგ., საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის მიერ 1960 წელს დახარჯული სათბობისა და ელექტროენერგიის 90,8% ტექნოლოგიურ სათბობზე და ელექტროენერგიაზე მოდიოდა, ხოლო საქონლური პროდუქციის სრულ თვითღირებულებაში მას 10,1% ეჭირა.

მომავალში მრეწველობის (საერთოდ წარმოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგის) ახალი მძლავრი განვითარება პირდაპირ დაემყარება ენერგეტიკული ბაზის, პირველ რიგში კი ელექტრობის ყოველმხრივ და სწრაფ განვითარებას. მომავალი ტექნიკური რევოლუცია წარმოებაში ელექტრობის განუწყვეტლივ მზარდი დანერგვის, შრომის იარაღთა და მთელ ტექნიკაზე ელექტრობის აქტიური ზემოქმედების საფუძველზე გაიშლება. ამჟამად უკვე ფართო გასაქანი მიიღო ისეთმა წარმოებრივმა პროცესებმა, სადაც ელექტროენერგია გამოდის ან როგორც პირდაპირი მუშა აგენტი (ელექტროდნობა, ელექტროთერმიული, ელექტრონაპერწკლური და სხვ. პროცესები), ან როგორც ენერგომატარებელი, რომელსაც უნარი შესწევს იმოქმედოს ნივთიერებათა შინაგან სტრუქტურაზე და გამოიწვიოს შრომის საგნებში ისეთი ცვლილებები, რაც მექანიკურ ენერგიას არ ძალუძს. მაშასადამე, თანამედროვე და მომავლის მრეწველობაში ელექტროენერგიის მოხმარება ტექნიკური პროგრესის კვალობაზე განუხრელად გაიზრდება.

ელექტროენერგიის მზარდ მოხმარებასთან ერთად ტექნოლოგიურ პროცესებში აქტიურ როლს ინარჩუნებს, აგრეთვე, სათბობი (მყარი, თხევადი და გაზისებრი) და ზოგჯერ ელექტროენერგიასთან შედარებით მას ტექნიკური და ეკონომიკური უპირატესობაც ენიჭება. ეს უპირატესობა ნაწილობრივ, ალბათ, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდითაც იქნება შენარჩუნებული. ამასთან სათბობის ახალი პროგრესული სახეების აღმოჩენა და შექმნაც არ არის გამორიცხული.

აღნიშნულის გამო ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ზოგიერთი ავტორის მიერ ტექნოლოგიური სათბობისა და ტექნოლოგიური ენერგიის ხარჯების ცალკე გამოყოფა თვითღირებულების კალკულაციის მუხლების ტიპურ ნომენკლატურაში[23]. კალკულაციის დარგობრივი ნომენკლატურიდან ამ მუხლების გადატანა ტიპურში ამჟამად თუ მიზანშეწონილობის ხარისხში ვლინდება, ახლო მომავალში იგი აუცილებლობად იქცევა.

წარმოებრივი მუშების ძირითადი და დამატებითი ხელფასი, აგრეთვე ანარიცხები სოცდაზღვევაზე ამჟამად ზოგ დარგში ცალ-ცალკე — სამ მუხლში აღირიცხება, ზოგან ერთადაა გაერთიანებული, ხოლო ზოგან დამატებით ხელფასს ანარიცხებთან ერთად საამქრო ან მოწყობილობის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯებში აერთიანებენ. ჩვენი აზრით, წარმოებრივი მუშების ძირითადი და დამატებითი ხელფასი სოცდაზღვევის ანარიცხებთან ერთად, ჯერ ყველა დარგში მთლიანად ერთ მუხლში უნდა აისახოს, რადგან იგი თავისი ეკონომიკური ბუნებით ერთიანია; შემდეგ კი ამ მუხლიდან ძირითადი და დამატებითი ხელფასი ქვემუხლებად უნდა გამოიყოს. ეს აუცილებელია წარმოებრივი მუშების ხელფასის სტრუქტურის შესწავლისათვის, მისი დაგეგმვისა და ანალიზისათვის.

რაც შეეხება ანარიცხებს სოცდაზღვევაზე, მისი ცალკე მუხლად გამოყოფა, როგორც ამას გვთავაზობს ი. პოკლადი, მიზანშეწონილი არ არის, რადგან საწარმოებში ამ მუხლის კონკრეტულ-ეკონომიკური ანალიზი არ სწარმოებს. თანაც ამით ანარიცხების გაანგარიშება მარტივდება, რადგან ორი ოპერაცია ერთზე დაიყვანება[24], საჭიროების შემთხვევაში, მის რაოდენობას სრულიად ადვილად გავიგებთ, რადგან საერთო მუხლიდან ძირითადი და დამატებითი ხელფასი უკვე ცალკეა გამოყოფილი.

ტიპურ ნომენკლატურაში საამქრო ხარჯებისაგან ასევე ცალკე უნდა გამოვყოთ მოწყობილობის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯები, ხოლო ამ მუხლიდან მრავალ დარგში — ძირითად საშუალებათა ამორტიზაციაც[25]. თანამედროვე მრეწველობაში ინტენსიურად გამოიყენება დიდძალი ტექნიკა, წარმოებრივი ფართობები და უზარმაზარი შენობა-ნაგებობანი. ამიტომ წარმოების დანახარჯებში მოწყობილობის ექსპლოატაციისა და შენახვის ხარჯების ხვედრიწონა დიდია და თანაც იგი ზრდის ტენდენციას ატარებს. ამიტომ ამ ხარჯების ცალკე აღრიცხვას, დაგეგმვას და ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს მათი შემცირების რეზერვების გამოვლინებისათვის, მოწყობილობის გამოყენების ეფექტურობის ამაღლებისათვის.

ტექნიკური პროგრესისა, და საერთოდ მწარმოებლური ძალების განვითარების სწრაფი ტემპების პირობებში, — როცა განუწყვეტლივ იქმნება პროდუქციის ახალი სახეობანი (შრომის იარაღები, შრომისა და პირადი მოხმარების სა-

---

[23] И. Поклад, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[24] ანარიცხები სოცდაზღვევისათვის გამოიანგარიშება ხელფასიდან განსაზღვრული პროცენტის მიხედვით.

[25] ტიპურ და დარგობრივ ნომენკლატურებში ამას ამჟამად ნაწილობრივ უკვე აკეთებენ. მაგ., ცემენტისა და შიფერის მრეწველობაში მოწყობილობის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯები, ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია და საამქრო ხარჯები ცალ-ცალკე მუხლებში აღირიცხება. ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია საამქრო ხარჯებიდან ცალკე გამოიყოფა აგრეთვე ტორფის, ქიმიურ, ნავთობისა და გაზის მრეწველობაში, ელექტროსადგურებში და სხვ.

გნები), — დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს იმ ხარჯების აღრიცხვა-ანალიზს, რაც ამ პროცესებთან არის დაკავშირებული. ეს ხარჯები ნაწილობრივ ე. წ. „ათვისების ხარჯებში“ აისახება.

აქ საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ სოციალიზმის დროს არ არსებობს კონკურენცია, წარმოებისა და მიმოქცევის პროცესი გეგმიანია. მთელი გამოშვებული პროდუქცია, თუ ის აკმაყოფილებს გეგმურ სტანდარტებს, ასორტიმენტს და ხარისხს, წინასწარი განაცხადების საფუძველზე ეგზავნება დამკვეთს ან სავაჭრო ქსელს. ასე, რომ საწარმოთა გაკოტრების რაიმე საშიში პერსპექტივა არ არსებობს.

აი ეს თავისებურება სოციალისტურ მეურნეობაში კონსერვატიზმის ტენდენციებს წარმოშობს. საწარმოთა ხელმძღვანელობა პროდუქციის ახალ სახეობათა შექმნით ან მათი წარმოების ათვისებით ეკონომიკურად, მატერიალურად არსებითად არ არის დაინტერესებული. ეს ხომ დამატებით შრომასთან და ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამაზე გაწეული ხარჯები ხომ თვითღირებულებაში არსახება, თვითღირებულება ხომ ფინანსური და მეურნეობრივი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ხარისხობრივი მაჩვენებელია! სწორედ თვითღირებულების გეგმის შესრულების ხარისხია საწარმოს კარგი ფინანსური მდგომარეობისა და ნაწილობრივ წარმოების მუშაკთა მატერიალური ცხოვრების გაუმჯობესების ერთ-ერთი პირობა[26]. დამხადებული პროდუქცია სულერთია საღდება. და, განა ღირს ასეთ პირობებში დამატებითი ხარჯების, შრომისა და რისკის გაწევა ახალი წარმოების ათვისებისათვის?!

მკითხველმა უნდა მოგვიტევოს და თავისი ძველი ჩვეულების მიხედვით, აქ. საკითხის გაუბრალოება არ უნდა გვიკიჟინოს. ჩვენ მხედველობიდან სრულიადაც არ ვუშვებთ ახალ სოციალისტურ და კომუნისტურ ურთიერთობებს, ახალ ადამიანს ახალი მორალით, იმას რომ სოციალისტურ მეურნეობაში კონკურენციას სცვლის ჯანსაღი შეჯიბრება, რომლის მიზანია საზოგადოებრივი წარმოების საერთო ალმავლობის მიღწევა, რომ წარმოების მილიონობით მუშაკი ნოვატორი, რაციონალიზატორი და გამომგონებელი ხდება, რომ საწარმოს უწესდება მოწინავე ტექნიკის დანერგვისა და ახალი წარმოების ათვისების, პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის გეგმები და სხვ. ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა. ჩვენ უფრო გაბედულად უნდა შევხედოთ რეალურ მოვლენებს. ხომ ისიც ცნობილია, რომ ხშირად ტექნიკური პროგრესისა და ახალი წარმოების ათვისების გეგმები არ სრულდება, წარმოების ნოვატორები, რაციონალიზატორები და გამომგონებლები არცთუ იშვიათად ბიუროკრატიულ ბარიერებს აწყდებიან. განა ჩვენს სინამდვილეში, ე. ი. მტკიცე გეგმიანი მეურნეობის პირობებში, მხოლოდ იდეური და მორალური მოტივები ამოძრავებენ საწარმოებს და მათ მუშაკებს, ანდა მარტო ნამდვილი, ასე ვთქვათ, „წმინდა“ ეკონომიკური და მატერიალური სტიმულები თამაშობენ ამ მამოძრავებლის როლს?

მკითხველს უკვე მომზადებული აქვს ცნობილი პასუხი — ორივე ერთად! და ჩვენც ამას ერთბაშად ვეთანხმებით. მაგრამ მოდით შევეცადოთ ვუპასუხოთ ერთად ჩვენ ამ კითხვებსაც; მაშ რატომ არის, რომ სოციალისტურ საწარმოთა

---

[26] მხედველობაში გვაქვს პრემირება თვითღირებულების შემცირების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ხელმძღვანელების მხრივ ხშირად ვხვდებით კონსერვატიზმს, დაუდევრობას და თვითდამშვიდებას ტექნიკური პროგრესის, პროდუქციის ხარისხის და მისთ. მიმართ? განა ეს მარტო ამ ხელმძღვანელთ ჩამორჩენილობით ან მათი სხვა უარყოფითი თვისებებით აიხსნება? ანდა განა ეს სოციალისტური წარმოების ბუნებიდან გამოდის?! რატომ სჭირდება ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ახალი წარმოების ათვისებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას მუდმივი გარეგანი ფაქტორების ზემოქმედება, როგორიცაა კომუნისტური და მუშათა პარტიების დადგენილება — გადაწყვეტილებანი, პარტიის, წარმოებისა და საზოგადოების მთელი მოწინავე ძალების ბრძოლა ამ მიმართებით?

ჩვენი აზრით, სწორედ, ზემოაღნიშნული ორი ფაქტორის — იდეურ-მორალურისა და ეკონომიკურ-მატერიალურის ურთიერთშერწყმა ბადებს ახალ ამოცანებს და თავისებურებებს, რაც უნდა შევიცნოთ და გადავჭრათ, სწორად შევაჯამოთ და გამოვიყენოთ ისინი. აჩქარება ამ საქმეში უპირატესად ზიანს მოგვიტანს. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები გვასწავლიდნენ, რომ მარტო ენთუზიაზმზე და მორალურ მოტივებზე დაყრდნობით კომუნიზმის აშენება არ შეიძლება. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში მორალურ-იდეური სტიმულები საზოგადოების გადამწყვეტი მამოძრავებელი ძალის ფუნქციის ხარისხამდე ჯერ კიდევ ვერ ადის და ამ როლს კვლავ მატერიალური დაინტერესების პრინციპი თამაშობს. ამიტომ მატერიალური დაინტერესების პრინციპი წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ და მტკიცე თანამიმდევრულობით უნდა გავატაროთ წარმოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე.

რა იქნებოდა, მაგალითად, თუ ახალი ტექნიკის შექმნა-დანერგვას, ახალი წარმოების ათვისებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას საწარმოთა და წარმოების ყველა მუშაკის მატერიალური დაინტერესების პრინციპს დავუქვემდებარებდით? ჩვენი აზრით, ეს დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემდა. კერძოდ, დაჩქარდებოდა ტექნიკური პროგრესი და წარმოების გაფართოება. არსებითი ძვრები მოხდებოდა პროდუქციის ხარისხში; ხარისხის საკითხი ხომ ამჟამად ჩვენს მრეწველობაში ერთ-ერთ პრობლემად იქცა. აქა-იქ ასეთი ღონისძიებანი უკვე ტარდება, მაგრამ ამას საყოველთაო და სრულყოფილი ხასიათი არ მიუღია.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, აუცილებელია ახალი წარმოების ათვისების ხარჯები თვითღირებულების კალკულაციის სავალდებულო ნომენკლატურაში შევიტანოთ. ეს ხარჯები მრეწველობის თითქმის ყველა დარგში უნდა გაიწეოდეს და აღირიცხებოდეს. და, როცა კალკულაციის ამ მუხლის გასწვრივ ხარჯების გეგმა შესრულებული არ იქნება, ან ცარიელი ადგილი ერთბაშად გვეცოდინება, რომ ამ მიმართებით საწარმო ან დარგი ცუდად მუშაობს, ანდა საერთოდ არაფერს აკეთებს.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ იმის მომხრეც კი ვიქნებოდით, რომ ახალი წარმოების ათვისებისა და მისი ხარჯების გეგმის შესრულება უმნიშვნელოვანეს ხარისხობრივ მაჩვენებლად იქცეს. წარმოების მუშაკთა პრემირებისას შრომის მწარმოებლურობისა და თვითღირებულების გეგმების შესრულებასთან ერთად, მიზანშეწონილია ეს მაჩვენებელიც იქნას გათვალისწინებული. კიდევ მეტი, ახალი წარმოების ათვისების ხარჯების გეგმის გადაჭარბებით შესრულება უნდა სტიმულირდებოდეს. წარმოების მუშაკები უნდა განთავისუფლდნენ იმ შიშისა და სიფრთხილისაგან, რაც ახალი წარმოების ათვისების რისკთანაა დაკავშირე-

ბული. შესაძლოა, ამან პირველ ხანებში ცალკეულ საწარმოებში გარკვეული უყაირათობაც გამოიწვიოს, მაგრამ საერთო ეკონომიკური ეფექტი გაცილებით მეტი იქნება.

ამჟამად თვითღირებულების კალკულაციის ტიპურ ნომენკლატურაში მხოლოდ წუნისაგან გამოწვეული დანაკარგებია გათვალისწინებული. მაგრამ ეკონომიკური ბუნების მიხედვით პროდუქციის მარკიანობის, სორტიანობისა და ხარისხის დაქვეითებაც ფაქტიურად წუნის თანაბარი დანაკარგია. მარკის, სორტისა და ხარისხის ამაღლება პროდუქციის გამოშვების აბსოლუტურ ზრდას ნიშნავს, ხოლო მათი დაქვეითება — პირიქით და თანაც ფინანსურ ზარალს იწვევს, რაც წუნისაგან გამოწვეული ზარალისაგან არაფრით განსხვავდება. ამიტომ თვითღირებულებაში უნდა აისახებოდეს ის, თუ წარმოების ერთი და იგივე დანახარჯებით როგორი მარკის, სორტისა და ხარისხის პროდუქცია იქნა დამზადებული. ეს ამავე დროს პროდუქციის ხარისხის პრობლემის გადაჭრასაც საგრძნობლად შეუწყობს ხელს.

მაშასადამე, მიზანშეწონილი იქნება დანახარჯთა ტიპურ ნომენკლატურაში გავითვალისწინოთ არამარტო დანაკარგები წუნისაგან, არამედ ამასთანავე ერთად — დანაკარგები სორტიანობის, მარკიანობისა და ხარისხის დაქვეითებისაგანაც[27]. კონტროლი წუნზე და მისი შემცირება, აგრეთვე მარკიანობის, სორტიანობისა და ხარისხის ამაღლება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია.

ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდება სათანადო მეთოდოლოგიისა და კოეფიციენტების სისტემის შემუშავება სხვადასხვა მარკის, სორტისა და ხარისხის პროდუქციის საერთო მაჩვენებლებში გამოსახვისათვის, გეგმასთან შედარებით მათი ფაქტიური მაჩვენებლების ანალიზისა და მათი გეგმის შესრულებით გამოწვეული ზარალის ან ეკონომიის გამოანგარიშებისათვის.

რაც შეეხება „სხვა წარმოებრივი ხარჯების“ მუხლს, ხარჯების ტიპურ ნომენკლატურაში ისინიც უნდა გავითვალისწინოთ. ამ მუხლში შეიძლება გავაერთიანოთ არამარტო ის ხარჯები, რომლებიც თავისი ხასიათით ძნელია უშეცდომოდ რომელიმე მუხლს მივაკუთვნოთ, არამედ, ჩვენი აზრით, — თვითღირებულების ელემენტების საერთო ასპექტში შესწავლის, კალკულაციისა და განზოგადება-ანალიზის დროს, — ის წარმოებრივი ხარჯებიც, რომლებიც წარმოების თავისებურებების გამო დარგობრივ ნომენკლატურებში ცალკე აღრიცხებიან.

ასეთია, ჩვენი აზრით, ამჟამად მრეწველური პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის მუხლების ტიპური ნომენკლატურის შედგენის ძირითადი მოტივები.

დანახარჯთა ეკონომიკურ ელემენტებს და ხარჯთა მუხლებს, თავის მხრივ, უფრო მსხვილ ჯგუფებადაც აერთიანებენ.

კერძოდ, მთელი ხარჯები იყოფა: ა) მატერიალურ, შრომით და ფულად დანახარჯებად, ბ) ძირითად და ზედნადებ, გ) პირდაპირ და არაპირდაპირ, დ) ცვალებად (პროპორციულ) და მუდმივ (არაპროპორციულ) ხარჯებად. ამგვარ კლა-

---

[27] დანაკარგები წუნისაგან აგრეთვე მარკიანობის, სორტიანობისა და ხარისხის დაქვეითებისაგან მხოლოდ ფაქტიურ კალკულაციაში უნდა იანგარიშებოდეს. დანაკარგები წუნისაგან, როგორც ეს ამჟამად არის, დაიგეგმება მხოლოდ იმ დარგებში, სადაც წუნი ნაწილობრივ ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებითაა გაპირობებული.

სიტყვაციას საფუძვლად უდევს, როგორც დანახარჯთა თითოეული სახის ეკონომიკური შინაარსი და დანიშნულება, ისე მათი აღრიცხვა-დაგეგმვის თავისებურებანი და ის კონკრეტული მიზნები, რომელთაც მეურნეობრივი საქმიანობის შესწავლა და თეორიული განზოგადება ისახავს. ამასთან ელემენტებისა და კალკულაციის მუხლების მიხედვით კლასიფიკაციის შედეგები აქ მთლიანად და წარმატებით არის გამოყენებული[28].

წარმოების დანახარჯთა საერთო მოცულობის განსაზღვრისა და მისი სტრუქტურის შესწავლის მიზნით მთელ დანახარჯებს ეკონომიკური ელემენტების მიხედვით მატერიალურ, შრომით და ფულად დანახარჯებად ყოფენ. მატერიალურ დანახარჯებს მიეკუთვნება: მასალების, ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, საწვავის, ელექტროენერგიისა და ძირითად წარმოებრივ საშუალებათა ამორტიზაციის მთელი დანახარჯები: შრომით დანახარჯებში შედის ხელფასის მთელი ფონდი და ანარიცხები სოცდაზღვევისათვის; ფულადი დანახარჯები, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, აერთიანებენ წარმოების ორგანიზაციის, მართვისა და მომსახურების ისეთ ხარჯებს, რომლებიც საწარმოს შრომით და მატერიალურ დანახარჯებს პირდაპირ ვერ მიეკუთვნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი წარმოებრივი ფონდების ამორტიზაცია სხვა მატერიალური დანახარჯებისაგან საგრძნობლად განსხვავდება. ეს ძირითადი და საბრუნავი ფონდების განსხვავებით არის გაპირობებული.

ნედლეული, მასალები, საწვავი და ელექტროენერგია წარმოების ერთ პროცესში მთლიანად მოიხმარება და ახალ პროდუქტში მათი ღირებულება მთლიანად გადაიტანება. ამიტომ ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში შრომის საგნების საჭირო რაოდენობის აღდგენა აუცილებელია.

ძირითადი წარმოებრივი ფონდები კი ნელ-ნელა ცვდებიან და თავისი ღირებულებაც ყოველ ახალ პროდუქტში ნაწილ-ნაწილ გადააქვთ. ისინი წარმოების მრავალ ციკლში მონაწილეობენ, რის გამოც მათი აღდგენაც მხოლოდ დროდადრო არის საჭირო

ძირითადი მასალები და ნედლეული ახალი პროდუქტის ნივთობრივობას წარმოქმნიან, ხოლო ძირითადი წარმოებრივი ფონდები მხოლოდ ღირებულებას უმატებენ მას. ამ მხრივ ძირითადი ფონდები საწვავის, ელექტროენერგიისა და დამხმარე მასალებისაგან არ განსხვავდებიან.

მაშასადამე, ძირითადი და საბრუნავი ფონდები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ახალ პროდუქტში ღირებულების გადატანის წესის, ბრუნვის ხანგრძლივობის, მიმოქცევისა და აღწარმოების ხასიათის მიხედვით. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური თვალსაზრისით მათი დანახარჯები ერთობლივ მატერიალურ დანახარჯებს წარმოქმნიან. საბრუნავი ფონდების სახით საქმე გვაქვს წარმოების პროცესში შესულ და მთლიანად დახარჯულ მატერიალურ საშუალებებთან, ხოლო ძირითადი საბრუნავი ფონდების სახით — წარმოების პროცესში შესულ, მთლიანად გამოყენებულ, ძაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ დახარჯულ მატერიალურ საშუალებებთან.

წარმოების პროცესში შესრულებული როლის მიხედვით კალკულაციის მუხლებით გათვალისწინებული ხარჯები ძირითადად და ზედნადებად იყოფა. ძირითადია ის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია პროდუქციის დამზადებასთან, ძირითად ტექნოლოგიურ პროცესებთან (ნედლეული, მასალები,

[28] ადგილის სიმცირის გამო თვითღირებულების ელემენტების კლასიფიკაციის ამ სახეებს ამჯერად მხოლოდ გაკვრით შევეხებით.

სათბობი, ენერგია და წყალი ტექნოლოგიურ საჭიროებებზე, წარმოებრივი მუშების ხელფასი, მოწყობილობის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯების ძირითადი ნაწილი, მათ შორის ამორტიზაცია და მიმდინარე რემონტი და სხვ.). ზედნადებ ხარჯებს კი მიეკუთვნება: საამქრო ხარჯების ნაწილი და მთელი საერთო ქარხნული ხარჯები (მათ შორის მთელი უნაყოფო, არამწარმოებლური ხარჯები), აგრეთვე გარეწარმოებრივი ხარჯები.

წარმოების ზოგი დანახარჯი ამა თუ იმ ნაკეთობის თვითღირებულებაში შეიძლება პირდაპირ შევიტანოთ, ზოგი კი, მათი კომპლექსური ხასიათის გამო, სხვადასხვა ნაკეთობათა თვითღირებულებაში შეაქვთ მხოლოდ არაპირდაპირ, ძირითადი ხელფასის ,მთლიანად ძირითადი ხარჯების, ან სხვა მაჩვენებელთა მიმართ მათი პროპორციული განაწილების გზით. ამიტომ ყველა ხარჯები, ნაკეთობათა ცალკეული სახეებისადმი მათი მიკუთვნების წესის მიხედვით, პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებად იყო.

პირდაპირ ხარჯებს მიეკუთვნება: ნედლეული და ძირითადი მასალები, ტექნოლოგიური სათბობი და ენერგია, წარმოებრივი მუშების ხელფასი, ე. ი. ძირითადი ხარჯები მოწყობილობის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯების გამოკლებით. არაპირდაპირი ხარჯებია: მოწყობილობის შენახვისა და ექსპლოატაციის (მათ შორის ამორტიზაციის), საამქრო, საერთოქარხნული და სხვა ხარჯები.

აღსანიშნავია, რომ დარგის სპეციფიკურობის და წარმოების ხასიათის განსხვავების გამო, პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების ნომენკლატურა მრეწველობის სხვადასხვა დარგში განსხვავდება. ზოგან, სადაც ერთდროულად უშვებენ სხვადასხვა სახეობის პროდუქციის კომპლექსს (ქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა და სხვ.), თითქმის ყველა ძირითადი ხარჯი ნაწილდება აგრეთვე, არაპირდაპირი მეთოდით[29]. პირიქით, ისეთ საწარმოებში, სადაც ერთი სახის პროდუქციას უშვებენ (ელექტროსადგურები, ქვანახშირის მაღაროები და სხვ.), თითქმის ყველა დანახარჯი წარმოადგენს პირდაპირ დანახარჯს[30]. ასეთ საწარმოებს შეიძლება მივაკუთვნოთ, აგრეთვე აგურის, კირის, თაბაშირის, არამადნეული საშენი მასალებისა და სხვ. საწარმოები, რომლებიც ძირითადად ერთი სახის ნაკეთობას უშვებენ.

თვითღირებულების შემცირების რეზერვების გამოვლენის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მთელი ხარჯების კლასიფიკაცია წარმოების მოცულობასთან მათი კავშირის მიხედვით. ზოგი ხარჯები წარმოების მოცულობის ცვლილებების შესაბამისად იცვლება, ხარჯების ზოგ სახეზე კი წარმოების მოცულობის შეცვლა გავლენას თითქმის არ ახდენს. ამიტომ ყველა ხარჯები ცვალებად (პროპორციულ) და მუდმივ (არაპროპორციულ) ხარჯებად, ანუ წარმოების მოცულობის ცვლილებაზე პირდაპირ დამოკიდებულ და მასზე დამოუკიდებელ ხარჯებად იყოფა.

მაგალითად, ნედლეულის, ძირითადი მასალების, ტექნოლოგიური სათბობისა და ელექტროენერგიის, აგრეთვე ძირითადი წარმოებრივი მუშების ხელფასის ხარჯები დიდდება ან მცირდება წარმოების მოცულობის გადიდებისა და შემცირების მიხედვით. ისეთი ხარჯები კი, როგორიცაა: ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია, მოსამსახურეთა ხელფასი, განათება-გათბობის ხარჯები, გა-

---

[29] Экономика социалистических промышленных предприятий, учебник, М., 1960, გვ. 247

[30] И. Усатов, А. Сибиряков, Пути снижения затрат на производство промышленной продукции, М., 1957, გვ. 29 — 30, Л. М. Кантор, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

დასახდელები, მოსაკრებლები და სხვ. არ იცვლება ანდა უმნიშვნელოდ იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების გამო.

ხარჯების ამგვარი დაყოფა მნიშვნელოვანწილად პირობითია და სხვადასხვა დარგებში იცვლება. ცვალებადი ხარჯები ყოველთვის არ იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, ხოლო უცვლელი ხარჯები პირობით — უცვლელ ხასიათს ღებულობენ. მაგალითად, მოწყობილობის შენახვისა და რემონტის ხარჯები, ამორტიზაცია ძირითადად უცვლელი რჩება, თუ პროდუქციის გამოშვება დიდდება არსებული მოწყობილობის უკეთ გამოყენებით; ეს ხარჯები იზრდება, თუ წარმოება იზრდება ახალი მოწყობილობის ამუშავებისა და სხვა ძირითადი ფონდების გადიდების შედეგად.

წარმოების ყველა ხარჯების დაყოფას ცვალებად და მუდმივ ხარჯებად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მრეწველობის ზოგი დარგისათვის, კერძოდ კი ისეთი საწარმოებისათვის, რომლებიც მასიურად უშვებენ ერთგვაროვან პროდუქციას. აქ თითქმის ყველა დანახარჯი, როგორც ითქვა, პირდაპირ ხასიათს ატარებს და ხარჯთა ცალკეული მუხლების ანალიზის ეფექტურობა მცირდება. ამიტომ ცვალებად და მუდმივ ხარჯებად დაყოფა ამ ხარვეზს მნიშვნელოვნად ავსებს.

Д. Н. МОУРАВИДЗЕ

К ВОПРОСУ О КЛАССИФИКАЦИИ ЭЛЕМЕНТОВ СЕБЕСТОИМОСТИ ПРОМЫШЛЕННОЙ ПРОДУКЦИИ

Резюме

Формирование себестоимости продукции является сложным процессом постепенного наслоения и овеществления в продукт весьма многообразных затрат. Поэтому для учета, планирования и анализа себестоимости, а также изучения резервов ее снижения необходимо разложение себестоимости в элементы и их классификация, выявление тех главных факторов, которые определяют движение себестоимости продукции.

Этим вопросам в последнее время большое внимание уделяют не только ученые-экономисты, но и практические работники учета и планирования.

Нынешняя классификация затрат на производство по экономическим элементам (ф. № 5) не имеет существенных недостатков. Смета затрат на производство является важнейшим средством для определения объема всех затрат и их отдельных элементов; изучения структуры себестоимости и основных тенденций ее изменения. Однако определения отдельных элементов и критерий их классификации требуют дальнейшего уточнения. Это, прежде всего, касается таким элементам затрат, как: сырье, основные и вспомогательные материалы, полуфабрикаты, топливо, электроэнергия и прочие денежные расходы.

По мнению многих авторов, сырьем называется лишь такой предмет труда, который является результатом прошлого труда и вещественно входит в новом продукте. Такое определение, во-первых, по существу стирает различие между сырьем (включая полуфабрикаты) и с теми материалами, которые тоже образуют вещественное тело продукта, но не являются результатами прошлого труда; во-вторых, в

круг вспомогательных материалов включаются такие элементы, которые отнюдь не являются материалами с точки зрения готового продукта природы; они тоже сырые, «профильтрованные трудом», материалы, но «вспомогательными» стали лишь ввиду их ограниченной функции в процессе производства.

По нашему мнению, при классификации предметов труда в сырье, полуфабрикаты, основные и вспомогательные материалы необходимо учесть как их происхождение, т. е. являются ли они продуктами труда или взяты из природы в готовом виде, так и функции выполненные ими в производстве, а также особенности их отражения в новом продукте. С путаницей этих аспектов классификации элементов предметов труда и связаны существующие противоречия и тавтология в определении понятий сырья, полуфабрикатов, основных и вспомогательных материалов.

Исходя из этого, предметы труда по происхождению можно разделить: материалы и сырье (включая полуфабрикаты); первый продукт природы, а второй — труда. Для процесса производства же они вообще являются материалами, из которых часть выполняет основную функцию, а часть — вспомогательную. В соответствии с этим всякий материал (включая сырье, полуфабрикаты и готовые изделия), использованный в производстве, целесообразно разделить на основные и вспомогательные, первую статью затрат на производство назвать — «Основные материалы и сырье за вычетом отходов», а третью — «Вспомогательные материалы и сырье», или коротко — «Основные материалы» и «Вспомогательные материалы».

Несколько иначе стоит вопрос о топливе и электроэнергии.

По своей экономической природе топливо и электричество являются сырьем — результатами прошлого труда, но ввиду специфического их потребления в производстве и отражения в новом продукте, они выполняют функции лишь вспомогательных материалов. Топливо и электричество вещественно не входят в продукте, так как топливо потребляется, т. е. свою потребительскую стоимость реализует лишь путем исчезновения своей первоначальной натуральной, вещественной формы, т. е. «горит», а электричество вообще не имеет видимую натуральную форму, «физическое тело» и в процессе потребления оно — превращаясь в электроэнергию, а последняя—в другую форму энергии, — тоже «горит», «исчезает».

Но учет и планирование затрат топлива и электроэнергии по отдельным статьям оправданы экономической практикой и основными тенденциями развития современного производства. Топливо и электричество весьма активно участвуют в современном производстве: они приводят в движении весь гигантский производственный механизм, возбуждают и ускоряют технологические процессы, воздействуют на предметы труда и способствуют образованию нового продукта, т. е. выступают не только как предметы труда, но—как и важнейшие средства труда.

В настоящее время в калькуляционных статьях расходов имеется разнобой и нет должного единства. Типовая номенклатура, с учетом отраслевой специфики, содержит 20 статей (минимум же только 8 статей), а в большинстве отраслей промышленности имеются свыше 50 статей. Это вызвано не только особенностями отраслей промышленности, а в основном — экономической невыдержанностью группировки затрат.

В большинстве отраслей промышленности целесообразно использовать следующую номенклатуру калькуляционных статей; 1. Сырье и материалы, из них: вспомогательные материалы и сырье, покупные изделия, полуфабрикаты и услуги кооп. предпр; возвратные отходы. 2. Топливо технологическое. 3. Энергия технологическая. 4. Зарплата производственных рабочих с начислением, из них: зарплата основная, зарплата дополнительная. 5. Расходы по освоению. 6. Потери от брака, а также понижения марочности, сортности и качества, из них: потери от брака. 7. Расходы по содержанию и эксплуатации оборудования, в том числе: амортизация основных средств. 8. Цеховые расходы. 9. Общезаводские (фабричные) расходы. 10. Прочие производственные расходы. 11. Внепроизводственные расходы. При этом в отдельных отраслях эту номенклатуру можно использовать в сокращенном виде, а в некоторых—с дополнением специфических статей.

Важнейшими особенностями указанной типовой номенклатуры, по сравнению существующей, являются: более четкое разграничение главных и неглавных (подчиненных) статей, значительное сокращение различия между типовой и отраслевых номенклатур, внесение в типовой номенклатуре дополнительных и новых статей и изменение содержания некоторых «традиционных» статей. Благодаря этому, рекомендованная нами типовая номенклатура статей дает возможность более глубокого анализа содержания себестоимости и резервов ее снижения, а также правильного отражения основных тенденций развития производительных сил и изменения структуры себестоимости промышленной продукции.

Экономические элементы затрат и статьи расходов, со своей стороны объединяются и в более крупные группы: а) материальные, трудовые и денежные затраты; б) основные и накладные расходы; в) прямые и косвенные расходы; г) непостоянные (пропорциональные) и постоянные (непропорциональные) расходы. Основой такой классификации служат как назначение и экономическая природа каждого вида затрат, так и особенности их учета и планирования, конкретные цели изучения и теоретического обобщения хозяйственной деятельности.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1964
Труды Батумского научно-исследовательского института, т. III, 1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ. თ ა ნ დ ი ლ ა ვ ა

შრომის ლექსები და სიმღერები ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში

ლაზეთი (ჭანეთი) თავისი მთაგორიანი რელიეფითა და მასთან დაკავშირებული ბუნებრივი პირობების მხრივ საქართველოს მთიანი მხარეებისაგან თითქმის არაფრით განსხვავდება. თავისებურებას მხოლოდ და მხოლოდ მისი გეოგრაფიული მდებარეობა ქმნის. იგი ვიწრო ზოლადაა გადაჭიმული სოფ. სარფიდან, დასავლეთით ქემერის მთამდე და მთელ ამ სიგრძეზე ეკვრის შავ ზღვას, რომლის ზემოქმედება მრავალდარგოვანი მეურნეობის განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელ კლიმატურ პირობებს ქმნის მთელ მხარეში. ამ მხრივ ლაზეთი დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებს ემსგავსება.

მეურნეობის ძირითადი დარგებიდან ლაზეთში ადრიდანვე განვითარებულა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა ნაოსნობა-მეთევზეობა, მონადირეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა და სხვა. თუ თითოეულ ამ დარგს ლაზთა ეკონომიურ ცხოვრებაში მათი როლის თვალსაზრისით გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მიწათმოქმედება ლაზეთის როგორც ზემო, ისე ზღვისპირის მხარეში[1] მუდამ წამყვან დარგს წარმოადგენდა. რაც შეეხება მესაქონლეობას, მონადირეობასა და მეფუტკრეობას, — მეურნეობის ეს სახეები სპეციფიკურია ძირითადად, ზემო ლაზეთისათვის. ნაოსნობა-მეთევზეობასა და მებაღეობას კი სანაპირო რაიონებში მისდევენ. ლაზური შრომის ლექს-სიმღერები სწორედ მეურნეობის აღნიშნულ დარგებთან არის დაკავშირებული და მათი ცალკეული სახეები მრავალფეროვანი თემატიკით ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში მდიდარ უბანს ქმნიან.

წინამდებარე „შრომების“ II ტომში გამოქვეყნებულ ჩვენს ნაშრომში „ლაზური ზეპირსიტყვიერების კვლევის ისტორიიდან“ მივუთითებდით იმ ძირითად მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს ლაზური ფოლკლორის კვლევის დარგში არსებული მდგომარეობა და აღვნიშნავდით, რომ ლაზურ ფოლკლორში საკუთარის, ლაზურის შეძონახვის უდავო ფაქტი ზოგად-ქართული ზეპირსიტყვიერი შემოქმედების მკვლევართა წინაშე გადაუდებელ ამოცანებს აყენებს[2].

ეს ნაშრომი ხელმისაწვდომი მასალების საფუძველზე ლაზური შრომის ლექს-სიმღერების შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს.

---

[1] ზემო ლაზეთს ანუ მთის მხარეს განეკუთვნება ჩხალის, დუთხესა და ორჭას უბნები (ჭანეთის მთის კალთებთან), ხოლო ზღვისპირეთს-ხოფის, არჰავეს (არქაბე), ვიწესა და ათინის რაიონები.

[2] ზ. თ ა ნ დ ი ლ ა ვ ა, ლაზური ზეპირსიტყვიერების კვლევის ისტორიიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „შრომები“, ტ. II, 1961.

სამიწათმოქმედო შრომის ლექს-სიმღერები

სასოფლო-სამეურნეო დარგებს შორის ლაზეთში მიწათმოქმედება შორეული წარსულიდანვე ერთ-ერთი წამყვანი დარგთაგანია. იგი ადგილობრივი პირობების შესაბამისად კარგად არის განვითარებული.

სამიწათმოქმედო მეურნეობის მაღალგანვითარებულ კულტურას ქართველ ტომებში დიდი ხნის ისტორია აქვს. ადრიდანვეა ცნობილი ქართველ ტომთა სამეურნეო შრომის იარაღები და შესაბამისი ტერმინები. ძველი საქართველო მიწის დამუშავების მაღალხარისხოვანი კულტურით დიდ გავლენას ახდენდა მეზობელ ერებზე — სომხებზე, აზერბაიჯანელებზე, ანატოლიელ თურქებზე, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებზე და სხვ.,—რომლებიც ქართველებისაგან ითვისებდნენ გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებსა და თვით მიწის დამუშავების განვითარებულ ტექნიკას[3].

ს. ჯიქიას მტკიცებით, სხვა ქართველ ტომებთან ერთად, მეზობელ ხალხებში სოფლის მეურნეობის დარგების გავრცელებასა და გაუმჯობესებაში ლაზებსაც დიდი აქტიურობა გამოუჩენიათ[4]. ამაზე მიუთითებს, თუნდაც, ლაზების სატომო სახელისაგან თურქულად ნაწარმოები „ლაზუთ“ სიტყვის გავრცელებულობა აღმოსავლეთ ანატოლიის ტომებში[5].

ყანური შრომა (თესვა, თოხნა და სხვ.), რაც დიდ დროსა და ბევრს მუშახელს მოითხოვს, ლაზეთში ნოდერის საშუალებით სრულდება. ნოდერი კოლექტიური, ჯგუფური შრომის ისეთსავე ფორმას წარმოადგენს, როგორსაც საქართველოს სხვა კუთხეებში ნადი, მამითადი და სხვ. ნადს ის ოჯახი იწვევს, რომელსაც ამა თუ იმ სახის ძნელი სამუშაო აქვს შესასრულებელი. მასში მონაწილეობენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები. ნადის პატრონი თითოეული მონაწილის მიმართ გედვალერი (ვალდებული) ხდება. ნადში მონაწილე მამაკაცისადმი სამაგიერო შრომითი დახმარება ჩვეულებრივ მამაკაცს ეკისრება, მაგრამ, თუ იმ ოჯახში მამაკაცი არ არის, იგი შეიძლება ქალმა შეცვალოს და პირიქით, ნადის პატრონი ვალდებულია აგრეთვე მთელი კოლექტივი უზრუნველყოს სადილით.

ლაზეთში ფართოდ არის მიღებული ნადის მეორე სახეობა — ნოდამისაშ ნოდერი (საპატარძლოს ნადი). არსებული წესის თანახმად, საპატარძლო ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში თავისი საქმროს ოჯახს ანდა მის ახლო ნათესავს დახმარება აღმოუჩინოს — ნადი მოუწვიოს. ამ მიზნით იგი იწვევს თავის ტოლ ამხანაგებს (ქალიშვილებსა და ახალგაზრდა ქალებს). ასეთ ნადში მამაკაცები ჩვეულებრივ არ მონაწილეობენ.

გაწეული დახმარებისათვის საპატარძლო არავის მიმართ ვალდებული არ რჩება, რადგანაც ეს დახმარება საპატარძლოსადმი პატივისცემას განეკუთვნება. მაგრამ თუ ნადის რომელიმე მონაწილე ოდესმე საპატარძლოს მდგომარეობაში აღმოჩნდება და მოიწვევს ნადს, იგი სიამოვნებით მონაწილეობს. ამ შემთხვევაშიც ნადის ეკონომიური უზრუნველყოფისადმი (სადილი) პასუხისმგებლობა მთლიანად იმ ოჯახს ეკუთვნის, რომელსაც დახმარებას უწევენ. ანალოგიურია

---

[3] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1930, გვ. 248, 249, 250, 251, 260.

[4] ს. ჯიქია, „ლაზუტ“ სიტყვის წარმოშობისათვის. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. V, № 2, თბ., 1944, გვ 231.

[5] იქვე.

სიჯაშ ნოდერი (სასიძოს ანდა სიძის ნადი). მასში მხოლოდ და მხოლოდ მაქებარ სიტყვები იკრიბებიან.

ლაზეთში ნადური შრომა თითქმის ყოველგვარ მძიმე სამუშაოსთანაა დაკავშირებული. შეშის მოტანა (დიშჭაშ-ნოდერი — შეშის ნადი), საშენი მასალის ზიდვა (ოხორიშ ნოდერი — სახლის ნადი), სიმინდის გარჩევა (ლაზუტი ოცხუნუშ ნოდერი — სიმინდის გარჩევის ნადი) და მრავალი სხვ. მუდამ კოლექტიურად სრულდება, მაგრამ ამაზე აქ ახლა არ შევჩერდებით.

ლაზეთშ ნადური შრომა, ძირითადად, იგივე თავისებურებებით ხასიათდება როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში — აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და სხვაგან.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჯგუფური (ნადური) შრომა ლაზეთში მეტწილად მიწის დამუშავებასთან, ყანასთან არის დაკავშირებული და შრომის თემატიკაზე აგებული ლექსები და სიმღერები ძირითადად მასვე ასახავენ. ასეთ ლექს-სიმღერებს ნოდერიშ ბირაფა (ნადური სიმღერა) ანდა ოხაჩქუშ ბირაფა (იესვის სიმღერა) ეწოდება.

მუსიკალური მოქმედების აღმნიშვნელი ტერმინი ბირაფა ანუ ობირუ ლაზურში ლექსსაც გულისხმობს. ლექსის, როგორც პოეტური ნაწარმოების, აღსანიშნავად ლაზურს სხვა სიტყვა არ გააჩნია, რაც, უთუოდ, ლექსისა და მუსიკის მჭიდრო კავშირზე მიუთითებს. საინტერესოა აგრეთვე, რომ ობირუ ანუ ბირაფა ლაზურ მეტყველებაში თამაშსაც ნიშნავს, რომლის ანალოგიას სხვა ქართველ ტომთა შორისაც ვპოულობთ. „თავდაპირველად და უძველეს ხანაში მღერა არ ყოფილა გალობის სინონიმი, მაშინ მღერა თამაშობას ნიშნავდა... თამაშობის აღმნიშვნელი იყო ამ უძველეს ხანაში მარტო მღერა — კი არა, არამედ თვით სიმღერაც“[6]. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ცნებას თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა ქართულში დაუკარგავს.

..საგულისხმოა, რომ მღერის მეგრულს შესატყვისობას ბირა-სა და ბირაფა-ს ამ სახელზმნის ძველ ქართულში დაცული თავდაპირველი, თამაშობის გამომხატველი მნიშვნელობა არ შეუნახავს, არამედ მხოლოდ მღერას გალობას ნიშნავს. მარტო ობერეში-სა და ობირე-ს, რომელნიც სიმღერისა-ცა და მღერა-ცეკვისათვის განკუთვნილი ადგილის სახელადაც იხმარება, ამ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა კიდევ ოდნავ მოჩანს“[7].

ბირაფა-ს თავისი ადრინდელი მნიშვნელობა ყველაზე კარგად დაუცავს ლაზურის ათინურ კილოკავს, აქ ბირაფა თამაშობასაც ნიშნავს და სიმღერასაც. ხოლო ხოფურ კილოკავში ეს სიტყვა მხოლოდ სიმღერის გამომხატველია[8].

ამრიგად, ლაზურ ბირაფა-ს ამჟამად სამი მნიშვნელობა აქვს: მღერა (ანდა სიმღერა), ლექსი და თამაში[9].

უძველეს ბირაფა-თა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ლაზური ხალხური სიმღერა „ჰედამო“, რომელიც ყველაზე უფრო პოპულარულ სიმღერად ითვლება ლაზეთში. ყანურ შრომასთან კარგად შეხამებული რიტმი, მუსიკალური ფრაზა, „უსიტყვო“ კომპლექსური ბგერების რიტმული ამოძახილი, პოეტური ტექს-

---

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 45.

[7] იქვე, გვ. 48—49.

[8] ნ. მარი, Грамматика чанского (лазского) языка, Петербург, 1910 გვ. 131.

[9] წინამდებარე გამოკვლევაში ბირაფა-ს ლექსისა და სიმღერის მნიშვნელობით ვხმარობთ.

ტისა და კორიფის გარეშე მისი შესრულება და რეფრენი ამ სიმღერაში ფოლკლორული სინკრეტიზმის აშკარა ნიშნებია და სიმღერის არქაულობაზე მიუთითებენ. სიმღერის პირვანდელი მუსიკალური ფრაზა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

I სახე: ჰე-ჲამო, ჰე-ჲამო, ჰე-ჲამოლი, ჰე-ჲამო . . .
II სახე: ჰე, ჰე, ჰე-ჲამო, ჲამო, ჰე-მო, ჰე-ჲამო . . .

როგორც აღვნიშნეთ, ჰეჲამო“ ჩვეულებრივ მხატვრული სიტყვის გარეშე სრულდება. მაგრამ ამჟამად ზოგჯერ შეინიშნება კორიფეც, რომლის როლი, როგორც ცნობილია, სიმღერის განვითარების შედარებით გვიანდელ ხანას განეკუთვნება. „ჰეჲამოში“ კორიფეს შეუძლია სიმღერის ჰანგსა და რიტმს სიტყვებიც შეუთანხმოს. ეს ისე ოსტატურად ხდება, რომ რეფრენი ფრაზაში თავის ადგილს ნაწილობრივ მაინც ინარჩუნებს: მხატვრული ტექსტი მუსიკალური ფრაზის მეორე ნაწილს იჭერს, ხოლო პირველი ნახევარი კვლავ რეფრენით არის წარმოდგენილი.

	თარგმანი
ჰე, ჰე. ჰე-ჲამო, ჲამო ჰე-მო, ჰე-ჲამო.	ჰე, ჰე, ჰე-ჲამო, ჲამო, ჰე-მო, ჰე-ჲამო.
ჰე, ჰე, ჰე-ჲამო, დობხაჩქათ დო ბიგზალათ.	ჰე, ჰე, ჰე-ჲამო, დავთესოთ და წავიდეთ.
ჰე, ჰე, ჰე-ჲამო, დადის ქეშებოხაჩქათ.	„—„ მამიდას (დეიდას) დავუთესოთ.
ჰე, ჰე, ჰე-ჲამო, მანი-მანი დალეფე.	„—„ დებო ჩქარ-ჩქარა ვთესოთ,
ჰე, ჰე, ჰე-ჲამო, სოჷბძიროომთ ჰაშ დღალეფე.	„—„ კვლავ სად ვნახავთ ამ დღეებს.
ჰე, ჰე, პე-ჲამო, დუზი ჩქუნის ნოდერი,	„—„ ნადი ატკბობს ჩვენს მინდვრებს.
ჰე, ჰე, ჰე-ჲამო, თუთასთეს ივენ სერი.	„—„ და მთვარიან ღამეებს.
ჰე, ჰე, ჰე-ჲამო, ბიბირთ ხაჩქერ-ხაჩქერი,	„—„ თან ვთესავთ, თანაც ვმღერით,
ჰე, ჰე, ჰე-ჲამო, ჰემ სერი, ჰემ დღალერი.[10]	„—„ ხან დღისით, ხანაც ღამით...[11]

ტექსტში მოტანილი ყოველი პოეტური სიტყვა შესაძლებელია სხვა გამოთქვამებით შეიცვალოს. ეს დამოკიდებულია მომღერალ-კორიფეზე, მის პოეტურ უნარზე. მაგრამ მოტანილი ლექსი ლაზურ ნადში ხშირად იმღერება, რადგანაც იგი შინაარსობრივადაც შრომასთან არის დაკავშირებული, კარგადაა შეწყობილი შრომის რიტმთან, კოლექტივში ენერგია და გაწყობილება შეაქვს და შრომას ხალისიანს ხდის.

ნადის საშუალებით ყანის დამუშავება, ნადური შრომის რიტმული მოძრაობა და მასთან სიმღერა „ჰეჲამოს“ ჰარმონიულობაა გადმოცემული ლექსში:

	თარგმანი
„გერმაქ რანწკალამტუ ჲამოშ სერსითე,	ტყესაც ალხენდა სიმღერა ჲამოს ხმა,
ტემპო დოქაჩამტეს მთელიქ ბერგითენ,	თოხთა მოძრაობას ერთმანეთს უწყობდნენ,
ქიმის სარი აჲაზმა, ქიმი ხასეთენ	ზოგს ხასე ეხურა და ზოგს აჲაზმა,[13]
ნუდგინან ყონას დო ზოპონან ჲამო“.[12]	თოხნიდნენ ყანას და ჲამოს ამბობდნენ.

---

[10] აქ და ქვემოთაც ჩამწერის მიუთითებლობა უჩვენებს, რომ ლექსი ჩვენ მიერ არის ფიქსირებული.

[11] ყველგან, სადაც მთარგმნელი მითითებული არ არის, ლექსის თარგმანი ჩვენ გვეკუთვნის.

[12] ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, ჭანური ტექსტები, თბ., 1938, გვ. 154.

[13] ხასე, აჲაზმა (ანუ ჲაზმა)—ქალების საზაფხულო თავსახურავთა სახელები.

ჰეჲამო“ ადრე ლაზეთს გარეთ, კერძოდ, აჭარაშიც გავრცელებული ყოფილა. 1960 წელს ბათუმის რაიონის სოფ. კირნათის მცხოვრებმა, თავის კუთხეში განთქმულმა მომღერალმა და კარგმა მთქმელმა 80 წლის სანჯაყო გორგოშაძემ გვითხრა: „ყანაში მუშაობის დროს „ჰემოს“ ვმღეროდითო“. მთქმელმა სიმღერის შესრულებაზე უარი განაცხადა: „ამ სიმღერას ყანა და თოხი უნდაო“. ბოლოს მან დაუმატა: „ეს ლაზური სიმღერაა. ჩვენ ლაზურ სიტყვებს არ ვამბობდით. მარტო ჰემო, ჲამოს ვიტყოდით, ზოგჯერ ქართულ სიტყვებსაც იტყოდენ, მარა ახლა არ მახსოვს“-ო.

„ჰეჲამოსათვის“ დადგენილი პოეტური ტექსტი არც თვითონ ლაზებს გააჩნდათ, სასიმღერო სიტყვები ჩვეულებრივ შრომის პროცესში იქმნება იმპროვიზაციის სახით. ამიტომ აჭარელი გლეხი ლაზურის უცოდინარობით არ იზღუდებოდა, მას შეეძლო გადაეღო მხოლოდ სიმღერის ჰანგი და რეფრენი.

ლაზურ ნადში უმეტესად ქალები მონაწილეობენ, მამაკაცი ნადის იშვიათი სტუმარია, რადგანაც მის ძირითად საქმიანობას ნაოსნობა, ხელოსნობა და ვაჭრობა წარმოადგენს. სამიწათმოქმედო და წმინდა ოჯახურ მეურნეობას მამაკაცი მუდამ მოწყვეტილია. მიწის დამუშავება, ხვნა-თესვა, ოჯახის მოვლა-პატრონობა ლაზეთში, ძირითადად, ქალებს აბარიათ. ამ გარემოებამ განაპირობა სწორედ, რომ შრომის ლექსებსა და სიმღერებს ძირითადად ქალთა რეპერტუარში ვხვდებით.

ლაზი ქალების შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული გ. ყაზბეგს: „ლაზი ქალები გამოირჩევიან არაჩვეულებრივი ენერგიითა და ხასიათის სიმტკიცით. ეს დამახასიათებელი ნიშნები აქაური ქალებისა ძველადვე ცნობილი იყო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ შესახებ გავრცელებული ცნობების საფუძველზე ევროპაში წარმოიშვა ლეგენდა კავკასიის **ამაზონკების (ამორძლების — ზ. თ.) შესახებ“**[14].

ავტორი კარგად შენიშნავს ლაზ ქალთა ტრადიციულ თვისებებს, მაგრამ ჯერ კიდევ ძნელია თქმა იმისა, თუ რამდენად სარწმუნოა ლაზ ქალებთან დაკავშირება არა მარტო ევროპაში, არამედ მსოფლიოში უძველესი დროიდანვე ფართო მასშტაბით გაბნეული და ჯერ კიდევ სათანადოდ შეუსწავლელი ისეთი ლეგენდისა, როგორიცაა ლეგენდა ამორძლების ანუ ამაზონკების შესახებ.

ნადური შრომა ლაზეთში ზეიმის ხასიათს ატარებს. ამიტომ ნადში მონაწილეობა ამავე დროს სახალხოდ გამოსვლაა, რისთვისაც ქალები, განსაკუთრებით ქალიშვილები, ადრევე ემზადებიან. გაზაფხულის მოახლოებასა და ნადური შრომისადმი ხალისიან განწყობილებას გამოხატავს ლექსი:

თარგმანი

„ჩჲ, ჩჲ ხოლო ქომოხთუ ჲაზი,
ნოდერეფე ივასენ ბაზი—ბაზი,
ქიმიქ—ჲაზმა, ქიმიქ მოჲთვასენ კაზი,
ფუქურასენ დუხლულის, ჯუმა ჩქიმი“.[15]

„ჩჲ, ჩჲ, ისევ დადგა ზაფხული
და ხანდახან ისევ ნადი შედგება,
ზოგი ჲაზმას, ზოგი კაზს დაიხურავს,[16]
ჩემო ძმაო, მინდორი აყვავდება“.

---

[14] გ. ყაზბეგი, Три месяца в Турецкой Грузии, ЗКОИРГО, кн. X, Тифлис, 1876, გვ. 107.

[15] ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, თბ., 1939, გვ. 45.

[16] კაზი, ქალთა საზაფხულო თავსახურავი.

თუ ნადში ქალიშვილებთან ერთად ვაჟებიც მონაწილეობენ, ნადი განსაკუთრებით ხალისიანი ხდება, შრომის პროცესში იმართება პოეტური შეჯიბრი ქალსა და ვაჟს შორის. ამ შეჯიბრს ძირითადად კაფიობა-გაშაირების სახე და სატრფიალო-ლირიკული ხასიათი აქვს.

ნადში პოეტურ შეჯიბრს ანუ კაფიობას ადგილი აქვს მამაკაცთა შორისაც. ასეთი პოეტური ტურნირისათვის დამახასიათებელია სატირა და იუმორი, რომელიც გრძელდება მანამ, სანამ ერთი რომელიმე მხარე არ დამარცხდება. გამარჯვებული მხარე ნიშნის მიგებით მიმართავს დამარცხებულს: „ნენე მოთ დოლოგალუ?! („ენა რად ჩაგივარდა?!) და ამით მთელ კოლექტივს ამცნობს თავის გამარჯვებას.

აღსანიშნავია, რომ მომღერალ-მოკაფიავეებს წარსულში თქმული პოეტური სიტყვების გამეორება ნაკლად ეთვლებათ და მათ სისუსტეს მიაწერენ. პოეტური ტურნირის მონაწილეებმა ლექსი ექსპრომტულად უნდა შეთხზან და ერთმანეთს ლექსის ზომა და რითმაც უნდა შეუწყონ. ასე მაგალითად:

		თარგმანი
პირველი მთქმელი:	—ხუშუტ, ფიმფილი სქანი,	—ხუშუტ, შენი წვერები—
	მუჭო მთხალეფეშ ბოჩი!	მამალი თხის ბალანი!
მეორე მთქმელი:	—აჲა ფომფილი ჩქიმი	— ჩემი წვერები არის
(მოპასუხე)	დადი სქანის გჲოთრჩი!	დეიდაშენის საბანი!

განთქმულ მოკაფიავე-მოშაირეს სათანადო პატივისცემა და ავტორიტეტი აქვს ხალხში. მას იწვევენ როგორც ნადში, ისე სხვადასხვა საზოგადოებრივ თავშესაქცევ ადგილებში და სათანადო მორიდებით ეპყრობიან, პატივისცემით იხსენიებენ მის სახელს.

მე-17 საუკუნის იტალიელი მოგზაურის არქ. ლამბერტის ცნობა იმის შესახებ, რომ იმ დროს საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, წამყვან მომღერლებს მათდამი პატივისცემის ნიშნად „ერთი-ორად ეძლეოდა ულუფა“[17], ლაზურ ნადში არ დასტურდება, იგი ლაზეთისათვის სრულიად უცხო ჩანს. ჩვენი ლაზი ინფორმატორები შენიშნავენ, რომ „ჭამაში ასეთი წესი სირცხვილი იყო. ნადის პატრონი ამას არ იზამდაო“. ასეთივე ცნობები მოგვაწოდეს აჭარაშიც.

ლაზურ ნადურ შრომის ლექსებში გვხვდება იუმორი, რომელიც ზარმაცი მუშის სასაცილოდ აგდებაში მდგომარეობს:

	თარგმანი
ბაზი თემბელი რენ, ბელის გჲაჭაბენ,	ზოგი ზარმაცია, ბარს ეწებება,
ონდღენერ გჲარიშა მუფერ დვაჭაბენ.	სადილისათვის კი გაჭენდება.

ლაზური სამიწათმოქმედო შრომის ლექს-სიმღერები შეიცავენ, აგრეთვე, მთელ რიგ საყოფაცხოვრებო-სოციალურ მოტივებს, რომლებიც ცალკე შესწავლას მოითხოვენ.

მესაქონლეობის, მონადირეობისა და მეფუტკრეობის ლექსები

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მესაქონლეობა, მონადირეობა და მეფუტკრეობა ზემო ლაზეთის მხარისათვისაა დამახასიათებელი; მაშასადამე, მათი ამსახ-

---

[17] არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი ხალხური მხატვრული ნაწარმოებებიც წარმოშობის, განვითარებისა და გავრცელების თვალსაზრისით ძირითადად ამ უბანში უნდა ვეძიოთ.

სამწუხაროდ, დღემდე არც ერთ მკვლევარს არ ჰქონია შესაძლებლობა მეცნიერული მიზნებით ლაზეთის ამ მნიშვნელოვან და უთუოდ მრავალმხრივ საინტერესო უბანს სწვეოდა და მოეხდინა ენათმეცნიერული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და სხვა სახის დაკვირვებანი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პროფ. ი. ყიფშიძის ყოფნას მურღულის ხეობაში (1917 წ.) მეტად მოკლე ვადით, სადაც ლაზური ზეპირსიტყვიერების რამდენიმე ნიმუში ჩაიწერა. ეს ტექსტები შრომის თემატიკიდან არაფერს შეიცავენ. გასაგებია, მკვლევარს შრომის ამსახველ ნაწარმოებებზე ყურადღება არ გაუმახვილებია, რადგანაც მის ძირითად მიზანს ლაზურის ლინგვისტური შესწავლა წარმოადგენდა და თუ იგი ლაზური ფოლკლორის მიმართ ინტერესს იჩენდა, — ეს მხოლოდ ზოგადად.

ზემო ლაზეთში გავრცელებული ზეპირსიტყვიერი მასალების, კერძოდ კი შრომის ლექს-სიმღერების უქონლობა ამ კუთხის მკვიდრთა სამეურნეო მოქმედების პროცესებთან, მათ შორის, მესაქონლეობასთან, მონადირეობასა და მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერების დახასიათებისა და მათზე საფუძვლიანი წარმოდგენის საშუალებას ვერ იძლევა. ამიტომ შეიძლებოდა შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს ლაზურ ფოლკლორში სამეურნეო ცხოვრების ეს მხარეები არ ასახულა.

ლაზეთის სანაპირო მხარის ცალკეულ უბნებში სხვადასხვა მკვლევართა მიერ ჩაწერილ ზეპირსიტყვიერ მასალებში გვხვდება ზოგიერთი ფრაგმენტი, რომლებიც მიუთითებენ და ნაწილობრივ ასახავენ კიდეც ლაზეთის სამეურნეო ყოფაში დიდი ტრადიციების მქონე დარგებს — მესაქონლეობას, მონადირეობას და მეფუტკრეობას.

მაგალითად, დუთხეში (ზემო ლაზეთის უბანი) მესაქონლეობის განვითარებაზე, მთისა და იალაღების მნიშვნელობაზე, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და მთელი ლაზეთისათვის მის მნიშვნელობაზე მეტყველებს ერთი ფრაგმენტი ლექსისა, რომელიც ჩაწერილია ნიკო მარის მიერ ვიწეში.

თარგმანი

„ბაზის ბაილას რენ ფუჯი დო მალი,
დუთხორიქ მოიღამს მინჯი დო კუალი,
ჭორენ ბაილაშა სუმ ოში ღალი,
ბუზისტური გჲულენ ინი წკარეფე“[18]

ზაფხულობით ფარა მთას მიაშურებს.
დუთხელისგან მოგვდის მინჯი[19] და ყველი
სამასამდე ღელე იალაღს ალაღებს,
ყინულს მოგვაგონებს,—ცივია წყალი.

ზღვისპირად მცხოვრებ ლაზ მთქმელს ახარებს მთა, იალაღი. მთქმელი ხაზს უსვამს, რომ ლაზურ ოჯახურ ყოფაში მესაქონლეობას გარკვეული მნიშვნელობა აქვს და უმღერის იმ დუთხელს (დუთხეს მცხოვრებს), რომელსაც მისთვის „მინჯი და ყველი მოაქვს“.

აქ მოტანილი სტროფი ერთადერთია ჩვენს ხელთ არსებულ ლაზურ ზეპირსიტყვიერ მასალებში, რომელიც მესაქონლეობას შეეხება, მაგრამ იგი უთუოდ გვაფიქრებინებს, რომ ამ სახის ლექსები ლაზურ ფოლკლორში ერთი სტროფით არ ამოიწურება.

---

[18] ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.
[19] მინჯი, რძის ნაწარმი, ხაჭოს მოგვაგონებს.

სამონადირეო შრომის შესახებ სრულებით არაფერი მოგვეპოვება, უფრო სწორად, ამ მხრივ დღემდე არაფერია ფიქსირებული. ზეპირსიტყვიერი გადმოცემები მიუთითებენ, რომ ამ ხელობას ლაზეთში დიდი სიყვარულით ეკიდებოდნენ, როგორც კი მთებზე თოვლი ჩამოწვება, ლაზი მამაკაცები თავიანთი სამონადირეო თხილამურებით (ხედიკი) და თოფებით დილიდან საღამომდე დროს ნადირობაში ატარებენ. ასე გრძელდება მთელ ზამთარს, შემდგომ კი სხვა სამეურნეო საქმიანობას ეწევიან.

თუმცა სამონადირეო შრომის პროცესს არ ასახავს და მასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული, მაგრამ ამ საქმიანობასთან შინაარსობლივად ახლოს დგას ხალხური პოეტური ნაწარმოების ერთი ნაწყვეტი, რომელშიც დასახელებულია ზოგიერთი ნადირი და ლაზეთის მთებში მათი სიმრავლეა ნაჩვენები.

	თარგმანი
„ციფრი დო ჰკონეფე ოხორისტერი,	წიფელა და მუხა—საბლისოდენა,
კიაფუფე ლანგონი ჯოლორისტერი,	ტურები შეგვხვდება ძაღლისოდენა,
მთუთეფე გულუნან ლოდორისტერი;	დათვები დარბიან სპილოსოდენა,
ხოჯიშენ დიდი რენ ჰექონ მსქვერეფე“.[20]	ირმები არიან ხარისოდენა.

რაც შეეხება მეფუტკრეობას, მეურნეობის ეს დარგი ლაზეთში ადრე საკმაოდ განვითარებული ყოფილა. ამაზე უძველესი დროიდან მრავალი ისტორიული წერილობითი ცნობა მოიპოვება, რომელთა საფუძველზედაც ზ. ჭიჭინაძე წერდა: „ლაზისტანში ძველთაგანვე დიდად მრავლობდა ფუტკარი, ამიტომ ლაზებმა ფუტკრის მოვლა-მოშენებაც ძველთაგანვე ოსტატურად შეიგნეს, შეისწავლეს და მერე გამრავლებასაც მიჰყვეს ხელი.

ამიტომ გახლდათ, რომ ლაზისტანში დიდძალი თაფლი მოდიოდა, იმდენი, რომ ლაზისტანის თაფლი ევროპაშიც გაჰქონდათ დიდი რაოდენობით...

თაფლი ისე მრავალი იყო მათში, რომ დიდძალი სანთელიც გამოდიოდა. ეს სანთელი იმ ზომის იყო, რომ ლაზები ჭრაქათაც ხმარობდნენ. გარდა ამისა, სანთელი გაჰქონდათ საზღვარგარეთ“...[21].

ლაზეთში თაფლისა და მისგან მიღებული სანთლის სიუხვე, მეფუტკრეობის ხელოვნებისადმი ლაზთა დიდი ინტერესი დადასტურებული აქვთ ნ. მარს[22] და ი. ყიფშიძეს[23].

თაფლის სანთელი ლაზურ ოჯახურ ყოფაში, როგორც განათების საშუალება, გვიანამდე იყო გამოყენებული. სოფ. სარფში მე-20 საუკუნის 20-იან წლებშიც ხმარობდნენ და „კანდელად“ იწოდებოდა. გადმოცემის მიხედვით „კანდელი“ ზემო ლაზეთში ამჟამადაც ხმარებაშია.

მეფუტკრეობის თემატიკაზეა შექმნილი ლექსი „ბუტკუჯიქ თოფუი მჩაფს“ („ფუტკარი თაფლს მაჭმევს“), რომელიც სოფ. სარფში ჩავიწერეთ;

	თარგმანი
ბუტკუჯიქ თოფუი მჩაფს,	ფუტკარი მე თაფლს მაჭმევს,
დაულ-ზურნა გელაჩაფს;	იგი უკრავს დოლ-ზურნას;
ეგერ გუი მუხთუ-ნა,	მაგრამ თუკი გაბრაზდა,
აღული ლემში გემჩაფს.	ნემსს მიკეთებს, შხამიანს.

---

[20] ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

[21] ზ. ჭიჭინაძე, ლაზისტანი, წიგნი პირველი, თბ., 1927, გვ. 53.

[22] ნ. მარი, Из поездки в Турецкий Лазистан, ИИАН, VI, № 7, Петерб., 1910, გვ. 557.

[23] ი. ყიფშიძე, ჭანეთში მოგზაურობა, ენიმკის „მოამბე“ ტ. 1, თბ., 1937, გვ. 173.

ნ. მარს ლაზეთში ყოფნის დროს ჩაუწერია ერთი მეტად საყურადღებო ლექსი, რომელშიც მხატვრულ ფორმებში კარგად არის გადმოცემული ფუტკრის „შრომა“ და მისგან ადამიანის სარგებლობა. ლექსი ლაზური ხალხური პოეტური სიტყვის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

თარგმანი

„ბუტკუჯი თოფრი იქუმს, მურიქ წკარი მოიღამს.
ბუტკუჯი უბეჯღა-ის მური თი ქოდოლიღამს ისინა მოთ მეოჭუმთ, ჯელიქ დადა მოიღამს.
ჩიჩელი დოკორობუმს, წიფრის დუდის ქვიღამს.
ჯუერდი შუშიშენი დო გუჯრდი მა ოკომიღამს.
დიდო მოთ ისინაფამ, ნენაქ ნენა მოიღამს.
თოფრი ვარ ახენუკო, ხეთე შური ქვიღამს.“[24]

ფუტკარი თაფლს აკეთებს, მური[25] მას წყალს უხიდავს.
ფუტკარი თუ გაუწყრა, მური თავს დაუღუნავს ტყეს მაინც ნუ გადაწვავთ, იელი ყვავილს მოიტანს.
ფუტკარი მოაგროვებს, წიფლის წვერზე აიტანს.
ნახევარს მისთვის ტოვებს, ნახევარს მე გამატანს.
ბევრს ნუ ილაპარაკებთ. სიტყვა სიტყვას მოიტანს.
თაფლს ველარ გააკეთებს და თავის სულს გაატანს.[26]

ყურადღებას იპყრობს ლექსის ბოლო ორი ტაეპი. მასში გადმოცემული აზრი მხოლოდ მთქმელის ინდივიდუალური წარმოდგენის შედეგი როდია, აქ ჩაქსოვილია საზოგადოების განვითარების ადრინდელი საფეხურებიდანვე ცრუმორწმუნეობის საფუძველზე ხალხის ფსიქოლოგიურ აზროვნებაში ღრმად გამჯდარი შეხედულება, რომელიც სიტყვას, ხმიერ მეტყველებას მაგიურ ფუნქციას ანიჭებდა.

სიტყვის ტაბუ ცნობილია დედამიწის ყველა ხალხში. ამნაირი მაგიური რწმენის გადანაშთი ქართველ ტომთა შორის დღემდე არსებობს და დაკავშირებულია სხვადასხვა გარემოებასთან, სხვადასხვა სახის სამეურნეო საქმიანობასთან[27].

ალ. რობაქიძე ნაშრომში „მეფუტკრეობის ისტორიისათვის“ მიუთითებს, რომ მეფუტკრეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებათა, რწმენა-წარმოდგენათა მთელი სისტემა, რომელიც თავისი შედგენილობით სინკრეტულია[28].

ავტორი ყურადღებას ამახვილებს მეფუტკრეობის მფარველის საკითხის მიმართ და წერს: „მეფუტკრეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები წარმოადგენენ ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების მთლიანი სისტემის განუყოფელ ნაწილს და ყალიბდებოდნენ.. .კულტების აქტიური მოქმედების გარემოცვაში. მას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს როგორც მეფუტკრეობის ძველთაგან მომდინარეობის, ასევე ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში მისი მკვიდრი ადგილის საკითხის გარკვევისას“[29].

---

[24] ნ. მარი, Грамматика чанского (лазского) языка, გვ. 103.

[25] ხალხური განმარტებით, მური არის მამალი ფუტკარი, რომელიც, თურმე, თაფლის მკეთებელ ფუტკარს წყალს უზიდავს, სხვა სარგებლობა მას არ მოაქვს. თაფლის მარაგის მომზადების შემდეგ ნაყოფიერი მშრომელი ფუტკრები ხოცავენ მურებს და თავისუფლდებიან „მუქთახორებისაგან“.

[26] სულს გაატანს— აქ: მოკვდება, დაიხოცება.

[27] მიხ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბ., 1946, გვ. 73, 74, 75, 76, 77.

[28] ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 174.

[29] იქვე, გვ. 207.

საგულისხმოა, რომ ფუტკრის მომრავლება-მოშენებასა და ამ დარგთან დაკავშირებულ მთელ საქმიანობაში ლაზთა შორის მტკიცედ არის დაცული სიტყვის მაგიური ფუნქცია. ეს უკანასკნელი დადასტურებული გვაქვს სარფშიც, სადაც ფუტკართან დაკავშირებით ხმიერ მეტყველებას დღესაც დიდ მაგიურ ძალას ანიჭებენ.

ყველა ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მესაქონლეობის, მონადირეობისა და მეფუტკრეობის თემატიკაზე შეთხზული ხალხური პოეტური ნაწარმოებები ლაზურ ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაში მნიშვნელოვან უბანს ქმნიან და საჭიროა მათი ფიქსირება-შესწავლა. ამ სახის ზეპირსიტყვიერი ნაწარმოებები შეიცავენ ლაზურ სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებულ რიტუალებს, რელიგიურ ცრურწმენებსა და შეხედულებებს, რომლებიც უძველესი ხანის გადმონაშთთა აშკარა გამოხატულებას წარმოადგენენ.

ნაოსნობა-თევზჭერის ლექს-სიმღერები

ნაოსნობა და თევზჭერა ზღვის სანაპირო უბნებში მოსახლე ლაზთა ძველისძველი საქმიანობაა, რომელთანაც დაკავშირებულია ეთნიკური ლაზეთის სამეურნეო-ეკონომიური და კულტურული ყოფის მთელი რიგი მხარეები. ამიტომ მისი შესწავლა, უთუოდ, გარკვეული წვლილი იქნებოდა ქართველ ტომთა კულტურული წარსულის საკითხების კვლევის საქმეში.

ლაზეთის მკვიდრთა სანაოსნო საქმიანობის შესახებ ბევრი ისტორიული წერილობითი ცნობა და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალა მოგვეპოვება. ეს მასალები მოწმობენ, რომ სანაოსნო-სათევზაო მეურნეობას, ზღვის სიმდიდრეს ეთნიკური ლაზეთის ყოფა-ცხოვრებაში უძველესი დროიდანვე მკვიდრი ადგილი ეჭირა, რაც კარგად ჩანს ხალხურ პოეტურ ნაწარმოებებში.

ნაოსნობის თემაზე შეთხზულ ლაზურ შრომის ლექსებში ზღვის სიმდიდრე ოჯახის ეკონომიკის ბურჯადაა დასახული.

თევზისა და მისი ნაწარმის მნიშვნელობა ლაზეთისათვის მხოლოდ შინაეკონომიკური მოთხოვნილებით როდი განისაზღვრება; მას, ამასთან ერთად, სავაჭრო-საექსპორტო მნიშვნელობა ჰქონდა და მასში დიდ მოგებასაც პოულობდნენ. სავაჭროდ ფაშში (ფოთში—ზ. თ.) წასული მიჯნურის მოლოდინში მყოფი ქალი თავის მოტრფიალეს სხვა ვაჟს პოეტურ კამათში ასე პასუხობს:

თარგმანი

. . . . . .

— ჩხომი ოჭოფუშენი
ჲარი დილილუ ფაში.

. . . . . .

კოპჭა დო ბოღა — კისტი
მომიმერს არ-ჟურ დღაში . . . [30]

. . . . . .

— სათევზაოდ წავიდა
ჩემი მიჯნური ფაშში (ფოთში)

. . . . . .

ღილსა და ძვირფას მძივებს
მომიტანს ერთ-ორ დღეში . . .

ლაზეთში მეთევზეობის ინტენსიურ განვითარებას გარკვეული რეალური საფუძველი უდევს. მიწათმოქმედება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლაზეთში ბუ-

[30] ლექსი მოგვაწოდა მ. ვანლიშმა.

ნებრივ პირობებთან შეფარდებით ადრიდანვე კარგად იყო განვითარებული. მაგრამ ამ მხრივ მიღებული სარჩო მხარის ეკონომიურ მოთხოვნილებას მაინც ვეღარ აკმაყოფილებდა, რაც ლაზეთის ტერიტორიული სივიწროვისა და სახნავ-სათესის ნაკლებობით უნდა აიხსნას. ეს გარემოება ჯერ კიდევ ადრე წარსულში ლაზეთის მკვიდრთ უკარნახებდა ნაოსნობისათვის, მეთევზეობისათვის მიეყოთ ხელი.

„ეს ვიწროობაა მიზეზი, — აღნიშნავდა პეტრე უმიკაშვილი, — რომ ჭანი ზღვას შვილად გახდომია, თავისი ბედი იმისათვის მიუნდვია ძველის ფინიკიელ-სავითა და ვაჭრობს“[31].

ამასვე ამბობდა გ. ყაზბეგი: „ამის გამო (სივიწროვის გამო—ზ. თ.) ჭანეთის მთელი ცხოვრება, მთელი იმისი წარსული, აწმყო და მომავალი ბედი ზღვის ზვირთებს მიაქვთ და მოაქვთ“[32].

ამას კარგად გრძნობს ლაზი მეზღვაურიც:

თარგმანი

დოვიბადი მზოლაშ ჟინ,
ექ ბღურარე ჭომიჩჭინ;
შჭურინა ჰიჩ ვარ მიღუნ,
გური კაპეტი მიღუნ.

ზღვაზე დავბადებულვარ,
ვიცი, იქვე მოვკვდები;
მე გული მაგარი მაქვს,
სულაც არ შევშინდები.

ნაოსნობა მეტად რთული ხელოვნებაა. ადამიანი თავისი სამეურნეო მოქმედების დროს ბუნების სტიქიის მიმართ არსად საჭიროებს ისეთ სიფხიზლესა და დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას, როგორც ზღვაზე. ამის გამო ნაპირიდან ნაპირამდე მთელი ორგანიზაციული ხელმძღვანელობა მენავეთა ჯგუფის მეთაურს, კაპიტანს ეკისრება; მთელი კოლექტივი მას უსიტყვოდ ემორჩილება. ლაზ მეზღვაურთა პრაქტიკაში ეს განსაკუთრებით მტკიცედ არის დაცული.

თარგმანი

ცა უჩა მპულათე ითრაგენ,
უდოდგინუ იხიქ სტვინუმს,
ზოლას დალგაფე ინჩხვარენ,
რეიზიქ დიმონი იხმარს.

შავი ღრუბელი ცას ფარავს,
ქარი სტვენს და არ ჩერდება,
ზღვის ტალღები იმსხვრევიან,
კაპიტანი საჭეს წვდება.

ამინდს მეთევზეთა პრაქტიკულ საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პროფესიონალი მეთევზისათვის უპირველეს ამოცანას, თევზჭერის ხელობასთან ერთად, მეტეოროლოგიური ცოდნის დაუფლება წარმოადგენს. ყოველი ლაზი დახელოვნებული მეთევზე ამავე დროს კარგი მეტეოროლოგიცაა. ამ ცოდნას იგი წლების მანძილზე საკუთარი დაკვირვებებისა და ხალხურ მრავალსაუკუნოვან გამოცდილებათა საფუძველზე იძენს. ამის გამოა, რომ მეთევზეთა პოეზიაში სანაოსნო პრაქტიკულ მოქმედებასთან ერთად ხშირად ამინდიც ხაზგასმითაა ნაჩვენები:

---

[31] პ. უმიკაშვილი, ოსმალოს საქართველო (ჭანეთი), ივერია, 1877, № 23, გვ. 5.

[32] გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმანი

ბწინწათ ხოლო ხალადი, მოვსწიოთ კვლავ ხალადი,[33]
ტარონი ვარ რენ პატი, კარგი ამინდი დგება,
გოვულათ პარაპათი, ჩავუშვათ პარაპათი,[34]
გური მავან რახატი. გული დაგვიმშვიდდება.

მეთევზეთა შრომის პოეზიის ის ნიმუშები, რომლებიც აქ მოვიტანეთ, ლაზურ მუსიკალურ ფოლკლორში ხშირად სასიმღერო ტექსტებად არის გამოყენებული და ნებისმიერ ჰანგზე სრულდება. თვით სიმღერის ჰანგს მეზღვაურთა შრომის პროცესებთან ჰარმონია არა აქვს. თუ არსებული მასალების საფუძველზე ვიმსჯელებთ, დგინდება, რომ ლაზურ ფოლკლორში სანაოსნო-სათევზაო შრომის გუნდურ სიმღერებს სპეციფიკური მუსიკალური მოტივი არ გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს სიმღერა „ჰელესსა“, რომელიც მთელ ლაზეთში პოპულარულია[35].

„ჰელესსა“-ს პირვანდელი ტექსტუალური სახე „უსიტყვოა“ ,მთელი მუსიკალური ფრაზა რეფრენით არის წარმოდგენილი, ისე როგორც „ჰეჲამო“, და ერთ-ერთ უძველეს სიმღერად გამოიყურება.

„ჰელესსა, დალესსა, ჰეჲამოლი, დასსა, ჰისსა, ჰო!

ამ შეძახილთა შორის „ჰელესსა“ ძირითადია, ხოლო „ჰეჲამოლი“ გადმოტანილი ჩანს სიმღერა „ჰეჲამოდან“, დანარჩენი შეძახილები „ჰელესსა“-ს სახეცვალი ფორმებია.

ლაზურ „ჰელესსა“-ში რეფრენთან ერთად დღეს პოეტური სიტყვებიც გვხვდება:

თარგმანი

ჰელესსა დო დალესსა, ჰელესსა და დალესსა.
ალნე ოხოი'ში ნისა, რძალო ახალი სახლისა,
ჟურ თუთეი ნოლამისა, პატარძალო ორი თვისა,
ჰელესსა, დალესსა, ჰეჲამოლი დასსა ჰელესსა, დალესსა. ჰეჲამოლი დასსა,
ჰისსა, ჰო! . . ჰისსა, ჰო ! . .

---

33 ხალადი — მსხვილი თოკი, რომელსაც მეთევზეები ბადის თუ ნავის გამოთრევისას იყენებენ.

34 პარაპათი— დიდი ბადე, რომლის შუა ნაწილს ტომრის ფორმა აქვს.

35 სიმღერა „ჰელესსა“-ს შესახებ ქვემოთ მოტანილი აზრი გამოთქმული გვქონდა ჯერ კიდევ 1960 წელს გეგმით შესრულებულ ნაშრომში „ლაზური სოფლების ზეპირსიტყვიერების ზოგადი მიმოხილვა“(ხელნაწერი) და მოხსენებაში „აჭარის ლაზთა ფოლკლორი“, რომელიც წავიკითხეთ ხალხური შემოქმედების ჟანრების შემსწავლელი საპრობლემო-საკოორდინაციო საბჭოს სამეცნიერო კონფერენციაზე ქ. თბილისში 1960 წლის 22 დეკემბერს.

1961 წლის დასასრულს გამოვიდა ჯ. ჩხეიძის წიგნი „შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში“, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განხილულია სიმღერა „ელესა“ (გვ. 81—88). ავტორი ეხება „ელესა“-ს ლაზურ ვარიანტსაც. ჯ. ჩხეიძეს გამოყენებული აქვს ჩვენი ნაშრომი „ლაზური სოფლების ზეპირსიტყვიერების ზოგადი მიმოხილვა“ (ხელნაწერი) და იგი ნაჩვენებია კიდეც წიგნზე დართულ „შენიშვნებში“, მაგრამ ეს ისეა გაკეთებული, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენი ნაშრომი წარმოადგენდეს მხოლოდ და მხოლოდ ხალხურ მასალას. ჩვენი ნაშრომიდან, გარდა ხალხური გადმოცემებისა, ჩხეიძის წიგნში არაფერზეა მითითებული. „ავტორს „ჰელესსა“-ს შესახებ ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება მისაკუთრებული აქვს. წიგნი „ელესა“-ს შესახებ ახალს არაფერს შეიცავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზები „ჰელესსა“-ს ხშირად საქორწილო სიმღერად მიიჩნევენ. მოტანილი ტექსტიც სატრფიალო ხასიათისაა (ლექსის სრული ტექსტი არ მოგვაქვს) და თავისი შინაარსით ლხინთან, გართობასთან არის დაკავშირებული.

„ჰელესსა“-ს ტექსტი პირველად ჩაწერილ იქნა პროფ. ს. ჟღენტის მიერ აფხაზეთის ლაზთა შორის სათაურით „ლაზური ნოდერიშ მაზახმეტეფეში ბირაფა „ჰელესსა“ („ლაზური ნადის მომსახურეთა სიმღერა „ჰელესსა“)[36], რომელიც ჩვენ მიერ აჭარასა და აფხაზეთში მოსახლე ლაზებისაგან ჩაწერილი ტექსტების ანალოგიურია. ინფორმატორმა ხ. ჰელიმიშიმ ამ სიმღერას „სანდალიშ ელანჭუში ბირაფა“ („ნავის ამოსათრევი სიმღერა“) უწოდა.

კოლექტივის მიერ ზღვიდან ნავის და ბადის გამოთრევის პროცესები ძლიერ ემსგავსება ერთმანეთს. მაშასადამე, თუ „ჰელესსა“ ნავის გამოთრევისას იმღერება, იგი უნდა იმღერებოდეს ბადის გამოთრევის დროსაც და იმღერება კიდეც პოეტური სიტყვების გარეშე. ეს სიმღერა თავისი მელოდიით სანაოსნო კოლექტიური შრომის რიტმთან მეტად ახლოს დგას, ხოლო ყანურ შრომასთან ჰარმონიას ვერ ქმნის. ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ სიმღერის სახელწოდებად „სანდალიშ ელანჭურში ბირაფა“ უფრო სწორი და შესაფერისია, ვიდრე „ნოდერიშ მაზახმეტეფეში ბირაფა“.

როგორც მოტანილი სათაურები, ისე ანალოგიური ხალხური გადმოცემები მიუთითებენ, რომ „ჰელესსა“ ადრე მხოლოდ შრომის სიმღერას წარმოადგენდა და, მაშასადამე, მისი წარმოშობაც შრომასთან, კერძოდ, მძიმე ტვირთის გადატანისათვის საჭირო კოლექტიურ მოქმედებასთან არის დაკავშირებული. მასში პოეტური სიტყვების გაჩენა და ლხინთან დაკავშირება ბევრად გვიანდელი მოვლენაა.

ლაზეთს გარდა „ჰელესსა “ანუ „ელესა“ გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში — აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში და ყველგან. შრომის სიმღერად არის მიჩნეული.

დღემდე ბევრი მკვლევარი შეეხო ამ სიმღერას და გარკვეული მოსაზრებებიც აქვთ გამოთქმული. დ. არაყიშვილი[37], აპ. წულაძე[38]. ვ. შილაკაძე[39] და ჯ. ნოღაიდელი[40], რომლებიც მიუთითებენ „ელესა“-ს ზოგიერთ თავისებურებაზე, ემყარებიან მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა) შეკრებილ მასალებს. ლოკალიზაციის თვალსაზრისით მათ „ელესა“ მხოლოდ ზემოაღნიშნული კუთხეების კუთვნილებად მიაჩნიათ და წარმოშობის მიხედვით კი ქართული მუსიკალური ფოლკლორის დასავლური შტოს გურულ კილოს განაკუთვნებენ.

დ. არაყიშვილის ცნობით, გურულ „ელესა“-ში იხმარება სიტყვა „კირიო“, ხოლო მეგრულში — „კირია“, რაც ბერძნულ kvpvos (ღმერთა) მოგვაგონებს. მაგრამ ამ საფუძველზე დასკვნა სიმღერის ტექსტის ბერძნულობის შესახებ ნაჩქარევი იქნებოდა.

---

[36] ს. ჟღენტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

[37] დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკის გურული შტო, ქართული მწერლობა, თბ., 1927, № 10.

[38] აპ. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, მნათობი, 1939, № 3.

[39] ვ. შილაკაძე, ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის, თბ., 1949.

[40] ჯ. ნოღაიდელი, სამიწათმოქმედო შრომის ლექს-სიმღერები, 1958, იხ. ბათუმის საზ.-კვლევითი ინსტიტუტის ხელ. ფონდი.

ვ. შილაკაძის აზრით „კირიო“ იგივე კვირია უნდა იყოს[41]. „კირიო“-ს ნაცვლად გურულ „ელესა“-ში ზოგჯერ—ჩოფოლა“ გვხვდება[42]. „ჩოფოლა“-ც ცნობილია ბარში.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, „კირიო“ („კირია“) და „ჩოფოლა“ სიმღერა „ჰელესსა“-ს („ელესა“) „ტექსტის“ თავდაპირველ შემადგენელ ნაწილს არ უნდა წარმოადგენდნენ.

ვ. ახობაძე სიმღერა „ელესა“-ს წარმოშობას ხის კულტთან დაკავშირებით ხსნის. იგი წერს: „საგულისხმოა, რომ სიმღერა „ელესა“ უძველესი დროისაა და შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ხის კულტთან“[43]. ავტორი შემდეგ განაგრძობს: „გურიასა და აჭარაში შეგროვილი ცნობებით, „ელესა“ სრულდება სპეციალურად საწნახელისათვის განკუთვნილი ხის ტყიდან გამოტანასთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნავენ, რომ „ელესა“ ერთადერთი საშუალება იყო ხიდების მშენებლობისათვის განკუთვნილი მოჭრილი ხის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასატანად. აქედან ადვილი გასაგებია, რომ სიმღერა „ელესა“ უშუალოდ დაკავშირებულია შრომის პროცესთან, ტყიდან ხის გამოტანასთან“[44].

ცხადია, მკვლევარი მხოლოდ გურიასა და აჭარაში შეკრებილ მასალებს ემყარება. აღნიშნულ კუთხეებში „ელესა“-ს, მართლაც, მხოლოდ ხის გათრევას უკავშირებენ. მაგრამ ავტორის მიერ ელესა“-ს დაკავშირება ხის კულტთან. საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგანაც ჯერ ერთი, თვით სიმღერა ასეთი ვარაუდის საფუძველს არ იძლევა და მეორე—ლაზეთში ეს სიმღერა არა მარტო ხის, არამედ ყოველი მძიმე საგნის (ხის, ნავის, ბადის და სხვა) გათრევისას სრულდება.

ზემოთ დასახელებული არც ერთი მკვლევართაგანი „ელესა“-ს ლაზურ ვარიანტს („ჰელესსა“) არ შეხებია. ცხადია, მათთვის ეს უკანასკნელი ცნობილი არ იყო.

„ჰელესსა“-ს („ელესა“) გავრცელებულობა ლაზეთში, აჭარაში გურიასა და სხვ. იმაზე მეტყველებს, რომ ეს სიმღერა ქართული მუსიკალური ფოლკლორის დასავლურ შტოს განეკუთვნება. მაგრამ, როგორც ჩვენ მიერ შეკრებილი მასალებით დგინდება, ეს სიმღერა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, აჭარაში მოსახლე ბერძნებმაც კარგად იციან. უფრო მეტიც: „ჰელესსა“ თურქეთის ლაზეთში მცხოვრებ ბერძენ მოსახლეობაშიც პოპულარული სიმღერაა.

1960 წელს ბათუმელმა ბერძენმა (65 წლის) ხარლამპ პაპუციდიმ, რომელიც ახალგაზრდობიდანვე კარგად იცნობს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებს, ნამყოფია ლაზეთში და ბევრი საინტერესო ამბების გადმოცემა შეუძლია, თქვა: „ელესა, ჲალესა, ჰისა, ჰო! ანდა: ელესა, ჲალესა, ჰესა, ჲოსა-ს ბერძნები ტვირთის გადატანის დროს ამბობენ. ამ სიმღერას განსაკუთრებით ზღვიდან ნავის ამოყვანის დროს ასრულებენ. მას ქორწილშიც მღერიან. მე „ელესა“ თურქეთის ზღვისპირა ქალაქ სურმენშიც გამიგონია. იმის იქით ეს სიმღერა არავინ იცის. ბერძნებმა „ელესა“ სურმენეს იქით არ იციან. თურქებმა ეს სიმღერა საერთოდ არ იციან“-ო[45].

---

[41] ვ. შილაკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

[42] დ. არაყიშვილი, დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების კილოს წყობა, თბ., 1954, გვ. 14.

[43] ვ. ახობაძე, ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები, ბათუმი, 1961, გვ. 26.

[44] იქვე, გვ. 26, 27.

[45] საკუთარი ჩანაწერებიდან, ბათუმი, 1960 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზი ხ. ჰელიმიში გადმოგვცემს, რომ ჰელესსა“ ლაზურ ქორწილში გართობასთან არის დაკავშირებული, მასში მონაწილეობენ როგორც ვაჟები, ისე ქალები. ასეთი გართობა და „ჰელესსა“-ს თქმა ლაზეთში მცხოვრებმა ბერძნებმაც იციან. ლაზეთს იქითა ბერძნებმა და თურქებმა კი ეს სიმღერა არ იციან[46].

„ჰელესსა“ რომ ბერძნული მუსიკალური ფოლკლორის კუთვნილება ყოფილიყო, ცხადია, იგი უნდა სცოდნოდათ ქ. სურმენეს დასავლეთით მცხოვრებ ბერძნებსაც. თუ მოტანილ ცნობებს დავეყრდნობით, უნდა დავასკვნათ, რომ ლაზეთში მცხოვრებმა ბერძნებმა „ჰელესსა“ ლაზებისაგან შეითვისეს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ „თურქებმა ეს სიმღერა საერთოდ არ იციან“.

ჩვენ მიერ აჭარაში შეკრებილი ხალხური ცნობები მიუთითებენ, რომ „ელესა“ აქაც ლაზებს გაუვრცელებიათ. 1959 წლის ზაფხულში ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარაში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების მიერ ქართული ხალხური სიმღერების ფიქსირებისას დიდაჭარისა და ირემაძეების გაერთიანებული გუნდის წევრებმა, რომელთა უმრავლესობა 70—80 წლის ასაკისანი იყვნენ, შეასრულეს „ელესა“ და აღნიშნეს: „ეს სიმღერა ჩვენ ხელოსანი ლაზებისაგან ვისწავლეთ, ისინი მღეროდნენ ამ სიმღერას“-ო[47].

თუ ეს გადმოცემა სინამდვილეს შეეფერება, მაშინ ცხადია, რომ „ჰელესსა“ არა მარტო აჭარაში, არამედ ამ უკანასკნელის მეშვეობით მთელ დასავლეთ საქართველოში ლაზეთიდან გავრცელდა. სავარაუდოა აგრეთვე, რომ, ისე როგორც აჭარაში, დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც ხელოსანმა ლაზებმა უშუალოდ შეიტანეს ეს სიმღერა.

აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ „ჰელესსა“ ლაზური წარმოშობის სიმღერაა, რომელიც დროთა განმავლობაში ფართოდ გავრცელდა დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში.

ხალხურ გადმოცემებს გარდა ჩვენს დასკვნას „ჰელსსა“-ს ინტერპრეტაციაც ამართლებს. ეს ინტერპრეტაცია ხსნის „ჰელესსა“-ს გენეზისს და ზუსტად მიუთითებს მის ლაზურ წარმოშობაზე.

ს. ჟღენტის „ჭანურ ტექსტებში“ მოცემულ ერთ ხალხურ ტექსტში „ხასანიქ ლესა ქონუდგუ“ („ხასანმა ლესა მიუდგა“) ვკითხულობთ: „ხასანიქ ოღუნეში ნდღას ჭარმათური ღალი გოლუნწორუ დო სერი ლესა ქონუდგუ. ჟურ-სუმ ქიარა ლესა ჩხომითე ოჲფშუ... („ხასანმა წინა დღით ჭარმათის ღელე გადაღობა და ლესა მიუდგა. ორ-სამჯერ ლესა თევზით გაივსო...“)[48].

ს. ჟღენტს ტერმინი ლესა განმარტებული არა აქვს, მაგრამ ტექსტის შინაარსობრივი მხარე ცხადყოფს, რომ ლესა თევზის დასაჭერი იარაღია.

სარფელი ცნობილი მეთევზისა და შესანიშნავი მთქმელის ალი ნუმანიშვილის (გარდაიცვალა 1961 წ.) განმარტებით „ლესა არის მდინარეში თევზის დასაჭერი იარაღი, რომელსაც ხის მასალისაგან წნავენ გოდრის მსგავსად. ლესა იხმარება ვიწე-არჭაბეში“.

---

[46] საკუთარი ჩანაწერებიდან, სოხუმი, 1960 წ.

[47] საკუთარი ჩანაწერებიდან, ხულო, 1959 წ.

[48] ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

სახელწოდება ლესა ვიწურ მეტყველებაში შენიშნული აქვს პროფ. ნ. მარს: „ლესა—ვიწური. თევზის დასაჭერი წნული. შდრ. გოდორი— ხოფური, თევზის დასაჭერი წნული. შდრ. ლესა“[49].

ლესა დასავლეთ საქართველოში ტოპონიმის სახით გვხვდება. იგი სოფლის სახელია ლანჩხუთის რაიონში. საინტერესოა, წარსულში ამ ტოპონიმსა და ლაზურ ლესა-ს ჰქონდათ თუ არა სემანტიკური ურთიერთობა? ეს უთუოდ შემდგომ კვლევას მოითხოვს, მაგრამ ხომ ცნობლია, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (მათ შორის გურიაშიც) მრავლად გვხვდება ზანური (მეგრულ-ლაზური) ენის ელემენტები. შესაძლებელია ტოპონიმი ლესა-ც ზანურია. ესეც მეტად საგულისხმოა და დაზუსტებას საჭიროებს.

მდინარეში თევზის დასაჭერად გოდორა ანდა ფაცერი საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში იხმარება. როგორც ზემოთ ვთქვით, ლაზური ლესა იგივე გოდორაა. ფაცერი კი იგივე დანიშნულების, მაგრამ ფორმით განსხვავებული წნულია, იგი ბრტყელი და გაშლილია, ხოლო გოდორა ანუ ლესა გიდლის ფორმის შეკრული წნულია.

მდინარეში ჩადგმულ ლესა-ში ვარდება თევზი და მასში თანდათან გროვდება. დამძიმებული ლესა-ს მდინარიდან გამოტანა (გამოთრევა) გარკვეულ კოლექტიურ ძალას საჭიროებს. სწორედ პირველად აქ, მდინარიდან ლესა-ს გამოთრევასთან დაკავშირებით ერთობლივი მოქმედებისათვის მოწოდების გამოსახატავად უნდა წარმოშობილიყო შეძახილი „ჰელესსა“. ვფიქრობთ, ამ წამოძახილში თავკიდური „ჰე“ შორისდებულია, რომელიც სახელთანაა („ლესა“) შერწყმული. ამ მოსაზრებას ამაგრებს ისიც, რომ „ჰე“ შორისდებულის ფუნქცია როგორც ქართულში, ისე ლაზურში მოწოდების გამოხატვაა (შდრ. აბა). გვაქვს აგრეთვე „ს“ თანხმოვნის გემინაცია: ლესა—ლესსა.

ამრიგად, „ჰელესსა“ ასე შეიძლება დაიშალოს: „ჰე-ლესსა, სადაც იგულისხმება შემასმენელიც და მთელი წინადადება გვაქვს: ჰე, გავსწიოთ ლესა! ანდა: ჰე, გავათრიოთ ლესა!

ქობულეთში, გურიაში და სხვაგან გამოთქვამენ „ელესა“-ს და არა „ჰელესსა“-ს. აქ ქართული ენისათვის დამახასიათებელ მოვლენასთან, სიტყვის თავკიდური ჰაეს დაკარგვასთან გვაქვს საქმე (შდრ. ჰამბავი—ამბავი, ჰებრაელი—ებრაელი, ჰაზრი — აზრი და სხვ.).

თუ ჰელესსა-ს ასეთი ინტერპრეტაცია სწორია, ბუნებრივია დასკვნა: მდინარიდან ლესა-ს გამოთრევასთან დაკავშირებული შეძახილი „ჰელესსა“ დროთა განმავლობაში ფართოდ გავრცელდა ყოველგვარი სიმძიმის (ხის, ნავის, საწნახელის, წისქვილის ღარის და სხვ.) ერთი ადგილიდან მეორეზე გადასატანად საჭირო ძალთა ერთიანი მოქმედებისათვის მოწოდების გამოსახატავად. ტერმინმა თანდათან დაკარგა თავისი ადრინდელი სემანტიკური მნიშვნელობა (ჰე, გავსწიოთ, გავათრიოთ ლესა) და იქცა რეფრენად, რომელიც საფუძვლად დაედო შრომის სიმღერის „ტექსტს“, შეიქმნა შესაბამისი მელოდიაც და დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული სიმღერის სახე მიიღო.

ლაზური ზეპირსიტყვიერი მასალების შემდგომი შეკრება, ვფიქრობთ, ბევრ ახალს გამოავლენს და მათი მეცნიერული შესწავლა, უთუოდ, სასარგებლო იქნება არა მარტო ლაზური ფოლკლორის, არამედ საერთოდ ზოგად-ქართული ზეპირსიტყვიერი შემოქმედების შესწავლისათვის.

---

[49] ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, იხ. ლექსიკონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

З. ТАНДИЛАВА

ТРУДОВЫЕ СТИХИ И ПЕСНИ В ЛАЗСКОМ УСТНОМ НАРОДНОМ ТВОРЧЕСТВЕ

Резюме

Лазские трудовые песни связаны с земледелием, рыболовством, скотоводством, охотничеством, пчеловодством и др., которые занимали ведущую роль в экономике и социальном быту лазов.

В материалах, фиксированых до настоящего времени, хорошо представлены песни, связанные с земледелием и рыболовством, которые по своей тематике являются разнообразными. В этих песнях отражаются процессы коллективного труда и настроение работников. Коллективный труд в Лазети называется Нодери и является такой же формой группового труда, как Нади, Мамитади и др. в других районах Грузии. Древнейшая трудовая лазская песня «Хэямо» содержит признаки фольклорного синкретизма. Характерно, что слово «бирапа» или «обиру», обозначающее музыкальное действие, в тоже самое время означает и стихотворение и игру.

Мореходство и рыболовство древнейшие области трудовой деятельности Лазов с ними связаны многие стороны хозяйственно-экономической жизни и культурного быта Лазети. В лазских песнях, созданных, по этой теме, богатство моря является экономической основой семьи.

Привлекает внимание наиболее распространенная трудовая песня в Лазети и по всей Зап. Грузии «Хэлесса» (Элеса), «Хэлеса» — лазская песня. Устанавливается, что она отсюда распространялась в Аджарии, Гурии, Менгрелии и в других районах Грузии. Греки, проживающие в Лазети, эту песню переняли от лазов.

Фиксированные образцы лазских трудовых песен имеют большую научную ценность. Они содержат ритуалы, связанные с хозяйственным бытом, религиозными верованиями, психологическими представлениями, являющихся пережитками древнейшего периода.

Дальнейшее исследование лазских трудовых песен будет способствовать глубокому изучению прошлой культуры грузинских племен.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1964
Труды Батумского научно-исследовательского института, т. III, 1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ახვლედიანი

აჭარის საისტორიო სიტყვიერების საკითხისათვის

1. ზოგადი შენიშვნები

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის შესახებ, საერთოდ, არც თუ ისე მცირე მასალა მოიპოება, რაზედაც ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელიც ახლახან გამოვიდა, მაინც, როდესაც საქმე შეეხება ხალხის ნააზრევის, მისი ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა არსებობას, ერთგვარი სინანულით გიპყრობთ, — ცოტაა მასალა, და, განსაკუთრებით ეს ითქმის ზეპირსიტყვიერების ისეთი დარგის შესახებ, როგორიცაა ისტორიული სიტყვიერება.

რაშია საქმე? ნუთუ არ იქმნებოდა აქ, საგმირო საისტორიო საქმეებით აღსავსე ქვეყანაში მისი შესაბამისი ზეპირსიტყვიერება? ან ხომ არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მრავალი ბრძოლის ქარცეცხლში გამოვლილ ხალხს აღარ ეცალა პოეზიისათვის, ხალხური შემოქმედებისათვის? ცნობილია, რომ „только там являлась богатая народная поэзия, где масса народа... волновалась сильными и благородными чувствами, где совершались силою народа великие события".[1]

ალ. ხახანაშვილის ნათქვამი მესხეთზე თურქეთის ბატონობის შესახებ, რომელმაც... „дал много сюжетов для народной поэзии... и давление мусульман на население, его преданность христианской вере, борьба грузинских царей с „хондкаром"... давали обильную пищу для поэтического творчества",[2] მთლიანად და სავსებით შეეხება იმდროინდელ აჭარასაც. მითუმეტეს, რომ ამ მდიდარ მასალას თავისი შესაბამისი საუკეთესო საშუალებაც—ხალასი და შეუბღალავი ქართული ენაც გააჩნდა.

საქმე იმაშია, რომ თავის დროზე საჭირო შემკრებლობითი მუშაობის გაუწევლობამ და ამასთანავე მთელმა რიგმა მიზეზებმა განაპირობეს ის, რომ დღეს, მიუხედავად აჭარული ზეპირსიტყვიერების საკმაო მრავალფეროვნებისა და სიმდიდრისა, მაინც ერთგვარ სიმწირეს ვუჩივით მას. ეს განსაკუთრებით შეეხება მისი უძველესი პერიოდის ზეპირსიტყვიერ ნიმუშებს, რომელთაგან თითოოროლაღა თუ შემოგვრჩა დღეისათვის. მსგავსი მოვლენა არა მარტო აქ, აჭარაში გვაქვს, არამედ ყველგან საქართველოში, სადაც ეკლესიის მოღვაწეები ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ წარმართულ სიტყვიერებას. ცნობილ ქართველ მკვლევართა ერთობლივი აღიარებით, ქრისტიანობამ მისი სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადების შემდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხა-

---

[1] Н. Г. Чернышевский, Полное собр. соч. т. II, М., 1949, გვ. 295.

[2] А. С., Хаханов, Очерки из истории грузинской словесности, М., 1895, გვ. 59.

და და თითქმის მოსპო ნივთიერი თუ სულიერი კულტურის ძეგლები. ჯერ კიდევ X—XI საუკუნეებში გავრცელებული ყოფილა ღმრთის გამრისხებელი „სამშაკო სიმღერანი“ და „სახიობანი“, რომლებიც მიმართული იყო მმართველი წრეების და რელიგიური კულტის მსახურთა წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია საერთოდ მათი სახელმწიფოებრივი აკრძალვა და კანონის გარეშე გამოცხადება[3].

ქრისტიანობამ დიდი გარდატეხა მოახდინა ზეპირსიტყვიერებაში. პირველ ყოვლისა, ახალმა რელიგიამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა წარმართულ პოეზიას[4].

ეს მოვლენა, თავის დროზე, მთელი თავისი შედეგებით იწვნია აჭარამაც, როგორც საქართველოს განუყოფელმა ნაწილმა.

ამრიგად, მთელ საქართველოსთან ერთად აჭარაში ბევრი რამ მოისპო და განადგურდა წარმართული ხანის ძეგლებიდან; მაგრამ ეს, თურმე, კიდევ ცოტა ყოფილა მისთვის, უარესი განსაცდელი მას წინ ედგა, და აი, ისიც! ოსმალეთმა მე-16 საუკუნიდან შემოუტია სამხრეთ-საქართველოს და თანდათანობით დაიპყრო იგი. სამხრეთ-საქართველოს, კერძოდ კი აჭარას, მაჯლაჯუნასავით დააწვა ახალი, მისთვის უცხო მუსლიმანური რელიგია, რომელიც შეებრძოლა ყოველივე ქართულს (ქრისტიანულს) და თავისი ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში მის შემდგომ განვითარებას, მის ნამოქმედარს და ნააზრევს საკმაო კვალიც დააჩნია.

და, თუ დღეს მკვლევარნი ქართულ ხალხურ პოეტურ შემოქმედებაში ეძიებენ და ჰპოვებენ ორგვარ კვალს — წარმართულისა და ქრისტიანულისა, აჭარულში სამი ასეთი კვალი იჩენს ხოლმე თავს. განსაკუთრებით ეს შესამჩნევია მის მაგიურ და საწესჩვეულებო პოეზიაში. კიდევ მეტი, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, აჭარაშიაც პირველყოფილ-თემური წყობილების გადმონაშთებთან ერთად დიდხანს ინახავდნენ თავს პირველყოფილ-ამინისტური წარმოდგენები სამყაროზე, ტოტემთა კულტი და სხვ.[5] სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა შესწავლისას ვრწმუნდებით, რომ აქ განვითარებული უნდა ყოფილიყო ხარის კულტი, რასაც, სხვათაშორის, უკანასკნელი არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ქობულეთი-ფიჭვნარი) ნაპოვნი საკულტო ნივთებიც მოწმობენ. აჭარაში უკანასკნელ დრომდე არის შემორჩენილი ადგილები, სადაც მიაქვთ შესაწირავი და ამ ადგილებს, რომლებსაც ხან „ნაურიალს“ და ხან კიდევ „ნაქართლს“ უწოდებენ, განსაკუთრებული სიფაქიზითა და ერთგვარი ძრწოლვით ეპყრობიან. ცხადია „ნაურიალში“ წარმართული ხანის კერპები და „ნაქართლში“ ქრისტიანობის დროინდელი ეკლესია — საყდრები, ანუ როგორც აქ უწოდებენ, „ნასახტრალები“ უნდა ვიგულისხმოთ.

ამასთან საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ე. წ. „ნაურიალებს“ ანუ წარმართობის დროინდელ ბომონებს, კერპებს, იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა აქაურის მსოფლმხედველობაში, რომ იგი მიუხედავად სამი რწმენის (რელიგიის) გამოცვლისა, მაინც ძლიერ გავრცელებულად ითვლებოდა და ხალხი მას თითქმის ბოლომდე არ ამსხვრევდა და საკმაოდ ღრმა რწმენით იყო მისღამი განწყობილი. საერთოდ ქრისტიანობის, ალბათ ნაკლებ ინტენსივობის, ანუ სუსტად გავრცელებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ აჭარაში მაჰმადიანო-

---

[3] მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ. 79—80.

[4] იქვე, გვ. 515.

[5] საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 88.

ბის გავრცელების შემდეგ ერთგვარი რესტავრაცია მიეცა წარმართულ შეხედულებათა რწმენას. ან ამ უკანასკნელის (წარმართობის) თავის დროზე ღრმა გავრცელებითაც უნდა აიხსნას ეს ფაქტი. ანგარიშგასაწევია, აგრეთვე თვით აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობაც, მისი მოწყვეტა გარე სამყაროსაგან და ცალკე ხევებად, ანუ როგორც აქ შემდეგში უწოდებდნენ „ოლქად“ ცხოვრება[6].

მართალია ბევრი შესანიშნავი ძეგლი გადარჩა თავისი თავდაპირველი სახით. მაგრამ დიდი ნაწილი შეიცვალა, შეიცვალა ბევრი ზეპირსიტყვიერი ჟანრის ფუნქცია და შესრულების წესი. აშკარა საგმირო-ისტორიული კვალის მატარებელია იმ ოთხხმიანი ნადური სიმღერების ტექსტები, რომლებიც ახლახან გამოქვეყნდა[7]. აქ ჩვენ ნადური სიმღერებით ვეცნობით ისეთ ლექსებს, სადაც მოთხრობილია სოციალურ უთანასწორობაზე[8]. აზნაურ ქალს თხოულობს, „გლეხი კაცი“, მაგრამ ქალი არ მიყვება „თავის ნებით“ და მასზე წაყოლას „რიონს ჩაჭრას“ არჩევს. სოციალურ უკუღმართობას გვამცნობს აგრეთვე ალეგორიული ლექსი „ჩიორ ჩიტი“, რომლისთვისაც თოფი, მოჭედილი ფიშტო და შეკაზმული ცხენი ბატონს წაურთმევია[9] და საწყალი ჩიორაც „თურმე იმას ჩიოდაო“.

საგმირო-საისტორიო კვალს ატარებს ლექსი „ავთანდილ გადინადირა“ ან „ლეკებმა, რომ დამიჭირეს“[10] და სხვა. ერთ-ერთ აქ წარმოდგენილ ლექსში[11] ჩვენ ქართული ეპოსის მშვენების, ამირანიანის ფრაგმენტის თავისებურ ვარიანტსაც კი ვხედავთ (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ქვემოთ). საერთოდ ამ ნადურ სიმღერებში წარმოდგენილი გვაქვს სხვადასხვა შინაარსის ლექსები, რომლებსაც თავიანთი პირვანდელი სოციალური ფუნქცია და შესრულების წესი დაკარგული აქვთ და დღეისათვის სრულდებიან, როგორც ნადური სიმღერები. მსგავსი მოვლენა ზეპირსიტყვიერებისათვის არ უნდა იყოს მთლად უცხო. მაგალითად, ჩევსურეთსა და მთიულეთ-გუდამაყარში ხმით ნატირალის ტექსტები მთიბლურ სიმღერებად გამოიყენებიან ქართული ხალხური სიტყვიერების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებათა მსგავსად[12]. საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები და მათი შესრულების წესები შეიცავენ ნიშნებს სიტყვიერი ხელოვნების განვითარების სხვადასხვა საფეხურისას[13]. ეს უძველესი, პრაქტიკული დანიშნულების ყოველდღიური გამოცდილებისა და მნიშვნელოვან მოვლენათა დასახსომებელი სიმღერები, ისტორიის გრძელ მანძილზე მხატვრულ ძეგლებად იქცნენ, ამ ძეგლებს ესთეტიკურ ფუნქციასთან ერთად ყოველთვის ჰქონდათ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა საფეხურთა შესაფერისი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი როლი[14].

---

[6] ა. ახვლედიანი, ოლქა, ოლქობა, „ლიტერატურული აჭარა“, 1962, № 1, გვ. 76—78. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ საუბარი ჩვენ სხვა ღროს გვექნება.

[7] ა. ინაიშვილი, ჯ. ნოღაიდელი, გ. ჩხიკვაძე, მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან. თბ., 1961,

[8] იქვე, გვ. 45—47.

[9] იქვე, გვ. 58—59.

[10] იქვე, გვ. 67, 68.

[11] იქვე, გვ. 63 (იხ. ბერიკაცი ჩანჩაბერი).

[12] ე. ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, თბ., 1958, გვ. 48—74.

[13] ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949, გვ. 68.

[14] იქვე, გვ. 111.

ახალმა რელიგიამ, თავსმოხვეულმა სოციალ-პოლიტიკურმა წყობილებამ და შესაბამისად გამომუშავებულმა მსოფლმხედველობამ, შეხედულებათა პრიზმაში გარდატეხა მთელი რიგი ნიმუშები ხალხური პოეტური შემოქმედებისა, დაუკარგა მათ თავდაპირველი ფუნქცია და შესრულების წესი. ამ ჭრილში საინტერესოა აჭარაში, განსაკუთრებით ზემო აჭარაში, გავრცელებული ერთი მასობრივი ცეკვა „ოჰოი ნანო“, რომელიც სიმღერით სრულდება[15] და, რომელსაც თავისებური გამამხიარულებელი როლი აკისრია. ჩვენ ეს ცეკვა უძველესად არ მიგვაჩნია. შესაძლოა მასში იყოს რაღაც ნაშთი შვილიერების მფარველი ღვთაების სადიდებელი მისტერიისა[16], მაგრამ იმ სახით, რა სახითაც ახლა სრულდება, იგი იმ დროიდან მკვიდრდება აქ, როდესაც აქაური სუფრიდან სევდის უკუმყრელი, ადამიანის სულის გამამხიარულებელი და ამამღერებელი სასმელი — ღვინო, თანახმად მაჰმადის ბრძანებისა, განდევნილია[17]. ბუნებით ლაღი და მხიარული ხალხი მუსლიმანურ დოგმათა მარწუხებში მოქცეული, ეძებს რაღაც ახალს, გამამხიარულებელს, რომელიც თავისებურად შეცვლიდა გახუსს. ერთ-ერთ ასეთ გამამხიარულებელ საშუალებად იგი ამ „ოჰოი ნანოს“ იყენებს, რომელსაც როგორც გადმოგვცემენ, ასრულებდნენ და ასრულებენ ახლაც ქორწილშიც და ნადშიაც, უკვე დაღლილი ხალხის მოსაფხიზლებლად, გასამხიარულებლად.

მუსლიმანური რელიგიის დანერგვამ რომ თავისებური გავლენა იქონია, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ახლა როდესაც ძირითადად უკვე მოვლილია აჭარის ყველა სოფელი, გადასინჯულია ყველა ჩანაწერი, — ჩვენ არა გვაქვს თუნდაც ძალიან უხეირო ვარიანტი ქართული ეპოსის — ამირანიანისა.

ამირანიანის თქმულება, ვითარცა ძველისძველი ეროვნული გადმოცემა, ვერ დარჩებოდა იდეური ბრძოლების გარეშე. წარმართობის შორეულ ხანაში შექმნილმა ხალხურმა თხზულებამ თანდათან შეითვისა ახალი შეხედულებები და მოტივები[18]. ამ ეპოსმა დროთა განმავლობაში მრავალგზის სახეცვლა განიცადა, მასში ბევრი სხვადასხვა დროის ფენაა[19]. თუ ამირანის ქრისტიანიზაცია შედარებით უმტკივნეულოდ მოხდა საერთოდ საქართველოში, მისი მუსლიმანიზაცია საკმაოდ თავისებურად წარიმართა და თუ ვიმსჯელებთ ამირანის აჭარული ორეულის რამდენიმე ჩანაწერით, იგი უკვე მაჰმადიანურ-რელიგიური შეხედულებათა პრიზმაში გარდატეხილად და თითქმის დეგრადირებულად არის წარმოდგენილი. ღვთის ურჩი, ხალხისათვის სიკეთის მომტანი გმირის ყველაზე საუკეთესო იდეალების შემცველი ქართველი ამირანი, ბოროტ სულად არის გამოყვანილი, რომელიც, თუკი აიშვებს, „ხალხს გასწყვეტს“ და ქვეყანაზე უბედურებას დაატრიალებს.

ამირანის ორეულის მხოლოდ პროზაული ჩანაწერები მოგვეპოვება, თუმცა, როგორც ეს ზევით აღვნიშნეთ, არის ერთი ნადური სიმღერის ტექსტი „ბერი კაცი ჩანჩაბერი“, რომელიც ამირანის ერთ-ერთ ვარიანტთან მსგავსებას ამჟღავ-

---

[15] ა. ინაიშვილი, ჯ. ნოღაიდელი, გ. ჩხიკვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

[16] ჯ. ჩხეიძე, შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში, ბათუმი. 1961, გვ. 41.

[17] თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 185—186.

[18] მიხ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, წიგნი 1, თბ., 1958, გვ. 286.

[19] საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 28.

ნებს. მხედველობაში გვაქვს ს. მარაბდაში 1870 წელს ჩაწერილი ამირანის რიანტი[20] და 1958 წელს სოფ. ლელვაში ჩაწერილი ნადური სიმღერა[21].

საილუსტრაციოდ მოვიტანთ ორივე ამ ლექსს:

. . .

ამირან და ჩრდილოველი,
ორივ ისხდნენ წყლისა პირსა,
ამირანი ხმალსა ლესავს,
ჩრდილოველი უწყობს პირსა.
ბერი კაცი, ჩაჩნაგელი.
ტურფად მოაგოგებს ვირსა,
წინ ამირანი გადუდგა,
თავი მოუკვეცა ვირსა.
დაჯდა ბერიკაცი ტირის:
„ჩემი ვირი ქვეყნად ღირსია“.
— ბერო კაცო, რა გატირებს?
შენი ვირი ლომი იყო,
წაგიყვანდა წყლისა პირსა,
შენც წყალში გადაგაგდებდა,
დაგიჭამდა ცოლსა შვილსა.

. . .

ბერი კაცი ჩაჩნაბერი,
ჩაჩნა ჩამარგალიტული.
ადგა ბერმა შეიკაზმა,
ტანს ჩაიცვა საომრები
გადიკიდა წელზე ხმალი.
შეჯდა ვირსა კუდჯონჯალსა.
კუდჯონჯალსა, თობარიკსა.
ვირს მათრახი გაუქნია.
დააყოლა მერის მერეს.
წინ მელანი შეეყარა
შეემუშტრა ვირშიდაო

. . . . .

დეიხუა იმ მელანმა
წაუძგუფა ვირსა კუდი,
წაუხდინა ვირის ფასი
შენი ვირი კიტრად ღირდა.

როგორც ვხედავთ, ორივე ლექსი შინაარსობრივად და კომპოზიციურად ერთმანეთთან მსგავსებას ამჟღავნებს. ორივეში ლაპარაკია ბერიკაცზე, რომელიც ვირზე ზის და წინ (ა მ ი რ ა ნ ი)- (იმ) მ ე ლ ა ნ ი უდგება, „თავს უკვეცს“, ან „უძგუფავს კუდს“ „უხდენს“ მის ფასს.

ჩვენ ახლა აქ არ შევუდგებით იმის დადგენას, თუ როგორ და რა გზით, ან საერთოდ შესაძლოა თუ არა, ა მ ი რ ა ნ ი ს (იმ) მ ე ლ ა ნ ა დ შეცვლა. ფაქტი კი უნდა იყოს, რომ ამ ლექსით ჩვენ ამირანის ერთ-ერთ თავისებურ ვარიანტთან გვაქვს საქმე.

საველე-საექსპედიციო მუშაობისას, დაჟინებით ვცდილობდით მიგვეკვლია რაიმე კვალი ამირანისა, მაგრამ ყველგან მის აჭარულ ორეულს — დედჯალს ვხვდებოდით. მოგვეპოვება რამდენიმე პროზაული ჩანაწერი დედჯალისა — ლომპაპისა, რომელთა შესახებ უმრავლესი მთქმელებისა ამბობდა, რომ იგი (დედჯალი) ქართული ამირანია. თუმცა, აუცილებლად ანგარიშგასაწევია თანამედროვე ცნობილი ამირანოლოგის პროფ. მიხ. ჩიქოვანის მოსაზრება იმის გამო, რომ ამირანის როკაპად (იგივე დედჯალად ა. ა.) ქცევა უარყოფილია. საგმირო თავგადასავლის მქონე ეპიკური გმირის ასეთი დეგრადაცია ქართულ ფოლკლორში ცნობილი არაა და, რაც ქართული ხალხური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი არ არის, იმას ამირანიც ვერ გაიზიარებს[22].

---

[20] პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, ნაწ. 1, თბ., 1937, გვ. 11.
[21] ა. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ჯ. ნ ო ღ ა ი დ ე ლ ი, გ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.
[22] მ ი ხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ეპოსი, წიგნი 1, თბ., 1958, გვ. 173.

მაგრამ ამ ქართული ეპოსის სხვანაირი რაიმე კვალის უქონლობა და ამირანის დაყინებით ძიების დროს ყველგან დედჯალის, რომპაპის შეხვედრა გვაბედვინებს ამ მოსაზრებების გამოთქმას.

რა აქვთ საერთო დედჯალსა და ამირანს? 1) ღვთის ურჩობა. 2) უზარმაზარი ძალა. 3) მიჯაჭვა ყველა მისი მთავარი ატრიბუტებით (პალოს რყევა, ჩიტის ზედ დაჯდომა, პალოს კვლავ ჩასობა და სხვ.). 4) დედჯალის ერთ დროს აშვება—განთავისუფლება. მაგრამ, როგორც ეს ზევით აღვნიშნეთ, თუ ამირანი ხალხის სიკეთისათვის დაისაჯა და განთავისუფლების დროს კვლავ სიკეთეს მოიტანს, დედჯალი დაისაჯა, როგორც ღვთის ურჩი, ბოროტი და ავი სული, რომელიც განთავისუფლების (აშვების) შემდეგ ხალხს გასწყვეტს და მხოლოდ ის ვადარჩება, ვინც მას მიემხრობა, ანდა ვინც ჯამეში (მეჩეთი) ან პურის ყანაში (?) შეასწრებს. აჭარული რომპაპი თავის დასკვნით ნაწილში ძალიან წააგავს ამირანს. ისინი იზიარებენ ერთ და იმავე ხვედრს. მაგრამ მიუხედავად ბევრი ამ მსგავსებისა, მთავარი განსხვავება მათ შორის მაინც ის არის, რომ ამირანი ეპიკური გმირია და რომპაპი (დედჯალი) კი — მითიური[23]. აქ ახლა არ შევუდგებით ყველა ვარიანტის დეტალურ გარჩევას და დედჯალ-რომპაპის ამირანის ორეულებთან მსგავსების სანდოობის გარკვევას. ქართული ამირანოლოგია ამაზედაკიტყვის თავის გადამჭრელ სიტყვას. ჩვენ იგი აქ იმიტომ ვახსენეთ, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორი სახენაცვალი ფორმითაა წარმოდგენილი ქართული ეპოსის ისეთი ნიმუშიც კი, როგორიც ამირანია.

2. ზეპირსიტყვიერი ტრადიცია

არ უნდა იყოს საჭირო ბევრი მტკიცება იმისა, თუ როგორ შეიცვალა ძველი ქრისტიანული პერიოდის ზეპირსიტყვიერი ძეგლები, ხოლო აქა-იქ შემორჩენილნი კი დიდხანს მიუკვლეველი რჩებოდა და ერთი შეხედვით აქ მომსვლელს ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს „აქაური ლეწავს კალოზე, თუ თივასა ჰთიბავს, ხმას არ იღებს, საერთოდ დუმილს არ იღღვევს, თითქოს საერთო რამ მწუხარება გადაჰფენია მთელ მხარეს და მის მკვიდრთაო“[24]. ვ. ლისოვსკი, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა და აღწერა ეს მხარე, ამბობს: „Он (аджарец) угрюм. Ни песен, ни плясок, нет в аджарских селениях. У них даже не имеется никаких музыкальных инструментов“ და ცდილობს ახსნას ეს გარემოება შემდეგნაირად: „Дикая-ли или грандиозная природа подавляет аджарца, бедность ли сковывает веселье, или быть может, угрюмость является результатом с одной стороны предписываемого исламом отсутствия среди мужского общества женского злемента, с другой—тем обстоятельством, что вино, этот пробудитель радости, изгнано из употребления кораном; или наконец, не является-ли замкнутость результатом обычая селиться и жить незначительными поселками и даже в одиночку?“[25]

---

[23] М. Чиковани, Амираниани, Тб., 1960, გვ. 127.

[24] თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

[25] В. Я. Лисовский, Чорохский край, Тиф., 1887. 59. (ხაზი ჩვენია. ა. ა.),

ზოგიერთი მოსაზრებები, ცხადია, მართალია, მაგრამ არ შეიძლება დავეთანხმოთ იმაში, თითქოს აქ არ არსებობდა არც სიმღერა, არც ცეკვა და არც რაიმე საკრავი ინსტრუმენტი. ასეთი დასკვნის გამოსატანად არ არსებობს არავითარი რეალური საფუძველი და იგი ზერელე დაკვირვების შედეგია. ეს, სხვათა შორის, იმაზედაც მეტყველებს, თუ როგორ უყურადღებოდ იყო დატოვებული ხალხური შემოქმედების ეს სფერო. რომ ყოფილიყო უფრო მეტი გულისხმიერება და მეტი დამკვირვებლობა ამ დარგისადმი, მაშინ დარწმუნდებოდნენ, რომ „Кобулетцы словоохотливы с теми, кому доверяют, и напротив того „замыкаются в себя“ перед теми, кому не доверяют“[26] იგივე ავტორი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ...«есть и теперь народные певцы, восцевающие своих героев; отвагу битвах с неверными, красоту кобулетских женщин, дикость недоступных гор, воспоминания о братьях, о прежней потерянной вере „და სინანულით დასძენს, რომ «к сожалению, не мог добыть текста какой-либо кобулетской песни. Известно только что туземцы поют древне-грузинские песни во время свадьбы“.[27]

უკვე ხელთ არსებული მასალები და ზოგიერთი ცნობა, რომლებიც აქ მოვიტანეთ, გვაძლევს საშუალებას ვამტკიცოთ, რომ აჭარაში საკმაოდ მდიდარ ფოლკლორულ ტრადიციასთან გვაქვს საქმე. და თუ მაინც ვამბობთ მასალების რაღაც სიმცირეზე, ეს მისი (აჭარის) ისტორიული ავბედობითაა გამოწვეული. ამან განაპირობა ის, რომ თავის დროზე სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ იქნა საკმარისად ჩატარებული შემკრებლობითი მუშაობა. ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ ყოველთვის ვერ ხერხდება ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ როგორ ებრძოდნენ ერთიმეორეს ზეპირსიტყვიერებაში სხვადასხვა შეხედულებანი[28]. მართალია სახელოვანმა საზოგადო მოღვაწეებმა პ. უმიკაშვილმა, ზ. ჭიჭინაძემ, ი. ნათაძემ და სხვებმა დიდი ამაგი დასდეს აჭარას, შეკრიბეს და მოამზადეს თაობას დაუტოვეს მრავალი მნიშვნელოვანი ფოლკლორული ნიმუში, მაგრამ იგი მაინც ვერ იქნებოდა სრული. ეს იმიტომ, რომ მათ მიერ გაწეული შემკრებლობითი მუშაობა შეზღუდული იყო: ჯერ ერთი, ადგილით, რამდენადაც მსგავსი მუშაობა ტარდებოდა განსაზღვრულ ადგილებში და არა მთლიანად აჭარის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მის სოფლებში; მეორეც, ზეპირსიტყვიერების ისეთი ძირითადი მატარებელნი, როგორიც არიან აჭარელი ქალები, ყოველთვის მხედველობის არეს გარეთ რჩებოდნენ და ამგვარად იკარგებოდა უაღრესად მდიდარი ფოლკლორული მასალა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გაზეთ „Кавказ“-ში 1877 წ. № 137 №-ის ფსევდონიმით დაწერილი წერილი, რომელიც აჭარელ ქალს შეეხება: „Она умеет хранить предания праотцов, знает на перечень все важные праздники христианской религии и не забудет по обычаям предков принести жертву христианской церкви, а таковых церквей у них не мало“, ლაპარაკობს რა აჭარელ ყმაწვილებზე, ავტორი განაგრძობს: «Не раз ему

---

[26] А. Френкель, Очерки Чурук-су и Батума, Тиф., 1879 გვ. 18.

[27] იქვე, გვ. 79 (ხაზი ჩვენია — აზ. ა.).

[28] ქ. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949, გვ. 12.

приходится выслушивать приятные рассказы у ног матери, в которых не раз упоминаются отцы и праотцы, и деяния, счастье и невзгоды, и всякого рода исторические предания и события из жизни предков».[29] და აქ ისიც უნდა ითქვას, რომ რაც შემოგვრჩა, ისიც სწორედ იმ დედათა წყალობით, რომლებიც სათუთად ინახავდნენ წარსულის მაუწყებელ დიდებულ ამბებს და გადასცემდნენ მომავალ თაობას''.[30]

3. ისტორიული კვალი ე. წ. მცირე ჟანრის ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებებში

, როდესაც ვლაპარაკობთ აჭარის საისტორიო სიტყვიერებაზე და მახ'ში ხალხის ყოფისა და ნააზრევის გარდასულ კვალს ვეძებთ, გარდა ისტორიული ლექსისა და თქმულება-გადმოცემებისა, ანგარიში უნდა გაეწიოს ანდაზებს, შელოცვებს, ანეგდოტებს და სხვ., რამდენადაც მათში უხვად იძებნება კვალი ხალხის წარსული ცხოვრებისა.

მართალია, ანდაზების ცალკეულ მოვლენასთან ან პირთან დაკავშირება ძნელია, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც კი, მაგრამ მათი გათვალისწინება წარსულის შესასწავლად აუცილებელია. ანდაზებში ასახულია ხალხის მსოფლმხედველობა, ყოფა, მათი ოცნება აწმყოსა და მომავალზე. „В пословицах можно указать на следы первобытного мифологического миросозерцания и пережитых исторических событий.“[31]

ქართველი ხალხის ათასწლოვანი ისტორია და სიბრძნე, გამოცდილება ანდაზებში საუკეთესოდ მოჩანს. გენიოსური შემოქმედების ბეჭედი აზის მრავალ ანდაზას. მასში ჩაქსოვილია ხალხის სულისკვეთება, ბარაქიანი სიტყვა და მომავლის რწმენა, ეს ჟანრი მკვეთრად ასახავს სოციალური ისტორიის ყველა მნიშვნელოვან მომენტს[32]. თუ, მაგალითად. ანდაზა—„ალი ფაშას სამართალი ფულზე იყიდებოდაო“[33] დაკავშირებულია კონკრეტულ-ისტორიულ პიროვნებასთან და დროსთან, რაც იმის მკაფიო დადასტურებაცაა, რომ ისტორიული პირები ხშირად ანდაზის პერსონაჟებად იქცევიან, ანდაზა „უქონლობამ სკალატის ჩოხა დამახევია“, არავითარ კონკრეტულ დროსა და პირს არ მიუთითებს, სამაგიეროდ მასში მკაფიოდ არის გადმოცემული გაჭირვება, სიღატაკე, აჭარელი გლეხისა. რომელიც სიღარიბის გამო შემთხვევით ნაშოვნ სკალატის (ძვირფასი მაუდი) ჩოხას ცვეთს. ასევე წარსულის ამბებზე მიგვანიშნებენ ანდაზები: „თავრობა ხარის ქვეშ ხბოს ეძებს“, „გაქცეულს ურმით მიეწევა“, „გაჭირვებამ გველზე შემამახვია“, „გაქცეულის დედ-მამას არ უტირია“ და სხვა.

ანდაზები: „ხოჯის ნათქვამი დეიჯერე და ნაგნარი—არა“, „ფუხარას ქაბე ჯამეა“ და სხვ. შექმნილია უკვე მაჰმადიანობის გავრცელების შემდეგ და მათში გადმოცემულია ხალხის დამოკიდებულება რელიგიისადმი. თავისებური საგმირო-სავაჟკაცო კრედოდაა აღიარებული აჭარაში ანდაზა: „ღმერთმა მტერიც ჭკვიანი მოგცესო“. ამასთან, ამ ანდაზის თქმის შემდეგ მთქმელი აუცილებლად დასძენს ასეთ ამბავს: აჭარელი, რომელსაც მოსისხლე მტერი ჰყავდა სოფელში.

---

[29] Кавказ, 1877, № 151.

[30] ე. ვირსალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34—37.

[31] А. С., Хаханов Очерки . . . М., 1895, 118.

[32] მ ი ხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. თბ., 1957, გვ. 296.

[33] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, თბ., 1916, გვ. 20.

შემოიპარა ღამით სახლში. ცოლმა უთხრა: რატომ მოდი, შენი მტერი შეგამჩნევდა აქ მოსულს და შეიძლება მოგკლასო. ამაზე ქმარმა ასე უპასუხა: მე ისეთი (ბეჩი) უგუნური მტერი არ მყავს, რომ ღამით ცოლთან მოსული მომკლასო. ეს გაიგონა ამ დროს კედელთან დადარაჯებულმა მტერმა და მეორე დღეს შეუთვალა — დავრიგდეთო (შევრიგდეთო).

აჭარაში ახლაც ფართოდაა ცნობილი ერთი ისტორიული ანეგდოტი, რომელიც თურქეთის აქ ბატონობის დროს შეეხება და მათ მიერ ფორმალურად შექმნილ მეჯლისს დასცინის: მარადიდელი ოსმან-აღა კოროკი, მეჯლისის წევრი მისულა თავის ავადმყოფ მეზობელთან საექიმოდ, როდესაც ოსმან-აღას უკითხავს ავადმყოფისათვის—როგორ ხარო—მას უპასუხია: ხვალ ან ზეგ მოვკვდებიო. მაშინ ოსმან-აღას უთქვამს მისთვის: თუ საიქიოს ნაცნობები ნახო და გკითხონ, როგორაა აქაური საქმეები, მაშინ შენ უთხარი — ოსმან-აღა კოროკი ბათუმში მეჯლისად ზის თქო და ისინი თვითონ მიხვდებიან, რა მდგომარეობაშიც იქნება აქაურობა[34].

საინტერესო ცნობებს ვპოულობთ აგრეთვე მაგიური პოეზიის ზოგიერთ ნიმუშშიც, რამდენადაც შელოცვა ყველა ფოლკლორულ ჟანრზე მეტ სიახლოვეს იჩენს პრაქტიკულ მოქმედებასთან, ყოფიერებასთან. ასეთი სიახლოვით აიხსნება ის, რომ ამ ჟანრის ნაწარმოებში ხშირად ვნახულობთ ისეთ ცნობებს, რომლებიც ისტორიულ წყაროებს ალარ შემოუნახავთ, ასე, ერთ-ერთ შელოცვაში ჩვენ ვკითხულობთ გვარებს თაქტირიძე და ლალსულიძე:

სამი ძმანი თაქტირიძე
სამი ძმანი ლალსულიძე
დგანან კარსა, ჭრიან ნალსა
ვაი ალისა თავსა[35]

ან კიდევ:

სამებისა მთასა
სამი ძმანი თავდგირიძე
ლესვენ ხმალსა, ჭრიან თავსა
აქ რა უნდა ავსა
გეიარე კარსა და სხვ.[36].

აჭარის დასახლებისა და მორფოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა აქ დასახელებული გვარები, განსაკუთრებით კი თაქტირიძე (თავდგირიძე), რომელთა შესახებ სულ სხვადასხვა აზრი არსებობს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ერთნი თვლიან მათ აქ მოსულად აჭარის გამაჰმადიანების შემდეგ, მეორენი—მკვიდრად და ა. შ. თუ ამ შელოცვისა და სხვა მონაცემების შეჯერების მიხედვით ვიმსჯელებთ, თაქტირიძენი აჭარის უძველესი მკვიდრნი არიან. საინტერესოა თვით უძველესი ფორმა გვარისა, როგორც ირკვევა იგი ძველად ასე (თაქტირიძე) იხსენიებოდა[37] და თანამედროვე თავდგირიძენი სწორედ იმათი ნაშიერნი უნდა იყვნენ. საერთოდ ამ ე. წ. მცირე ჟანრის ნაწარმოებთა გულდასმითი შესწავლა, განსაკუთრებით კი მაგიური პოეზიის ნიმუშთა და გამოცანებისა, მრავალი მნიშვნელოვანი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი საკითხების გახსნას შეუწყობდა ხელს.

---

34 ხ. ახვლედიანი, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, ბათუმი, 1944, გვ. 25.

35 ჯ. ნოღაიდელი, ხალხური სიტყვიერება, II, ბათუმი, 1940, გვ. 189.

36 ჯ. ნოღაიდელი, ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1935, გვ. 7.

37 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ., 1961, გვ. 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ერეკლე მეორეს შესახებ არსებული ერთი ლექსის გამო

ერეკლეს შესახებ არსებული რაიმე ზეპირსიტყვიერი ცნობები აჭარაში არ იპოვება. „თუმცა... სახელი კი გავარდნილი აქვს და ლექსებშიაც თურმე მოიხსენიებენ, რომელნიც ჩვენი მხრივ გადასულა[38], მაგრამ სახელდობრ რომელ ლექსებშია მოხსენიებული ერეკლეს სახელი ამის შესახებ სახელოვანი მწიგნობარი არაფერს ამბობს. აჭარის ზეპირსიტყვიერებაში ქართველ მეფეთაგან მხოლოდ თამარია შემორჩენილი და ეს გასაგებიცაა, მაგრამ შეიძლებოდა თუ არა, რომ ერეკლეს სახელი სცოდნოდათ აჭარაში ფართო მოსახლეობას ისე, რომ მასზე ლექსები შეეთხზა? თუ გავითვალისწინებთ იმ მღელვარე ეპოქას, განსაკუთრებით XVIII საუკუნის 80-იან წლებს, როდესაც სულ უფრო ხშირად და ხშირად ხდებოდა მღელვარებები, ასეთ ვიოარებაში ერეკლე მეორე არ შეიძლებოდა რომ არ დაინტერესებულიყო აჭარისა და ახალციხის ამბებით[39]. ამ დროისათვის ერეკლეს იცნობდნენ როგორც ერთ-ერთ გამოჩენილ მხედართმთავარს და დაუცხრომელ მებრძოლს საქართველოს განთავისუფლებისა და შეერთებისათვის.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში რუსეთ-საქართველოს შემდგომი დაახლოებისათვის უაღრესად ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნა. მზადდებოდა რუსეთ-თურქეთის ომი... ერეკლე ფიქრობდა, რომ მიმდინარე ომის შედეგად შესაძლებელი გახდებოდა ოსმალთა მიერ გატაცებული სამცხე-საათაბაგოს დაბრუნება[40]. ხოლო, როდესაც აჭარის სახალხო-გამათავისუფლებელ მოძრაობას, მის დედა-სამშობლოსთან შეერთების საქმეს სათავეში ჩაუდგა სელიმ ხიმშიაშვილი, ურთიერთ შემშჭვალება და მიზიდულობა კიდევ უფრო გაიზარდა. ასეთ ვითარებაში არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო ერეკლეს სახელი ფართოდ ცნობილი აჭარელთათვის და არ ეპოვა ამ სახელს რაიმე სახით თავისი ასახვა აჭაურ ზეპირსიტყვიერებაში.

პროფ. ქს. სიხარულიძეს თავის წიგნში „ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორეს ხელმძღვანლეობით“ მიმოხილული აქვს ერეკლეს ლექსების ციკლი და თქმულება-გადმოცემები. იგი აქვე ამბობს, რომ ქართველი მაძულიშვილი სიბერის ჟამს სიამაყით იგონებს ერეკლეს ხელმძღვანელობით სამშობლოსათვის მებრძოლ ჯარში მონაწილეობას[41] და მოჰყავს ასეთი ლექსი:

„ვაჟი ვიყავ და ვვაჟობდი,
ქორულად შევქენ ნავარდი,
მეფის ერეკლეს ჯარშია
თავს ვეცი, ბოლოს გავვარდი
დახედე სიბერკაცესა,
ბოლო დროს როგორ დავვარდი“[42].

ეს ლექსი ოდნავი სახეცვლილებით არის დაცული ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელსაც ასეთი სათაური აქვს „ავადმყოფი ვაჟკაცი“, აი ისიც:

---

[38] უ. პ. უმიკაშვილი, ოსმალოს საქართველო, „ივერია“, 1877 წელი, № 13.

[39] ხ. ახვლედიანი, სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ-საქართველოში, ბათუმი, 1957, გვ. 80.

[40] იქვე, გვ. 57.

[41] ქს. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით, თბ., 1942, გვ. 48.

[42] იხ. აგრეთვე, „ხალხური სიტყვიერება“, წ. 1, ე. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 221.

„ჯიელი ვიყავ, ვაჭობდი
იაც მე ვიყავ, და ვარდი,
ლაშქრის ხმა რომ გავიგონე,
ქორულებ შევქენ ნავარდი;
დარაზმულ ლაშქარს თავს ვეცი,
დავყივლე, ბოლოს გავარდი,
შეხედეთ მუხთალ სოფელსა,
ბოლოს ლოგინად ჩავარდი“[43].

აჭარაში რომ ეს ლექსი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა, ამას ადასტურებს ის, რომ დღეისათვის მოგვეპოება რამდენიმე სხვადასხვა დროის ჩანაწერი. 1880 წელს გ. წერეთელი აგზავნის აჭარიდან რამდენიმე „სახალხო ლექსს“. მათ შორის ხსენებული ლექსიც არის, რომელსაც მიწერილი აქვს „აჭარში ს. ქედას ჩაწერილი გ. წერეთლის მიერ 1880 წელს“.

ვაჟკაცი ვიყავ სურათა,
დავკრიფე ია და ვარდი;
როს ნადირობა მომინდა,
შევქენ ქორულებ ნავარდი;
რაზომცა ზევით მივდექი,
თავს დავკარ ბოლოს გავარდი
უყურე ცრუსა სოფელსა.
ბოლო დროს როგორ დავარდი[44].

ქობულეთის რაიონში აღნიშნული ლექსი ახლაც გავრცელებულია და მას მიაწერენ ცნობილ სახალხო მელექსეს სეიფი-აღა ზოიძეს. ამასთან მთქმელები იმასაც დასძენენ, რომ სეიფი-აღა ზოიძე თავის დროს დიდი ვაჟკაცი იყო და სიბერის ჟამს, ერთხელ, როდესაც შიდიოდა ხალხის ჯგუფისაკენ, მის დანახვაზე ცეხზე არავინ წამოდგა, რის თაობაზეც მას, თითქოს, გამოუთქვამს ეს ლექსი[45]. ამ ლექსის ვარიანტები ჩაწერილ იქნა აგრეთვე 1959 წლის ფოლკლორული ექსპედიციის დროს სოფ. აჭყვისთავში.

როგორც ვხედავთ, აქ ერეკლეს სახელი უკვე აღარ არის, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი თავდაპირველ ვარიანტებში, რომლებიც სამწუხაროდ ჩვენამდის არ მოღწეულან, იქნებოდა და შემდეგ თანდათანობით ამოვარდა, დაუკავშირდა სხვადასხვა პირებს, კერძოდ, ქობულეთში კი სეიფი-აღა ზოიძეს, რომელიც თავისი დროის მოლექსე და საუკეთესო მთქმელი იყო, მას თავის რეპერტუარში სხვა ლექსებთან ერთად ეს ლექსიც ჰქონდა და, ალბათ, ხშირად იტყოდა მას. რისთვისაც იგი ხალხმა მისი სიკვდილის შემდეგ მასვე მიაწერა და დამკვიდრდა ხალხში, როგორც სეიფი-აღას ლექსი[46].

ამგვარად, როგორც ზემოთ განხილული ლექსიდან დავინახეთ, ერეკლე მეორის სახელი აჭარული ზეპირსიტყვიერებისათვის თავის დროზე უცხო არ იყო, მაგრამ. ისევე როგორც სხვა მნიშვნელოვანი სახელები და მოვლენათა მაუწყებელი ამბები, ესეც დაიკარგა და მხოლოდ მანიშნებით ვგებულობთ მათ არსებობას ჩვენს ხალხურ ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაში.

---

[43] ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 87. გვ. 67.

[44] „კვალი“, 1895 წელი, № 30, გვ. 10.

[45] ნ. ნოღაიდელი, აჭარის ზეპირსიტყვიერება, ბათუმი, 1959, გვ. 116.

[46] აზ. ახვლედიანი, აჭარის საისტორიო სიტყვიერება (მასალები), 1960, გვ. 140, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდი.

А. А. АХВЛЕДИАНИ

К ВОПРОСУ ИСТОРИЧЕСКОЙ СЛОВЕСТНОСТИ АДЖАРИИ

Резюме

В настоящей работе говорится о причинах, обусловливающих скудность материалов Аджарской исторической словестности, в особенности образцов устно-поэтического творчества древнейшего периода.

В результате смены религиозных верований (язычество, христианство, мусульманство), древнейшие памятники устно-народного творчества не сохранились, а многие из них потеряли свою первоначальную форму, функцию и порядок исполнения. Следы истории находим во многих песнях, используемых в трудовом процессе, т. н. песнях «Надури».

С отпечатками былых дум народа, его чаяний, героизма и других элементов прошлого Аджарии, встречаемся в таких жанрах как пословицы, загадки, заклинания, анекдоты и др.

В работе опровергается мнения некоторых исследователей, утверждающих, что, якобы, в Аджарии не было ни песен, ни плясок, и даже никаких музыкальных инструментов. Изучив и сравнивая некоторые материалы и высказывания исследователей, становится ясным, что здесь в прошлом имелась богатая фольклорная традиция.

В сохранности некоторых памятников древнего времени большую роль сыграли аджарские женщины, которые умели хранить предания праотцов и рассказывали детям исторические предания и события из жизни предков.

Тутже рассматривается одна маленькая, уже изменившаяся песня, свидетельствующая о том, что в Аджарии знали и воспевали в песнях царя Ираклия II.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1964
Труды Батумского научно-исследовательского института, т. III, 1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლ. მგებლიძე

ლაზური დასახლების მორფოლოგიის ძირითადი საკითხები

(სოფ. სარფის მასალების მიხედვით)

ლაზეთი საქართველოს საყურადღებო ეთნოგრაფიული რაიონია, რომელსაც ახასიათებს რიგი ლოკალური თავისებურებები, თუმცა არც ერთი ეს სპეციფიური ნიშნები ზოგადქართულ ეთნოგრაფიულ ფარგლებს არ სცილდება.

ლაზეთი აჭარის მომიჯნავე ოლქია, რომელიც იწყება, „შავი ზღვის წადევნებით გონიოდან „და გაშენებულია“ ბაიბურდისა და ფრჩხის სამხრეთით, ჭანეთის მთის იქით“[1]. წარსულში ლაზეთ-ჭანეთის მიჯნა დასავლეთით კიზირმაკამდე (ადრინდელი ჰალისი) აღწევდა[2].

ე. ლიოზენის ცნობებით კავკასიის ეთნოგრაფიულ რუკაზე შეცდომით გამოყოფენ ლაზებით დასახლებულ ტერიტორიას ჭოროხის შესართავიდან. სინამდვილეში ლაზების განსახლება ამ ზონაში სოფელ სარფით იწყება[3]. და „ტრაპიზონის საზღვრებამდე აღწევს[4].

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1961 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალა[5] წარმოადგენს ლაზური დასახლების რიგ თავისებურებებს.

ამჟამად ლაზეთში დასახლების ძირითადი ერთეული სოფელია, თუმცა წარსულში, ფაქტიური მონაცემებით, დასახლების ძირითადი ერთეული, დასახლებული პუნქტების უფრო ფართო გაერთიანებას წარმოადგენდა. ფაქტის საილუსტრაციოდ სარფის მაგალითზე შევჩერდებით. ამ სოფლის ბუნებრივი მიჯნებია: კოქმიში, მთა სულთან-სელიმი, ქვახერხი. ინჯილ-თეფესი, ბოლოყი, გეჯი, ტალახონა. ნეფელლუღი, მაისა, ოკანდალე, ბოგოლლუღი, ცხემლუღი და მანდრათი.

სარფის ხეობას მარადიდის, მაკრიალისა და გონიოსაგან მთის ქედები გამოყოფს. ხეობა ერთი მხრივ შავ ზღვას ებჯინება. ამ საზღვრებში მოქცეული ტერიტორია მტკიცედ ლოკალიზირებულ გეოგრაფიულ ერთეულს წარმოადგენს. მრავალი ნასაცხოვრის — ნასადგომევი, ეკლესია-ნასაყდრები, ნაციხვარი და თვითდასახლების ერთეული, ყველა სახის სახმარი მიწა-წყალი და ტყე ამ გეოგრაფიული ერთეულის საზღვრებშია მოქცეული, ამდენად საფიქრებელია, წა-

---

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოისა საქართველოისა. თბ., 1941. გვ. 142.

[2] Известия императорской академи наук. С. П. 1910, № 7, გვ. 608.

[3] Э. Лиозен, Береги русского лазистана, Икоирго, т. XVIII, 1936 г. გვ. 157.

[4] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

[5] გარდა ამ სტრიქონების ავტორისა, ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ისტ. მეცნ. კანდ. ა. ინაიშვილი (ხელმძღვანელი), უმც. მეცნ. თანამშრომლები: ა. რამიშვილი, ა. სურგულაძე (ხელმძღვანელის მოადგილე), უფროსი ლაბორანტები: ვ. შამილაძე და მ. ბექაია, არქიტექტორი ვ. პაპლავსკაია, ფოტოგრაფი ს. მითაიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რსულში ეს ხეობაც ცალკე სოციალური ერთეული (თემი) უნდა ყოფილიყო, რომელიც აერთიანებდა მცირერიცხოვან დასახლებულ პუნქტებს.

სარფის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში საყოველთაოდ ცნობილი გადმოცემით სოფელი ადრე ხეობის სათავეებში ყოფილა გაშენებული, სადაც „ქარი და დიდი თოვლი“ სცოდნია. ამ 200—250 წლის წინ სოფელი დაბლობში, ხევისპირში გაუშენებიათ, ძველ ნასოფლარში დღესაც შეინიშნება ძველი ნასაცხოვრის — ნასადგომევები: მჯვეში ოჯაღი, დიდი ოჯაღი, ოჯაღი, მსქიბულალი, ჭიტა ოჯაღი, ქიურთ ოჯაღი, მთხიეფუნა, მეგზა ნომენქთებენ, ნომსქიბენი, ოჯინახუშ ოფუტე, კილიშ ოჯაღი, გოლასქი ოჯაღი და სხვა.

სოფლის დაბლობში, ხევისპირში გადმონაცვლება არა მარტო „ქარითა და დიდი თოვლით“ უნდა იყოს გაპირობებული, არამედ აქ მეურნეობრივი პირობებიცაა გასათვალისწინებელი. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალით სოფლის ხევისპირში ჩამონაცვლების ფაქტი მთიულეთში, ხანდოსა და ხადას ხეობებშიც დასტურდება. ასეთივე მოვლენა შეინიშნება ქვემო აჭარაში—ერგესა და ჯოჭოს სინამდვილეში, თუმცა ზემო აჭარაში პირუკუ პროცესიც დასტურდება.

ლაზური დასახლების სტრუქტურის თავისებურებაზე მიუთითებენ გ. ყაზბეგი, პ. უმიკაშვილი, კ. ლიოზენი, კოხი, ნ. მარი და სხვა ავტორები. გ. ყაზბეგის თქმით ლაზეთმა დიდხანს შემოინახა გვაროვნული წყობილების ელემენტები, სადაც ცალკეული მიკრო რაიონები თემებად ჩამოყალიბდნენ.

XIX საუკუნის დამდეგს ლაზეთი იყოფოდა თერთმეტ ასეთ სამფლობელოდ. ლაზეთის ამ სამფლობელოებს „დერებეიამს“ (საფეოდალო) უწოდებდნენ. მოგზაურის სამართლიანი თქმით დერე-ღელე, ხეობაა, ხოლო ბეი-კი ბეგი, თავადია[6]. პ. უმიკაშვილის ვარაუდით, ადრე ჭანეთი თორმეტ თემად. ხევად იყოფოდა. ყოველ ხევს ჰყოლია ხევისთავი 11 ხევისბერი (დერე-ბეი)[7]. ნ. მარის ცნობებით. ძველად ლაზეთში იყო თავადაზნაურობაზე დაბლა მდგომი წოდება ე. წ. „ჩებ-ი“, ამ ფენიდან გამოდიოდნენ დერე-ბეიებიც. მარის ინფორმატორ ფევზიბეის თქმით მაშინ მხოლოდ ერთი „ჩები“ ყოფილა დარჩენილი. კოხის მოგზაურობის დროს კი ლაზეთში 15 დერე-ბეი მოითვლებოდა. ნ. მარის მტკიცებით დერე-ბეი შინაარსობრივად ქართული „ხევისბერის“ სინონიმია[8]. ოსმალთა ბატონობის პერიოდში დერე-ბეი ფეოდალად აღზევდა, ხოლო მისი საგეგმო საფეოდალოდ ჩამოყალიბდა. დერე-ბეის (ბეგის) და ხევისბერის, ხევის-უფლის იგივეობა უზუსტობაა.

სარფი ხევის ტიპის დასახლების ერთეულია, ამ სოფლის უმეტესი ნაწილი თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული. სოფელში სახელმწიფო საზღვარი ტობაშის წყალს ემთხვევა. სარფის თურქეთის საზღვრებში მოქცეული ნაწილი ახლა მიწერილია მაკრიალის ანუ იგივე ქემალ-ფაშას ნაჰიეზე. ტერმინი „ნაჰიე“ არაბულია და ქართულ თემის შესატყვისად ითვლება[9].

---

[6] Г. Казбек, Военно-статистический и стратегический очерки лазистанского Санждака, 1876 გვ. 34.—მისივე, სამი თვე თურქეთის საქართველოში, გვ 96.

[7] გაზეთი „ივერია“ 1877 წელი, № 23.

[8] Н. Марр, Из поездки в Турецкии лазистан, ИИАН № 7, серия, 1910 г. გვ. 626, შენ. 1.

[9] ალ. როგაქიძე, დასახლების ფორმათა საკითხებისათვის ზემო აჭარაში“, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1960, გვ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზების ყოფაში ძმების დაცოლშვილებას ხშირად ოჯახის გაყოფა მოსდევდა. განაყარი ძმები ერთიმეორის გვერდით, მეზობლად სახლდებოდნენ. თუ ერთი განაყოფი, ცალკე, ახალ ადგილში გავიდოდა, იგი ამით საფუძველს უყრიდა ახალი უბნის გაჩენას, რაც თავის მხრივ ქმნიდა დასახლების რთული სტრუქტურის უფრო გართულებას და აპირობებდა სოფლის მრავალ ნაწილად განშტოებას.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის სტრუქტურის საკითხს ლისოვსკიც ეხება. ავტორის თქმით ჭოროხის მხარეში სოფელი შედგება სხვადასხვა სიდიდის რამდენიმე უბნისაგან, რომელიც აბორიგენ მოსახლეობაში „მეელედ“ იწოდება[10]. მეელე შედგება რამდენიმე სახლისაგან, რომელიც განლაგებულია ტერასზე ან შემაღლებაზე. უბანთა ნაწილში კომლთა რაოდენობა ათამდე აღწევს, ხოლო ზოგ მეელეში სამი-ოთხი „ხანე“ სახლობს. ნაკლებად გვხვდება ცალკე მდგომი სახლები. უბნები განფენილია ვერტიკალურად. მათ შორის მანძილი იქნება რამდენიმე ასი ნაბიჯი ან კილომეტრი და ზოგჯერ — ცოტა მეტიც. სოფლის მთავარ უბანში მეჩეთი იყო, რომელსაც ტუზემცები „ჯამეს“ ეძახდნენ, თვით ამ უბანს კი „ჯამის მეელეს“. დანარჩენ უბნებს სახელწოდებას აძლევენ პირველად დასახლებული სახელის მიხედვით და გამოთქვამდნენ თურქული სიტყვით: „ოღლი“ (შვილი) სოფელში უბანთა რაოდენობა იშვიათად აღწევს ათს[11]. ეს ყოველთვის როდი იყო ასე. სამუსლიმანო საქართველოში და მის ერთ ნაწილში, ლაზეთშიც კი უბანთა ნაწილის სახელწოდება ადგილთა სახელიდან მომდინარეობს, ხოლო უმრავლესობას ძველი ქართული (ლაზური) სახელები აქვს შემონახული. დასახლების სტრუქტურით ლაზეთი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის სხვა ოლქების რიგშია მოქცეული. იგი დიდ სიახლოვესა და მსგავსებაშია მეზობელი აჭარის დასახლების სტრუქტურასთან.

აჭარის სოფლის მსგავსად, ლაზური სოფელიც თავის შიგნით რამდენიმე უბნად იყოფა. ფაქტის საილუსტრაციოდ სოფ. სარფის სტრუქტურაზე შევჩერდებით.

სარფი მრავალუბნიანი სოფელია, საკუთრივ: მზოლაპიჯი (ზღვისპირის), დუზ(ვაკის), რომელსაც ორთა (შუა) მეელესაც ეძახიან; კარაბუსეინიში, მემიშიში, ჟილენი (ზედა), ვანლიში, ჯევაირიში, კაბამემედიში, წკამაფხა, ჭესოღლეჭეში, ბინაში და თანთოღლეფეშ მეელე.

უბანი, როგორც საწარმოო და სამეურნეო ერთეულიც, სოფლის ორგანული ნაწილია და გარკვეულ დამოკიდებულებაში იმყოფება სხვა, სოფლის ძირითად დასახლებული პუნქტისაგან. უბანი ზოგჯერ საკმაოდ დაშორებულია ფიზიკურად მთავარი პუნქტისაგან და მისგან მაინც დამოკიდებულია, რაც გამოიხატება ტერიტორიულ ერთიანობაში, სოფლის საძოვრების, ტყისა და სხვა სახის მიწების კოლექტიურ სარგებლობაში, მეურნეობრივ და სოციალურ ერთიანობაში. სოფლის ტიპის დასახლებულ ადგილებში დიდხანსაა შენარჩუნებული ეთნიკური მომენტიც და უბნის მონოგენურობა — ერთგვარიანობა.

ტერიტორიულად სარფის გარეთ დევს კალენდერე და კვარიათის ახლახან ლაზებით დასახლებული პუნქტები, თუმცა იგი დღეს სოფლის უბნადაა მიჩნეული.

---

[10] В. Я. Лисовский, Чорохский край, Тб. 1887, გვ. 79—80.

[11] იქვე, გვ. 80.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარფის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ახლაც მიმდინარეობს „ოფუტეს“ (უბნის) წარმოქმნის პროცესი. ჭარბი მოსახლეობა გამჭიდროების გამო ძველ უბანში ვეღარ თავსდება და მათი ნაწილი სოფლის გარეთ, თავისუფალ მიწაზე სახლდება. ასე წარმოიქმნა ძველ ნასადგომევში ახალი დასახლებული პუნქტები (ჯვარიათი და კალენდერე). ახალ უბანში ადრე ერთი კომლი სახლდებოდა და ასე თანდათანობით იწყებოდა მისი მოშენება — უბნად გადაქცევა. რამდენიმე წლის წინ ბაქრაძის ერთი ოჯახი სოფლის თავში, გარე უბანში დასახლდა და ამით საფუძველი ჩაეყარა ახალი ოუფუტეს შექმნას. ეს ახალი პუნქტი კაკაბაძეებისა და ვანიძეების უბნებს ზემოთ მდებარეობს. ასეთივე გზით უნდა მომხდარიყო სოფლის სხვა უბნების წარმოქმნა. ასე თანდათანობით ყალიბდებოდა დასახლების ლაზური ფორმა, რომელიც ახლა დასრულებული სახითაა მოცემული.

სარფის სინამდვილეში სოფლის შიგნით არსებული ეს დაყოფა (უბანი“ 11 „ოფუტე“) ორი ტერმინით აღინიშნება. ერთი მათგანი „მეელე“ არაბული წარმოშობისაა. პარალელურად „მეელე“-სი სარფში პირველად იქნა ფიქსირებული უბნის ადგილობრივი, ლაზური სახელწოდება — ტერმინი „ოფუტე“. მკვიდრათ მეტყველებაში ძირითადად ეს ტერმინია გაბატონებული.

ტერმინ „ოფუტეს“ თავსართი „ო“ ქართულ „სა“-ს სინონიმია. ამდენად, ლაზური „ოფუტე “ქართულ „საფუტე“-ს ეთანატოლება .აქ ძირეულია „ფუტ“[12].

ლაზური ოფუტეს თავდაპირველი მნიშვნელობა ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას, სახლობას, მოსახლეობას, კერას, ოჯახობას, ძველ-ქართული სახლის, გვარის საცხოვრისს უკავშირდება. საფიქრებელია იგი უნდა მიუთითებდეს საოჯახო თემსა თუ დიდი ოჯახის საცხოვრისზე.

გვიან იგი მრავალრიცხოვანი ოჯახის სამოსახლო, ჭერქვეშეთი უნდა ყოფილიყო. დიდი თუ მრავალრიცხოვანი ოჯახის პარცელაციის შემდეგ ძველი, საოჯახო თემის სარბიელი სოფლის უბნად ქცეულა. ამაზე უნდა მიუთითებდეს „ოფუტუ“-ს მეორე მნიშვნელობაც: ვიწრო გაგებით ეს ტერმინი ეზოს, ეზო-კარის, კარ-მიდამოს მნიშვნელობითაც იხმარება, თუმცა მისი ძირითადი მნიშვნელობა მაინც უბანია.

ამრიგად, როგორც ვხედავთ ლაზური სოფლის უბანი ადრე მონოგენური, საოჯახო თემის სარბიელი ყოფილა, ხოლო გვიან იგი იყო დიდი თუ მრავალრიცხოვანი ოჯახის სამოსახლო. ეს ოჯახიც ერთ ჭერქვეშ იმყოფებოდა და მისი წევრების ძირითადი სამყოფიც ერთი კერა უნდა ყოფილიყო, ე. ი. ერთი „ოფუტე“ (საფუტე). დიდი ოჯახის პარცელაციის შემდეგ განაყოფები ურთიერთ მეზობლად სახლდებოდნენ და „ოფუტეც“ ტერმინოლოგიურად ახალი შინაარსის მატარებელი, სოფლის უბნის აღმნიშვნელ ცნებად გადაიქცა.

ოფუტე სიახლოვეს ამჟღავნებს აჭარაში დამოწმებულ და ქართულში საყოველთაოდ ცნობილ სოფლის უბნის აღმნიშვნელ ტერმინ „კართან“, აჭარაში ტერმინი „კარი“ ოთხი ფორმით გვხვდება: „ჭახაძისკარი“, წისქვილისკარი“ „იალიკარი“ და „ჯამისკარი“ ოთხივე ფორმაში ეს გამოთქმა— „კარი“ სოფლის უბანს აღნიშნავს.

---

[12] „ო“-ს თავსართობასა, „ოფუტესა“ და „საფუტეს“ ინდენტურობაზე მიგვითითა ზ. თაბაღლავამ.

უბნის აღმნიშვნელი ტერმინი „კარი“ ისეთივე ძველია, როგორც ლაზური „ოფუტე“. ეს ორი ტერმინი (ლაზური „ოფუტე“ და ქართული „კარი“) სინონიმებად გვესახება.

მაკრიალის თემი, უფრო სანდო ცნობით თერთმეტი სოფლისაგან შედგებოდა, ხოლო თემში შემავალი ცალკეული პუნქტები თავის მხრივ რამდენიმე უბნის მომცველია. ეთნოგრაფ ალ. რობაქიძის სამართლიანი თქმით „დასახელებული პუნქტის მიერ თემის მანიშნებელი სტრუქტურის ასეთი ხანგრძლივი შემონახულობა დასახლების მთიური ტიპის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს“[13] რაც ლაზურ დასახლებაში მაკრიალის თემისა და საკუთრივ კი სარფის მაგალითზეც შეინიშნება.

ლაზური სოფლის უბნები კომლთა რაოდენობით სხვადასხვა სიდიდის ყოფილა. სარფის უბან „დუზიშ ოფუტეში“ სახლობს 21 კომლი. ჯევაირიში ოფუტეში—10, კაბამეძედიში ოფუტეში კი 8 ოჯახი ცხოვრობს, ხოლო ბინაში ოფუტე 3 კომლითაა დასახლებული.

სარფი მჭიდროდ დასახლებულ სოფელთა რიგს განეკუთვნება, თუმცა მთიური სოფლის სიმჭიდროვეს იგი მაინც ვერ აღწევს და აქ დასახლების სიმჭიდროვის შედარებით დაბალი კოეფიციენტია მოცემული.

სხვა ლაზური სოფლების უმრავლესობაშიც ასეთი მდგომარეობა დასტურდება. გ. ყაზბეგის ცნობით ჭოროხის მარცხენა ნაპირზე მდებარე ლაზურ სოფელ ჩხალტაში 12 კომლი სახლობდა[14]; ხოფის სამუდიროს სოფ. კოსეში—120, ხოლო ზღვის სანაპიროს სოფ. პირინოტში—40[15], არაჰავეს ხეობის სოფ. გარმანიეში 5-კომლი იროცხებოდა, ხოლო სუუმლის ხეობის სოფელ დერბენდში— 95[16]. პ. უმიკაშვილის ცნობებით, მაკრიალის თემის სოფლებში სახლობდა: საკუთრივ მაკრიალში—60 კომლი, სარფში—35, ლიმანში—20, ყარამარვალში—50[17].

მაკრიალის ტერიტორიული თემის სოფლებისა და კომლთა რაოდენობის შესახებ ე. ლიოზენის ცნობები ოფიციალური და უფრო სრულყოფილი ჩანს. ამ მასალების მონაცემებით 1906 წლისათვის მაკრიალის თემის თითოეულ სოფელში კომლთა შემდეგი რაოდენობა სახლობდა: სარფში—42, უჩკარდაშში—7, შანაში—7, მაკრიალში—11, ჭანჭახონაში—6, ჭოფრინჯში—18, სოვილში—7, კულგაპისში—8, ლიმანში—21, მანელოღლებში—30, ხემშინში—4[18]. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, 1895 წელს, სოფ. სარფში 40 კომლი სახლობდა, ხოლო მაკრიალსა და ლიმანში 20—20 კომლი[19].

მოტანილი ცნობებით ლაზეთში ტრადიციულ სოფლების კომლთა რაოდენობა ძირითადად საშუალო სიდიდეს ვერ აღწევს. მაკრიალის თემში ლაზებით დასახლებული ყველაზე დიდი სოფელი საკუთრივ მაკრიალია (60 კომლით). სოფელი მაკრიალი ამ თემის ცენტრად და უძველეს დასახლებულ პუნქტად ითვლება. მაკრიალს რიგით მოყვებოდა სარფი. ლაზეთის ამ ზონაში მდებარე ყველა

---

[13] ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

[14] გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში (რუსულ ენაზე), გვ. 97.

[15] იქვე, გვ. 103.

[16] იქვე, გვ. 111.

[17] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების ფონდი, პ. უმიკაშვილის პირადი ფონდი.

[18] ე. ლიოზენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

[19] ზ. ჭიჭინაძე, ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართულ მაჰმადიანთა ნაწილი, ლაზისტანი, თბ., 1927, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანარჩენი სოფელი პატარა ყოფილა. ზოგი სოფლის მოსახლეობა 20—30 „ხანეს“ არ აღემატებოდა, ხოლო ზოგიერთი სოფლის მოსახლეობა რამდენიმე კომლით განისაზღვრებოდა. ასეთი იყო: სოფელი შანა (7კომლით), გულგაბისი (8 კომ.) ხემშინი (4 კომ.) და ა. შ.

ლაზური სოფლის კომლთა მცირერიცხვიანობა შედეგია იმისა, რომ ოჯახთა ბატონობის პერიოდში მოსახლეობის ერთი ნაწილი ძალით გაასახლეს დამპყრობლებმა. ზ. ჭიჭინაძის სამართლიანი თქმით ლაზთა ნაწილი ოსმალეთის „მთავრობას აუყრია და სახელმწიფოში დაუფანტავს“[20]. ნაწილი შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების გამო საქართველოს სხვა პროვინციებსა და ხეობებში გადავიდა საცხოვრებლად.

ლაზეთის სოფლებმა მნიშვნელოვანი დანაკლისი რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წწ. ომის დროსაც განიცადეს. მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიზვნამაც („მუხაჯირი“) განაპირობა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, სოფ. სუჯუნიდან ამ პერიოდში 55 კომლი გახიზნულა, ხოლო სარფიდან, ლიმანიდან, მაკრიალიდან და სხვა სოფლებიდანაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მუჰაჯირად წასულა[21].

ოსმალობის მძვინვარების პერიოდში ლაზეთის ბევრი პუნქტი ნასოფლარად ქცეულა და ზოგიერთში კი კომლთა რაოდენობა მინიმუმამდე შემცირებულა. გვიან ხდება ნასოფლარების ხელახალი მოშენება და ახლად, თანდათანობით, ბუნებრივი თუ არაბუნებრივი მატების გზით, მოსახლეობის ხელახალი გამჯიდროვება. ლაზური დასახლების აღნიშნულ თავისებურებაზე გავლენას ახდენდა ქვეყნის ტოპოგრაფია, კლიმატი და ეკონომიური ფაქტორიც.

პირველი მუჰაჯირობის დროს, 1879 წელს, სარფში 35 კომლია, ხოლო 1906 წლისათვის კომლთა რაოდენობა 42-მდე გაიზარდა, ხოლო ჩვენ მიერ მოპოვებული ცნობებით 900-იან წლებში სარფის კომლთა რაოდენობა ორმოცი ოჯახით განისაზღვრებოდა. საბჭოთა წყობილების დამყარების პერიოდში ჩვენი ინფორმატორების მონაცემებით გაღმა და გამოღმა სარფში 80„ხანე“, ე. ი. კომლი ყოფილა. ახლა კი 91 კომლზე მეტი ცხოვრობს საკუთრივ გამოღმა სარფში. სოფლის ჩვენს ნაწილში მოსახლეობის ასეთი დიდი ბუნებრივი ზრდა მოხდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საკოლმეურნეო წყობილების დროს, როცა ხალხს შეექმნა მშვიდობიანი და შეძლებული ცხოვრების პირობები.

ამრიგად, სარფი კომლთა რიცხობრივი შემადგენლობით უმცირესი კატეგორიის დასახლებულ პუნქტთა რიგში დგას. რაც საერთო ნიშანი უნდა იყოს ლაზური სოფლისათვის.

ლაზურ სოფელში, სარფის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ოჯახის მაქსიმუმი 12—14 სულს აღწევს, ხოლო მინიმუმი 2—3 სულით განისაზღვრება. საშუალო სიდიდის ოჯახის რიცხობრივი შემადგენლობა 6—8 სულს არ აღემატება, რევოლუციამდელ სარფში 14 სულიან ოჯახად ითვლებოდა მუხამედ ოსმანის ძე ნარაკიძის სახლობა, ხოლო 12—13 სულით განისაზღვრებოდა მემედ მემიშის ძე მემიშიშის და ოსმან შაბანის ძე ჭორიძის ჯალაბობა და ა. შ.

ამრიგად, სარფის სინამდვილეში არ დასტურდება, არა მარტო დიდი ოჯახის არსებობა, არამედ მრავალრიცხოვანი ოჯახებიც.

---

[20] ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22—23.

[21] იქვე, გვ. 32.

ეთნოგრაფიული მასალებითა და წერილობითი წყაროებით დგინდება, რომ წარსულშიც ლაზეთი ეთნიკურად ჭრელი ყოფილა. ე. ლიოზენის ცნობებით გონიო-მახოსა და მაკრიალ-სარფის უბანზე 1900-იან წლებში სახლობდა 691 კომლი აჭარელი (გონიო-მახოს უბანზე), 669 კომლი ლაზი მაკრიალის ტერიტორიულ თემში ,169 კომლი ხემშილი და 130 კომლი ქურთი[22]. გონიო-მახოს უბანზე ხემშინები სახლობდნენ კვარიათსა (6 კომლი) და კალენდერეში (5 კომლი), ხოლო მესაქონლე ქურთებით იყო დასახლებული ერთი პუნქტი—ზიმოვნიკი, სადაც სულ 20 კომლი სახლობდა[23].

ლაზეთის მოსახლეობის ეთნიკურ სიჭრელეზე ყურადღება ნ. მარსაც მიუქცევია. ავტორის თქმით ლაზეთის მიწა-წყალზე ცხოვრობენ ბერძნები, ხემშინები, თურქები, ქურთები და ა. შ. ზღვის სანაპიროს დაბებსა და ქალაქებში 1910 წლისათვის მრავალ ქრისტიან მცხოვრებლებსა და ზოგ შემთხვევაში მუსლიმან ლაზებსაც კი რუსის ქალები ჰყოლიათ. ლაზებში გათხოვილი რუსები ნაწილი გამუსლიმანებულა და ლაზური ენაც კი კარგად შეუსწავლიათ[24].

მაკრიალის თემიდან ხემშილებით ყოფილა დასახლებული სოფ. ქიუფრუჯი, კულ-გაბისი და ადგილი ხემშინი. ლაზეთში მცხოვრებ ხემშინების შესახებ საყურადღებო ცნობები შეუკრებია გ. ყაზბეგს. ავტორის თქმით ლაზეთში, მცხოვრებ ხემშინების სომხური ენა ძირითადად დაუკარგავთ. ეს ითქმის უფრო მეტად მთის ზონის ხემშნებზე, რომლებიც გარეგნული იერით ლაზებს დამსგავსებიან და მათი ხასიათიც უკვე ლაზურია. გ. ყაზბეგის ცნობებით, ხოფის ხეობაში ყოფილა 6 სოფელი, აქედან 5 შეადგენდა პატარა ხემშინს. აქაური ხემშინები მდ. ფურტუნის ხეობის ზემო ნაწილიდან ყოფილან გადმოსახლებულნი. ხოფის სამუდიროში მაშინ 21 სოფელი ითვლებოდა და გარდა აღნიშნული 5 სოფლისა, მთელი მოსახლეობა მკვიდრი ლაზები ყოფილან.

ფურტუნს მიერთვის მდ. კარაჩა-სუ და ბეიქუ-სუ. ამ სამი მდინარის მიერ შექმნილი აუზი გათურქებული სომხებით ყოფილა მოშენებული და დიდი ხემშინის სახელით იყო ცნობილი[25].

ამრიგად, გამუსლიმანებული სომხები, რომლებსაც ხემშინებს ეძახიან, ლაზეთ-ჭანეთის მიწა-წყალზე სომხური პროვინციებიდან ჩამოსახლებულან და დაჭერიათ ამ კუთხის მთელი რიგი უბნები. დიდი და პატარა ხემშინებიდან ეს გათურქებული სომხები მეტ-ნაკლები რაოდენობით განსახლდნენ ლაზეთის სხვა ხეობებში და აჭარაშიც (გონიას უბანზე).

ლაზეთში მცხოვრები სომხებიც ეთნიკურად ჭრელი ყოფილან. ზ. ჭიჭინაძის თქმით, „გამაჰმადიანებული ხემშილებიც, რომელთაც ზოგნი სომხის გვარისად თვლიან ამ ხემშილებს, თვით ამათშიც კი მრავალი უნდა გახდნენ ქართველი გვარის გასომხებული (ე .ი. გახემშილებული ვ. მ.) ქართველები, რომელთა ჟამთა ვითარების წყალობით ქართული ენა დაკარგეს და დღეს სომხურად ლაპარაკობენ, იგივენი იწოდებიან ხემშილებად“[26]. ეს პროცესი ძირითადად დიდ ხემშინშია სავარაუდებელი და პატარა ხემშინის იმ 5 სოფელში, სადაც გათურქებული სომხები სახლობდნენ. ადრე ამ ზონაშიც ხომ ლაზები სახლობდნენ და ემი-

---

[22] ე. ლიოზენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.
[23] იქვე, გვ. 110.
[24] ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 619—620.
[25] გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.
[26] ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15—26.

გრანტ სომხებში უნდა შერეულიყვნენ. მოსული უმრავლესობისაგან ეროვნულ-რივმა უმცირესობამ, რა თქმა უნდა, ასიმილაცია განიცადა.

ე. ლიოზენის ცნობებით, ხემშინების ერთი შტო ყარადერესა და ფურტუნას ნაპირებზე ცხოვრობდნენ, ხოლო ხემშინთა მეორე შტო—ხოფის მთიანეთიდან ჭოროხამდე ვრცელდებოდა; ხემშინთა ეს ორი შტო ხიფის მთიანეთიდან ჭოროხამდე ვრცელდებოდა და მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთი მეორისაგან[27].

. ლაზეთის ეთნიკური სიჭრელე მე-19 ს. უფრო შორს წავიდა, ე. წ. „მუჰაჯირების“ ხარჯზე, თუმცა ძლიერ მწირი ცნობებია დაცული ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული „მუჰაჯირების “შესახებ, რომლებიც დასახლდნენ ლაზეთშიც, მათ მიერ დასახლებულ პუნქტებს „ყარაშარვალს “უწოდებდნენ. ხოლო თვით მცხოვრებლებს „ყარაშარვალებს“. „ყარაშარვალი“ ნაწარმოები უნდა იყოს „ყარაჩაელიდან“. მუჰაჯირთა რიცხვში ამ ეთნიკური ჯგუფის ხალხიც ირიცხებოდა. ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით მუჰაჯირთა რიცხვში ყველაზე მეტი იყო „აბაზას ხალხი“: ჩერქეზები, აფხაზები, აბაზები, უბიხები და მათი მონათესავე სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები, მათ შორის გარკვეული რაოდენობის ყარაჩაელებიც ყოფილან.

ჩრდილოეთ კავკასიელი მუჰაჯირი სუნიტების ჩამოსახლების ეს პროცესი იწყება 1858 წლიდან და გრძელდება ამავე საუკუნის 70-იან წლებამდე, ხოლო აფხაზეთიდან დიდი „მუჰაჯირობა“ 1866 წელს მოხდა. ამ პერიოდში დასახლდნენ მუჰაჯირები ლაზეთის ზოგიერთ პროვინციებში — არხავესა და ხოფის მიდამოებში. ლაზეთში ამავე დროს დიდი რაოდენობით ჩამოსახლდნენ „მუჰაჯირი“ მუსლიმანი ქართველები (მესხები, აჭარლები, შავშელები) და ა. შ.

მიუხედავად აღნიშნულისა, მაკრიალის თემის სოფლებიდან პირწმინდად ლაზური ყოფილა სარფი, საკუთრივ მაკრიალი, უჩკარდაში, შანა, ჭანჭახონა, სოვილი, ლიმანი და მანელოღლი. მაკრიალ-გონიოს ზონაში არაქართული ელემენტის ცხოვრებამ ასახვა ტოპონიმიკაშიც ჰპოვა. ასეთი „ხემშილუღის“, „ჩერქეზლუღისა“ და „ქურთლუღის“ სახელით ცნობილი დასახლების ერთეულები ან ნასაცხოვრის — ნასოფლარები, რაც „სახემშილოს“, „საჩერქეზოსა“ და „საქურთოს“ ნიშნავს, ე. ი. მიუთითებს იმაზე, რომ აქ ერთ დროს უცხოვრიათ არაქართულ ელემენტებს, უცხო ეთნიკური ჯგუფის კოლექტივებს.

წარსულში ლაზური სოფელი ერთგვაროვანი მოსახლეობით ყოფილა დასახლებული. სოფელი სარფი და ამ სოფლის უბნები გვარობრივი შედგენილობით ახლა სხვადასხვა სურათს იძლევა. უბნების მონეგენურობა თითქმის მთლიანად დარღვეულია, ასე მაგალითად, ზოლაპიში ოფუტეში ახლა სამი გვარის შვიდი კომლი, დუზიშ ოფუტეში შვიდი გვარის ოცდაერთი კომლი. ბინაშ ოფუტში სამი გვარის სამი კომლი ცხოვრობს და ა. შ.

მრავალგვარიანი უბნის პარალელურად დღემდეა შემონახული მონაგენური ოფუტებიც. კერძოდ, კაბამემედიში ოფუტე დასახლებულია ერთი გვარის 8 კომლით; ვანლიშების ოფუტე კი ერთი გვარის (ორი შტო გვარის) რვა კომლით.

სარფის უბანთა ნაწილი ახლა ეთნიკურადაც ჭრელია, საკუთრივ: ბინაშ ოფუტეში ორი ეთნიკური სამყაროს სამი კომლი (ორი რუსია და ერთი მკვიდრი ლაზის ოჯახია); წკამაფხა მეელეში ანუ იგივე თანდილავების ოფუტეში ორი ეთ-

---

[27] ე. ლიოზენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17, 168, 169.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოგრაფიული ჯგუფის (ერთი კომლი ჩასიძებული აჭარელია) შვიდი კომლი სახლობს; დუზიშ ოფუტეში 21 კომლიდან ერთი ოჯახი აჭარელისაა. ეს სიჭრელე ახალი ფაქტია.

სარფის უბანთა სახელწოდებანი უმრავლეს შემთხვევაში გვარიდან ან ამა თუ იმ „თოხუმის“, თუ „ძირის“ მამის სახელიდან არის ნაწარმოები მრავლობითი რიცხვის სუფიქსით („ეფე“-შის) საშუალებით. ამ რიგის უბნებია: თანდილავი ეფე-შ ოფუტე, ქესოღლ-ეფე-შ ოფუტე, ჯევარიშ-ეფე-შოფუტე და ა. შ. გარდა სარფშიც ყოფილა „ეფე-შით „ნაწარმოები უბნები, ლაზეთში ცნობილია კოხაში-ეფე-შ ოფუტე და მაისკიეშ ოფუტე. კოხაშ და მასკიეშ ლაზური გვარებია.

ოფუტეს (უბნის) სახელად ქცეული გვარის შთამომავლები სოფელში ახლაც ცხოვრობენ, კერძოდ: ვალნიშ-ეფეშ ოფუტეში-ვალნიშები, ჯევაირიშ-ეფეშ ოფუტეში—ჯევაიში, მემიშიშ-ეფეტ ოფუტეში—მემიშიშები და ა. შ.

სარფის მოსახლეობაში არალაზური ელემენტი უმნიშვნელოა, როგორც უკვე ითქვა, სოფელში ახლა ორი კომლი აჭარელი სახლობს. მათი აქ დასახლება გარკვეული მიზეზებით ყოფილა გაპირობებული, ასე მაგალითად, სარფში მცხოვრები გოგიტიძის დედა ახალსოფელში მემიშიშებიდან ყოფილა გათხოვილი. ოჯახის მამა სამამულო ომში დაიკარგა. ქვრივი მცირეწლოვანი შვილით 1941 წ. მშობლებთან დაბრუნებულა. დედულეთმა ბავშვი გაზარდა და კიდეც დაუსახლებიათ. აქ მცხოვრები მეორე, კიბელი აჭარელის ოჯახი, გვარად ლორთქიფანიძე, ჩასიძებულია თანდილავებში.

ლაზეთის დასახლებული პუნქტებიდან შედარებით უკეთესი მდგომარეობა ბაკრიალის თემშია დამოწმებული. გ. ყაზბეგის თქმით, გონას-სამუდიროში ცხოვრობს სხვადასხვა წარმოშობის ეთნიკურ-ეთნოგრაფიული ჯგუფის ხალხი, თუმცა სოფელ სარფიდან (ავტორი სირთს უწოდებს), ვიდრე ხოფამდე მცხოვრები ხალხი ლაზურად ლაპარაკობს, ე. ი. ლაზები ცხოვრობენ[28].

ახლა სარფში არაქართული წარმოშობის მხოლოდ ორი კომლი რუსია ჩამოსახლებული. ერთი მათგანი გვარად პაშკოვი როსტოველია, რომელსაც მკვიდრი ლაზი შეურთავს ცოლად და თითქმის 8 წელია, რაც ამ სოფელში დასახლებულა. მეორე, ხარჩენკო—ტომსკელია. ამ უკანასკნელსაც სარფელი შეურთავს ცოლად და აქ ჩამოსულა მუდმივ საცხოვრებლად. ამრიგად, როგორც ვხედავთ, არალაზური ელემენტი სარფში რევოლუციის შემდგომ პერიოდში ჩნდება, ადრე სოფლის მეზობელ პუნქტებში მცხოვრები ხემშინები და ქურთები ამჟამად აღარ სახლობენ ამ ზონაში, ხოლო ეს უცხო ეთნიკური ჯგუფები ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობისაგან განცალკევებით იყვნენ დასახლებული.

მოსახლეობის მიმოქცევისა და ადგილმონაცვლეობის გზით სარფში დამკვიდრებულან სხვადასხვა სოფლებიდან მოსული ლაზები, თითქმის ამ 70 წლის წინ გონიოში ადრე მოსული და დამკვიდრებული ლაზის ნაშიერები, გვარად ნუმანიშვილი (ლუმანიშვილი) გადმოსულა სარფში. ნუმანიშვილების გვარიდან ერთი ობლად დარჩენილი ბავშვი ნათესავებს გაუზრდიათ და აქვე, სარფში დაუმოსახლებიათ. ეს გვარი ახლა თითქმის ათამდე ოჯახს მოიცავს. ხუთი წლის წინ, წარმოშობით არჰაველი ლაზი (საროღლი) ოჩამჩირიდან სარფში გადმოსულა საცხოვრებლად.

---

[28] გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრომი გვ. 131.

ადგილმონაცვლეობაში საფეხურებიც შეინიშნება. მაგალითისათვის საკმარისია საროღლის დასახელება, რომელიც არაჰავედან აფხაზეთში, ხოლო აფხაზეთიდან კვლავ ლაზეთში — სოფ. სარფში გადმოსახლდა. მოსახლეობის მიმოქცევის დროს ლაზების ერთი ნაწილი აჭარის სხვადასხვა სოფლებშიც დაჭკვიდრებულა. ლაზებითაა დასახლებული ჩირუხის ხეობაში მდებარე სოფ. ერდვათის უბანი ახალშენი; ლაზები ცხოვრობენ ს. პანტნარში (ღორჯომი), სოფელ გელაძეებში (ბეღლეთის წყლის ხეობა), ხაბელაშვილებში (ჭვანის წყლის ხეობა)[29], გონიაში, ურეხში, ჭარნალში, მახოში, ზენაქედში (მახოს წყლის ხეობა), სიმონეთში, ქვედა თხილნარში, აგარაში (თხილნარის წყლის ხეობა) და ა. შ.

აჭარის ზოგიერთ სოფელში მცხოვრები ლაზები დიდი ხნის წინ დამკვიდრებულან ამ კუთხეში. გვიანდელი მოსული ლაზები ძირითადად მახოში, თხილნარში, ჭარნალში, ახალსოფელსა და გონიაში ცხოვრობენ. აქედან რამოდენიმე გვარი თითქმის ასი თუ ცოტა მეტი წელია დამკვიდრებულა აჭარის ამ თემებსა და სოფლებში; უმრავლესობა 1918 წლის შემდეგ მოსულა. სარფიდან ლაზების გადმოსახლების პროცესი აჭარაში ახლაც მიმდინარეობს.

ძველი ნასოფლარი და ერთხანს ხემშინებით ან ემიგრანტ სუნიტებით დასახლებული კალენდერე და მისი მიდამოები 1944 წლიდან სარფელი ლაზებით მოშენდა; მათი გვარებია: ვანიძე, მემიშიში, კაკაბაძე, აბდულიში და საროღლი.

ადმინისტრაციულად ბათუმის რაიონის სარფის სასოფლო საბჭოში ერთიანდება კვარიათის ის ნაწილი, სადაც ძირითადად ლაზები ცხოვრობენ. სოფ. კვარიათის ლაზებიც სარფიდან გადმოსულან. ეს გვარებია: მემიშიში (3 კომ.), კაკაბაძე (3 კომ.), ვანიძე(1 კომ.) და სხვა. ამავე დროს აქ ცხოვრობს რამოდენიმე კომლი აჭარელი. აჭარლები კვარიათში ამ ორ ათეულ წელში დასახლდნენ.

სარფის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შეკრებილი ცნობებით კვარიათი ისტორიულად გონიას თემის ნაწილია, ხოლო კალენდერე სარფელებისა ყოფილა. ილიოზენს კი კალენდერეც გონიას სასოფლო თემში შეუტანია. ლიოზენისა და ჩვენი ინფორმატორების ცნობა რამდენად შორდებიან სინამდვილეს, ამის დადგენა ძნელია, ვინაიდან კალენდერე და მისი მიდამოები დიდი ხნის ნასოფლარებია და ჩვენ აქ არც ერთი მკვიდრი მცხოვრები არა გვყავს. ოსმალთა ბატონობის დროს და შემდეგშიც კი კვარიათ—კალენდერეში ერთხანს კიდევ ძირითადად ხემშინები სახლობდნენ. ამდენად ამ ორი პუნქტის თემობრივი მიკუთვნების საკითხი ჭირს, რაც, რა თქმა უნდა, არაარსებითი მნიშვნელობის მჭონეა.

აჭარის სოფლებში დიდი ხნის წინ დამკვიდრებული ლაზების ზოგ შთამომავლებს ამჟამად აღარც კი ახსოვთ, ლაზეთის რომელი სოფლიდან ყოფილან მათი წინაპრები. ზოგი ლაზის აჭარაში დამკვიდრება მათი სამუშაოზე წასვლით იყო განპირობებული. აჭარაში ძირითადად სახლის მშენებელი ლაზები მიდიოდნენ და სარფიან სამუშაოსაც შოულობდნენ, რადგან ოსმალთა ბატონობის პერიოდში თითქმის ყველა სოფელში შენდებოდა მეჩეთები[30]. მშენებელთა ნაწილი რჩებოდა აჭარაში და იქვე ნაცნობ-მეგობრების ახლოს, „თავისუფალ“ ადგილზე სახლდებოდა.

---

[29] ვ. მგელაძე, „დასახლების მორფოლოგიის საკითხები აჭარაში“, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, 1, 1960, გვ. 111—112.

[30] აჭარის სახ. მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, საქ. 56, ფ. 68.

სარფის მოსახლეობის შემადგენლობა, როგორც უკვე ითქვა, ერთგვაროვანი არაა. მოსახლეობის მიმოქცევამ გვართა დიდი შერევა გამოიწვია. ამ გარემოებამ თავისი კვალი დაატყო ლაზური დასახლების მორფოლოგიას. გვართა მრავალრიცხოვნობა შტოგვარების წარმოშობამაც განაპირობა.

თანამედროვე მონაცემებით, თუ შტოგვარებს ანგარიშში არ ჩავთვლით, მაშინ სარფი (გამოლმა ნაწილი) მხოლოდ 15 გვარით დასახლებულ სოფელთა რიგში იქნება, ხოლო შტოგვარებიანად სოფელში ამჟამად 29 გვარია.

სარფის სინამდვილეში ოთხი „ძირია“, რომელიც რამდენიმე „მამად“ და შტოგვარად დაყოფილა, ასე მაგალითად, ერთი „ძირიდან“ ნაყარია: ვანიძე, კაკაბაძე, ვანლიში, კაბარია და ხორავა. მეორე „ძირის“ ნაყარი შტოგვარებია: კახაილიში, კახიძე, ჯევაიში, ბექირიში და ბაჭრაძე. მესამე „ძირის“ განტოტებებია: აბდულიში, და აბულაძე, ხოლო მეოთხე „ძირის“ ნაყარი შტო გვარია მემიშიში დოლიძე და ლაზიშვილი. ლაზიშვილი ახლა კვარიათში ცხოვრობს.

ზემოთ დამოწმებული პირველი „ძირი“ თავის მხრივ იყოფა სამ „მამად“. ესენია: კაბამემედიში, ხირალოღლი და ვანლიში. მეორე „ძირი“ იყოფა ხუთ „მამად“, კერძოდ: კახაილიში, კარახუსეინიში, კარახასანიში, ჯევაირიში და ბექირიში. დანარჩენი ორი გვარი კი კვლავ თითო ძირად რჩება.

სარფის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არის გვართა „ძირები“, რომელიც არც შტოგვარებად და არც „მამებად“ არ იყოფა. გვარების ამ ჯგუფს მიეკუთვნება: ლუმანიშვილი, თანდილავა და სხვა. შტო გვარების უმრავლესობა სარფის სინამდვილეში ახალია, ხოლო „ძირად“ ძველ და„ ახალ მამებად“ დაყოფა კი უფრო ძველ მოვლენად წარმოჩნდება.

წარსულში სოფელი შვიდი გვარით ყოფილა დასახლებული. ეს გვარებია: ვანლიში (ვანლიოღლი, ხირალოღლი, კაბემემედოღლი), კარახაილოღლი, (კარახასანოღლი, ჯევაიროღლი, ბექიროღლი) თანდილავა (თანთოღლი), მემიშიში (მემიშოღლი), ნარაკიძე (ჩაჭიროღლი), აბდულიში (აბდულოღლი), ლუმანიშვილი (ლუმანოღლი). ოსმალთა ბატონობის პერიოდში გვარის შტოგვარებად დაყოფა შორს არ წასულა.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში გვარის მაწარმოებლად ლაზური „შის“ და მეგრულ „იას“ ნაცვლად ოფიციალურად თურქული „ოღლი“ (შვილი) იყო ხმარებაში. მთხრობელთა თქმით თურქული „ოღლის“ ლაზური შესატყვისი „ეფე“-შია. ეფე-ში მრავლობითის ფორმაა და ქართულ „ებ“-ს ეთანაცვლება. ასე მაგალითად: ტუხიენთი, ტუხიენთ-ები, ნანიკიენთი-ნანიკიენთები, მელეგიენთი-მელეგიენთ-ები და ა. შ.

ლაზეთში, კერძოდ ათინის ხეობაში, გვარის მაწარმოებელი სუფიქსისათვის ნ. მარსაც მიუქცევია ყურადღება. ავტორის თქმით „Мне удалось уловить не Турецкую, а чисто чанску форму фамильных названий: это: ხაშაფე“ ნ. მარი იქვე დასძენს, რომ „ხაშაფე“-ს მე თურქულად მითარგმნენ „ხაშ-ოღლად», ავტორის თქმით გვარის ამ ფორმით (სუფიქს“-ფე»-თი) წარმოება მრავლობით რიცხვში დგას.[31]

ამრიგად, გვარის საწარმოებელი სუფიქსი „ეფე“ და „ფე“ ძირეულად ერთი წარმოშობისაა. „ფე“-ს თავისებური ფორმაა „ფხე“, რაც დასტურდება გურიაში და ქალის „სამშობლოს“ გვარს დაერთვის მაგალითად, ქათამაფხე, რაც

---

[31] ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 627.

მიუთითებს იმაზე, რომ გათხოვილი ქალი ქათამაძეა და ა. შ. იმერეთში, სოფელ მარანში „ფხე“-ს ნაცვლად დამოწმებულია „ხე“ სუფიქსის არსებობა ფორმით: ჯორძაიხე, ცანახე და ა. შ.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში ლაზური გვარი ხმარებიდან ვარდებოდა და მის ადგილს თურქული „ოღლი“ იჭერდა. ლაზური გვარების თურქულად გადაკეთების საკითხისათვის ყურადღება ზ. ჭიჭინაძეს მიუქცევია. ავტორის თქმით, ლაზეთში „ძველი ქართული გვარები ზოგიერთს შეუნარჩუნებია, ზოგს კი ოსმალურად გადაუკეთებია, მაგალითად, ქურდიანი ქურდოღლად იხსენიება, მარგიანი—მარგანოღლად. მარიამიძე—მარიოღლად[32]. სხვა ადგილას მწიგნობარი წერს: ლაზი შურღაია იწოდება შუროღლით, შაინია—შაინოღლათ, ჯანია-ჯანოღლად[33]. აქ და სხვა შემთხვევაშიც ამა თუ იმ „თოხუმის“ მამის სახელი გვარს დადებია საფუძვლად, ხოლო მამა-პაპური, ნამდვილი გვარი დავიწყებას მისცემია.

ლაზურ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფაქტიური პოლიგენურობაც დასტურდება. როგორც უკვე ითქვა, სარფის მკვიდრი მცხოვრებლების (ოთხი „ძირი“) ნაწილი რამდენიმე „მამად“ და შტოგვარად იყოფა. გვარის ერთი ნაწილის დაბოლოებად, ე. ი. გვარის მაწარმოებლად არამარტო ლაზური „ში“ და „ია“ **არის მიღებული, არამედ ქართული „ძე“ ან „შვილი“ მიუღიათ ოფიციალურ ხმარებაში, რაც უკანასკნელ პერიოდში მომხდარი ფაქტია.**

აჭარაში მცხოვრებ ტაბახიას ნაყარი შტოგვარებია თხილნარის ხეობის სოფ. აგარაში მცხოვრები კამპუროღლი და სოფ. სიმონეთში—კომახიძე. ეს გვარი არჰავიდან სოფ. თხილნარში 1920 წელს გადმოსულა. გადმოცემით ტაბახიას ოსმალთა ბატონობის პერიოდში შაინ-ოღლის ეძახდნენ. შაინ-ოღლის შესახებ საყურადღებო ცნობები გ. ყაზბეგს შეუკრებია. ავტორის თქმით, 200 წლის წინ ლაზეთი სარგებლობდა სრული თავისუფლებით, რაც „დერებეიბის“ გამგებელთა არწივისებური მოქმედების შედეგი ყოფილა. ლაზეთის თემების მმართველთა შორის ყველაზე ძლიერი მაშინ ტოფჩაოღლი ყოფილა, რომელიც ოსმალეთის ვასალად ითვლებოდა. ტოფჩოღლის უკანსაკნელ წარმომადგენელს: რომელიც ერთ-ერთი ლაზური თემის დერე-ბეი ყოფილა, ვაჟიშვილი არ ყოლია და თავისი ქალიშვილი ვინმე ბერძენი შაინისათვის მიუთხოვებია. სიმამრის სიკვდილის შემდეგ დერე-ბეის თანამდებობა მის სიძეს, შაინის დაუჭერია. ამ შაინის შთამომავლობის გვარი გახდა ხოჯა-შაინოღლი.

გ. ყაზბეგი იმ გარემოებასაც მიუთითებს, რომ ლაზეთში ოსმალთა ბატონობის დროს სხვა გვარებიც გააჩნდა: ხოფაში — შახბენდერი, არჰავეში—ქორდან-ოღლი, კაპისტრაში — ქიბარ-ოღლი, ათინაში—ბაცა-ოღლი და ა. შ.[34].

არჰავეში მცხოვრები ქორდან-ოღლის შთამომავლები უნდა იყვნენ ჯოჯოს ქორდანიძე და ჩაქვის ხეობის სოფ. ხალაში მცხოვრები ქორდანია.

ლაზურ სოფელ სარფსა და ეთნოგრაფიულ აჭარაში მცხოვრები ლაზების ერთი ნაწილი ქართული გვარებითაა ცნობილი, კერძოდ ბექირიშების ერთი შტო ახლა ბაქრაძეა; ჯევაიშების მოძმეთა ერთი წრე ჯავახიშვილია; კახაილიშების — კახიძე; აბდულიშების — აბულაძე; მემიშიშების — დოლიძე და ლა-

---

32 ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

33 იქვე, გვ. 47.

34 გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

ჩიშვილი. ზოგ „ძირს“ გვარი საერთოდ გაუქართულებიათ. ასეთი გვარებია: ჭორიძე, ნუმანიშვილი, ხოლო ზოგს ძველი მეგრული ფორმით შემოუნახავს თავის გვარი (თანდილავა, ხოროვა, კაბარია).

ოჩამჩირიდან სარფში ჩამოსახლებულ ლაზს ოსმალთა ბატონობის დროს ხელოვნურად შერქმეული თურქული გვარი — საროღლი შეუნარჩუნებია. ასეთია გვარი ქვაბულოღლიც.

სარფში პოლიგენური გვარების გვერდით მონოგენური გვარებიც გვხვდება. აქ შტო გვარებად არ იყოფა. ე. ი. მონოგენურობა შეუნარჩუნებია ადგილობრივ ნარაკიძეს. ამ 70 წლის წინ გონიადან სარფში ჩამოსახლებულ ნუმანიშვილს და კილაძეს, თუმცა ლაზური გვარის „ნარაკიძეობა“, „ნუმანიშვილობა“ და „კილაძეობა“, მაინც ფიქტიურია, ვინაიდან „ძესა“ და „შვილზე“ დაბოლოება ლაზურისათვის უცხოა.

აჭარის თემებსა და სხვადასხვა სოფლებში მცხოვრებ ლაზების ძირითად ნაწილს თავისი თავდაპირველი გვარები „დაუკარგავთ“ და ახლა ისინი ძირითადად სხვა, „შემთხვევით“ გვარს ატარებენ. ასე მაგალითად, გონიაში დიდი ხანია მცხოვრები მაკრიალელი ლაზების შთამომავლები ახლა ნიჟარაძეა; ჭარნალში 1918 წლიდან მცხოვრები რიზელი ლაზები დავითაძედ იწერებიან; ასევე დავითაძეა ზენაქედში მცხოვრები ლაზების ერთი ჯგუფი, რომელთა წინაპრები დუდხელები ყოფილან, ხოლო ამავე პერიოდში ძღემლიდან ჩამოსახლებული ლაზის შთამომავლები ჭელიძედ წარმოგვიდგებიან და ა. შ.

წარმოშობით ლაზები ყოფილან სოფ. სიმონეთში მცხოვრები ბეჟანიძე (1 კომლი), კომახიძეები (არჰავედან მოსული) და ხაჯიშვილები (წარმოშობით ხოფელები). უკანასკნელი ორი გვარის წინაპრები სიმონეთში ამ სამოცი წლის წინ დამკვიდრებულან. თხილნარში მცხოვრები გულაბერიძის წინაპარი კატაფხიდან მტრებს გამოქცევია და ქვედა თხილნარში დასახლებულა, მათი ერთი „მოძმე“ ახლა თხილნარში ჭელიძეა. ხულოს რაიონის სოფ. გელაძიებში მცხოვრებ დიასამიძის წინაპარიც ლაზი ყოფილა. მათი განაყოფი ახლა სოფ. პანტნარში (აგარის თემი (მცხოვრები ერთი კომლი ახლა გელაძედ იწერება. მარადიდელი მორთულაძეებიც წარმოშობით ხოფიდან ყოფილან.

აჭარის ეთნოგრაფიული მასალებით დგინდება, რომ აქ გვხვდება არა მარტო გვარგამოცვლილი ლაზური ელემენტი, არამედ ზოგ მათგანს მამაპაპური გვარი საშვილიშვილოდაც კი შემოუნახავს, თუმცა მათი რაოდენობა ძლიერ მცირეა და ზოგი მათგანი გვიანდელი შემოსახლებული არიან, ასე მაგალითად, გონიაში გვარები — აბდულიში, თანალიში და ჩიქოვანი; ურეხში — ხორავა; თხილნარში — ტაბახია და სხვები.

ჩაქვის ხეობის სოფ. ხალაში მცხოვრები ჟორდანიების ბერძნული წარმოშობის შესახებ არსებული ცნობები ხალხის ემპირიულ ცოდნასაც კი შემოუნახავს, თუმცა ეს ცნობები ჯერჯერობით დასაზუსტებელია. ამავე დროს გვარ ჟორდანიას ლ. ისარლოვი იტალიურად მიიჩნევს[35]. სამი ლაზური გვარი: ჟორდანია (ჟორდან-ოღლი); შაინ-ოღლი და მოურავიშვილი მოხსენებული აქვს პ. უმიკაშვილს სტატიაში „ოსმალოს საქართველო-გვარეულობანი“[36]. გვარი შაინ-ოღლი ავტორს აფხაზური წარმოშობისად მიაჩნია. გვარი მოურავიშვილი და

---

[35] ლ. ი ს ა რ ლ ო ვ ი, კათოლიკენი საქართველოში, თბ., 1898, გვ. 33.

[36] გაზ „ივერია“, 1877 წ., № 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უორდანია ლაზეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში პოეტ რ. ერისთავსაც აქვს დამოწმებული[37].

ამრიგად, როგორც უკვე დავინახეთ, ლაზეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოწმდება მოსახლეობის მეტ-ნაკლები გვარობრივი სიჭრელე და ამა თუ იმ (ქართული) ეთნოგრაფიული ჯგუფის მოსახლეობის ურთიერთ შერწყმა. მოსახლეობის ბუნებრივი თუ სხვა მიზეზებით გამოწვეული მიმოქცევის შედეგად მნიშვნელოვანია ლაზური ელემენტის არსებობა აჭარაში, კერძოდ, ქვემო აჭარაში — ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში. აჭარაში მცხოვრებ ლაზების დიდ ნაწილს აჭარელი ყოფის სპეციფიკური ნიშნები საბოლოოდ შეუთვისებიათ და მათი ძირითადი ნაწილი თავსაც აჭარელად თვლის. დასტურდება პირუკუ პროცესიც, აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილი ლაზურ თემებშია დამკვიდრებული. მათი ძირითადი ნაწილი „მუჰაჯირობის“ დროს არის გადასული საქართველოს ამ კანტონში და მათაც შერწყმის იგივე პროცესი განიცადეს, როგორიც ლაზებმა განიცადეს აჭარაში.

В. А. МГЕЛАДЗЕ

ОСНОВНЫЕ ВОПРОСЫ МОРФОЛОГИИ ЛАЗСКОГО ПОСЕЛЕНИЯ

Резюме

В работе особое внимание уделено вопросам структуры поселения Лазско-этническо-племенному и фамильному составу, а также миграции и расселения населения.

По историческим и этнографическим данным лазы населяли прибрежную территорию Черного моря от реки Кызыл-Ирмак на Северо-Восток до села Сарпи. Один из отрогов Тавра, опирающийся берегу моря, на наш взгляд, являлся границей между Аджарией и Лазети.

По этнографическим материалам ущелье Сарпи являлось социальной единицей типа общины (хеви||теми). Фактическими материалами лазское поселение характеризуется сложной структурой. Село предоставляет из себя органические объединения отдельных участков, обозначающихся общим термином «Офуте» (чисто лазское) или «Мееле» (Турецкое). Согласно историко-этнографическим данным, плотность лазского села ниже среднего. До османского господства этнический состав был однообразным. В настоящее время моногенность лазского села, а также отдельных участков разрушена. Установлено фактическое полигенность фамилии.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1964
Труды Батумского научно-исследовательского института, т. III, 1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. შამანაძე

მეკობრეობის ასახვა მწყემსთა პოეზიაში

საქართველოს ისტორიაში მუდამ ავად მოსაგონარი დარჩება ძნელბედობის ხანა, როცა ჩვენი მიწა-წყალი მარბიელი რაზმებისა და მეკობრეების სათარეშოდ იყო ქცეული. „მტაცებლები წვრილ გუნდებად ნაწილდებოდნენ, ულრან ტყეებს, მიუვალ კლდეებსა და ვერანა ადგილებს ირჩევდნენ ხოლმე სადგურებად და ასეთი ბუნაგებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ტაცებასა და ძარცვას ეწეოდნენ“[1]. ამასვე აღნიშნავს დაღესტნელი საბჭოთა ისტორიკოსი რ. მაგამედოვი: „ამ ჭურდულ შემოსევათა შედეგად განსაკუთრებით ძლიერ იტანჯებოდა საქართველო“[2].

შავბნელმა ისტორიულმა სინამდვილემ მხატვრული ასახვა ჰპოვა ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. რევოლუციამდელ ჩვენს ფოლკლორში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეკობრეობისა და მტაცებლობის ამსახველ ლექსებს.

გვინდა შევჩერდეთ სიტყვა მეკობრეზე. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ნათქვამია: „მეკობრე—ზღვის ყაჩაღი, პირატი“[3]. ჩვენი აზრით, ეს განმარტება დაზუსტებას მოითხოვს. მეკობრე რატომ მაინცდამაინც მხოლოდ ზღვის ყაჩაღია? შორს რომ არ წავიდეთ, „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ასეთი სტრიქონები:

როშაქ ბრძანა: „მო-ცა-ვინ-მკლავს, მე ტირილსა არ დავჰხვდები,
მინდორს წავალ, ვიმეკობრებ, ალაფითა ავივსები...“[4]

ე. ი. როშაქი მინდვრად მიდის სამეკობროდ და არა ზღვაზე.

სულხან-საბა მეკობრეს განმარტავს, როგორც მტაცებელს. მართლაც, მეკობრე არის მტაცებელი, მძარცველი, ავაზაკი, ყაჩაღი, თავდამსხმელი. მიუხედავად იმისა, იგი ზღვაზეა, ხმელეთზე თუ ჰაერში.

მეკობრეობა ძველთაგანვე ისე გავრცელებული ყოფილა, რომ მის ასალაგმავად საგანგებო კანონი მიუღიათ. „ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ“, რომელიც დაახლოებით 1325—1338 წლებშია შედგენილი, ასეთ მუხლს შეიცავს: „სამეკობრო საქმე ასე გავაჩინეთ, რომ ვინცა, ვინ მოიპაროს ცხენი, ცხვარი, ძროხა ანუ საქონელი რამე, ანუ სახლი გატეხონ და წაიღონ რაიმე და უკან წაუდგენ და მიეწევნენ, მეკობრენი შემოებნენ და მეკობრე რაზომიცა მოკლან, სისხლი გაუცუდდეს ყველასი და ნაპარევისათვის ერთი თუით იგი თავადი დაუურვონ და ორი სხვა, თავითურთ სამი შეიქნას და საქონლის პატრონი თუ მოკლას ანუ მისი მოახლე უკან მდევარი. რაზომიცა მოკუდენ, სისხლი სრული

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, 1948, გვ. 379.

[2] Г. Магомедов, Дагестан в период царского завоевания, 1940, გვ. 7.

[3] ქართული ენის ლექსიკონი, X, გვ. 433.

[4] შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1951, გვ. 246.

დაუურვონ და ნაპარევი ყუელა ამ განაჩენით იზღუეოდეს, ერთი რაც წაცდენოდეს, ორი სხუა“[5]

როგორც ვხედავთ, აქ მეკობრეობა ფართო გაგებითაა წარმოდგენილი, მასში ქურდობაც იგულისხმება. შეიძლება ვიფიქროთ, მეკობრე ერთ დროს უფრო ფართო ცნება იყო და მისი მნიშვნელობა თანდათან დავიწროვდა.

განსაკუთრებით ხშირი იყო ლეკებისა და ქისტების თავდასხმა თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთზე. მათი დამღუპველი რბევანი და გამოხდომანი მეტ-ნაკლები სიმძაფრით მთელი საუკუნეები გრძელდებოდა. ამიტომაც ვაჟა-ფშაველა გულისტკივილით წერდა: „მთელი ხევსურეთის მთები ოხრად არის დარჩენილი. ოდგან მწყემსს ქისტების შიშით ველარ მოუდის მთაში ცხვარი. ან რა სიგიჟე სჭირს, მოვლენ ქისტები და მოსტაცებენ. ამ ბოგანო ხალხმა სწორედ თავზარი დასცა მთელ ფშავ-ხევსურეთს. რაკი მთაში აღარ მოუდისთ მეცხვარეებს ცხვარი, ქისტები, ბრბოებად თავმოყრილნი, სახლებში უხტებიან და მიერეკებიან ქისტეთში აუარებელ ცხვარს და ძროხას“...[6].

მეკობრეობითა და სისხლიანი თავდასხმებით ყველაზე მეტად მწყემსები ზარალდებოდნენ, და არაიშვიათად კიდეც ნადგურდებოდნენ. სამწყემსურში მიმავალი კაცი ჯალაბს უნდა გამომშვიდობებოდა, რადგან შინ დაბრუნების იმედი არ ჰქონდა. შუღლითა და სიძულვილით მოწამლულ იმ ატმოსფეროში მწყემსობა აღზევანს მარილზე წასვლას უდრიდა.

მწყემსის საყოფაცხოვრებო პირობები მოითხოვდა, რომ იგი მამაცი და ლაშქარი ყოფილიყო. მწყემსთა უმრავლესობა მართლაც ასეა დახატული.

ამაღელვებელი ლექსი შეუქმნიათ შეუდრეკელი მეცხვარის ხუტის შესახებ. ს. მაკალათიას ჩაწერილი „საბრალო, ხუტის დედაო“, მოგვითხრობს: თუშეთის მთებს ჯანღი ეხვევა, ზეცა ღრუბლებით არის დამძიმებული, დროდადრო წვიმს კიდეც. მაგრამ ხუტის გულში დარია. იგი ცხვრის ფარას დასტრიალებს და თან მომავალ ბედნიერებაზე ფიქრობს: ჭორწილის დღე აქვს დანიშნული! ოცნებით იგი უკვე სხვა სამყაროშია: მოჯირითობენ „ცხენ ძუა გამონასკული“ მაყრები, დგას მექორწილეთა ყიჟინი და ჟრიამული, ისმის გულის დამატკბობელი სიმღერები... სადედოფლო ტანსაცმელში ბრწყინავს მისი საბედო, რომელსაც მორცხვად დაუხრია თავი და ხანდახან თუ გააპარებს ხუტისკენ მომნუსხველ თვალებს. მაგრამ მტერს არ სძინავს, ხუტის უეცრად უჩვეულო ხმაური შემოესმა, ტკბილი ზმანებიდან გამოერკვა და რას ხედავს: ქისტთა რაზმი თოფებშემართული უახლოვდება მის გაშლილ ფარას. გაიმართება გაცხარებული ბრძოლა, რომლის დროსაც ხუტი სასიკვდილოდ დაიჭრება. მომაკვდავ მწყემსს კვლავ თავის ქორწილზე ფიქრი არ ასვენებს და ირონიულად მოსთქვამს:

„ივეთიმ ქორწილ რა არის, ნეფეც არ ეჯდეს გვერდსა,
თავზე არ ედგას გვირგვინი, არ ამშვენებდეს სახლსა,
ან გვირგვინ როგორ დაედგმის, მტრის ხელით დაჭრილ წევსა,
დღე-ღამე გმინვით ათენებს, გული საკვირვლად კვნესსა“[7].

ასეთივე ტრაგიკულ ამბავს გადმოგვცემს ვაჟა-ფშაველას ჩაწერილი ლექსი „ცხვარი ჰყავს ფშავის ჩობნებსა“. ფშაველი მეცხვარეები ფარას ალაზნის ნაპი-

---

[5] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. სამართლ. ისტორია, წიგ. I, 1928, გვ. 93.
[6] გაზ. „ამირანი“, 1908 წ., № 98.
[7] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშური ლექსები, გვ. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებზე აბალახებენ. მათ უცებ თავს დაესხმიან თათრები. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში განსაკუთრებით თავს გამოიჩენს ყაყიჩი შავერდაშვილი, რომელიც „ქორსა ჰგავ მაღლის მთისას“. მაგრამ თავგანწირულმა ბრძოლამ მოზღვავებული ყაჩაღებისაგან მწყემსები ვერ იხსნა და ცხვრის ფარა თათრებმა წაიტაცეს. ლექსი მთავრდება ჩობნების ტირილით:

„ვინ ჩავა სათათროშია, კვალს ვინ ჩაჰყვება ცხვრისასა,
ვინ გაგვიბრუნებს ბელადსა ურჯულო თათრებისასა“![8]

გვაქვს ამ ლექსის თ. რაზიკაშვილისეული ვარიანტიც, სათაურით „მეჯოგეს სიკვდილი“[9]. ჩვენი აზრით, სათაური მთქმელისა თუ ჩამწერის მიერ თვითნებურად არის შერქმეული. ლექსში არ ჩანს, რომ ყაყიჩი შავერდაშვილი თათრებმა მოკლეს; უკანასკნელ დროს მოპოვებული მასალებიც გვიჩვენებს, რომ იგი სულ სხვა ვითარებაში და სულ სხვა მოწინააღმდეგის მიერ განიგმირა. თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეების მცხოვრები სამოცდათხუთმეტი წლის კიმოთე ჩეთელას ძე შავერდაშვილი გადმოგვცემს: „ყაყიჩა შავერდაშვილი სახელოვანი კაცი იყო, მეცხვარე, ყაჩაღმა მოკლა. ეს ყაჩაღი იყო ქიზიყელი მწერლის (მდივნის) შვილი, მიხა ერქვა... ყაყიჩას ეთქვა: მიხა ზოგს უნაგირს ართმევს, ზოგს კიდევ სხვა რამესო. ამიტომ სადაც შევხვდები, იქ მოვკლავო. ეს გაუგია მიხას და თვითონ მოუკლავს ყაყიჩა. ეს იქნება ნახევარ საუკუნეზე წინანდელი ამბავი“[10].

როგორც ვხედავთ, კიმოთე ლაპარაკობს ათას ცხრაას ხუთელი პარტიზანის მიხა ჭუჭულაშვილის შესახებ, რომელსაც მეფის მოხელეები ულმობლად გაუსწორდნენ[11].

მეკობრეები ზოგჯერ მწყემსთა სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ და ქარის მთესველნი ქარიშხალს იმკიდნენ, თავაშვებული მოქმედების მსხვერპლნი ხდებოდნენ. ეს კარგად ჩანს ხვედია გუდამაყრელისადმი მიძღვნილ ლექსში, რომელიც თავისი მებრძოლი სულითა და პოეტური არქიტექტონიკით ენაოესავება ცნობილ ბალადას „შემომეყარა ყივჩაღი“. ოსმალეთიდან ნადავლისათვის წამოსული თათრები შემოხვდებიან ხვედიას და მბრძანებლური ტონით მიმართავენ: „ფშაველო, მოგვეც ჩიხტაო“. შემდეგ მოქმედება ჩვეულებრივ ვითარდება.

„მე ჩიხტას ვერას გაჩუქებთ,
ფარა მაბარავ სხვისაო;
შემოეტივა თათარი,
იმედიც აქვის ცდისაო;
გაჯავრებული მემცხვარე
საბეში შაიკვრისაო.
თათარს დაადვა მაჟარი
მარცხენა ძუძუს ძირსაო;
გადაგორდება თათარი,
ვერს სისხლი ამოსდისაო...“

---

[8] ივერი საქართველო, წიგ. I, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 492.
[9] ხალხური სიტყვიერება, ტ. III, მ. ჩიქოვანი რედ., გვ. 98.
[10] ჩემი მასალებიდან.
[11] მ. ჩიქოვანი, 1905—1907 წლების რევოლუცია და ქართული ხალხური სიტყვიერება, ლიტ. ძიებანი, X, 1956 წ. გვ. 296.

ხვედიას უხარია, რომ მტერზე გულის ჯავრი ამოიყარა და მოძალადეს სა-კადრისი პასუხი გასცა:

„შარშან რომ თუშებ დახოცეთ,
იმათას ვიღებ სისხლსაო!“[12].

ამაყად შესძახის იგი თათრებს. ამიტომაა, რომ ხვედია უყვარს ხალხს და ასე მიმართავს მას მეორე ლექსში:

„ხვედია გუდამაყრელო,
შენ დედამც ცხონდებისაო,
შენ მახკალ თათრის ბელადი,
როგორ დასწონე გმირსაო!“[13].

ვაჟკაცის გმირული სახელი ყველა კუთხეში ელვის უმალ ვრცელდება. ასეთი ბედი სწვევია მოხევე ალოშკა გოდეათას, რომელსაც თავი გამოუჩენია მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლაში:

„ე მაგან დააყრევინა ცხენები მემცხორისაო,
ამხანაგებიც კარგი ჰყავს, არ გაუტეხენ პირსაო“.

ალოშკას ამბავი შორს გავარდნილა, ოსმალეთში მყოფ თუშ მწყემსებსაც გაუგიათ და თავიანთი მოძმის ვაჟკაცობით აღფრთოვანებულან, ისინი გმირის სიყვარულით მის სოფელსაც ქებით იხსენიებენ:

„იტყვიან სტეფანწმინდასა, სოფელი არის გზისაო,
ორპირად არის ერობა, მადლი ტრიალებს ღვთისაო“.

ალოშკა გოდაეთი ალ. ყაზბეგის წინაპრებთან დაახლოებული ყოფილა, მას გიორგი და დიმიტრი ყაზბეგების მურავად უმუშავია[14].

ლექსი ალოშკაზე რამდენიმე ვარიანტად არის ცნობილი. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც გიორგი ჯამარჯიშვილის თქმითაა ჩაწერილი, პ. უმიკაშვილის შენიშვნა ახლავს: „იოსებ გიგაურის (ბრმის) გამოთქმულია“[15].

პ. უმიკაშვილის უბრალო შენიშვნასაც კი ფოლკლორული საკითხების კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს, რომ მისი ყოველი გამონათქვამი უკრიტიკოდ მივიღოთ. არა გვგონია, აღნიშნული ლექსის ავტორი იოსებ გიგაური იყოს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ასეთი დასასრული აქვს:

„ამა ლექსისა მოთქომი თუში ვარ, მწყემსი ცხვრისაო.
ზაფხულის თრიალეთზედ ვარ, ზამთრის ალაზნის პირსაო,
მიყორს ვაჟკაცის შექება, ეგ ხასიათი მჭირსაო!“.

ლექსის შინაარსი ისეთია, ისეა აღწერილი ალოშკა გოდაეთის მშობლიური მხარე, მისი ხალხი, რომ უეჭველია, ყველაფერი ეს სხვა კუთხიდან მისული ადამიანის თვალით არის დანახული:

---

[12] დ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები, გვ. 51.
[13] ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 404.
[14] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება. გვ. 62.
[15] იქვე, გვ. 557.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაგათი ბერიკაცები სუდნია ხელმწიფისაო,
მაგათ რიგსა და საქმესა ყველაი კაცი ჰკვირსაო,
გამოვლენ ახალგაზრდანი, ანგელოზნია ცისაო,
მაგათ უჭირავთ სიმაგრე ყუროისა და ცდისაო“.

ლექსის დასაწყისშიც არის ერთგვარი მინიშნება, რომ იგი თუშმა შექმნა:

„შორად წავიდა ამბავი, ქება მაგ კაი ყმისაო,
ოსმალში თუშის შვილებსა სანათქმელად აქვს ისაო“.

ჩვენი აზრით, ლექსის ავტორია თუში, რომელიც ხევს კარგად იცნობს და მოხევეებთან ახლო ურთიერთობა აქვს. თავისთავად საინტერესოა ის ფაქტი, რომ თუში მოხევეზე ამღერდა და მისი გმირული თავგადასავალი შთაგონების წყაროდ გაიხადა. ამგვარი შემთხვევები ხშირია ჩვენს ფოლკლორში, რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ახლო სულიერ კავშირზე მიუთითებს.

მეკობრეობის ამსახველი ლექსები იმდენია, რომ ყველა მათგანის განხილვა კი არა, ჩამოთვლაც გაჭირდებოდა. „მწყამსის სიკვდილი“[16]; „მეითის მოკვლა“[17]; „დილღვლების დასხმა ლაგაზიანთა ცხვარსა და ჯაროვანზე“[18]; „ფუნჩა ჯამრულის სიკვდილი“...[19] ფუნჩაზე ლაპარაკია მეორე ლექსშიც: „ფუნჩა და მანგია“:

„კახეთს რად ღბრუნავ, ფრუნჩაო, გან სპილენძი ხარ ცვრიანი?
ერთხელ ფშავშიაც წამოდი, ბაკი მანდ გიდგა ცხვრიანი;
შაჰხედენ ნაქერლის გორსა, ვაც-ვერძ შაგიფთხვა თხიანი,
ძილს უძიოდა მანგია, ლეკებმ მაიღეს გრიალი“[20].

ამ ლექსის მიხედვით ლეკები მანგიას კლავენ, ფუნჩა გადარჩება. მაგრამ არც მას უწერია დიდი ხნის სიცოცხლე, სულ მალე მომხდურთა ხელმა ისიც იმსხვერპლა:

„ატირდა ფუნჩაის ცოლი გულსრულად გულარეული,
გაჰხედავს ალაზნის თავსა—ბაკია გადარეული,
აღარცადა ჩანს ცხვარ-მწყემსი — მთა არი გადავლეული,
ფუნჩა ბინაში დამრჩალა, სისხლშია ამოთრეული“![21].

ანალოგიური ხასიათისაა „ვაკნეს-აყეფდეს ყორნები“. ლექსი თავისებურად იწყება: ყორნები გრძნობენ მომავალ ხოცვა-ჟლეტას და ყეფენ სიხარულით, რადგან ამის შედეგად საზრდოს იშოვნიან. ხალხის რწმენით, ყორნებს მართლაც გააჩნიათ იმის ინსტიქტი, რომ მიხვდნენ, თუ სად დაიღუპება რაიმე სულიერი, და იქით მიფრინავენ. გამართლდა წინათგრძნობა:

---

16 თ. რაზიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. III, გვ. 97.
17 ს. მაკალათია, თუშური ლექსები, გვ. 82.
18 ა. შანიძე, ხევსურული პოეზია, გვ. 55.
19 თ. რაზიკაშვილი, დასახ. კრებ., გვ. 23.
20 ა. შანიძე, დასახ. კრებ., გვ. 45.
21 თ. რაზიკაშვილი, დასახ. წიგ., გვ. 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტერელოს ჭა ღას ჩამადის სამის გუროვლის კვალიო,
ბასოხ ჯიდის პირ შაუკრეს, ჩრდილში არ უდის ცხვარიო.
ცხვარ-წყემსი მაუვიდოდა, ერთუცს არ უგეს თვალიო“.

მეცხვარეები იდუა და ხოლიგა მედგრად დახვდნენ ყაჩაღებს და ერთი მომხდურთაგანი კიდეც სიცოცხლეს გამოასალმეს. მაგრამ მოძალადეებს მაშველი ძალა გაუჩნდათ და ბრძოლის ბედიც მათ სასარგებლოდ გადაწყდა.

„წინ-წინ ხოლიგას დაგვიკრეს, არ მისცეს ომის ხანიო...
მერმე იდუას დაგვიკრეს, სრუ იძვრის მთა და ბარიო“[22].

ხალხის ხსოვნაში დღემდე ცოცხალია მეკობრეთა წინააღმდეგ იოსებ ხარანაულისა და მისი ბიძაშვილების გიორგისა და ტინკოს ბრძოლის ისტორია. უნდა ითქვას, რომ იოსები ამ ბრძოლის გარეშეც ხშირად იხსენიება ლექსებში, როგორც ცხვრის დიდი ფარების მეპატრონე და დაქირავებულ მწყემსთა „ხაზეინი“. მაგალითად, იგი გვხვდება სატირულ ლექსში, რომელშიც სიმამრი თავის სიძეს დასცინის:

„ზევიდან ჩამოგივლია
ჩემო ცანცარა სიძეო,
წითელ ახალუხ ჩაგიცვამ,
შიგ კი არაფერ გიდეო,
ცხვარსა თავისას ეძახი,
ზოგი იოსებს ჰკითხეო,
მწყემსი ხარ ხარანაულის,
თავი კი გაიმდიდრეო...
გომიდან ნეხვი გახვიტე
ზურგით კი შეშა ზიდეო“...[23].

ზემოხსენებულმა მთქმელმა კიმოთე შავერდაშვილმა ხარანაულებისა და თათრების ბრძოლაზე ჩაგვაწერინა ლექსის ნაწყვეტები და თანაც იოსების შესახებ საინტერესო ცნობა მოგვაწოდა: „მამისიმედის შვილი იოსები კარგი მეომარი ყოფილა, რომელსაც ერეკლეს დამცველ ჯარში უმსახურია. მან თათრებთან ბრძოლაში დიდი ყოჩაღობა გამოიჩინა. თვალის შევლება ვერ მოასწრეს, ისე გადმოიგდო თოფი და დაახალა ერთ მათგანს. ამავე დროს თათრის თოფიც გავარდა, რამაც გიორგი იმსხვერპლა. მერე გადავიდა იოსები ხმლით ბრძოლაზე და ცხრა მომხდურს მოუსპო სიცოცხლე, დანარჩენები კი გაიქცნენ. იოსები ამ ბრძოლაში დაიჭრა, ბეჭში იყო დაჭრილი“[24].

ეს ცნობა ემთხვევა ხარანაულების ბრძოლის ამსახველი ლექსის შინაარსს, რომლის უძველესი ვარიანტიც გრ. აფშინაშვილს გაზეთ „ივერიაში“ 1893 წელს დაუბეჭდავს:

---

[22] ა. შანიძე, დასახ. წიგ., გვ. 49.
[23] ფოლკლორული არქივი, კ. 22—24.
[24] ჩემი მასალებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იოსებ ხარაბაულსა
საომარ ეტყვის მხარია,
გიორგის ეტყვის შავიდეთ,
იოს დავავლხათ თვალია;
ტინკოც თან წამოიყვანე,
ორნივ წამიდით ძმანია“.

მართლაც, ჩავიდნენ რა ივრის პირზე, სადაც საძოვრები ჰქონდათ და ნახირაც იქ ჰყავდათ, უცებ წინ ჩასაფრებულ თათართა რაზმი გადაუდგათ[25]. იოსებს თითქოს კიდეც გაეხარდა მათი დანახვა და ვაჟკაცურად შესძახა:

„—გეძებდით, მქონდა ჯავრია,
დამპარეთ კოგით ცხენები,
შური მაქვს საძებარია“.

გაჩაღდება ბრძოლა. ორივე მხარე თავგამეტებით ომობს. მთქმელი მიუდგომლობას იჩენს, მოსწონს მტრის სიმარჯვეც, „თათრებიც კარგი ყმანია“; აღიარებს ივი. მისი გულისყური მაინც იოსებისკენაა:

„იოსებს თოფი აჩექნა,
თათარს დაჰკლიჯნა ყბანია;
ცაატრიალა ტყვიამა,
როგორც ბორბლის ფრთას წყალია!
მობრუნდეს იოსებს დაჰკრა,
დასჭრა, მოსტეხნა მხარია.
მეორემ გიორგისა ჰკრა —
დაიძრნა მიწა, ცანია;
მიწას დაეცა გიორგი,
დგომის არ აქვს ძალია.“

გიორგის მოკვლა და იოსების დაჭრა ძვირად დაუჯდა მტაცებელს: ივრის პირებზე რამდენიმე თათრის გვამი დარჩა. მაგრამ ეს ვერ ამშვიდებს მთქმელს და ამ ტრაგიკულ ამბავს მწუხარებით იგონებს:

„აჰა ლეკსისა მთქმელისა
სახლი ნაპირსა არია,
რომ სთვლიდა, ასრედ სტიროდა,
როგორც ძმა-მოკლულ ქალია“[26].

მოთარეშენი ისეთი ღრმა სიძულვილით მოდიოდნენ, რომ ბავშვებსაც არ ინდობდნენ.

---

[25] ხალხი ხშირად თათარს უწოდებს ყველა უცხო ტომის მეკობრეს (ნ. შ.)

[26] „ივერია“, 1893 წ., გვ. 19.

ფშაველ მწყემსებს შირაქში ომი ჰქონდათ ლეკებთან. იქ ამ უბედურებას შემთხვევით ესწრებოდა პატარა ფშაველი. ლეკებმა მას თვალი მოჰკრეს თუ არა, მივარდნენ ამოღებული ხანჯლით და მხეცურად მოუსპეს სიცოცხლე. მამაცი მწყემსის ბერიძის მიმართვაზე:

„ე მაგას ნუ ხკლავთ, რჯულძაღნო,
ან ეგეც მეომარია?!“

ლეკებმა უპასუხეს:

„ე მას ისით კვლავთ, ბერიძე,
შური გვაქვს საომარია,
ნაშოვნის მაგიერადა
შენ გვათრევინე მკვდარია“[27].

სამწყემსურში ძვირად ფასობდა შეუდრეკელი და უშიშარი ვაჟკაცი. იგი თანამოძმეთა იმედი იყო და მტერსაც ჰქონდა მისი მორიდება. მწყემსებს ღრმად სწამდათ, რომ მტრის წინაშე ქედის მოხრა და ფარ-ხმლის დაყრა აუნაზღაურებელი სირცხვილია, რასაც სიკვდილი სჯობია. აი რას ამბობს თავდამსხმელი ლეკების წინააღმდეგ მებრძოლი თუში მეცხვარე:

„—სირცხვილიანის შინ წასვლას,
სიკვდილ სჯობ ნამუსიანი,
სანგლადა ცხენი მეყოფა,
სუდრადა—ველ-შამბიანი“[28].

მაგრამ მწყემსთა შორის ყოფილან ისეთებიც, რომლებსაც სიკვდილის შიშით თავიანთი ნახირიცა და ამხანაგებიც მტრის ხელში მიუტოვებიათ და ლაჩრულად გაქცეულან. ლექსი „ქურსიკი“ მოგვითხრობს ფშავში ლეკთა ერთერთი სისხლიანი თარეშის შესახებ. მამაცმა მწყემსმა ქურსიკმა, რომელიც „არწივსა ჰგვანდა მთისასა“, შავი დღე დააყენა მომხდურს. მაგრამ ასევე არ მოიქცა იმედურის ქავთარი, რომელმაც თავგანწირულ ბრძოლას გაქცევა ამჯობინა. მთქმელი მას სინანულით მიმართავს:

„შე იმედურის ქავთარო,
ვაი დედასა მტრისასა!
წელს თავად გამაჰქცეულხარ,
შარშან ამბობდი სხვისასა!“[29].

ზოგჯერ ბრძოლიდან გაქცეული მწყემსი გრძნობს, რომ დიდი დანაშაული ჩაიდინა და თვით გმობს თავის საქციელს:

---

[27] ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 216.
[28] თ. რაზიკაშვილი, დასახ. წიგ., გვ. 277.
[29] თ. რაზიკაშვილი, დასახ. წიგ., გვ. 53.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცხვარ ჩამოვრეკეთ წყალზედა,
დიდ ოთხშაბათი დღე არი;
ჩამოგვერივნეს თათრები,
დადგა თოფების ტყრიალი.
...მე და უჭკუა დავბრუნდით,
სულ ხომ ტკბილია, ტიალი!
ვაი ჩვენს ვაჟკაცობასა,
ისევ ქალი გვჯობს თმიანი“!...[30].

მწყემსები დასცინიან და სატირის ცეცხლით ებრძვიან მხდლებსა და ლაჩრებს, რომლებიც თავდამსხმელთა წინაშე ცხოველურ შიშს განიცდიან და მარტო თავიანთ გადარჩენაზე ფიქრობენ.

ერთ-ერთ ლეკსში მოთხრობილია, რომ იალაღიდან დაბრუნებული მეცხვარეები ცეცხლის პირას სხედან და ვახშმის თადარიგში არიან. უცებ თოფი გავარდება:

„ქოქორიშვილი ვეფხვივით
წამს ფეხზე წამოხტებაო,
ალექსი ჯიხოშვილი კი
ხის ფულფუროში ძვრებაო,
შეშინებული, საბრალო,
მაღლა ღმერთს ევედრებაო,
ანდრია გარსევანიძე
მას გვერდით მიუჯდებაო,
თოფსა დაიდებს ბალიშად,
მხართეძოს წამოწვებაო,
შველაშვილი კი გაიქცა,
თოფი ბინაზე რჩებაო...“[31].

ჩვენ ვილაპარაკეთ უცხო ტომთა თარეშისა და მტაცებლობის შესახებ. რა ითქმის ამ მხრივ ქართველებზე? ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ქართველი ტომების გარკვეული ნაწილი ზოგჯერ არ ჩამორჩებოდნენ მეზობლებს მეკობრეობაში. მაი მეკობრეებს არა ერთხელ გამოურეკიათ სხვა ხალხთა ცხვარ-ძროხანი. სწორედ ეს მდგომარეობა აწუხებდა ვაჟა-ფშაველას, როდესაც წერდა: „ფშაველები და ხევსურები ქისტების თავიდან ასაშორებლად ძველს მამა-პაპურს საშუალებას ჰსახავენ: „თუ როგორც ჩვენი მამა-პაპანი ჰლაშქრავდნენ ქისტებს, ჩვენც ისე არ დავლაშქრეთ, ხეირი არ არის, ქისტები არ მოისვენებენ და არც ჩვენ დაგვასვენებენო. ამასღა ფიქრობს გაბრაზებული და გამწარებული ხალხი და ის კი ავიწყდება, ამგვარ ლაშქრობას რა შედეგი ექნება“[32].

ქართველი ტომების გარკვეული ნაწილის მეკობრეობა ისტორიულ წყაროებშიც დასტურდება. მაგალითად, ვახუშტი გადმოგვცემს, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისში, როცა დავით III მეფობდა, კახელთა და ლეკთა დამოკიდებულება გაუმჯობესდა. მათ შორის ზავი დამყარდა, მაგრამ მშვიდობა თუშებმა დაარღვი-

---

[30] დ. ხიზანაშვილი, დასახ. წიგნ., გვ. 99.
[31] ფოლკლ. არქივი, კ. 22.
[32] ვაჟა-ფშაველა, ტ. 7, 1956, გვ. 434.

ეს: „ხოლო კახთა და ლეკთა ზავთა შორს წავიდნენ თუშნი, მოსრნეს ბრძოლითა ჰპოვეს ლეკნი და მწყემსნი და წამოიღეს არვე დიდძალი...“[33].

თუშთა თარეშის ერთ-ერთ შემთხვევას გადმოგვცემს ივ. ბუქურაულის ჩაწერილი ვრცელი ლექსი „მთასა შევხედე“. შესავალში აღწერილია ბუნების გამოღვიძებისა და პირველი გაზაფხულის სურათი. ზამთრის გასვლას ელოდნენ მარბიელნი, რომლებმაც:

„კაცი გაგზავნეს სოფლადა,
თუშნო, გავიდეთ ველადა,
მთა გაშრა, მიწა გამოჩნდა,
ახლა ველობის ხანია“.

მართლაც დაირაზმებიან თუშები, წინ მამაც ქავთარს გაიძღოლებენ და გადავლენ ლეკეთში, სადაც:

„ცხვარი ბევრი მოაქუჩეს,
ეკვსასი ფაროვანია;
წყემსებიც ბევრი დახოცეს,
ბაკებს გაუღეს კარია,
ცხენი და ძროხა აქუჩეს,
მრავალი საშოვარია“.

მაგრამ ლეკები უბრძოლველად როგორ დაუთმობდნენ თავიანთი მონაგარს. შეიქმნა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი:

„ხმალდახმალ თუშნი ჩავიდნენ,
ღმერთო, დასწერე ჯვარიო!...[34].

გაიძახის მთქმელი, თითქოს ბრძოლა მის თვალწინ ხდებოდეს.

თუშებმა იმარჯვეს, არა თუ მოიგერიეს ლეკების ჯარი, არამედ მთლიანად გაანადგურეს იგი და შინ აურაცხელი ნადავლით დაბრუნდნენ.

აღნიშნულ ლექსს მეტად საინტერესო ცნობა ახლავს: „თუშები რომ სამტაცებლად ჭარამდის ჩადიოდნენ, გვიმტკიცებს ის, რომ თუშეთიდან დაწყებული ჭარის თავამდის სულ მთა-მთა, უმთავრეს კავკასიონის ქედის ზურგზე ჩაღის საცალფეხო ბილიკი, რომელსაც „სათუშო ბილიკს“ უწოდებენ, ეს ბილიკი ახლაც ატყვია. ჭარის თავში ერთ მთაზე დევს დიდი ქვა, რომელზედაც თუშები თარეშობის დროს სჭედავდნენ ცხენებს“.

ლეკების წინააღმდეგ თუშ მეკობრეთა გააფთრებული ბრძოლის სურათს გვიხატავს აგრეთვე ლექსი „ლეკეთში ლეკი გადიდდა“. ლეკები, რომელსაც ხაზე მეთაურობს, მომზადებულნი დახვდნენ თავდამსხმელებს. მაგრამ თუშებმა აქაც გაიმარჯვეს და ხაწე თავის ფარასთან ერთად ტყვედ წამოიყვანეს[35]. ლექსში „ჭისტეთზე თარეში“ მოცემულია ფშაველთა ლაშქრობის ერთი ჩვეულებრივი ამბავი. აქ საინტერესო მომენტთან გვაქვს საქმე: ციხელათ ობოლა მსხვილი მე-

---

[33] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 206.
[34] ძველი საქართველო, წიგ. I, გვ. 90.
[35] ხალხური სიტყვიერება, წიგ. I, გვ. 72.

საკუთრეა, მოჯამაგირეები ჰყავს. იგი დარაზმავს თავის დაჭირავებულ მწყემსებს და გაუძღვება წინ ქისტების დასარბევად:

„გადააგლივნა ხევ-ხუვნი. გადააბნელნა მთანია,
ჩავიდენ ბორკილაშია, სუ ადგა ღვთისა თვალია.
ორშაბათ თენებისასა დირლოს დახიეს წყალნია,
წინ-წინ მივარდა ბაკზედა ციხელათ ობოლაია.
თოფი ჰკრეს ქისტიშვილებმა: — ეხლა აბრუნე ცხვარია!“.

ერთმა ფშაველთაგანმა, რომელსაც ძიუნა ერქვა, დაინახა რა, რომ მისი მეპატრონე განგმირული დაეცა, სასოწარკვეთილებით შესძახა:

„ვაჰ თქვენს ძიუნას ქისტებო, ტყვიავ, ჰყოფილხარ ჩქარია“.

მისი უკანასკნელი სიტყვებია:

„მწყემსიც აღაზე მოკვდება, არ დაანებოს თავია!“[36].

უსამართლობასა და ძალმომრეობის ბნელ ეპოქაში ბევრს ძიუნასავით ჰქონდა გონება დახშული: ციხელათ ობოლაებს ერთგულად ემსახურებოდნენ და მათი ბოროტი მიზნებისათვის სიცოცხლესაც არ იშურებდნენ.

ლექსები ფართოდ ყოფილა გავრცელებული ომან ხაჩიშვილზე, რომელიც ბელაქანში გადადიოდა და ლეკების ნახირს იტაცებდა. პ. უმიკაშვილის კრებულში მასზე ორი ლექსია დაბეჭდილი[37]. იქვე მოცემულია ცნობა ხუთი დანარჩენი ვარიანტის შესახებ, რომლებიც 1870—1871 წლებშია ჩაწერილი[38]. მითითებულია, რომ ომანას გვარი ვარიანტებში სხვადასხვაგვარად იკითხება: ფხა ჭისშვილი, ხაჭიაშვილი, ხაჩიშვილი, ხაჩაშვილი, ხაციშვილი. უნდა შევნიშნოთ, რომ ომანა ყაჩიშვილადაც იხსენიება[39]. მთქმელები მას უებრო ვაჟკაცად გვიხატავენ. იგი არა მარტო ფიზიკურადაა ძლიერი, არამედ მოხერხებულიც არის:

„ბელაქანს შემოუარა, ბახჩა ნახა დასამალი.
შვიდი კამეჩი დათვალა, შვიდივ ზაჭიანი არი...
შენი ომანი მოგიკვდეს, ვერ გაჩვენო გურჯაანი!“
წამოუარა. გარეკა, — ომან მოყაზახე არი!“

მეორე ლექსში მოთხრობილია კახეთში ლეკთა რაზმის გამოსვლისას და მის წინააღმდეგ ქართველების შესახებ, რომლის დროსაც ომანა ჩვეული გმირობითა და თავგანწირვით იბრძოდა, სანამ ვაჟკაცური სიკვდილით არ დაეცა.

კიდევ უფრო სავალალო ის იყო, რომ მეკობრეობა და მესისხლეობა თვით ქართველ ტომებშიც ვლინდებოდა. ისინი არაიშვიათად სძარცვავდნენ და აოხრებდნენ ერთმანეთს. უფრო მეტიც: იყო შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ტომის შიგნითაც ცალკეულ გვართა შორის ძმათამკვლელი თავდასხმა და ძარცვა-გლეჯა ხდებოდა.

ზოგჯერ ესა თუ ის ტომი მეკობარ მეზობელს ხელს უწყობდა, რომ ჩვენი მწყემსები დაერბია და აეწიოკებია. მაგალითად, „ქისტების ლაშქარს ხშირად პირიქითი ხევსურები მოუძღოდნენ, გადმოდიოდნენ ფშავის ხევში და მოსახლე-

---

[36] თ. რაზიკაშვილი, დასახ. წიგ., გვ. 38.
[37] პ. უმიკაშვილი, დასახ. წიგ., გვ. 69.
[38] იქვე, გვ. 558.
[39] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, IV, გვ. 296.

ობას იკლებდნენ, იტაცებდნენ მათ ცხვარ-საქონელს, ტყვეებს და ნადავლით უკან ბრუნდებოდნენ“[40].

მძიმე სურათს გვიხატავს ლექსი „მამუკა ქალუნდაური“. სოფელ გიორგიწმინდაში თუშები თავს დაესხმებიან იალაღებზე შეფენილ ხევსურთა ფარას და გაიტაცებენ. მამუკა მყისვე აისხამს იარაღს, დაედევნება ყაჩაღებს და შესძახებს: „თუშებ, დაყარეთ ცხორია“. მაგრამ თუში მარბიელნი ნადავლს არ დასთმობენ და ცეცხლს გაუხსნიან ხევსურს. უთანასწორო ბრძოლაში მამუკა სასიკვდილოდ დაიჭრება. მისი უკანასკნელი ნატვრაა, რომ თავდამსხმელებს სამაგიერო გადაუხადოს:

„ამბობდა ქალუნდაური: ნეტავი გამამთელაო,
გზა სათუშეთოთ მასწავლა, ბორბლის წვერ გამავლიაო,
სად სახლობს მექობაური, შინამც ვინ შამაჩინაო,
მეშველიმც გაგვიგვიანა, ერთუთიმც დაგვაცდიაო,
ივანეს ცოლს და დედასა თვალითამც აცქერიაო,
ერთიმც ვინ გამაქნევია, მემრ მამკლა, დამაწვინაო“[41].

მოძმეთა მტრობის მსხვერპლი გამხდარა მეცხვარე დავით ჩიღოელიძეც. იგი წოდა თუში ყოფილა, რომელსაც იარაღმომარჯვებული ჩაღმა თუშები გარს შემორტყმიან. სასიკვდილოდ განწირული დავითი გაკვირვებული გაიძახის:

„აქამც ვინ შემომიჩინა შვილები ჩემის ძმისაო?!“.

ლექსი მთავრდება იმ მწუხარების აღწერით, რაც ჩიღოელიძის სიკვდილმა მთქმელის გულში გამოიწვია:

„—ავ ვაჰმე, ჩემო დავითო, ციხევ, სიმაგრევ ქვისაო,
ან ამ ჯავრ როგორ შევჭამო, დავითო, შენი მტრისაო?“
გაგვიშავდება, დავითო, ბინები შენის ცხვრისაო,
ველარ გაიშლებ ვებუში გამთეთრებელი მთისაო“[42].

თუშებისა და ფშაველების გაცხარებული ბრძოლის ამბავს გადმოგვცემს მრავალ ვარიანტად ცნობილი „ლაშარს მოვიდა თილისძე“. თუშებს, რომლებსაც თილისძე მეთაურობდა, გაულაშქრიათ ხოშარაზე და მთელ სოფელში ცეცხლის კვერი დაუტრიალებიათ. ფშავლებს პირველ ხანებში ძალა მოუკრებიათ და თავდამსხმელები ისე გაუნადგურებიათ, რომ მარტო თილისძე გადარჩენილა. მაგრამ ბოლოს თუშებს მაშველი ძალა მისვლიათ და გამარჯვებაც მათ დარჩენიათ. შემდეგ თილისძე თითქოს ცოდვების მოსანანიებლად ფშაველთა სალოცავში მისულა და ლაშარის ჯვარის „სამსხვერპლოდ“ „თეთრი ქორაი ხარი“ მიუყვანია:

„ლაშარს ჩავალის თილისძე,
გულდიდად დაჯდებ ჯარიო,
გარშამოერტყნენ ფშავლები,
როგორც რომ ბატონს ყმანიო.

---

40 ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 84.
41 პ. უმიკაშვილი, დასახ. წიგნ., გვ. 41.
42 ს. მაკალათია, თუშური ლექსები, გვ. 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—აქ არ მოგესვლებოდა, თილისძე,
დიდი ჰქენ ცოდვა ბრალიო,
დასწვი, დადაგე ხოშარა,
ცამდის აუშვი ალიო“.

ფშაველთა სალოცავში მისულ თილისძეს ქედმაღლურად უჭირავს თავი, თითქოს ლაშარის ჯვარი თვითონ იყოს და ხალხი „სამხვეწროდ“ მასთან მიდიოდეს. იგი ფშაველებს კვლავ ემუქრება და იარაღს აჟღარუნებს:

„მაგის მემრ ვიამბობთ, ფშაველებო.
როცა გამოშრეს მთანიო;
...ტყემ დაისხას ფოთოლი,
ვეხედარმა დამალოს თავიო.
უბის-თავს გადადიოდეს
თქვენი ცხვარ-ჯაროვანიო.
იქავე უნდა ნათობდეს
თილისძის ლურჯას ნალიო.
უკან მომდევდეთ ფშავლებო:—
საით რა მაგის კვალიო![43].

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მეკობრეობა რელიგიის დროშითაც წარმოებდა, დეკანოზების, ხევისბერების, ქადაგების და ხატების სხვა მსახურთა მონაწილეობით სრულდებოდა. „რელიგია არის დაჩაგრული არსების ოხვრა, უსულგულო მსოფლიოს და უდროობის სული. იგი ხალხის ოპიუმია“[44]. — აღნიშნავდა კარლ მარქსი. სარწმუნოებრივი ბანგით შეპყრობილთა გონება ადვილად სტყუვდებოდა. ზოგჯერ სჯეროდათ, რომ ლაშქრობებში თვით ღმერთები და ღვთიშვილები იღებდნენ მონაწილეობას და იმას გაამარჯვებინებდნენ, ვინც ხატებს მეტი სიყვარულით ემსახურებოდა. ხევსურებისათვის მთავარი ღვთაება, რომელიც ომის ბედს წყვეტდა, იყო გუდანის ჯვარი, ფშავლებისათვის კი—ლაშარისა. ზემოთ ხსენებულმა კიმოთე შავერდაშვილმა ასეთი ლექსი ჩაგვაწერინა:

„ლაშარელაის ლურჯასა
ფაფარ დასხმია გიშრისა,
რა ხანის გაემართება,
კვალი გაჰყვება ნისლისა.
თავის ყმად ჩეეშველება,
ხან რომ არ იყოს მისვლისა;
ლაშარელაის ისარი
ცის ელვასავით ისვრისა,
სულ დაითხიენ თათრები
ლაშარელაის შიშითა“.

---

[43] „აკაკის კრებული“. 1899, წ. XI, გვ. 18.
[44] კ. მარქსი, და ფ. ენგელსი, რელიგიის შესახებ, თბილისი, 1933 წ., გვ. 19.

ამ ლექსთან დაკავშირებით მთქმელი დაბეჯითებით გვარწმუნებდა: [illegible] რებს წაუსხამთ ცხვარი. გამოსდევნებიან მდევრები, მაგრამ ცოტანი [illegible] ლან და დამარცხების შეშინებიათ. შევედრებიან ლაშარის ჯვარს: გაგვამარჯვებინე მტერზე და თითო ჭედილას შემოგწირავთო. დარევიან თათრებს. უცებ რაღაცას გაუელვებია. ეს ლაშარის ჯვარი ყოფილა. ამას დაუფრთხვია თათრები"[45].

ღვთაებანი მეტად მებრძოლი ხასიათის არიან, მათ არც სიბრალული იციან და არც მორიდება აქვთ:

„ლაღნო სად მიზდით, ხევსურნო, სად მიხჭრით ქარებულასა?
წინ გიდგასთ გუდანის ჯვარი, ყვიროდა ხარებულასა:
...ცხვარი აგიღავთ უხათით ,მაგიდისთ ფარებულასა.
მაგყვებისთ მაგის პატრონი, ტიროდა დიაცურასა"[46].

მთიელები სალაშქროდ წასვლის წინ საღვთოს იხდიდნენ, სალოცავებს მსხვერპლს სწირავდნენ, ღამეს უთევდნენ და გამარჯვებას ევედრებოდნენ. ასე მოქცეულან თუშები, სანამ ფშავზე სამეკობროდ წავიდოდნენ:

„თუშთა ჭნეს საღმთო, წოვათა, საღმერთოდ დაკლეს ცხვარიო,
ღმერთო, შენ ჩაგვასწავლნოდი, ფშავში ხოშარის გზანიო"[47].

ზოგჯერ ღვთაებანი ერთმანეთის მიმართ მტრულად არიან განწყობილნი, ემუქრებიან და კიდეც ეომებიან ერთმანეთს. მათი ურთიერთობა ძალიან ემსგავსება ცალკეულ ტომთა ურთიერთობას. ისინიც ადამიანებივით განიცდიან ავს და კარგს. ეს ნათლად ჩანს ლექსში „ჯევსურების გალაშქრება არხოტზე". ქადაგი გუდანის ჯვარის ბრძანებას გადასცემს ხალხს, რომ მათ იარაღი აისხან და საბრძოლო დროშა აღმართონ, რათა „გაბეგრან არხოტივნები, კვამლზე აიღან ცხვარიო". ამას გაიგებს რა არხვატის ჯვარი, წელზე ხმალს შეირტყამს და ბრაზმორეული შეუთვლის გუდანის ჯვარს: „—მე სხვაკნით ამაქვ ბეგარი, დამპალო, სა მიხვალიო?"[48].

როგორც ვხედავთ, ქართველ მთიელთა ღვთაებანი ძალიან გვანან ბერძნულ მითოლოგიაში დახატულ ღვთაებებს. მაგრამ ჩვენ არ ვეთანხმებით ივ. ბუჭურაულს, რომელიც ამ მსგავსებას ძველი ბერძნული რელიგიის გავლენით ხსნის[49]. ჩვენი აზრით, ძველი ბერძნებისა და ქართველი მთიელების რელიგიური შეხედულებანი და წარმოდგენები ზოგიერთ რამეში რომ ემთხვევა ერთმანეთს, ამის მიზეზი ამ ხალხთა მიერ განვლილ ერთ და იგივე საზოგადოებრივ წყობილებაში უნდა ვეძიოთ. ძველი ბერძნების მითოლოგია გვაროვნული საზოგადოებრივი ურთიერთობის წიაღში ჩამოყალიბდა, ამავე ფორმაციაში ჰქმნიდნენ ჩვენი მთიელებიც თავიანთ რელიგიურ შეხედულებებს.

როცა მეკობრეობაზე ვლაპარაკობთ, უნებლიედ იბადება კითხვა: რა იწვევდა იმ გაუთავებელ ხოცვა-ჟლეტას, მესისხლეობას და ურთიერთთავდასხმას, რომელიც კავკასიონის კალთებზე მობინადრეთა შორის საუკუნეთა მანძილზე

---

[45] ჩემი მასალებიდან.
[46] აკ. შანიძე, დასახ. „წიგ.", გვ. 70.
[47] ჟურნალი „მოამბე", 1898, წ., IV, გვ. 106.
[48] აკ. შანიძე, დასახ. წიგ., გვ. 73.
[49] ივ. ბუჭურაული, „ლაშარის ჯვარი და თამარ დედოფალი". ჟურ. „მოამბე" 1898 წ. V, გვ. 83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძვინვარებდა? უნდა შევნიშნოთ, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჯერ კიდევ ადრე უცდიათ. რ. ფადეევი, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა, ამტკიცებდა, რომ მეკობრეობა მთიელ ხალხთა თავისებური ხასიათითაა გამოწვეულიო. მისი აზრით, მთიელები არიან უსაქმურნი, ფიზიკურ შრომას გაურბიან და შიმშილით სული რომ არ ამოხდეთ, მტაცებლობენ. იგი ყურმოკრულ და მიკიბულ-მოკიბულ ამბებს თავის შოვინისტურ შეხედულებათა გამოსათქმელად იყენებს. მისი მტკიცებით, ლეკებს ასეთი რამ განუცხადებიათ: „ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართ, მიწის შემუშავება არ გვიყვარს, ვცხოვრობთ და ვიცხოვრებთ მტაცებლობით ისევე, როგორც სცხოვრობდნენ ჩვენი მამები და პაპები“[30].

გვიკვირს, რომ ამ საკითხზე ასეთივე აზრს გამოთქვამს ივ. ბუქურაულიც[31].

ჩვენ კი მტკიცედ გვწამს, რომ მეკობრეობას ნიადაგს უქმნიდა ის მძიმე პირობები, რომელშიაც მთიელები ცხოვრობდნენ. ეს იყო უმიწობა, მოუსავლიანობა, სიღარიბე და პოლიტიკური სისტემა, რომელშიაც ისინი იმყოფებოდნენ.

მეკობრეობის გამოვლენას ხელს უწყობდა მთაში ჯერ კიდევ შემორჩენილი გვაროვნული წყობილების ნაშთები. როგორც ცნობილია, ადამიანთა საზოგადოების ამ უძველესი ფორმაციისათვის დამახასიათებელია პარტიკულარიზმი და კარჩაკეტილობა. ეს კი თავის მხრივ მტკიცე საფუძველს უქმნიდა მუდმივ შუღლსა და ადამიანთა ხოცვა-ჟლეტას. ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ომი და ორგანიზაცია ომისათვის ახლა ხალხის ცხოვრების რეგულარული ფუნქციები ხდება. მეზობელთა სიმდიდრე სიხარბეს წარმოშობს“[32].

მეკობრეობა ძირითადად მიწებისა და საძოვრების ან შინაური პირუტყვის ხელში ჩასაგდებად წარმოებდა. თვით ჯიმშერ ერისთავის მიზანიც კი, რომელმაც მთიულეთ-ხევზე გაილაშქრა, სულ უბრალო რამ ყოფილა. იგი სათარეშოდ წასვლისას ცოლს ასეთი დაპირებით ამშვიდებს:

„ფურ-ბერწებს მრავალს მოგირეკ, გასუქებულ ერკამლებსა,
ბედაურ ცხენებს მოგცემენ, სასეირნო მალქაფებსა,
გაისერ-გამოისერნე, შეშურდება თავადებსა“[33].

მეკობრეობასა და სისხლიან თავდასხმებს ხელს უწყობდა აგრეთვე მტკიცედ დანერგილი ჩვეულება სამაგიეროს გადახდისა. შურისძიების გრძნობა ძვალრბილში ჰქონდათ გამჯდარი, რასაც რელიგია და მაშინდელი საზოგადოებრივი წყობილება არა თუ კრძალავდა, არამედ პირიქით, აქეზებდა და სანქციას აძლევდა.

ცალკე უნდა შევჩერდეთ საქართველოში ლეკების, ქისტებისა და ინგუშეთის სხვა ტომთა ხშირი თარეშის შესახებ. მათი თავდასხმებიც ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ხდებოდა. ამას ემატებოდა ის თავისებური პოლიტიკური დამოკიდებულობა, რომელიც მე-16 საუკუნიდან ჩვენში არსებობდა: სპარსეთსა

---

[30] Р. Фадеев, Шестьдесять лет Кавказской войны, გვ. 53.

[31] ივ. ბუქურაული, ლაშარის ჯვარი და თამარ დედოფალი, ჟურნ. „მოამბე“, 1898 წ., IV, გვ. 102.

[32] ფ. ენგელსი, ოჯახის კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, რჩ. ნაწერები, ტ. II, გვ. 215.

[33] ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 29.

და ოსმალეთს. უნდოდა რა, საქართველო ხელში ჩაეგდოთ, ცდილობდნენ მის დასუსტებას. ამ მიზნით დაღესტნის მოთარეშე ტომებსაც იყენებდნენ[54].

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან კი მეკობრეობა გახშირდა კავკასიაში ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკის მეოხებით. შამილთან მრავალწლიანი ომის შედეგად „ჩამოვარდა საშინელი შიმშილი, რამაც დაჰბადა მტაცებლობა, გუნდგუნდად დადიოდნენ მთებში ჩაჩან-ლეკები და თუ შეხვდებოდათ ცხვარი, ცხენი, ძროხა, მოჰკლავდნენ პატრონს და საქონელს გარეკავდნენ[55].

მთიელები რომ გამრჯენი და შრომისმოყვარენი არიან, ამას ყველაზე კარგად მათი დღევანდელი ცხოვრება ამტკიცებს. მჭიდრო-გლეხური წყობილების პირობებში ისინი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ხალისიანი შრომის ფერხულში არიან ჩაბმულნი და შეძლებულად და საამურად ცხოვრობენ. მეკობრეობა კი სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს.

Н. ШАМАНАДЗЕ

ИЗОБРАЖЕНИЕ КОРСАРСТВА В ПАСТУШЕСКОЙ ПОЭЗИИ

Резюме

В поэзии дореволюционных грузинских пастухов значительное место занимают стихи, отображающие взаимные набеги и корсарство различных жителей гор.

В устном народном творчестве с большой любовью описывается героическая борьба грузин-пастухов, мужественно противостоящих пиратствующим отрядам и самоотверженно защищающих свои стада.

Корсарству обычно покровительствовало духовенство, собственно, набеги производились под предводительством духовных лиц.

Почву пиратским набегам создавали тяжелые жизненные условия, в которых находились горцы. Особенно они страдали от безземелия, постоянной неурожайности и др.

Способствовали же проявлению корсарства бытующие еще в горах остатки родового строя.

---

[54] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1948, გვ. 374.

[55] ივ. ბუქურაული, ტბათანიდან წოვათამდინ, მოამბე, 1897 წ. VIII, გვ. 31.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1964
Труды Батумского научно-исследовательского института, т. III, 1964

ა. რამიშვილი

ზღვისპირა ზოლის ძველი ნამოსახლარები ჩაქვის რაიონში

(1960 წლის არქეოლოგიური დაზვერვების მასალები)

1960 წლის მაისში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი და აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტების გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ[1], ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე (ჩაქვის რაიონი) რკინის ძველი მეტალურგიის ნაშთების არქეოლოგიური გათხრების შემდეგ, საცდელი თხრილების გამოყენებით, დაზვერვა ზღვისპირა დიუნა ქობულეთის მიდამოებში (ფიჭვნარი). აქ ჯერ კიდევ 1953 და 1956 წლებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მიკვლეული და ნაწილობრივ შესწავლილ იქნა ძვ. წ. III—I ათასწლეულის ძეგლები[2].

ფიჭვნარის დიუნის კულტურული ფენების მოსინჯვისას ექსპედიცია მიზნად ისახავდა მოეპოვებინა პარალელური არქეოლოგიური მასალა ჯიხანჯუროში შესწავლილი რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების დათარიღებისათვის[3]. მეორე მხრივ, ეს იყო გაგრძელება იმ მუშაობისა, რომელსაც აჭარის არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენისა და შესწავლის მიზნით 1959 წლიდან ატარებს ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1960 წლის სამუშაო გეგმით ინსტიტუტი სხვა ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებდა ჩაქვის რაიონის ზღვის სანაპირო ზოლის არქეოლოგიურ დაზვერვებს. ამ გეგმის შესაბამისად ჩვენ, რამდენადმე გვიან, 1960 წლის ივლის-აგვისტოში, საცდელი თხრილები გავაკეთეთ ჩაქვის მიდამოებშიც.

ზღვის სანაპირო ზოლის დიუნებსა და ტერასებზე ძველ დასახლებათა ნაშთები პირველად 1934 წელს აღმოჩნდა. არქეოლოგმა ლ. სოლოვიოვმა ყურადღება მიაქცია ჭ. ოჩამჩირის მახლობლად ქვიშნარ დიუნაში დაცულ კულტურულ

---

[1] ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ: აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტიდან: გეოლოგია-მინერალოგიის მეც. კანდ. ი. გძელიშვილი (ექსპედ. ხელ-ლი) და ისტ. მეცნ. კანდ. დ. ხახუტაიშვილი; ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან — ინსტიტუტის დირექტორი ისტ. მეცნ. კანდ. ა. ინაიშვილი, უმც. მეც. თანამშრომელი ა. რამიშვილი (სწელმძღვ. მოადგილე) და მოწვეული პირები—ტოპოგრაფი რ. ატოიანი და ლაბორანტი ლ. ჩხაიძე.

არქეოლოგიური მასალა ჩახატულია მხატვარ ტ. ამბრიაშვილის მიერ.

[2] Н. В. Хоштария, Археологические раскопки в Пичвнари и Чолоки „Батумский рабочий„ 7 აპრილი, 1957.

დ. ხახუტაშვილი, საინტერესო არქეოლოგიური გათხრები, „საბჭოთა აჭარა“, 17 თებერვალი, 1957.

[3] ი. გძელიშვილი, აჭარაში 1960—1951 წწ. რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების გათხრების ძირითადი შედეგები,...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ფენებს. ეს ფენები ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო კერამიკასთან ერთად დიდი რაოდენობით შეიცავდა გარე პირზე ქსოვილის ანაბეჭდიან, ოთხკუთხა ფორმის მანამდე უცნობ თიხის ჭურჭლის ხატებს[4].

პირველი ცნობები ამ ძეგლების შესახებ დაიბეჭდა 1937 წელს[5]. დღეისათვის საქართველოს ფარგლებში ასეთი ძეგლები ცნობილია შავი ზღვის თითქმის მთელ სანაპიროზე. მათ შესახებ უკვე გარკვეული მოცულობის სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა არის შექმნილი.

ლ. სოლოვიოვი თვლის, რომ აფხაზეთში გამოვლენილი ამ ტიპის ძეგლები ზღვის წყალიდან მარილის მოპოვებასთან დაკავშირებული დასახლებანია[6]. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებენ ბ. კუფტინი[7], მ. ტრაპში[8] და, ნაწილობრივ ნ. ხოშტარია[9]. ბ. კუფტინის აზრით, ზღვის უშუალო სიახლოვეს მდებარეობის გამო, ეს ძეგლები არ შეიძლება იყოს არათუ მუდმივ დასახლებათა ადგილი, არამედ მეთევზეთა სეზონური ბანაკებიც კი[10]. ნ. ხოშტარიას მიაჩნია, რომ ზღვისპირა ქვიშნარი ზოლის ინტენსიური დასახლება მიწათმოქმედების, მეთევზეობისა და მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასთან ერთად გამოწვეულია იმით, რომ შავი ზღვის სანაპირო საქართველოს ფარგლებში მდიდარია მაგნეტიტური რკინის შემცველი ქვიშებით. იგი ვარაუდობს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან ამ დასახლებათა მკვიდრნი რკინის მომპოვებელნი იყვნენ. უფრო ადრინდელი დროისათვის კი. ნ. ხოშტარია არ გამორიცხავს ამ ნამოსახლარების კავშირს მარილის მოპოვებასთან[11].

არ შეიძლება საბოლოოდ გადაჭრილად ჩაითვალოს ზღვისპირა ნასახლარების თარიღის საკითხიც. ა. იესენი სოხუმთან და ოჩამჩირესთან აღმოჩენილ ძეგლებს წინაყობანური და ყობანური ხანით (ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო და I ათასწლეულის დასაწყისი) ათარიღებს[12]. ბ. კუფტინი ოჩამჩირესთან აღმოჩენილ ქსოვილიანი კერამიკის შემცველ ნამოსახლარს რამდენადმე აახალგაზრდავებდა და თვლიდა, რომ იგი მიეკუთვნება კოლხურ-ყობანური ეპოქის ბოლოს, ე. ი. ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და რკინის ხანის დასაწყისს, რომელსაც იგი ძვ. წ. VIII—VII სს ვარაუდობდა[13].

ლ. სოლოვიოვი აფხაზეთის მსგავს ნამოსახლარებს ზოგადად ძვ. წ. XV—VI სს-ით ათარიღებს, ხოლო კონკრეტულად მის მიერ შესწავლილ ძეგლებს X—V სს-ით. ასე მაგალითად, მაჯარის ნამოსახლარი თარიღდება ძვ. წ. X—

---

[4] Л. Н. Соловьев, Селища с тскстильной керамикой на побережье Западной Грузии, СА, XIV, М-А, 1950, გვ. 265.

[5] А. А. Иессен, Сухумская экспедиция ГАИМК СА, III., М-Л., 1937, გვ. 252.

[6] Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 266.

[7] მისივე, Следы древнего соляного промысла близ г. Сухуми и г. Очамчири, Тр. АБГМ, вып. 1, Сухуми, 1947, გვ. 41—46.

[7] Б. А. Куфтин, Материалы археологии Колхиды, II Тб.1950, გვ. 287—290.

[8] М. М. Трапш, Археологические раскопки в окрестностях Сухуми, тр., АБИЯЛИ, XXIX. სოხუმი, 1958, გვ. 186—187.

[9] Н. В. Хоштария, Археологическое исследование Уреки, მასალები., ტ. I, თბ., 1955, გვ. 29.

[10] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 28, 29.

[11] Н. В. Хоштария, დასახ. ნაშრ., გვ. 28, 29.

[12] А. А. Иессен, დასახ. ნაშრ. გვ. 251, 252.

[13] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 276, 277, 179—287.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX სს-ით, მოქვის—ძვ. წ. VIII—VII ს-ით, ოჩამჩირესი—ძვ. წ. VII—VI სს-ით და ა. შ.[14]

მ. ტრაპში სოხუმის მახლობლად, კრასნი მაიაკის რაიონში არსებულ ამდაგვარ ნამოსახლარს ძვ. წ. VIII—VII სს მიაკუთვნებს[15], ლ. სოლოვიოვი კი ამავე ეგლს ძვ. წ. VII—VI ს-ით ათარიღებდა[16].

ნ. ხოშტარია ურეკის ზღვისპირა ნამოსახლარს ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისს მიაკუთვნებს, მაგრამ იქ გაცილებით ადრინდელი ფენების არსებობასაც ვარაუდობს[17].

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ამ ძეგლების რაობისა და ქრონოლოგიის დასადგენად ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ქობულეთის რაიონის ზღვისპირა ზოლში 1960 წელს ჩატარებული დაზვერვით სამუშაოებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების ამ საინტერესო ჯგუფის შესწავლისათვის.

ზღვის სანაპირო დიუნა ფიჭვნარის მიდამოებში 3—3,5 მ-ის სიმაღლე და ძირში ოთხმოციოდე მეტრის სიგანეა. როგორც ზედაპირულმა დაზვერვებმა გვიჩვენა, კულტურული ნაშთები შეიმჩნევა მდ. ჩოლოქის მარცხენა ნაპირას დაახლოებით 500 მ-ის სიგრძეზე. იმის გამო, რომ აქედან წლების განმავლობაში მშენებლობისათვის გაჰქონდათ სილა, კულტურული ფენები ბევრ ადგილას მნიშვნელოვნად დაზიანებული და გაშიშვლებულია. ამან საშუალება მოგვცა, ჯერ კიდევ მუშაობის დაწყებამდე დაგვედგინა ოთხი კულტურული ფენის არსებობა (ტაბ. II). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კულტურული ფენების რაოდენობა შესაძლებელია მეტიც იყოს, მაგრამ 1960 წელს მათი შესწავლა არ მოხერხდა.

შესასწავლად შერჩეულ იქნა ნატანებ-ქობულეთისა და ჩოლოქ-ქობულეთის საავტომობილო გზების შესაყარის სამხრეთით მდებარე ერთ-ერთი ასეთი დაზიანებული ადგილი, რომელიც შევისწავლეთ 10×4 მ ფართობზე. თითოეული კულტურული ფენა, თუ შრე კერამიკულ მასალასთან ერთად შეიცავდა ცეცხლის კვალს ნახშირის მცირე ფრაგმენტებისა და ნაცრის სახით.

ზედა, ე. ი. პირველ ფენაში მიკვლეულ იქნა ნაგებობა, რომელიც ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული წითლადგამომწვარი მართკუთხა განივკვეთიანი სადგრებისაგანაა შედგენილი (ტაბ. I1). ნაგებობამ ჩვენამდი დაზიანებული სახით მოაღწია[18], მაგრამ შესაძლებელია მის გეგმაზე გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ. იგი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებული მართკუთხედია (შიდა სივრცის ფართობი 80× 50 სმ). ნაგებობის სამი კედელი დაახლოებით ერთნაირი, დიდი ზომის (12—14 სმ სიგანის) სადგრებისაგანაა შედგენილი. ჩრდილო მხარეს კი ეტყობა უფრო მომცრო ზომის (8—10 სმ სიგანის) სადგრები ჰქონია. სამხრეთი კედელი შედგენილია ექვსი სადგრისაგან, ხოლო დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლები — სამ-სამი სადგრისაგან. ჩრდილო მხარეს დასავლეთ კედლიდან 15 სმ-ზე შემორჩენილია ერთი სადგარი, ხოლო მის ჩრდი-

---

[14] А. Н. Соловьев, დასახ. ნაშრ., გვ. 39, მისივე, Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии, გვ. 272, 279.

[15] М. М. Трапш, დასახ. ნაშრ., გვ. 279.

[16] Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრ., გვ. 279.

[17] Н. В. Хоштария, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

[18] ეს ალბათ მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია იმითაც, რომ დიუნა წლების განმავლობაში გამოყენებული იყო სიმინდის სათესად.

ლოეთით 25 სმ-ზე — მეორე სადგარი. ეს სადგრები იატაკზეა დაძერწილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ასევე იქნებოდა მოწყობილი ჩრდილო მხარეს აღმოსავლეთი ნაწილიც. სავარაუდებელია, რომ ნაგებობას ჩრდილო მხარეს შუაში დატოვებული ჰქონდა დაახლოებით 30 სმ-ი სიგანის თავისუფალი არე.

ამჟამად შემორჩენილია ნაგებობის მხოლოდ ქვედა ნაწილი (დაახლოებით 20—30 სმ სიმაღლე). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა კუთხის სადგრის ზედა. თავმოტეხილი ნაწილი, რომლის სიმაღლე 25 სმ-ია. ასე, რომ სამხრეთ აღმოსავლეთი კუთხის თავმოტეხილი სადგარი 55 სმ-ზე უფრო მაღალი ყოფილა (სადგრის უძრავად დარჩენილი ნაწილის სიგრძე 30 სმ-ია). იმის გამო, რომ სადგართა სულ ზედა ნაწილი არ შემოინახა, მთლად ნათელი არ არის, თუ როგორი იყო ნაგებობის შემადგენელი სადგრების თავი. შესაძლებელია, ამ ნაგებობის სადგრებს ზედა ნაწილი ისეთი ჰქონდათ, როგორც ანაკრეფი მასალების მასიურ სადგარს აქვს (ტაბ. III).

არსებული მონაცემებით არ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, საერთოდ მთელი ნაგებობა იყო 55 სმ-ზე მაღალი, თუ მხოლოდ კუთხეებში დატანებულ სადგრებს ჰქონდა ასეთი სიმაღლე.

ნაგებობას სპეციალურად მოწყობილი იატაკი არ ჰქონდა. იატაკის დონეზე ქვიშა რამდენადმე გამკვრივებული იყო და ატარებდა ხანგრძლივი, მაგრამ სუსტი ცეცხლის ზემოქმედების კვალს.

ის გარემოება, რომ ეს ნაგებობა თიხის რქისებრი სადგრებისაგანაა შედგენილი და მის შიგნით ხანგრძლივი დროის მანძილზე უნთიათ სუსტი ცეცხლი, უნდა მიგვითითებდეს მის საკულტო დანიშნულებაზე. რქისებრი სადგრები მრავალგანაა აღმოჩენილი და ძირითადად კულტთანაა დაკავშირებული. მთლიანად რქისებრი სადგრებისაგან შედგენილი საკულტო ნაგებობის აღმოჩენა კი პირველი შემთხვევაა ქართულ არქეოლოგიაში[19].

კიდევ უფრო მცირე მოცულობის იყო ჩვენ მიერ ჩატარებული დაზვერვითი კვლევა-ძიება დაბა ჩაქვის მიდამოებში, ჩაქვსა და სოფ. ბუკნარს შორის. კულტურული ნაშთები კარგად შეიმჩნევა ზღვის ნაპირის გასწვრივ, საკმაოდ მაღალი ტერასის ჭრილში 250—300 მ-ის სიგრძეზე. როგორც ჩანს, ეს ნამოსახლარი ერთფენოვანია.

პირველი საცდელი თხრილი ზღვის ნაპირის გაყოლებით გავავლეთ (9×1,5 მ), ხოლო მეორე, დამატებითი, პირველის პერპენდიკულარულად დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით (4×1 მ). ამ თხრილების საშუალებით დადგენილ იქნა, რომ აღებულ მონაკვეთზე კულტურული ნაშთები ვრცელდება 2,5—3 მ-ის სიგანეზე და მიწის ზედაპირიდან 0,5—2 მ-ის სიღრმეზე. ზღვის წყლის წამოწევის გამო თითქმის მთლიანად დარღვეულია ტერასის კულტურული ნაშთების შემცველი ძირითადი ნაწილი. იმისათვის, რომ დადგენილ იქნეს ნამოსახლარის დაცულობის საერთო სურათი, საჭიროა კიდევ რამდენიმე საცდელი თხრილის გავლება.

ჩაქვის ნამოსახლარზე მოპოვებულ იქნა დაახლოებით ისეთივე მასალა, როგორიც ფიჭვნარის დიუნამ მოგვცა. კულტურული ფენის ქვედა დონე ალაგ-ალაგ თხელი ნაცროვანი ფენით იყო დაფარული. სწორედ ნაცროვანი ფენით და-

---

[19] ფიჭვნარის პირველ ფენაში აღმოჩენილი საკულტო ნაგებობა ამჟამად მონოლითადაა მოჭრილი და გამოფენილია აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციაში. სამუშაო შეასრულა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელმა თ. თოდუამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარულ ადგილებშიც აღმოჩნდა თიხის რქისებრი სადგრები და კერამიკული ნაწარმის სხვა ფრაგმენტები (X_1, XI_2).

რამდენადაც ფიჭვნარისა და ჩაქვის ზღვისპირა ნამოსახლარების ანაკრეფ და კულტურული ფენების არქეოლოგიურ მასალებს შორის დიდი მსგავსებაა, ამდენად ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ იმ ფრაგმენტებს, რომლის შესაბამისიც არ შეგვხვედრია კულტურული ფენების გათხრისას. ამ უკანასკნელთა შორის ერთ-ერთი (ტაბ. IV_2) მთლიანი პროფილის მქონეა და ეკუთვნის წითლად გამომწვარ, ბრტყელ-ძირა, პირჩაზნექილ ჯამს. მეორე ასევე წითელკეციანი ნატეხი (ტაბ. IV_4) პირგადმოშლილი. ყელდაბალი მოზრდილი ჭურჭლისა უნდა იყოს. მას ყელს ქვემოთ, მხრის დასაწყისში შემოსდევს ამოღარული ხაზებისა და მომცრო ფოსოების სარტყელი. მესამე ფრაგმენტი (ტაბ. IV_{13}) წაბლისფრად არის გამომწვარი და შემკულია ამოღარულ ხაზებს შორის მოქცეული ჯვარედინად ნაჭდევი ხაზების სარტყლით. აქვე უნდა იქნას აღნიშნული შავპრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხები, დანაძერწი სიგრძივი რელიეფური ზოლებით (ტაბ. IV_5).

ჩაქვის მასალებიდან აღსანიშნავია წითელკეციანი, ნახევრადოვალურ განივკვეთიანი, ზომორფული ყური მკვეთრად გამოხატული რქისებრი ნაზარდებით (ტაბ. X_2). ამოღარული ტალღისებური ზოლიანი წითლად გამომწვარი ჭურჭლისა (ტაბ. X_3) და სამკუთხა თხელი ფილის ნატეხი (ტაბ. X_{11}).

ანაკრეფი მასალის შესწავლამ ცხადჰყო. რომ ფიჭვნარისა და ჩაქვის ზღვისპირა ნამოსახლარები საკმაოდ საინტერესო კულტურულ ნაშთებს შეიცავენ. ეს სავსებით დაადასტურა ჩვენ მიერ ჩატარებულმა მცირე არქეოლოგიურმა გათხრებმა.

ფიჭვნარისა და ჩაქვის ზღვისპირა ნამოსახლარებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა თიხის მთლიანად კერამიკული ნაწარმითაა წარმოდგენილი. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ფიჭვნარის მეოთხე ფენაში აღმოჩენილი ბრინჯაოს მავთულის პატარა ნატეხი (ტაბ IX_5). ფიჭვნარისა და ჩაქვის ნამოსახლარებზე მოპოვებული კერამიკული მასალა სამ ჯგუფად იყოფა:

I. ცუდად გარჩეული, უხვად ქვიშა და შიგადაშიგ საკმაოდ მსხვილი კენჭებნარევი თიხისაგან ჩეჩით ნაძერწი, წითელი ფერის ცუდად გამომწვარი სქელკედლიან ჭურჭელთა ნატეხები.

II. ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული წითლად გამომწვარი რქისებრი სადგრები.

III. საყოფაცხოვრებო თიხის ჭურჭელთა ნატეხები.

პირველი ჯგუფის კერამიკული მასალა, ე. წ. „უხეში კერამიკა“ დამახასიათებელი ჩანს ფიჭვნარისა და ჩაქვის ნამოსახლარებისათვის. იგი შეადგენს ამ ნამოსახლარების კულტურული ნაშთების დიდ უმრავლესობას. მის ზედაპირზე ხშირია თითით ამოღარული ზოლები (ტაბ. V_1). კერამიკული ნაწარმის ეს ჯგუფი თავისთავად მეტად ფრაგმენტულადაა შემონახული, ხოლო პრეპარაციის შემდეგ ჰაერზე მოხვედრისას სწრაფად იშლება. იმის გამო. რომ გვხვდება მხოლოდ პირისა თუ გვერდის წიბოების ფრაგმენტები, შეუძლებელია რაიმე ითქვას ამ ჭურჭელთა ფორმისა და ზომის შესახებ.

სხვათაშორის, სრულებით ანალოგიური ჩანს ურეკის ზღვისპირა ნამოსახლარის ის კერამიკული ფრაგმენტები, რომლებსაც ნ. ხოშტარია ღარიანი კრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტის ნატეხებად მიიჩნევს[20]. ნაკლებ სარწმუნოა, ასე ადვილად შლადი ყოფილიყო ნაგებობის დასახურავი მასალა მაშინ, როდესაც, უხეშ კერამიკასთან ერთად, ხმარებაში იყო გაცილებით მაღალი ხარისხის, მორგვზე დამზადებული საყოფაცხოვრებო კერამიკა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არც ურეკში ჩანს მოპოვებული ისეთი ნიმუშები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა დაბეჯითებით გვეთქვა რაიმე ამ ჭურჭელთა ფორმებზე.

მ ე ო რ ე ჯ გ უ ფ ი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოდგენილია თიხის რჭისებრი სადგერებით. ისინი დამახასიათებელია შავი ზღვის სანაპირო ზოლის ნამოსახლარებისათვის.

ფიჭვნარის ჩვენ მიერ შესწავლილ კულტურულ ფენებში თიხის რჭისებრი სადგრები მეტად ფრაგმენტულად იყო შემონახული. მართალია, ანაკრეფ მასალაში შედარებით უკეთ დაცული ნიმუშებია დადასტურებული, მაგრამ მთელი სადგარი არც აქ შეგვხვედრია. ჩაქვში, პირიქით, ანაკრეფ მასალაში, რომელიც საერთოდ მცირე რაოდენობითა გვაქვს, არ იყო არც ერთი რჭისებრი სადგარი. ხოლო კულტურულ ფენაში გამოვლენილთაგან ყველა დაზიანებულია. მხოლოდ ერთი, თითქმის მთელი სადგარი (ტაბ. XI$_1$). იძლევა სრულ წარმოდგენას მის ფორმასა და ზომაზე. მისი სიგრძე 17 სმ-ია, განივკვეთი კი კუთხეებმომრგვალებული კვადრატი (6×6 სმ). მართალია, სხვა სადგრების მთლიანი სიგრძის დადგენა არ ხერხდება, მაგრამ ჩანს, რომ უფრო გრძელი სადგრებიც უნდა ყოფილიყო, რამდენადაც გვაქვს 15 და 17,5 სმ-იანი ფრაგმენტებიც (ტაბ. III$_{1, 4}$).

ფიჭვნარსა და ჩაქვში მოპოვებული სადგრები ერთმანეთისაგან განირჩევა განივკვეთის, ზედა ნაწილისა და ძირის მიხედვით. გვაქვს მართკუთხა, ზოგჯერ თითქმის კვადრატულ განივკვეთიანი (ტაბ. III$_{1-6}$, ტაბ. XI$_{1, 6, 10}$), და ოვალური, ხშირად თითქმის წრიულ განივკვეთიანი (ტაბ. III $_{8,10}$, ტაბ. XI $_{5,2}$) სადგრები. გამოირჩევა მასიური, დიდი ზომის მართკუთხა განივკვეთიანი სადგრები, ზედა ნაწილში გაფართოებული და შუაში საკმაოდ მკვეთრად ჩაღრმავებული ადგილით (ტაბ. III$_6$).

განსხვავება შეიმჩნევა სადგრების ზედა ნაწილის გაფორმებაშიც; სადგრების ერთ ჯგუფს ახასიათებს ოდნავ განზე გაშლილი რჭისებრი დაბოლოებანი (ტაბ. III $_{11-2}$ ტაბ. XI$_{2, 3, 5}$), მაშინ, როდესაც მეორე ჯგუფში რჭისებრი დაბოლოებანი ვერტიკალურადაა მიმართული და აგრძელებს სადგართა ძირითადი კორპუსის კედლის ხაზს (ტაბ. XI$_{1,4}$). სრულიად განსხვავებულია მასიური სადგრის ზედა ნაწილი (ტაბ. III$_6$);

განსხვავება შეიმჩნევა სადგრების რჭისებრი დაბოლოების რკალისებურ ჩაზნექილობაშიც.

ფიჭვნარსა და ჩაქვში ჩვენ მიერ მოპოვებული სადგრების ყველა ძირი ბრტყელია, მაგრამ გვხვდება ისეთებიც, რომელთა ძირიც რამდენადმე გაფართოებულია (ტაბ. III $_{8\cdot10}$, ტაბ. XI$_{3,11}$). გარდა ამისა, ხშირად უპირატესად გაფართოებული ქვედა ნაწილის მქონე სადგრების ძირი მეტნაკლებად გულამოღებული აქვთ (ტაბ. XI$_{7, 8}$).

ნ. ხოშტარია ვარაუდობს, რომ სადგრებს გულამოღებული ძირები აქვთ არა პრაქტიკული მიზნით, არამედ საკულტო დანიშნულების გამო[21].

---

[20] Н. В. Хоштария, დასახ. ნაშრ., გვ. 37, 38, ტაბ. XI.

[21] Н. В. Хоштария, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე გვინდა შევეხოთ ჩაქვის ნამოსახლარზე მოპოვებული ერთ-ერთ სადგრის ფრაგმენტს, რომელსაც ერთ მხარეს დაახლოებით 2,5 სმ სიღრმის და ასეთივე დიამეტრის მქონე ფოსო აქვს. მართალია, ეს ფრაგმენტი სადგრის ძირებთან გვაქვს მოთავსებული (ტაბ. XI ₉). მაგრამ გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ იგი სადგრის ზედა ნაწილი იყოს. შესაძლებელია, სადგარზე დატანებულ ფოსო რაიმე ემბლემის დასამაგრებელ ბუდეს წარმოადგენდეს, როგორც ეს ნაცარგორის III ფენის მეხუთე სამლოცველოს ერთ-ერთ სამსხვერპლოზეა[22].

ფიჭვნარისა და ჩაქვის ნამოსახლარებზე ჩვენ მიერ მოპოვებულ სადგართა ყველა ფრაგმენტი სადაა. მხოლოდ ჩაქვის ნამოსახლარის ერთ ფრაგმენტს(ტაბ. XI₂). აქვს ზედა ნაწილში ამოღარული ხაზებისაგან შედგენილი მახვილი კუთხის ფორმის ნიშანი.

აქვე შევნიშნავთ, რომ ფიჭვნარის ანაკრეფ მასალაში გვაქვს წითლად გამომწვარი თიხის ფილის ზედა ნაწილი, ზედაპირზე რკალისებური ამოღარული ზოლით (ტაბ. III₇). აღნიშნული ფილის სიგანეა 5,2 სმ, სისქე—1,2 სმ.

როგორც აღვნიშნეთ, თიხის რქისებრი სადგრები მეტად დამახასიათებელი მასალაა შავი ზღვის სანაპიროს ქვიშნარი დიუნებისა და ტერასების კულტურული ფენებისათვის. აფხაზეთის ზღვისპირა ნამოსახლარებში. უპირატესად მრგვალ განივკვეთიანი მახვილბოლოიანი რქისებრი სადგრებია აღმოჩენილი[23]. რაც შეეხება მართკუთხა განივკვეთიან სადგრებს, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით აფხაზეთის ტერიტორიიდან მხოლოდ ორია ცნობილი[24], მაგრამ ამ სადგრების მხოლოდ ზედა ნაწილებია შემორჩენილი, რის გამოც, არ ვიცით, ისინი ძირწვეტა თუ ძირბრტყელი სადგრების ფრაგმენტებია.

თიხის რქისებრი სადგრები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ურეკში. აქ გვხვდება, როგორც ძირწვეტა, ისე ბრტყელძირიანებიც. უკანასკნელთა შორის გვხვდება გაშლილი თუ გულამოღებული ძირებიც. ზოგ მათგანს რქები განზე აქვს გაშლილი. ზოგს კი — ვერტიკალურად ზეაღმართული. გვხვდება როგორც მრგვალი, ისე მართკუთხა განივკვეთიანებიც. ზოგჯერ მათი ნიშანი, ორნამენტი აქვთ[25].

ლ. სოლოვიოვი და მ. ტრაპში მათ მიერ აღმოჩენილ რქისებრ სადგრებს ზედაპირზე ქსოვილის ანაბეჭდიან მარილის სახარშ ჭურჭელთა სადგარ სოლებად მიიჩნევენ[26]. ნ. ხოშტარია არ გამორიცხავს მათი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას კერებსა და ჯოცონებზე, მაგრამ მოპოვებული მასალა არ მიაჩნია საკმაოდ იმის გადასაწყვეტად, თუ რა დანიშნულებით გამოიყენებოდნენ ისინი. რაც შეეხება თიხის რქისებრი სადგრების ფორმას, მას იგი უკავშირებს რქოსანი ცხოველის (ხარის) გამოსახულებას, ხოლო ქვემოთ გაფართოებულტანიან სადგრებს ქალის ფიგურის იმიტაციად მიიჩნევს და ახსნას ხარისა და ქალღმერთის კულტების კავშირში ხედავს[27].

---

[22] გ. გობეჯიშვილი, ცხინვალის ნაცარგორა, ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, II. თბ., 1951, გვ. 257, 258, ტაბ. XIV, XV₂.

[23] Л. Н. Соловьев, დასახ., ნაშრ.

[24] М. М. Трапш, დასახ. ნაშრ., გვ. 187 ნახ. 278

[25] Н. Хоштария, დასახ, ნაშრ., გვ. 32—37, ნახ. 3 ტაბ. ტაბ. II—VII

[26] Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრ., გვ. 283
М. М. Трапш, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

[27] Н. В. Хоштария დასახ. ნაშრ., გვ. 34—37.

ფიჭვნარსა და ჩაქვში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა დაზვერვებმა შესა-
ნიშნავი საბუთი მოგვცა ამ საგნების საკულტო ხასიათის დასადგენად. კერძოდ,
შენიშნულ იქნა, რომ მართკუთხა განივკვეთიანი რქისებრი
სადგრებისაგან აგებდნენ საკულტო დანიშნულების
ნაგებობას, ალბათ, სამსხვერპლოებს. ეს რასაკვირველია,
არ ნიშნავს იმას, რომ სადგრები არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო
სხვა დანიშნულებითაც, მაგრამ თიხის რქისებრი სადგრების სხვა დანიშნულება-
თა დადგენა შესაძლებელი იქნება ზღვისპირა ნასოფლარების შემდგომი ფარ-
თო მეცნიერული შესწავლის შემდეგ.

ფიჭვნარისა და ჩაქვის ზღვისპირა ნამოსახლარების კერამიკული მასალის
მესამე ჯგუფში წარმოდგენილია საყოფაცხოვრებო თიხის ჭურჭელი.

როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ფიჭვნარის ნამოსახლარზე ფიქ-
სირებულ იქნა ოთხი ფენა.

სულ ზედა, ე. ი. პირველი ფენის მასალებიდან აღსანიშნავია ლეგად
გამომწვარი მომცრო ჭურჭლის ფრაგმენტები ყელზე ამოღარული სარტყლით
(ტაბ. V_6) და ტანზე წნევით გამოყვანილი გაპრიალებული სიგრძივი ზოლებით,
(ტაბ. V_7). წითლად გამომწვარი ნატეხები საშუალო და მომცრო ზომის ყელდა-
ბალი, პირგადმოშლილი, სადა (ტაბ. V_3), თუ ყელზე ამოღარულ სარტყლებიანი,
გაპრიალებული ირიბი ზოლებით შემკული (ტაბ. V_2) ჭურჭლებისაა.

გარდა აღნიშნულისა, წითელკეციანი ჭურჭლები შემკულია ვიწრო ამო-
ღარული ზოლებისა (ტაბ. $V_{8, 11}$) და რელიეფური ხაზების სარტყლებით (ტაბ. V_9).
გვხვდება აგრეთვე, ამოღარულ ზოლებს შორის მოქცეული, ამოღარულივე ხა-
ზებისაგან შედგენილი ტალღისებური სარტყელიც (ტაბ. V_{10}).

მეორე ფენა ყველაზე უფრო მეტი მასალის შემცველი აღმოჩნდა. ლეგა
კერამიკაში გამოირჩევა ფართოყელიანი, პირჭობიანი, მხარეზე ამოღარულზო-
ლებიანი თიხის ჭურჭელთა პირის ნატეხები (ტაბ. VI_3) და ყელდაბალი, პირგად-
მოშლილი, გაპრიალებული ბადეებით შემკული ქოთნებისა, თუ კოჭობების
ფრაგმენტები (ტაბ. $VII_{3, 6}$). ზოგ მათგანს ყელზე ამოღარული სარტყელი შე-
მოსდევს (ტაბ. VI_6).

წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭელთა ნატეხებიდან პირველ რიგში დავა-
სახელებით ოვალურ განივკვეთიან ყურებს (ტაბ. $VII_{1, 6}$), ორი მათგანი ზოო-
მორფულია, მეტნაკლებად სტილიზებული (ტაბ. $VII_{4, 6}$). მესამე (ტაბ. VII_1) და-
ფარულია სიგრძივი გაპრიალებული ზოლებით. ამავე ორნამენტს ვხვდებით კი-
დევ ერთი ჭურჭლის ფრაგმენტზე (ტაბ. VII_2), მაგრამ მას ყურზე არა აქვს
გაპრიალებული ზოლები. წითელკეციან კერამიკიდან აღსანიშნავია აგრეთვე ყელ-
დაბალი, პირგადმოშლილი ქოთნებისა და კოჭობების ნატეხები (ტაბ. VI_4). ერ-
თი ნაწილი სრულებით სადაა, (ტაბ. VI_8), მეორე ყელზე (ტაბ. VI_5), ან მხარის
დასაწყისში (ტაბ. VI_9) ამოღარული სარტყელებითაა შემკული. ერთ-ერთი ჭურ-
ჭელი ყელზე ამოღარული სარტყლებს ქვემოთ შემკული ყოფილა გაპრიალებუ-
ლი ზოლების ბადით (ტაბ. VI_{11}). არის ფართოყელიანი, პირგადმოკეცილი მოზ-
რდილი ჭურჭლის ნატეხებიც (ტაბ. $VI_{1, 2, 10}$). ერთ მათგანს მხარზე ამოღარული
ხაზების სარტყელი ჰქონია (ტაბ. VI_{10}).

გარდა ამისა, ლეგა კერამიკაზე გვხვდება ამოღარული ხაზები და ზოლები
(ტაბ. $VII_{7, 14}$). ერთ-ერთ მათგანს (ტაბ. VII_{14}) კოპი აქვს წითელკეციან ნატეხებს

კი გაპრიალებული ფართო ზოლები (ტაბ. VII$_{1,11}$) და რელიეფურ ზოლებს შორის მოქცეული. ირიბჭდეებიანი რელიეფურივე სარტყლები (ტაბ. $_{12,15}$) აქვს.

მ ე ს ა მ ე ფენის ლეგა კერამიკაში გამოირჩევა სუფთა თიხისაგან დამზადებული კარგად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ყურები, რომელსაც განივკვეთში ნახევარი ოვალის ფორმა აქვს. (ტაბ. VIII $_{14}$) აგრეთვე სუსტად გოფრირებულყელიანი მოზრდილი ჭურჭლისა (ტაბ. VIII$_{11}$) და მხარეზე ამოღარული ზოლების სარტყელით შემკული ჭურჭელთა ნატეხები. უკანასკნელთა შორის ერთი (ტაბ. VIII$_{14}$) პირგადმოკეცილი, ფართო ყელის მქონე მოზრდილი ჭურჭლისაა, ხოლო მეორე—(ტაბ. VIII$_{13}$). მომცრო ჭურჭლის, რომელსაც ტანზე გაპრიალებული ვერტიკალური ზოლები გასდევს.

წითელკეციანი კერამიკიდან ვხვდებით ფართო და მაღალყელიან, პირქობიან ჭურჭელთა ნატეხებს (ტაბ. VIII$_{7,8,10}$) არის აგრეთვე ყელდაბალი, მხარზე ამოღარული (ტაბ. VIII$_{3}$) და ტანზე რელიეფურ სარტყლებიანი ფრაგმენტებიც (ტაბ. VIII $_{2}$).

მ ე ო თ ხ ე ფენა შესწავლილ იქნა შედარებით მცირე ფართობზე (დაახლოებით 4×2 მ) და მასალებიც შედარებით მცირე გვაქვს. არის როგორც შავად (მათ შორის შავპრიალაც), ასევე წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭელთა ნატეხები. განსაკუთრებით აღსანიშნავია წაბლისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ზოომორფული, მრგვალგანივკვეთიანი ყურის (ტაბ. IX$_{3}$), ასეთივე კეციანი, პირგადმოშლილი, ყელდაბალი, მხრის დასაწყისში ირიბი ნაჭდევების სარტყლიანი მომცრო ზომის კოჭობის (ტაბ. IX$_{4}$), მოზრდილი, თხელკედლიანი ჭურჭლის პირის (ტაბ. IX$_{1}$), შავპრიალა ლანგრის და ბრტყელი ძირის ნატეხები (ტაბ. IX$_{2}$).

ასეთია იმ მასალის ხასიათი, რომელიც ფიჭვნარის დიუნაზე საცდელ თხრილში მოვიპოვეთ. მართალია, ასე მცირე ფართობის შესწავლის შემდეგ შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ მიღებული შედეგების შეჯამება აუცილებელია.

ოთხივე ფენისათვის დამახასიათებელია კენჭებნარევი უხეში თიხისაგან ხელით ნაძერწი, ცუდად გამომწვარი სქელკედლიანი მოწითალო ფერის ჭურჭელთა და თიხის რჩისებრ სადგართა ნატეხები. ასევე, ოთხივე ფენაში გვხვდება საყოფაცხოვრებო კერამიკაც, რომელიც ძირითადად მორგვზეა ნაკეთები. უხეში, მასიური ჭურჭლისა და რჩისებრი სადგრებისაგან განსხვავებით, საყოფაცხოვრებო კერამიკის თიხა, თუმცა კვიშნარევია, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში საკმაოდ კარგადაა მოზელილი და კარგადვე გამომწვარი. თიხის ჭურჭელთა ზედაპირი გამოწვის წინ იმდენად გულმოდგინედაა მოგლუვებული, რომ გაპრიალებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. საყოფაცხოვრებო კერამიკა ძირითადად წარმოდგენილია მკვეთრად გამოხატული ყელიანი, ფართო პირის მქონე მოზრდილი ჭურჭლებისა და ყელდაბალი, პირგადმოშლილი საშუალო ზომისა, თუ მომცრო ჭურჭლების ნატეხების სახით. აღსანიშნავია, რომ ოთხივე ფენაში ნაპოვნი თიხის ჭურჭელთა უკლებლივ ყველა ძირი ბრტყელია.

ბევრი რამ არის საერთო ფიჭვნარის დიუნის კულტურული ფენების კერამიკული მასალის ორნამენტაციაშიც. გვხვდება ამოღარული, თუ გაპრიალებული, ან კიდევ რელიეფური ხაზებითა თუ ზოლებით შესრულებული ორნამენტები. ორნამენტები ძირითადად წარმოდგენილია სარტყლების სახით. უკანასკნელი გარემოება მორგვის გამოყენებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

საერთო ნიშნებთან ერთად, მოპოვებული მასალის მიხედვით ფიჭვნარის

კულტურულ ფენებს შორის შეიმჩნევა ზოგიერთი განსხვავებაც. ასე მაგალითად: ზედა ორ ფენასთან შედარებით ქვედა ორ ფენაში მეტია ლეგა და წაბლისფერი კერამიკა. მეოთხე ფენაში შეგვხვდა მრგვალგანივკვეთიანი ზოომორფული ყური, ხოლო დანარჩენებში — ოვალურ განივკვეთიანი. ასევე, მხოლოდ მეოთხე ფენიდან გვაქვს ბრინჯაოს ლერის პატარა ფრაგმენტი.

მცირე ნიუანსები შეიმჩნევა თიხის ჭურჭლის ორნამენტაციაშიც, კერძოდ, მხოლოდ პირველ ფენაში გვხვდება ტალღისებური ორნამენტი (ტაბ. V_{10}) და რელიეფური ხაზის სარტყლები (ტაბ. V); მეორე ფენაში ირიბჭდეებიანი რელიეფური სარტყლები (ტაბ. $VII_{12,16}$) და გაპრიალებული ზოლებისაგან შედგენილი რომბისებური (ტაბ. VI_8) და კვადრატული (ტაბ. VII, 6, 7) ბადეები; მესამე ფენაში რელიეფურსარტყლებიანი (ტაბ. VIII, 1, 2) და გოფრირებულყელიანი (ტაბ. VIII_1) თიხის ჭურჭლის ნატეხები, ხოლო მეოთხეში—ირიბი ნაჭდევების სარტყელი (ტაბ. IX_4).

ასეთია ის მსგავსება-განსხვავებანი, რომელიც დღეისათვის ფიჭვნარის ნამოსახლარის კულტურული ფენების მასალებს შორის შეიმჩნევა.

ჩაქვის ნამოსახლარის საყოფაცხოვრებო კერამიკა საერთო ხასიათით ახლოს დგას ფიჭვნარის შესაბამის კერამიკასთან. გამოირჩევა ფართო და დაბალყელიანი, პირგადმოშლილი მოზრდილი ჭურჭლისა და სქელკედლიანი, ყელდაბალი, პირგადმოკეცილი მასიური ჭურჭლის ნატეხები. უკანასკნელს პირზე ირიბად ნაჭდევი ზოლები აქვს შემოვლებული. ეს ნატეხები და რელიეფური ხაზით შესრულებული სარტყლებით ორნამენტირებული ჭურჭლის კიდევ ერთი ფრაგმენტი წითელკეციანია (ტაბ. X). ჩაქვშიც თიხის ჭურჭელთა ძირები ბრტყელია (ტაბ. X).

მოპოვებული მასალის სიმცირის გამო, ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, თუ ფიჭვნარის ნამოსახლარის რომელ ფენას შეესაბამება ჩაქვის ნამოსახლარი. თიხის ჭურჭლის მხოლოდ ერთ ფრაგმენტს (ტაბ. X_5) მოეპოვება უშუალო ანალოგია ფიჭვნარის I ფენაში (ტაბ. V_9), მაგრამ ჩაქვის ზღვისპირა ტერასის კულტურული ნაშთების ფიჭვნარის მხოლოდ I ფენასთან დაკავშირებას საეჭვოდ ხდის ანაკრეფი მასალის მკვეთრად გამოხატული ზოომორფული ყური (ტაბ. X), რომელიც ფიჭვნარის I ფენაში მოპოვებულ მასალებთან შედარებით რამდენადმე უფრო ადრინდელი ჩანს.

ფიჭვნარისა და ჩაქვის ზღვისპირა ნამოსახლარებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა უახლოეს პარალელებს პირველ რიგში დასავლეთ საქართველოს ანალოგიური ნამოსახლარებისა და დაბლა გომის მასალებში პოულობს. ასე მაგალითად, ფიჭვნარის ზედა სამი ფენისათვის დამახასიათებელი ამოღარული ხაზის სარტყლები და გაპრიალებული ზოლებისაგან შედგენილი ორნამენტები გვხვდება ოჩამჩირეს, სოხუმის, ურეკის ზღვისპირა ნამოსახლარებისა და დაბლა გომის ბრინჯაოდან რკინის ხანაზე გარდამავალი პერიოდის კერამიკაზე. ამავე მასალებში ვხვდებით ტალღისებურ ორნამენტსაც, რომელიც ჩვენ ფიჭვნარის I ფენის კერამიკაზე გვაქვს[28].

---

[28] Л. Н. Соловьев, Следы древнего солианого промысла близ г. ухуми и Очамчире, გვ. 38, ტაბ. $11_{5,6}$
მისივე. Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии, გვ. 274, 275, ნახ. 556
М. М. Трапш, დასახ. ნაშრ., გვ. 187—188.
М. Б. Хоштария, დასახ. ნაშრ., გვ. 41, ტაბ. IX_7
Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირიბჭდეებიანი რელიეფური სარტყლები და გაპრიალებული ზოლებისაგან შედგენილი ბადეები შეგვხვდა ფიჭვნარიის მეორე ფენაში. პირველი სახის ორნამენტაცია ცნობილია მოქვის, ხოლო მეორე სოხუმის ნამოსახლარზე[29]. მაჯარისა და მოქვის ნამოსახლარებზე გვხვდება თიხის ჭურჭლები, რომელთაც მხარის დასაწყისში ირიბი ჭდეების სარტყელი აქვთ. მსგავსი ორნამენტი ფიჭვნარის მეოთხე ფენის კერამიკაშია დადასტურებული[30].

წინა ანტიკური ხანის კერამიკისათვის დამახასიათებელია ე. წ. ზოომორფული ყურები, რომლებიც საკმაო რაოდენობით გვხვდება ფიჭვნარისა და ჩაქვის ზღვისპირა ნამოსახლარების მასალებშიც; ამასთან, მათ შორის გამოირჩევა ზოგიერთი სახესხვაობანი. თუ ფიჭვნარის მეოთხე ფენაში გვაქვს თიხის ჭურჭლის თითქმის მრვალგანივკვეთიანი ზოომორფული ყური, რომელსაც ზედა ნაწილში დაძერწილი აქვს ასევე მრგვალგანივკვეთიანი ბოლოებწაკვეთილი ლილვი (ტაბ. IX$_3$), ზედა ფენებში თიხის ჭურჭლის ყური ოვალურგანივკვეთიანია და ზედა ნაწილში დაძერწილი აქვს ბოლოებაწეული ბრტყელი სირსოლი (ტაბ. VII$_{3,6}$). მისგან განსხვავებულია ზოომორფული ყური ჩაქვის ნამოსახლარიდან, რომელსაც ნახევრად ოვალური განივკვეთი და ზედა ნაწილში მკვეთრად გამოხატული რქისებრი ნაზარდი აქვს. (ტაბ. X$_2$). აღსანიშნავია, რომ ამ ყურის ზედა ნაწილი ძალიან გავს თიხის რქისებრ სადგომებს (შდრ. ტაბ. III$_1$). თიხის ჭურჭლის ზოომორფული ყურების ასეთსავე მრავალსახეობას ვხვდებით ურეკის ნამოსახლარისა და დაბლაგომის ბრინჯაოდან რკინაზე გარდაამვალი ხანის მასალებშიც[31].

ამგვარად, ფიჭვნარსა და ჩაქვში 1960 წელს ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად მოპოვებული კერამიკა ძირითადად შეესაბამება დას. საქართველოს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მასალებს. ეს საფუძველს იძლევა ფიჭვნარისა და ჩაქვის ზღვისპირა ნამოსახლარები ამავე ხანით დავათარიღოთ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით აღნიშნული ძეგლებიდან ცნობილი არ არის ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარზე არც ადრინდელი და არც უფრო გვიანდელი, აშკარად გამოხატული არქეოლოგიური მასალა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ხოშტარია, ფიჭვნარის დიუნებში ბრინჯაოდან რკინის ხანაზე გარდამავალი ხასის ფენებს გარდა, ენეოლითური ხანის ნიშნებზეც მიუთითებს[32].

ჩატარებული კვლევა-ძიების მასშტაბის სიმცირის გამო მოპოვებული მასალები საკმარისი არ არის ფიჭვნარის დიუნის ცალკეული კულტურული ფენების ზუსტი დათარიღებისათვის, მაგრამ ზემომოტანილი შესადარებელი მასალა საშუალებას იძლევა, რომ ქვედა ორი ფენა წინასწარულად ძვ. წ. X—VIII, ხოლო

---

[29] Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრ., გვ. 279, ნახ. 4$_7$.
М. М. Трапш, დასახ. ნაშრ. გვ. 188.
[30] Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრ., გვ. 272, 274.
[31] Н. Хоштария, დასახ. ნაშრ., გვ. 41, ტაბ. IX.
ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 119, 120, სურ. 9.
Н. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 123—126, ტაბ. 35.
[32] Н. Хоштария, Археологические раскопки в Пичвнари и Чолоки გაზ. „Батумской рабочий“, 1957, 7. IV.

პირველი და მეორე ფენა კი ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებს მივაკუთვნოთ.

ასევე ძნელია დღეისათვის კონკრეტულად რაიმეს თქმა აღნიშნული ნამოსახლარების მკვიდრთა საქმიანობისა და ყოფის სხვა მხარეების შესახებ. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ნ. ხოშტარიას გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლის ნამოსახლარების მკვიდრნი მაგნეტიტური ქვიშიდან რკინის მოპოვებაში იყვნენ დასაქმებული[33]. მაგრამ ცხადი არ არის, თუ როგორ წარმოუდგენია მას ზღვისპირა ნამოსახლარების მკვიდრთა საქმიანობა ამ მხრივ—მეტალურგები იყვნენ ისინი, თუ მხოლოდ მაგნეტიტური ქვიშებიდან რკინის მადნის მომპოვებელნი.

ჯერჯერობით ქართულ არქეოლოგიაში არ არის მოპოვებული უშუალო მასალები იმისათვის, რომ ზღვისპირა დიუნებისა და ტერასების ძველ დასახლებათა მკვიდრების მეტალურგობაზე ვიმსჯელოთ. ამის გამო, ამჟამად მხოლოდ სავარაუდო მოსაზრების სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ შემდეგი: 1960 წელს ზღვის ნაპირიდან არც თუ ისე დაშორებით, ჯიხან-ჯურ-ცეცხლაურისა და ანასეულის მიდამოებში მიკვლეულ იქნა რკინის მეტალურგიის მეტად მნიშვნელოვანი კერა, რომელიც ძველი წ. ა. პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯიხანჯურ-ცეცხლაურისა და ანასეულის რაიონის რკინის სადნობი ქურა — სახელოსნოები მუშაობდნენ ზღვის სანაპირო ზოლის მაგნეტიტური ქვიშის ბაზაზე[34]. მაგნეტიტური ქვიშიდან რკინის მადნის გამოყოფად საჭიროა მისი გამდიდრება ფლოტაციის საშუალებით. ბუნებრივია, ძველი მეტალურგები ჯერ წინასწარ, ადგილზევე მოახდენდნენ მაგნეტიტური ქვიშების გამდიდრებას გარეცხვის საშუალებით ისე, როგორც ეს აღწერილი აქვს ფსევდო-არისტოტელეს[35] და შემდეგ მიიტანდნენ მას სადნობ ქურა-სახელოსნოებთან. ადვილი შესაძლებელია, რომ ზღვის სანაპირო ზოლის ძველ დასახლებათა მკვიდრთათვის, მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, მაგნეტიტური ქვიშებიდან რკინის მადნის მოპოვება ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა იყო. თუ ეს ასეა, მაშინ შესაძლებელია, უხეში თიხისაგან დამზადებული ჭურჭლის ნამტვრევები სწორედ მაგნეტიტური ქვიშის სარეცხი აბაზანებისა იყოს.

ასეთია ის შედეგები, რომელიც მოგვცა შავი ზღვის სანაპირო ზოლისათვის დამახასიათებელი მეტად თავისებური ნამოსახლარების შესასწავლად ჩატარებულმა დაზვერვითმა კვლევა-ძიებამ ფიჭვნარისა და ჩაქვის მიდამოებში. მართალია, ჩატარებული მუშაობის მასშტაბი დღეისათვის არ იძლევა საშუალებას ამომწურავი პასუხი გაეცეს ამ ძეგლებთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს, მაგრამ მან საშუალება მოგვცა საკითხის დასმის წესით ყურადღება გაგვემახვილებინა ამ ნამოსახლარების შესწავლის ზოგიერთ მხარეზე, ხოლო ზოგ შემთხვევაში სრულებით ახალი ფაქტი დაგვედგინა.

ამასთან ერთად, ჩვენ მიერ ჩატარებულმა დაზვერვითმა მუშაობამ ცხადჰყო ამ ტიპის ძეგლების დიდი მნიშვნელობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიის ერთი მონაკვეთის, სახელდობრ, ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის შესწავლისათვის. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიის

---

[33] Н. Хоштария, Археологическое исследование в Уреки. 28, 29.

[34] ი. გძელიშვილი, დასახ. ნაშრ.

[35] Известия древних писателей о Скофии и Кавказа, ВДИ, 1947, № 2, გვ. 327.

შესწავლა მხოლოდ ეხლა იწყება .დღეისათვის ამ ტერიტორიიდან არა თუ შესწავლილი, არამედ თითქმის ცნობილიც არ არის აღნიშნული ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები. სწორედ ამის გამო მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს ამ პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების დამახასიათებელ მხარეთა შესახებ. ძალიან ცოტა ვიცით არქეოლოგიური ძეგლების ერთ-ერთი უმთავრესი მასალის. კერამიკის შესახებ. ფიჭვნარსა და ჩაქვში ჩატარებულმა დაზვერვითმა სამუშაოებმა გვიჩვენა, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლის ჭვიშნარი დიუნებისა და ტერასების ძველ დასახლებათა ნაშთები შეიცავენ მდიდარ კერამიკულ მასალას, რაც საშუალებას იძლევა შევსებულ იქნეს აღნიშნული ხარვეზი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ზღვისპირა დასახლებათა საფუძვლიანი შესწავლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოდან—რკინაზე გარდამავალი ხანის არქეოლოგიური ძეგლების შემდგომი კვლევა-ძიების კარგი დასაყრდენი გახდება.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისა ჩანს ფიჭვნარის მრავალფენოვანი ნამოსახლარი. თუკი შემდგომი კვლევა-ძიების საშუალებით მოხერხდებოდა ფიჭვნარის ძველი დასახლების თითოეული ფენის კონკრეტული დათარიღება, მაშინ ჩვენ მივიღებდით შესანიშნავ სტრატიგრაფიულ ჭრილს დროის შედარებით მცირე მონაკვეთისათვის. ჩვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრისათვის. ამას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა, რომ აღნიშნულ პერიოდში სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მეტად დაწინაურებული, მაღალი კულტურის მატარებელი ჩანს. ამაზედ აშკარად უნდა მიუთითებდეს ბრინჯაოს (ხშირ შემთხვევაში ალბათ ბრინჯაოსა და რკინის) ნივთების ის მრავალრიცხოვანი განძები[36], რომლებიც უკლებლივ შემთხვევით არის მოპოვებული და ამის გამო, სამწუხაროდ, მათი აღმოჩენის პირობების შესახებ ან მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება, ან კიდევ სრულებით არაფერი ვიცით[37]. ცხადია, ამავე ხანის ნამოსახლარებისა და სამაროვნების მიკვლევა და მათი კომპლექსური შესწავლა დიდი მნიშვნელობის ამოცანაა.

---

[36] აღნიშნული განძები დღემდის მონოგრაფიულად არავის შეუსწავლია, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ განძების ერთი ნაწილის შესახებ სხვადასხვა საკითხების განხილვასთან დაკავშირებით, მოიპოვება ზოგიერთი ცნობები. იხ. А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе ИГАИМК, вып. 120, М-Л., 1935, გვ. 118, 122; Б. А Куфтин, МАК, I, Тб., 1940, გვ. 133; 134, 118—224; მისივე, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, სსმმ, XII-B თბ., 1944, გვ. 317, 318.

ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული, სსმმ, XVI-B თბ., 1950; მისივე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ ქართულ კულტურაში, თსუ, შრომები, ტ. 49, თბ., 1953.

[37] სწორედ ამიტომ არის, რომ ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ადრე ცნობილი შემთხვევითი აღმოჩენების ადგილთა დაზვერვა და აღმოჩენის პირობების შესაძლო დაზუსტება არქეოლოგიური კვლევა-ძიების ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად დასახა. ამ მხრივ გადადგმულმა პირველმა ნაბიჯებმა უკვე მოგვცა საყურადღებო შედეგი.

А. Т. РАМИШВИЛИ

ДРЕВНИЕ ПОСЕЛЕНИЯ ПРИМОРСКОЙ ПОЛОСЫ В ЧАКВИНСКОМ РАЙОНЕ

(Материалы археологических разведок 1960 года)


Резюме

Древние поселения песчанных дюн Причерноморья весьма своеобразные, но малоизученные памятники.

В 1960 году Батумский научно-исследовательский институт АН Грузинской ССР совместно с Институтом истории им. акад. И. Д. Джавахишвили проводил разведочные археологические раскопки на древних поселениях в Пичвнари и Чакви (Чаквинский р-н).


В результате этих раскопок добыт ценный археологический материал, состоящий в основном из керамических изделий. Особенно важное значение имеет находка в первом (в верхнем) слое Пичвнарского поселения жертвенника, составленного из т. н. глиняных «рожек». Установлено, что древнее поселение в Чакви является однослойным, а в Пичвнари—многослоиным памятником (в 1960 году в Пичвнари изучен четыре слоя).

На основании керамического материала, который имеет свои близкие параллели в керамике аналогичных памятников Причерноморья и других поселении Западной Грузии, древние поселения в Пичвнари и Чакви предварительно датируются первой половиной I тысячилетия до нашей эры.




ფიჭვნარის ძველი ნამოსახლარი. სამსხვერპლო. I ფენა

ეროვნული ბიბლიოთეკა




Гор. М – 1:50 Верт. М – 1:100

ფიჭვნარის ძველი ნამოსახლარი. დიუნის ჭრილი




ფიჭვნარის ძველი ნამოსახლარი. თიხის რჭისებრი სადგრები




ფიჩვნარის ძველი ნასახლარი. ანაკრეფი, კერამიკული მასალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ფიქვნარის ძველი ნამოსახლარი. I ფენის კერამიკული მასალა.


ეროვნული ბიბლიოთეკა



. ფიჩვნარის ძველი ნამოსახლარი. II ფენის კერამიკული მასალა.




ფიქვნარის ძველი ნამოსახლარი. III ფენის კერამიკული მასალა.




ფიქვნარის ძველი ნამოსახლარი. III ფენის კერამიკული მასალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ფიჭვნარის ძველი ნამოსახლარი. IV ფენის კერამიკული მასალა.



ჩაქვის ძველი ნამოსახლარი. კერამიკული მასალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩაჭვის ძველი ნამოსახლარი. თიხის რჭისებრი სადგრები კულტურული ფენიდან.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1964
Труды Батумского научно-исследовательского института, т. III, 1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ბარამიძე

საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში

საქართველოს ძველი ისტორიის კვლევა-ძიებას კარგა ხნის ისტორია აქვს. მისი მრავალსაუკუნოვანი წარსულის შესწავლით დაინტერესებულა არა მარტო ქართველი ისტორიკოსები, არამედ რუსი და უცხოელი მეცნიერები. განსაკუთრებული წინმსვლელობა ეტყობა მას ქართული ისტორიოგრაფიის ახალი პერიოდის ფუძემდებლის — გამოჩენილი გეოგრაფისა და ისტორიკოსის, ვახუშტი ბაგრატიონის დროიდან. მისი ნაშრომები „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „საქართველოს ისტორია“ ადასტურებენ, რომ ვახუშტი ბაგრატიონი კარგად იცნობდა ანტიკური ხანის ზოგიერთი ისტორიკოსის თხზულებებს. კერძოდ, მას გამოყენებული აქვს პლინიუსის, ციცერონისა და სხვა ძველ ავტორთა ნაშრომები.

ანტიკური ხანის მწერალთა ცნობებს საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხის გაშუქებისას იყენებდა თეიმურაზ ბაგრატიონიც. აკად. ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით, თეიმურაზ ბაგრატიონი საქართველოს ისტორიკოსთა შორის პირველთაგანია, რომელმაც ყურადღება მიაქცია იოსებ ფლავიუსის ცნობას იმის შესახებ. რომ „დაბადების“ თუბალი საქართველოს იბერიას შეესაბამება. უკეთ რომ ვთქვათ, იბერია „დაბადების“ თუბალის მერმინდელ, სახეშეცვლილ ფორმას გამოხატავს*.

სამწუხაროდ, თეიმურაზ ბაგრატიონმა იოსებ ფლავიუსის ცნობა არ გაიზიარა, მან ეს საბუთი სარწმუნოდ არ მიიჩნია. თეიმურაზ ბაგრატიონისათვის, როგორც ისტორიკოსისათვის, მიუღებელი დარჩა იოსებ ფლავიუსის ფრიად ნიშანდობლივი ცნობა თუბალის საქართველოსთან მჭიდრო კავშირის შესახებ. მან თავისთავად სწორ დებულებას გვერდი აუარა.

თეიმურაზ ბაგრატიონი იოსებ ფლავიუსისადმი უნდობლობას, მისდამი სკეპტიკურ დამოკიდებულებას იმ გარემოებითაც ასაბუთებდა, რომ მისი სიტყვით, ეს დებულება ქართული ნაციონალური საისტორიო ტრადიციის ცნობებს არ ეთანხმება.

---

* ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, 1950 წ., გვ. 227.

ჩვენ ამ ცნობის გარკვევაში გარკვეული კორექტივი შეგვაქვს. იოსებ ფლავიუსის ცნობა თობელის (თუბალის) იბერთან გენეტიკური ნათესაობის შესახებ სწორად მიგვაჩნია იმ თვალსაზრისით, რომ საერთოდ შეიძლება ეს საბუთი გამოყენებულ იქნას თობელის ქართველობასთან გენეტიკური კავშირის ხაზით, კერძოდ, დასავლურ-ქართულ ანუ მეგრულ-ჭანურ სამყაროსთან ნათესაობის ხაზით. მაგრამ გამორიცხულად ვთვლით ამ ცნობის დაკავშირებას საკუთრივ იბერთან.

* * *

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩვენი სამშობლოს ძველი ისტორიის საკითხების კვლევა-ძიება ახალ ფაზაში შედის. რუსეთის გზით საქართველოში ეცნობიან დასავლეთ ევროპის კულტურასა და მეცნიერებას. საქართველო რუსეთის მოწინავე კულტურის მოზიარე ხდება.

საკუთარია, რომ მე-19 საუკუნის ქართველი ისტორიკოსები რუსეთში იღებენ უმაღლეს განათლებას, გულმოდგინედ ეუფლებიან მდიდარ რუსულ ენას, საქართველოს ძველ ისტორიაზე გამოკვლევებს უპირატესად წერენ რუსულ ენაზე.

ქართველი ისტორიკოსები მათი თანადროული რუსი და უცხოელი მეცნიერების მონაპოვართა სინათლეზე იკვლევენ ჩვენი სამშობლოს უძველეს წარსულს. ისინი არ იფარგლებიან მარტოოდენ ანტიკური ხანის მწერალთა ცნობებით საქართველოს შესახებ, მათი კვლევა-ძიების სფეროში ექცევა უკვე ძველაღმოსავლური, უპირატესად, ეგვიპტოლოგიური და ასირიოლოგიური საკითხები, ქართველ ტომთა ისტორიული, ოდინდელი ურთიერთობა წინა აზიის ხალხებთან.

აქ ჩამოთვლილი საკითხები, რა თქმა უნდა, სრული არაა; ქართველი ისტორიკოსების კვლევა-ძიების სფერო უფრო მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, რისი დახასიათება, თუნდაც ძალზე ზოგადი, ერთი წერილის საშუალებით, სავსებით მოუხერხებელია. ამიტომ ჩვენ მნიშვნელოვნად შემოვფარგლეთ მიმოხილვის სფერო. წინამდებარე წერილში შევეხებით აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის ქართველ ტომებთან გენეტიკური კავშირის საკითხს.

მე-19 საუკუნის მანძილზე იზრდება დაინტერესება საქართველოს ძველი ისტორიით, თანდათან ფართოვდება კვლევა-ძიების მასშტაბი, იგი სამეცნიერო დონეს უახლოვდება.

ამ დროის ისტორიკოსთა შორის ჩვენ ყურადღებას იქცევს პლატონ იოსელიანი. მართალია, მისი საისტორიო ნაშრომები ძირითადად ფეოდალურ ხანას ეკუთვნის, მაგრამ მას გამოქვეყნებული აქვს რიგი წერილებისა, რომლებიც ნაწილობრივ ეხება ჩვენს თემას. ასეთია, მაგალითად, პ. იოსელიანის სტატია სათაურით: „Различныя наименования грузинов“,[1] რომელიც ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს.

ნაშრომის სათაურიდან ნათლად ჩანს, თუ რა განზრახვა ჰქონდა ავტორს. მას „ქართლის ცხოვრების“, „დაბადების“ და ანტიკური ხანის მწერალთა ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მიზნად დაუსახავს ქართველი ხალხის ეთნიკურ სახელწოდებათა გამორკვევა.

პ. იოსელიანი, როგორც ფეოდალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი, ცხადია, კარგად იცნობს ებრაელთა საღვთო წიგნს „დაბადებას“. იგი სწორად მიუთითებს, რომ „დაბადება“ საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა. მასში დაცულია ცნობები მეშეხების (მესხები) და თუბალების შესახებ. მაგრამ იგივე ხალხს იცნობს აგრეთვე ბერძნულ-რომაული, ან უკეთ რომ ვთქვათ, ანტიკური სამყარო. ჰეროდოტე, სტრაბონი, პლინიუსი მოგვითხრობენ ამ ტომთა თავგადასავალს.

---

[1] Журнал министерства внутренних дел, 1844 წ., № 4, გვ. 115—143.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამახასიათებელია, რომ პ. იოსელიანი არ კმაყოფილდება ბიბლიური ფაქტების უბრალო აღნუსხვით. მას შესაძლებლად მიაჩნია, მაგალითად, იმისი მტკიცება, რომ წინასწარმეტყველ იეზეკიელის ცნობა მეშეხებისა და თუბალების ტვიროსთან სპილენძის ჭურჭლით და მონათა ვაჭრობის შესახებ, უნდა მიუთითებდეს სამხრეთ საქართველოს სპილენძის მადნით მდიდარ ტერიტორიაზე.

მაშასადამე. პ. იოსელიანს აქვს უნარი ისტორიულ ცნობათა ურთიერთშეპირისპირების, მათი განზოგადების და ორგანული დაკავშირებისა. მართალია, სხვა საკითხია, თუ რამდენად მისაღებია „დაბადების“ მეშეხებისა და თუბალების საქართველოს სომხითთან დაკავშირება, მაგრამ ცდა ხსენებული ტომების ამგვარი ლოკალიზაციისა უთუოდ ყურადღების ღირსია.

პ. იოსელიანს ამასთან აინტერესებს ხალიბური რკინის საკითხიც. ცნობილია ,რომ ხალიბთა ქვეყანაში რკინის მეტალურგიით, მისი ფართო მოხმარებით, ადრევე დაინტერესებულა ანტიკური სამყარო. ხალიბთა შესახებ ჰომეროსის[2], ჰეროდოტეს და სტრაბონის ცნობათა შესწავლა პ. იოსელიანი იმ დასკვნამდე მიუყვანია, რომ მათ ადგილსამყოფელს იგი ეძებს ყულპის რაიონში. მაგრამ საქმე ისაა, თუ რომელი ყულპია სავარაუდებელი ხალიბთა ლოკალიზაციისათვის? პ. იოსელიანი აღნიშნავს, რომ ასეთ რაიონად მისაჩნევია საქართველოს სომხითი (ძველი გუგარეთის ერთი უმნიშვნელოვანესი თემთაგანი), რადგან ამ ტერიტორიაზე ძველთაგან არის აღმოჩენილი რკინის მდიდარი საბადოები. ხოლო რაც შეეხება ყარსისა და დიდი არმენიის ყულპებს, იქ ცნობილია მხოლოდ მარილის ქვის საბადოები.

მაგრამ პ. იოსელიანი აღნიშნული დებულებით არ იფარგლება. მას ფრანგ მოგზაურ ფრედერიკ დიუბუა დე-მონპერესთან ერთად დასაშვებად მიაჩნია ყულპისა და ხალიბის სახელწოდებათა იგივეობა. იგი წერს: „Принявши Кульп за Халиб (Калиб) древних, не трудно объяснить слова Гомера, который говорит, что за Куром, протекающим в виду Кульпа, находится народ Алазанский (Halyzones), среди живописной долины Алазанской... Страбон прямо именует реку Алазань доныне удержавшую свое старое название“.[3]

მაშასადამე, მოტანილი ამონაწერიდან გამომდინარეობს, რომ ყულპი იგივე ხალიბია. ვთქვათ, რომ ეს იგივეობა სიმართლის შემცველია, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ჰომეროსი იცნობდა მტკვარს (იგი ჩაუდის ხალიბთა ქვეყანას),

---

[2] სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ წერს, რომ ჰომეროსი ალიძონებში ალბათ გულისხმობდა ხალიბებსო (იხ. Вестник древней истории, 1947 წ. №-4, გვ. 236. შდრ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1957 წ., გვ. 205). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჰომეროსის „ილიადა“-ში (Иллиада II, 856) მოხსენებული ალიბების ქვეყანა (იგი ჰომეროსის სიტყვით, ვერცხლის საბადოებს შეიცავდა) შეესაბამება სტრაბონის ხალიბებს და არა ალიძონებს. ასეთივე აზრისაა თ. ყაუხჩიშვილი, იხ. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 249. როგორც ჩანს, სტრაბონი უნდა ცდებოდეს. ამასთან ჩვენ ვსვამთ კითხვას—ხომ არაა შესაძლებელი ალიძონების სახელწოდება ორ ნაწილად დავყოთ, კერძოდ „ალი“-ებად და „ძონ“-ებად, რომელშიც „ალი“ ეგების მეგრულად „ღალი“—გაბოითქმოდა და მაშინ შეგვედარებინა მეგრული „ღალი“-სათვის, რომელიც „ღელეს“ ნიშნავს (შესადარებლად გამოდგებოდა მდინარე ღალიძგის ეტიმოლოგია, მეგრულად „ღელის ნაპირი“ რომ ეწოდება), ხოლო „ძონ“-ებში კი „ხონ“-ების ანუ „ზან“-ების (იგივე ჭანების) სახელწოდება დავინახოთ? თუ ჩვენი მოსაზრება გამართლებას იპოვის, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ალიძონები ერთ-ერთ უძველეს მეგრულ ტომს ეკუთვნის.

[3] П. Иоселиани. დასახ. ნაშრ., გვ. 119.

რისი გაზიარება ყოვლად დაუშვებელია. ამ შემთხვევაში პ. იოსელიანი ეყრდნობა არა საკუთრივ ჰომეროსის, არამედ ფ. დიუბუას ცნობას[4]. ეს უკანასკნელი კი ასეთ განმარტებას იძლევა: „ახლა თუ თქვენ დარწმუნდით, რომ ყულპი ძველი ხალიბია, მაშინ ისიც ცხადი უნდა იყოს თქვენთვის, თუ რისთვის უწოდებს ჰომეროსი ალიძონებად ყულპიდან მომავალ მხედრობას: გადით მტკვარს, რომელიც ყულპის პირისპირ მიედინება და თქვენ შეხვალთ ალაზნის მშვენიერ ხეობაში, რომლის სახელი ისევე ძველია, როგორც ქართველი ხალხისა“[5].

ისპის კითხვა — რა მონაცემები გააჩნია ფ. დიუბუას ყულპისა და ხალიბის იდენტურობისათვის, რა მასალა აქვს მას ხელთ? ასეთი კატეგორიული განცხადება მან შემდეგი ფაქტიდან გამოთქვა. ავტორი აღნიშნავს, რომ ხალიბთა საკითხს „პირველად ჰომეროსი შეეხო. ის ამბობს ილიადის II თავში: „ოდიოსი და ახოვანი ეპისტროფოსი წინამძღვრობდნენ ალიძონთა მხედრობას, რომელნიც მოდიოდნენ ალიბის შორეული ქვეყნით, სადაც ვერცხლი იპოება“. ჰომეროსის შემდეგ სხვა მწერლები ხშირად იხსენიებენ ხალიბთა რკინას და სტრაბონი, განმარტავს რა ჰომეროსის ზემოთ მოტანილ სიტყვებს, აღნევს იმ მწერალთა აზრს, რომელნიც ხალიბებს ასახელებენ მცირე-აზიის ადგილებში: იგი ათავსებს მათ (ხალიბებს, ა. ბ.). საგრძნობლად აღმოსავლეთით, მცირე — არმენიაში, არ მიუჩენს რა მათ ზუსტ ადგილმდებარეობას. ამრიგად, იგი ასე ვთქვათ, ათავსებს ხალიბებს არმენიაში[6].

მაშასადამე, ფ. დიუბუას აზრით, სტრაბონისეული ხალიბთა ქვეყანა საძებნია მცირე არმენიაში. გავარჩიოთ სტრაბონის ცნობები ხალიბთა თაობაზე, რათა დავრწმუნდეთ ფრანგი მოგზაურის მოსაზრებათა სამართლიანობაში.

სტრაბონი თავის „გეოგრაფია“-ში ხალიბებს ხუთგზის იხსენიებს სხვადასხვა საკითხთა რიგში. მისი ცნობები მათზე ასეთია: იგი მიუთითებს, რომ სომხეთის მეფეებმა არტაქსიასმა და ზარიადრესმა (ძველი წელთაღრიცხვის II- ე საუკუნე) „...ხალიბებისა და მოსინიკებისაგან (წაიღეს) კარენიტი და ქსერქსენე, რომლებიც მცირე არმენიის მეზობლად არიან, თუ მისი ნაწილები არიან“[7]. „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები, ქალდები და სანები, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს, (აქვეა) მცირე არმენია“[8]. „ეხლანდელი ქალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ, უფრო ამათ შორის მდებარეობს ფარნაკია“[9]. „ვფიქრობ, რომ ამათ (ხალიბებს) ახსენებს პოეტი (ჰომეროსი) ალიძონებად „კატალოგში“ პაფლაგონიელების შემდეგ“[10]. „ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის მახლობლად მდებარე ადგილებს ზემოთ არიან ტიბარენები და ქალდეები ვიდრე მცირე არმენიამდე“[11].

რაზე მიგვითითებს სტრაბონის მოტანილი ამონაწერები? რა დასკვნა გამომდინარეობს მისი ცნობებიდან? დასკვნა ჩვენი აზრით, ასეთი უნდა იყოს: ხალიბთა ჩრდილოეთის საზღვარი ჰომეროსის ხანისათვის მაინც შავი ზღვის სამხ-

[4] F. Dubois. Voyage.. ტ. IV, გვ. 140—141.
[5] F. Dubois. დასახ. ნაშრ., ტ IV, გვ. 140—141.
[6] F. Dubois. დასახ. ნაშრ., ტ. IV, გვ. 139.
[7] სტრაბონის გეოგრაფია, თარგ. თ. ყაუხჩიშვილისა, თბილისი, 1957 წ., გვ. 189.
[8] სტრაბონის გეოგრაფია, დასახ. გამოც. გვ. 203.
[9] სტრაბონის გეოგრაფია, დასახ. გამოც. გვ. 204.
[10] იქვე, გვ. 205.
[11] სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 212.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ სანაპიროზე მდებარეობდა. ასეთია ამასთან სტრაბონის მოწმობაც (ხალიბთა ქვეყანაში ძევს ქალაქი ფარნაკია, ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ქალდები). ხოლო რაც შეეხება ხალიბთა სამხრეთის საზღვარს, იგი სტრაბონით მცირე არმენიას ესაზღვრება, თუ მისი ნაწილია.

სტრაბონის ეს უკანასკნელი ცნობა სავსებით ნათელი მაინც არაა. კერძოდ, გაუგებარია ეს ორი ქალაქი (აქედან პირველი ალბათ, ხალიბებს ეკუთვნოდა) შედიოდა თუ არა მცირე არმენიის საზღვარში? ამ სამი ცნობიდან საკუთრივ სტრაბონი, როგორც ჩანს, მაინც იმ მოსაზრების სასარგებლოდ იხრება, რომ ხალიბთა (ქალდები) კარენიტი მცირე არმენიის ნაწილს კი არ წარმოადგენდა, არამედ მის მოსაზღვრე ქალაქს.

მაგრამ, თუნდაც რომ ხალიბთა ქალაქი კარენიტი მცირე არმენიის კუთვნილებად ვიცნოთ, აქედან მაინც არ გამომდინარეობს ყულპისა და ხალიბის იგივეობა. ფ. დიუბუა თავისი აზრის დასამტკიცებლად კიდევ უფრო შორს მიდის. იგი შენიშნავს, რომ ყულპი ანუ სომხური გამოთქმის გოლფი ძველად სომხეთს ეკუთვნოდა[12]. მაგრამ ამ დებულებიდან იმ დასკვნის გამოტანა მაინც არ შეიძლება, რომ ყულპი ხალიბთა იდენტურ სახელწოდებას წარმოადგენს, რომ იგი სახეშეცვლილი ფორმაა ძველი ხალიბისა.

პ. იოსელიანის მეორე დებულებაც ნდობას არ იმსახურებს. ალიძონების დოკალიზაცია ალაზნის ველზე, კახეთში, ყოვლად დაუშვებელია. ეს ტომი, როგორც ცნობილია, მცირე აზიის ჩრდილოეთ მხარეს სახლობდა[13].

ამრიგად, ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ პ. იოსელიანის შრომის წყარო სუსტი და ნაკლულია. ფ. დიუბუას შრომა ანტიკურ გეოგრაფოსთა ცნობების არასწორ გაგებაზეა დამყარებული, იგი მცდარ ინტერპრეტაციას იძლევა. მიუხედავად ამისა, პ. იოსელიანი თავისი დროისათვის ფრიად განსწავლული ისტორიკოსია, მას შესწევს სათანადო უნარი ისტორიული ფაქტების განზოგადოებისა. მართალია, მისი მოსაზრება თუ ლოკალიზაცია ზოგჯერ მისაღები არაა, მაგრამ ის ფაქტიური მასალა, რომელზედაც პ. იოსელიანს ხელი მიუწვდებოდა, უთუოდ ყურადღების ღირსია.

ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ქართველი ინტელიგენციის „პატარა წრემ“, როგორც ამას კ .მამაცაშვილი გადმოგვცემს[14], მიანდო პ. იოსელიანს ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარესი ხანის საქართველოს ისტორიის სისტემატიური კურსის დაწერა ვიდრე მე-5 საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვისა. პ. იოსელიანს მასზე დაკისრებული დავალება პირნათლად შეუსრულებია.

საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლას ანტიკურ მწერალთა თხზულებებზე დაყრდნობით ხელი მიჰყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა. იგი პ. იოსელიანის მსგავსად, არ შეიძლება ჩაითვალოს საკუთრივ საქართველოს ძველი ისტორიის მკვლევრად, მაგრამ მისი „ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“[15]. მიუთითებს დ. ჩუბინაშვილის საკმარის დაინტერესებაზე ამ მიმართულებით.

---

[12] F. Dubois, დასახ. ნაშრ., ტ. IY, გვ. 140.

[13] ВДИ, 1947, № 4, გვ. 236, შენ. 1, შდრ. Гомер.Илиада, 1935, გვ. 581. თ. ყაუხჩიშვილი დასახ. ნაშრ., გვ 249.

[14] კ. მამაცაშვილი, ნიკოლოზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკა (მასალა ბიოგრაფიისათვის), „დროება“, 1891, № 206.

[15] „ივერია“ 1877, № 14, 15, 16 .17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ჩუბინაშვილი თავის შრომას კაპადოკიის მდებარეობის განსაზღვრით იწყებს, რაც ანტიკური მწერლების (ჰეროდოტე, სტრაბონი, პლინიუსი) ცნობათა მონაცემებს ემყარება. ავტორი ისტორიულ კაპადოკიას ორ ნაწილად ჰყოფს, კერძოდ, ხმელეთის კაპადოკიად და შავი ზღვისპირეთის კაპადოკიად. მოცემულია მათი მოკლე გეოგრაფიული დახასიათება. აღნიშნულია, რომ ხმელეთის კაპადოკია უწყლო, ცხელ, მოუსავლიან და უნაყოფო თემს წარმოადგენდა. მისგან არსებითად განსხვავდება შავი ზღვისპირეთის კაპადოკია.

შავი ზღვისპირეთის კაპადოკია ორი თემისაგან შედგება, პონტოს სამეფოსა და კოლხეთისაგან. ეს ორი ქვეყანა მდიდარია მდინარეებით, სოფლის მეურნეობის ნაყოფიერებით და მთამადნეულით. ერთი სიტყვით, აქ ისეთი ბუნებრივი პირობებია შექმნილი, რომ მისი ტერიტორია ძველთაგან იზიდავდა უცხოელ დამპყრობთ, კერძოდ, ასურელებს, მიდიელებს, სპარსელებს.

კაპადოკიის გეოგრაფიული მიმოხილვის შემდეგ დ. ჩუბინაშვილი გადადის მისი პოლიტიკური ისტორიის თხრობაზე. ნაშრომის ეს ნაწილი არაა ორიგინალური კვლევა-ძიების შედეგი. აქ თავმოყრილია უცხოელი ავტორების (ვივიენ სენ-მარტენის, ვალიანის, ტექსიეს, რიტერის) ცნობები პონტის სამეფოს ისტორიიდან.

რაც შეეხება კოლხეთის სამეფოს, დ. ჩუბინაშვილს არ აინტერესებს მისი პოლიტიკური ისტორია. აქ ავტორის მიზანს კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების ეთნოგრაფიული ცნობების გადმოცემა შეადგენს, რომელიც შეკრებილი აქვს ქსენოფონტეს — „ანაბასის“-ში.

ცნობილია, რომ „ანბასისი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს ისტორიის ძველი პერიოდისათვის. სწორედ ამ გარემოებას აქცევს ყურადღებას დ. ჩუბინაშვილი, იგი დიდ შეფასებას აძლევს ქსენოფონტეს „ანაბასისს“ და შენიშნავს, რომ „შემდგომნი ბერძენთა მწერალნი მხოლოდ განამეორებენ მის (ქსენოფონტეს — ა. ბ.) უწყებათა“[16].

დ. ჩუბინაშვილი თავის ნაშრომში გარკვეულ ადგილს მიუჩენს ხალიბთა და ტიბარენთა ადგილმდებარეობისა და ეთნიკური წარმომავლობის საკითხს. ხალიბთა შესახებ მას შემდეგი ცნობები აქვს შეკრებილი. ავტორი აღნიშნავს, რომ ქსენოფონტე ამ ხალხს ორჯერ მოიხსენიებს[17]. ისინი პირველად ისპირზე იხსენებიან, ხოლო მეორე შემთხვევაში შავი ზღვისპირეთში, კერძოდ, ქალაქ კერასუნტის ახლოს. მას სარწმუნოდ მიაჩნია სტრაბონის მითითება, რომ ხალიბები ის ტომია, რომელიც ჰომეროსს ალიძონებად ჰყავს მოხსენებული და რომელიც თავის კუთვნილ ტერიტორიაზე ვერცხლის მადანს ამუშავებდა.

დ. ჩუბინაშვილი იზიარებს აგრეთვე ფ. დიუბუას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ალიძონების (ალაზნელები) ანუ ხალიბების უძველესი პირველსაცხოვრისი საძებნია კახეთში, მდინარე ალაზნის სანაპიროზე. ავტორი ამ აზრის დასამტკიცებლად ორ ცნობას ემყარება.

პირველი წყაროა სკილაქს კარიანდელისა და პლინიუსის ცნობა, რომ ხალიბები ცხოვრობდნენ როგორც პონტოს სამეფოში, ისე ისტორიულ ქართლში. ავტორი ქართლის სახელწოდების ქვეშ, ცხადია, იბერიას გულისხმობს. მეორე წყაროს მცირე აზიისა და საქართველოს გეოგრაფიულ პუნქტთა (ქალაქები,

---

[16] დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., „ივერია“, 1877, № 16, გვ. 8.

[17] დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, აქ აშკარად შემცდარია, ქსენოფონტე ხალიბებს ხუთგზის იხსენიებს.

მდინარეები) დამთხვევის ფაქტები წარმოადგენენ. დაწვრილებით გავარჩიოთ ეს წყაროები.

სკილაქს კარიანდელისათვის (დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის შუა წლები) მიწერილი პერიპლუსი ხალიბთა შესახებ შემდეგ ცნობას შეიცავს: „ტიბარენებს იქით ცხოვრობს ხალიბთა ხალხი; იქ არის დახურული ნავსადგური გენეტი, ელინური ქალაქი სტრამენია და ელინური აკროპოლისი იაზონია“[18]. საკუთრივ ის ფაქტი, რომ სკილექს კარიანდელის პერიპლუსში ხალიბები ტიბარენთა შემდეგ იხსენიებიან, მიუთითებს ხალიბების ტიბარენთა მეზობლად ცხოვრების შესახებ. მაგრამ ბუნებრივად ისმის კითხვა — სად მდებარეობდა საკუთრივ ტიბარენთა ქვეყანა? ამ უკანასკნელის ლოკალიზაცია ანტიკური ავტორების ჩვენებათა მიხედვით, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზეა საძებნი. ასე, მაგალითად, ქსენოფონტე (ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნე) აღნიშნავს, რომ ქალაქი კოტიორა (ორდუ) ტიბარენთა ქვეყანაში მდებარეობდა[19]. კოტიორა კი საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისის თანახმად, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობდა. ამასთან, ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნის ისტორიკოსის ჰეკატე მილეტელის ცნობიდან ირკვევა, რომ ხალიბები პონტოს ზღვის ახლოს ცხოვრობენ, კერძოდ, მდინარე თერმოდონზე[20]. აქედან ჩანს, რომ ხალიბთა ტომი მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში სახლობდა.

გარდა ამისა, სკილაქსის ცნობით, ხალიბთა ქვეყანაში მდებარეობდა დახურული ნავსადგური გენეტი. ნავსადგურის არსებობა თავისთავად გულისხმობს მის ამა თუ იმ ზღვის სანაპიროსთან მდებარეობაზე.

ახლა, თუ ჩვენ ვივარაუდებთ, რომ სკილაქს კარიანდელის ხალიბების გარკვეული ტომი მაინც სახლობდა იბერიაში, მაშინ მისი სანაპები სადმე ზღვის ახლოს უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ იბერიის ასეთ ფართო გავრცელებას არც საკუთრივ ფ. დიუბუა ვარაუდობს. ამიტომ სწორი არაა მისი მოსაზრება, რომ სკილაქს კარიანდელის პერიპლუსის სათანადო ადგილის მიხედვით ხალიბთა ტომის იბერიის სამეფოში არსებობა **სარწმუნო ფაქტად მივიჩნიოთ.**

რაც შეეხება პლინიუსის (ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნე) მოწმობას ხალიბთა საცხოვრისის შესახებ ქართლის (იბერიის) ტერიტორიაზე, ამაზე შემდეგის თქმა შეიძლება.

დ. ჩუბინაშვილი ამ საკითხში ფრანგი მოგზაურის ცნობებს ემყარება. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ფ. დიუბუას მოსაზრებათა განხილვა. მისი სიტყვით, პლინიუსი არმენიის აღწერაში ხალიბებს სამ განსხვავებულ ტერიტორიაზე ათავსებს. პლინიუსი ხალიბთა პირველ ადგილმდებარეობას სიდენსა და თემისყურის ველზე მიიჩნევს. აქ. ფ. დიუბუას ცნობით, მ. ჰამილტონს რკინის ძველი საბადოები აქვს აღმოჩენილი, სადაც მის დროსაც კი წარმოებდა რკინის გამოდნობა. მეორედ ხალიბები მოჩანან გიუმიშხანეს ტერიტორიაზე, ტრაპიზონის ახლოს. აქ სპილენძის საბადოებია აღმოჩენილი. ამ ხალიბებს პლინიუსი არმენოხალიბებს ეძახის. დასასრულს, ხალიბთა მესამე ადგილსამყოფელი პლინიუსის მიხედვით, საძებნია ყულპსა და სომხითში, სადაც დადასტურებულია სპილენძის, ვერცხლისა და რკინის საბადოები[21].

---

[18] Вестник древней истории, 1947, № 1, გვ. 301.
[19] Ксенофонт, Анабасис, Перевод М. И. Максимовой. М. Л. 1951, წიგნი V, თავი 5, §-3.
[20] Вестник древней истории, 1947, №-1, გვ. 301.
[21] F. Dubois de Montpéreux. Atlas, Paris, 1843, ტაბულა XII, გვ. 2,

ახლა მივმართოთ საკუთრივ პლინიუსის ცნობებს ხალიბთა შესახებ. პლინიუსი თავისი „ბუნების ისტორიის“ მეექვსე წიგნის მეათე თავში ასეთ ცნობას გადმოგვცემს: „Всю равнину, начиная от реки Кира, заселяет племя албанов, а затем—иберов, которые отделены от первых рекой Оказаном (სხვა ვარიანტით Олазане), текущей с Кавказских гор в реку Кир“.[22]

მდინარე კირი, როგორც ცნობილია, მტკვარია, ხოლო ოკაზანე (ოლაზანე) თანამედროვე ალაზანია. ფ. დიუბუას აღნიშნული აქვს, რომ პან თავისი „მოგზაურობის“ მეოთხე ტომში[23], ყულპის ხალიბთან. გაიგივების საკითხი დადებითად გადაჭრა — ყულპი ხალიბის სახეშეცვლილ ფორმას წარმოადგენსო. მაგრამ ჩვენ ზემოთ უარვყავით ასეთი ვარაუდის მიღების შესაძლებლობა.

ამრიგად, როგორ სკილაქს კარიანდელისა და პლინიუსის ცნობების განხილვიდან ჩანს, დ. ჩუბინაშვილი შეცდომაში შეუყვანია ფ. დიუბუას ავტორიტეტს, მას ფრანგი მოგზაურის მონაცემები კრიტიკული განხილვის საგნად არ უქცევია. ჩვენ დავინახეთ, რომ არც სკილაქსი და არც პლინიუსი ხალიბებს იბერიის ტერიტორიაზე მოსახლედ არ მიიჩნევს, ასეთი მოსაზრება ნიადაგს პოულობს ანტიკურ ავტორთა ცნობების არასწორი და წინასწარაღებული თვალსაზრისის შემუშავებასთან დაკავშირებით.

დ. ჩუბინაშვილს მეორე არგუმენტიც გააჩნია ფ. დიუბუას მოსაზრების გამართლებისათვის. მკვლევარის მოსაზრება, როგორც შევნიშნეთ, საქართველოსა და მცირე აზიის გეოგრაფიულ სახელწოდებათა დამთხვევის ფაქტებზეა დამყარებული. მისი სიტყვით, შესაძლებელია პარალელის გავლება მარმარილოს ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქ კიზიკსა და კახეთის ქიზიყს შორის; მდინარე ფარსაკის სათავეში მდებარე ქალაქ ჭუთაიასა და იმერეთის ქუთაისს შორის; მდინარე ენგურსა, რომელზედაც ქალაქი ანგორაა გაშენებული და სამეგრელოს მდინარე ენგურს შორის; შავი ზღვის სანაპიროზე არსებულ ქალაქ ონსა და რაჭის ონს შორის.

აქ ჩამოთვლილი გეოგრაფიული ნომენკლატურა, რა თქმა უნდა, ყურადსაღებია. მაგრამ კიზიკის სახელწოდებასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ იგი შემთხვევითი, გარეგნული მსგავსების ნიადაგზეა წარმოშობილი. მართალია, ფონეტიკური თვალსაზრისით ქიზიკი საქართველოს ქიზიყს ემსგავსება, მაგრამ ტერიტორიულად მარმარილოს ზღვის სანაპირო იმდენად დაშორებულია საქართველოს, რომ ძნელია ქართველ ტომთა ასეთ ფართო ტერიტორიაზე გავრცელება სარწმუნო ფაქტად ვიგულისხმოთ.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ მცირე აზიის ამ რაიონში ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულში ცხოვრობდნენ ლიდიელები, რომელთა ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნის. შესაძლებელია სახელწოდება ქიზიკიც ინდოევროპული იყოს.

---

[22] Вестник древней истории, 1949, № 2, გვ. 297. ამ უკანასკნელ დროს ზ. იამპოლსკიმ გამოთქვა საწინააღმდეგო მოსაზრება. მისი აზრით, ანტიკური მდინარე ხანე უნდა იყოს ალაზანი, ხოლო ალაზონიე კი იორი (იხ. Э. И. Ямпольский, К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Черному морю. საქ. სსრ მეცნიერებათა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბილისი, 1956, გვ. 169, შენ. 3.

[23] F. Dubois, Voyage... ტ. IV, გვ. 138.

ხოლო რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოდან, კერძოდ, კახეთიდან ხალიბების დასავლეთისაკენ გაჭრის საკითხს, ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ წყაროთა შემოწმება არ იძლევა მისი გაზიარების საშუალებას. მაგრამ ერთი გარემოება მაინც ანგარიშგასაწევია, სახელდობრ, ის, რომ ყურადღებას იქცევს ფ. დიუბუასა და დ. ჩუბინაშვილის ცდა ხალიბთა და ქართველთა ნათესაობის დამტკიცების შესახებ.

დ. ჩუბინაშვილის ყურადღებას იქცევს აგრეთვე ტიბარენთა ტომის საკითხი. ისინი, მისი სიტყვით, სახლობდნენ მდინარე თერმოდონტის ვაკე ადგილზე, ქალაქ კოტიორას (ორდუ) ახლოს, მისდევდნენ მიწათმოქმედებას, ჰყავდათ ურიცხვი საქონელი და სხვა.

რაც შეეხება ტიბარენთა გავრცელების საკითხს, დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებით, ისინი ხალიბთა მსგავსად, სახლობდნენ როგორც პონტოს სამეფოს ტერიტორიაზე, ისე სამცხესა და ქართლში. იგი ტიბარენთა გავრცელების საკითხშიც ფ. დიუბუას მოსაზრებას იზიარებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დ. ჩუბინაშვილის აზრით, „დაბადების“ თუბალი, ჰეროდოტეს მოსხნი და ტიბარენები ერთი ხალხია, ერთი ეთნოსის ნაყოფი.

მაშასადამე, მისი წარმოდგენით, არსებულა ერთი დიდი ეთნიკური და ენობრივი სამყარო, რომლის ტერიტორიული გავრცელების არე მცირე აზიასა და საქართველოს მოიცავდა. თუ ამ კუთხით შევხედავთ ავტორის აზრს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის მისაღებია აღმოსავლეთ მცირე აზიისა და საქართველოს უძველეს მოსახლეობათა ენობრივი ნათესაობა. მაგრამ რაც შეეხება მოსხებისა და ტიბარენების ერთ ტომად აღიარების საკითხს, ეს მოსაზრება მე-19 საუკუნისათვის შესაფერისი აზრი იყო. ხოლო სადღეისოდ, რა თქმა უნდა, მცდარია. მოსხები აღმოსავლურ-ქართული წარმოშობის ხალხია, ტიბარენები (თუბალები) კი დასავლურ-ქართულისა. მართალია, ძველ-აღმოსავლურ და ანტიკურ ხანაში ხსენებული ხალხი ენობრივად უფრო ახლოს იდგნენ ურთიერთთან, ვიდრე დღეს მათი უშუალო მემკვიდრენი, მაგრამ საკუთრივ ის გარემოება, რომ ისინი ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულში სხვადასხვა სახელწოდებებს ატარებენ, მიუთითებს მათი დამოუკიდებელი განვითარების პროცესებზე.

შემდეგი ისტორიკოსი, რომლის ნაშრომებმა იმთავითვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება თავისი აქტუალობით[24], არის სულხან ბარათაშვილი. მას ეკუთვნის ათამდე გამოქვეყნებული ნაშრომი, თუმცა ჩვენს მიმოხილვაში განხილული იქნება მხოლოდ ორი მისი ნაშრომი, კერძოდ „Вопрос о происхождении Митридата Великого“[25] და «История Грузии».[26]

წერილში «Вопрос о происхождении Митридата Великого“ ავტორს ყურადღებას იქცევს მითრიდატეს ეთნიკური წარმომავლობის საკითხი. მას არ აკმაყოფილებს უცხოელ მეცნიერთა აზრი იმის შესახებ, რომ მითრიდატე იყო პონტოს მეფე. მისი აზრით, მითრიდატე რომ პონტოელია, ეს ძალზე ზოგადი განსაზღვრებაა, საჭიროა გამოირკვეს მისი კონკრეტული ვინაობა. კონკრეტულად კი, ს. ბარათაშვილის აზრით, მითრიდატე ქართველია.

---

[24] თ. სახოკია, თ-დი სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი, „მოამბე“, 1896, № 7, გვ. 1—46.

[25] „Кавказ“, 1861 წ. № 53, 70.

[26] История Грузни, тетрадь 1, СПб, 1865, გვ. 1—91.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაწყვეტად ავტორი ეხება პონტოს სამეფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხს. მისი აზრით, ესაა ძირითადი საშუალება, რისი მეოხებითაც უნდა გადაწყდეს მითრიდატეს ქართული წარმომავლობა. ჩვენი თემის მიზანს არ შეადგენს ს. ბარათაშვილის წყაროთა განხილვა, რამდენად ისინი მითრიდატეს ქართული წარმომავლობის სასარგებლოდ ლაპარაკობენ. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხის გადაჭრა უფრო რთულია, ვიდრე ეს ჩვენს ავტორს თავის დროისათვის წარმოედგინა.

ს. ბარათაშვილის ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალიბთა ტომს. ავტორი ხალიბთა საკითხის განხილვას, მათი ლოკალიზაციით იწყებს. იგი აღნიშნავს, რომ ხალიბები ცხოვრობდნენ ტაოხებს და მაკრონებს შორის, კერძოდ, იმ მიწა-წყალზე, სადაც შემდგომში ჩამოყალიბდა კლარჯეთის საერისთავო. მართალია, ეს აზრი ორიგინალურია, მაგრამ იგი არ შეესაბამება მე-19 საუკუნეში განმტკიცებულ დებულებას ხალიბთა ლოკალიზაციაზე, არც დღევანდელი თვალსაზრისით არის იგი სიმართლის შემცველი.

რაკი ხალიბები ისტორიული კლარჯეთის მკვიდრი მოსახლენი არიან, ამიტომ ისინი ერთ-ერთი ქართველი ტომთაგანია, თუმცა მათ ინდივიდუალური სახელწოდება გააჩნიათ, მსგავსად მეგრელისა, მაკრონისა და ტაოხისა.

ს. ბარათაშვილი სვამს კითხვას, შესაძლოა ამ ტომს ხალიბი იმის გამო დაერქვა, რომ ისინი „ხელობის კაცნი“ იყვნენ. მაშასადამე, გარკვეული სამუშაოს შესრულება აფიქრებინებს ჩვენს ავტორს მოუძებნოს ხალიბებს მათი ეტიმოლოგია. ცხადია, ხალიბთა ეტიმოლოგიის ამგვარი ახსნა ძალზე გულუბრყვილოა.

ავტორს ხალიბები ძლიერ და ხალხმრავალ ტომად ჰყავს წარმოდგენილი, რაც მისი სიტყვით ანტიკური ხანის მწერალთა ცნობებს ეთანხმება[27]. მაგრამ ს. ბარათაშვილის აზრი არ უნდა იყოს მართებული, რამდენადაც, ქსენოფონტის გადმოცემით, ხალიბები მცირე ტომია. „Халибы немногочисленны“ აღნიშნავს ბერძენი ისტორიკოსი[28].

გარდა ამისა, ავტორის მტკიცებით, პომპონიუს მელას „ხოროგრაფიის“ ერთი ადგილიდან ირკვევა, რომ ხალიბებს ამისსა და სინოპში რკინის ნაწარმთა საწყობები გააჩნდათ[29]. ომელიც ლიდიის მეფემ კრეზმა გაანადგურა.

ს. ბარათაშვილის ეს ცნობა ჩვენ შევამოწმეთ, რამაც დაგვარწმუნა, რომ პომპონიუს მელას მსგავსი რამ არაფერი მოეპოვება. მართალია, რომაელი გეოგრაფი ლაპარაკობს ხალიბებზე, მაგრამ იქ ხალიბთა რკინის საწყობებზე საუბარი ჩვენ ვერ ვიპოვეთ. შესაძლებელია ავტორს სხვა რამ წყარო ჰქონდა მხედველობაში, როგორც, მაგალითად, ფსევდო არისტოტელეს ნაშრომი, რომელიც ნამდვილად შეიცავს ცნობას ამისისა და სინოპის მიერ ხალიბური რკინის გატანის შესახებ, მაგრამ არც აქაა ლაპარაკი რკინის საწყობებსა და მათ გაძარცვაზე.

---

[27] იგივე აზრი იხ. მის „История Грузии“-ში. გვ. 30.

[28] Ксенофонт, Анабасис, წიგნი V, თავი V, §—1, М-Л. 1951.

[29] პომპონიუს მელა ხალიბებზე საუბრობს თავისი ნაშრომის I წიგნის XIX თავში კი არა, როგორც მიუთითებს ს. ბარათაშვილი, არამედ I წიგნის XXI თავში. ს. ბარათაშვილის მცდარ ცნობას იმეორებს ი. გვარამაძე თავის „ქართლის ცხოვრებაში“, თბილისი, 1882, გვ. 130.

ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ პირველი რვეული, ძალზე მცირე მასალას შეიცავს ჩვენთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ. ავტორი, როგორც ჩანს, იზიარებს ქართველი, რუსი და უცხოელი მეცნიერების აზრს, თუბალ-თაბალ-ტიბარენ-იბერის იგივეობაზე, ცდილობს გაარკვიოს ტიბარენების განსახლების საკითხი, თუმცა, ჩვენი აზრით, მისი ლოკალიზაცია სიზუსტეს მოკლებულია. ასე, მაგალითად, მისი მოსაზრების თანახმად, ქსენოფონტეს ტიბარენები ფარავნის ტბის (ახალქალაქთან) რაიონში სახლობდნენ[30].

ამრიგად, ს. ბარათაშვილის შრომების განხილვა გვარწმუნებს, რომ მისი ღვაწლი საქართველოს ძველი ისტორიის იმ უბანზე, რომელიც ამჟამად ჩვენი კვლევის საგნად არის ქცეული, ფრიად მცირე და უმნიშვნელოა. მართალია, რიგ შემთხვევაში იგი გაურბის ტრადიციულ შეხედულებას ქართველ ტომთა შესახებ, მაგრამ, ჩვენი აზრით, სწორედ ამაში მდგომარეობს მისი შეცდომების წყარო. იგი გაემიჯნა მე-19 საუკუნის ისტორიოგრაფიას, შეეცადა დაერღვია ტრადიციული წარმოდგენა ამ ტომებზე, მაგრამ ვერც ახალი სიტყვა თქვა ამ მიმართულებით.

მეორე მხრივ, ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიი“-დან ჩანს, რომ იგი განათლებული ისტორიკოსია, იცნობს მის თანადროულ უცხოელ მეცნიერთა შრომებს ძველი ისტორიის დარგში, თვითონ საკმაოდ დამაკმაყოფილებლად ერკვევა ანტიკური ხანის ისტორიკოსთა დედნებში[31]. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ავტორი მე-19 საუკუნის ქართველ ისტორიკოსთა შორის პირველია, რომელმაც მსოფლიო ისტორიის მდიდარი ფაქტობრივი მასალის გამოყენებით შეადგინა „საქართველოს ისტორია“. ცხადია, ეს გარემოება ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლის ერთ-ერთი პირობათაგანი იყო გასულ საუკუნეში.

მე-19 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის უდიდესი წარმომადგენელია დიმიტრი ბაქრაძე. მის მდიდარ და მრავალფეროვან შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველ ტომთა წარმოშობა-განსახლების საკითხს. დ. ბაქრაძეს არა ერთი წერილი, თუ გამოკვლევა ეკუთვნის საქართველოს ძველი ისტორიის დარგში. მისი ნაშრომები საქართველოს შესახებ ძველ-აღმოსავლური წყაროების, ანტიკური ხანის ისტორიკოსებისა და ბიზანტიელ ავტორთა ცნობების ანალიზის საფუძვლიან ცოდნაზეა დამყარებული.

რაკი დ. ბაქრაძის ეთნოლოგიური კვლევა-ძიება ძირითადად თავმოყრილია მის ორ ნაშრომში, კერძოდ, „ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე და ქართველი ტომის დასაწყისზე“ და „ისტორია საქართველოსი“, ამიტომ მის დანარჩენ შრომებს, როგორც, მაგალითად, „საქართველო-პირველი რვეული“, შესავალი: კავკაზია, „Об археологии вообще и Кавказской в особенности“ და საქართველო (ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა), მოვიშველიებთ საჭიროების შემთხვევაში; ამასთან მათ სქოლიოებში აღვნიშნავთ.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ დ. ბაქრაძის მრავალმხრივი მემკვიდრეობიდან ჩვენს მიმოხილვაში ადგილს დაიჭერს სამი ძირითადი საკითხი: ქართველ ტომთა გავრცელების, ეთნოგენეზისა და მეტალურგიის შესახებ.

ამა თუ იმ ხალხის ისტორია ყოველთვის მისი ადგილმდებარეობის განსაზღვრის გამოკვლევით იწყება. ასევე დგას ეს საკითხი დ. ბაქრაძის შრომებშიც. მისი

---

[30] С. Баратов. История Грузии, СПб., 1865, გვ. 15, შენ. 4.

[31] მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950 გვ. 106.

წარმოდგენით, ქართველი ტომები ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულში ვრცელდებოდნენ მცირე აზიიდან ვიდრე კავკასიონის ქედამდე. მაგრამ მას არ აკმაყოფილებს ცალკეულ ქართველ ტომთა ლოკალიზაციის ის განსაზღვრა, რომელიც მოცემული აქვს ცნობილ ორიენტალისტს ფ. ლენორმანს. იგი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ქართველ ტომთა საცხოვრებელი ადგილები და ერთი მეორის საზღვარი არეული უნდა იყოს“-ო[32].

მართლაც, თუ ჩვენ დავუკვირდებით ფ. ლენორმანის რუკებს, სადაც მოცემულია ცალკეული ქართველი ტომის გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრა (რუკები III, VII, XI. XIII, XVIII),[33] დავინახავთ, რომ საძიებელ ტომთა ადგილმდებარეობა ფრანგ მეცნიერს ძალზე ზოგადად აქვს მოხაზული. მისი ლოკალიზაცია ხშირ შემთხვევაში არაა დამაკმაყოფილებელი. იგი კონკრეტულობას მოკლებული ჩანს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ III რუკა, რომელზედაც თუბალს მთელი თანამედროვე საქართველო უკავია, მაშინ როდესაც XI რუკაზე მუშქების (მუსკაია) საცხოვრისი ქართლ-კახეთშია გადატანილი.

ამ ფოხზე სრულიად სამართლიანია დ. ბაქრაძის შენიშვნა ქართველ ტომთა ფ. ლენორმანისეული ლოკალიზაციის მცდარობის თაობაზე.

მაგრამ, თუ დ. ბაქრაძე სწორ შენიშვნებს გამოთქვამს ცალკეული ქართველი ტომის ადგილმდებარეობის განსაზღვრაში, იგივე არ ითქმის მის შენიშვნათა შესახებ ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხში. მის შრომებში შედარებით სუსტად გამოიყურება სწორედ ეს რთული პრობლემა. გამოწვეულია ეს უწინარეს ყოვლისა იმჟამინდელი ისტორიული მეცნიერების ჩამორჩენილობით. მართალია, მე-19 საუკუნის ისტორიულ მეცნიერებას გარკვეული წარმატებებიც ჰქონდა ამ მიმართულებით, მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობდა ქართული არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ენათმეცნიერება, როგორც დამოუკიდებელი და ჩამოყალიბებული მეცნიერება, რომ მათ საფუძველზე სწორად ყოფილიყო გაშუქებული ეთნოგენეზის მნიშვნელოვანი საკითხები. ამასთან, ხსენებულ მეცნიერებათა წარმატებით განვითარებას აფერხებდა მყარი მეცნიერული მეთოდოლოგიის უქონლობა.

ყველაფერ ამას, რა თქმა უნდა, უარყოფითი შედეგი მოჰქონდა მეცნიერებისათვის, ხოლო მათ შორის დ. ბაქრაძისთვისაც. იგი ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხში მიგრაციის თეორიის პოზიციებზე დგას. მას დასაშვებად მიაჩნია, კერძოდ, ქართველი ხალხის წარმოშობა არა საქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზე, არამედ შუა აზიაში უძველეს დროს სემიტების, ინდოევროპელების და ქამიტების საგრძნობი კულტურული გავლენების საშუალებით. მრავალი, უთუოდ ქართული წარმოშობის სიტყვები, მას უცხოური წარმომავლობისად მიაჩნია[34].

განსაკუთრებით ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ავტორის მტკიცება ქართველი ხალხის უძველესი წინაპრების შუა აზიიდან გამოჩენის შესახებ. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „ახლა უეჭველ საფუძველზეა დამყარებული ის

---

[32] დ. ბაქრაძე, ახალი გამოკვლევა, გვ. 25—26. მისივე, საქართველო... „ივერია“ 1878, №—1, გვ. 12.

[33] F. Lenormant. Atlas d'Histoire ancienne de l'Oriental. Paris. 1881 წ.

[34] დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, თბილისი, 1889., გვ. 31—33.

ფაქტი, რომ კაცობრიობის მოდგმათა პირველი დასაწყისი ადგილ-მამული ფალა ბუმი აზია, საიდანაც იმათი თესლი გაბნეულა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილს, და იქიდანვე თან გაუტანია მას ზეპირ-თქმულებანი, გეოგრაფიული სახელწოდებანი, კულტურა და სხვ. გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ იქიდანვე გამოსულან ქართველის ტომ-ნათესავის წინაპარნი და გაფანტულან ჯერ მცირეაზიის მხარეებში,... და შემდეგ დამყარებულან შავიზღვის პირად და სამხრეთად კავკაზისა"[35].

მოტანილი ამონაწერი პირდაპირი პასუხია მე-19 საუკუნეში გაბატონებული თვალსაზრისისა ხალხთა წარმოშობის მიგრაციის თეორიებით ახსნის შესახებ. მართალია, ჩვენ არ ვუარყოფთ მიგრაციის ცალკეულ ფაქტებს, რომელთაც ჰქონდათ ადგილი ისტორიაში, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია მარტოოდენ გადასახლებებით ავხსნათ კულტურის გაჩენა, ხალხის წარმოშობა და სხვა.

აღნიშნული მოსაზრება იმასაც მოწმობს, რომ დ. ბაქრაძისათვის ქართველი ტომების მეორე სამშობლოს მცირე აზია წარმოადგენდა. აქ გაუჩაღებიათ მათ თავისი ცხოვრების ახალი კერა. ამ ქართველ ტომთა შორის იყვნენ: თუბალები (თაბალები), მუშქები (მეშეხები), ტიბარენები, ხალიბები, მაკრონები ტაოხები და სხვანი.

ამრიგად, დ. ბაქრაძის აზრით, ქართველი ტომები მჭიდროდ სახით მოსულან თავის პირვანდელ სამშობლოდან, წამოუღიათ იქაური უძველესი კულტურა და მხოლოდ ამის შემდეგ დასახლებულან მცირე აზიაში.

მცირე აზია დ. ბაქრაძის სამართლიანი განცხადებით კავკასიის უძველესი ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი მხარეა. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს უძველეს ისტორიასთან[36]..

როგორც აღინიშნა, მცირე აზიაში სახლობდნენ: თუბალები (თაბალები), მუშქები (მეშეხები), ტიბარენები და ხალიბები, რომელთაც თვალსაჩინო წვლილი შეუტანიათ ძველი მეტალურგიის წარმატებით განვითარებაში. მართალია, ყველა ეს ტომი ქართული წარმოშობისაა[37], მაგრამ ისინი არქეოლოგიურად თუ რანელებს ეკუთვნიან. იგი თვლის, რომ ამ ტომთა ყოფაცხოვრების, მათი ურთიერთობის გასაშუქებლად საჭიროა არქეოლოგიური შესწავლა, რაც სამწუხაროდ ჯერჯერობით შეუძლებელი არისო[38].

მიუხედავად იმისა, რომ დ. ბაქრაძე ქართველ ტომებს არქეოლოგიურად თითქოს თურანელებად მიიჩნევს, მაინც დასძენს, რომ ენობრივი მონაცემების მიხედვით, ამისი მტკიცება ეჭვის ქვეშ დგასო[39].

დ. ბაქრაძეს, როგორც ჩანს, ქართველ ტომთა თურანული წარმომავლობა უსესხნია ჟიულ სურისაგან, რომლის ნაშრომით „მცირე აზია" იგი ხშირად სარგებლობს და რომელშიაც გატარებულია სწორედ ის აზრი, რომ თუბალები და

---

[35] დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

[36] დ. ბაქრაძე, საქართველო, პირველი რვეული. შესავალი: კავკაზი, თბილისი, 1871, გვ. 22. მისივე, საქართველო, „ივერია", 1877, №—44, გვ. 9. მისივე, ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებაზე და ქართველი ტომის დასაწყისზე, თბილისი, 1881, გვ. 14. მისივე. ისტორია საქართველოსი, თბილისი, 1889, გვ. 12.

[37] დ. ბაქრაძე, საქართველო (ისტ. და ეთნ. გან.), „ივერია", 1878, №—1, გვ. 13. მისივე. ისტორია საქართველოსი, თბილისი, 1889, გვ. 18.

[38] დ. ბაქრაძე, ისტორია საქრთველოსი, თბილისი, 1889, გვ. 38.

[39] დ. ბაქრაძე, საქართველო, „ივერია", 1878, №—3, გვ. 8, შენ 8. მისივე, ისტორია საქართველოსი, თბილისი, 1889, გვ. 28, შენ. 1.

მოსხები თურანელებს ეკუთვნიან. ქ. სურიზე შესაძლოა გავლენა იქონია მაქს მიულლერის თეორიამ, რომელიც ქართველურ ენებს თურანულ ენათა ოჯახს აკუთვნებდა.

რაც შეეხება ხსენებული ტომების როლისა და ადგილის საკითხს ძველი წინა აზიური მეტალურგიის წარმატებით განვითარების საქმეში, აქ. დ. ბაქრაძე იზიარებს მის თანადროულ მეცნიერებაში გამოთქმულ სწორ დებულებას, რომ ქართველი ტომები დახელოვნებული ოსტატები ყოფილან სამთამადნო საქმესა და მეტალურგიაში, რომ მათ ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავთ ლითონის მოპოვებასა და წარმოებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი ამ საკითხში ორიგინალური არაა. იგი სავსებით იზიარებს ფ. დიუბუას „მოგზაურობა“-ში თქმულ ცნობებს ქართველი ტომების მეტალურგიული საქმიანობის შესახებ. ხოლო რაკი ჩვენ პ. იოსელიანისა და დ. ჩუბინაშვილის ნაშრომთა მიმოხილვისას აღნიშნული საკითხები გავარჩიეთ, ამიტომ მათ ახლა არ შევეხებით. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ დ. ბაქრაძემ ფ. დიუბუას ცნობები ფრანგულიდან ქართულად თარგმნა[40], რითაც ყველასათვის ხელმისაწვდენი გახადა ქართველ ტომთა როლისა და მნიშვნელობის საქმე ლითონის წარმოების ადრეული პერიოდის ისტორიაში.

ამრიგად, დ. ბაქრაძის შემოქმედების განხილვა გვარწმუნებს, რომ მისი პიროვნებით ჩვენ საქმე გვაქვს ნამდვილ მეცნიერ-ისტორიკოსთან. იგი საქართველოს ისტორიის მკვლევარია, რიგიანად ფლობს პირველ წყაროებს, საფუძვლიანად იცნობს მის თანადროულ ისტორიოგრაფიას. მართალია, მას აქვს საგრძნობი და არსებითი ხასიათის შეცდომები, როგორც თავისი ეპოქის შვილი, ისიც არაა თავისუფალი ბურჟუაზიული იდეოლოგიისაგან, მაგრამ იგი მე-19 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის უდიდეს ფიგურად ითვლება.

გასული საუკუნის ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა შორის მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორს ალექსანდრე ხახანაშვილს საპატიო ადგილი უჭირავს. მართალია, იგი პროფესიით ფილოლოგი იყო, მაგრამ მას არანაკლები დამსახურება მიუძღვის ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე.

ჩვენი საკითხისათვის ფრიად მნიშვნელოვანია მისი „Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии“,[41] სადაც ძველაღმოსავლური, უპირატესად კი ანტიკური წყაროების ცნობათა ვრცელი ანალიზის შედეგად, მოცემულია ქართველი ტომების წარმომავლობისა და განსახლების დადგენის საინტერესო მეცნიერული ცდა.

ა. ხახანაშვილის შრომის სათაურიდან ჩანს, რომ ავტორის მიზანი ყოფილა მოხაზვა იმ ტერიტორიისა, სადაც უძველეს ხანებში გავრცელებულა ქართველი წარმოშობის ტომი. უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა ავტორმა შესანიშნავად გადაწყვიტა. მაგრამ ჩვენს მიმოხილვაში ხსენებული შრომის ის საკითხები იქნება განხილული, რომელიც ამჟამად გვაინტერესებს. როგორც უკვე ვახსენეთ, საკითხი ეხება მუშქებს, თაბალებს, ტიბარენებსა და ხალიბებს. ა. ხახანაშვილი იზიარებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას „დაბადების“ მეშეხის, ასურული მუშქების, ანტიკური მოსხებისა და საქართველოს მესხების იგივეობას ერთი მხრივ, ხოლო „დაბადების“ თუბალების, ასურული თაბალებისა და ანტიკური ტიბარე-

---

[40] დ. ბაქრაძე, ახალი გამოკვლევა... თბილისი, 1881, გვ. 27—33.

[41] ЗКОИРГО, ტ. XXII, ნაკვ. 6, გვ. 1—64.

ნების იდენტურობას მეორე მხრივ. მაგრამ მკვლევარი ამ ფაქტის უბრალო აღნიშვნით არ კმაყოფილდება. იგი ამ სწორ დებულებას მყარსა ხდის ენათმეცნიერული მასალების მიხედვით. კერძოდ, მას მიაჩნია, რომ მეშეხი და მოსხი ერთი ეთნოსის სხვადასხვა ვარიანტთაგანია[42]. ამ სახელწოდებათა შორის არსებობს მხოლოდ ფონეტიკური სხვაობა, სახელდობრ, შ-ს-სა და ე-ო-ს სახით. თუ „დაბადება“-ში ხსენებულ ხალხს მესეხი (მეშეხი) ეწოდება, ანტიკურ ხანაში მას მოსხი ცვლის[43].

ასევე შესაძლოა, მისი აზრით, „დაბადების“ თუბალისა და ანტიკური ხანის ტიბარენების სახელწოდებათა მსგავსების მტკიცება. იგი თვლის, რომ ჰეროდოტეს ტიბარენებში თავს იჩენს ქართული სუფიქსი ენ-ი[44], რომლის მოცილების შემდეგ რჩება ფესვი ტიბარ. სწორედ ეს უკანასკნელი ძალზე ახლოს დგას „დაბადების“ თუბალთან. რ ბგერის შეცვლა ლ-თი კარგად არის ცნობილი ფონეტიკაში, რაც უდავოს ხდის ტიბარენთა იდენტურობის აზრს თუბალთან[45].

ამასთან, ა. ხახანაშვილი იმეორებს ვ. სენ-მარტენის მოსაზრებას მეშეხებისა და თუბალების შესახებ, რომელიც შემდეგში მდგომარეობს. ვ. სენ-მარტენის მტკიცების თანახმად, მეშეხი მომდინარეობს „ქარლის ცხოვრების“ მცხეთოსის სახელწოდებისაგან. მაგრამ მცხეთოსი ეპონიმია, რომლის სახელწოდებაც მომდინარეობს ისტორიულ მცხეთიდან.

ისევ კითხვა, როგორ ხსნის ფრანგი მეცნიერი ზემოხსენებულ სახელწოდებათა იგივეობას? ვ. სენ-მარტენი „მცხეთა“-ში გამოყოფს უკანასკნელ მარცვალს „ეთ“-ს, რომელიც წარმოადგენს ეთნიკური კუთვნილების აღმნიშვნელ მაწარმოებელ სუფიქსს ქვეყნის სახელისაგან, როგორც. მაგალითად, ოს-ეთ-ი, აფხაზ-ეთ-ი და სხვა. ამ კომბინაციის საფუძველზე რჩება ფუძე მცხ, რომელსაც უთუო კავშირი აქვს ებრაულ მსხ-სთან.

რაკი მცხ ფუძის გამოთქმისათვის საჭირო იყო ხმოვანი ბგერების მიმატება, ამიტომ მცხ ანუ მსხ გადაიქცა შემდეგ სიტყვებად: მეცხ, მესეხ, მოსოხ, მოსხ, მესხ და სხვა. მცხ-სა და მესხ-ის იდენტურობა იმ ფაქტიდანაც ნათლად ჩანს, რომ ახალციხის რაიონი ცნობილია აგრეთვე სამცხისა და მესხეთის სახელწოდებით.

ახლა განვიხილოთ „დაბადების“ თუბალის საკითხი. ეს უკანასკნელი ვ. სენ-მარტენისა და ა. ხახანაშვილის თანახმად აშკარა კავშირშია „ქართლის ცხოვრების“ უფლოსთან, რომელიც დამაარსებელი იყო საქართველოს მეორე უძველესი დედაქალაქის უფლის-ციხისა. ვ. სენ-მარტენის სიტყვით, ხსენებული სახელები ერთი და იგივენი არიან, როგორც მეშეხ-მცხეთოსის სახელწოდებანი[46]. მათ იგივეობას სრულებით არ ცვლის უხმო ბგერის მიმატება, რადგან ძირითადი ბგერები სავსებით ეთანხმება ერთიმეორეს: უფლ და თუბლ.

უფლოსი საქართველოს ისტორიაში ცნობილ პიროვნებას წარმოადგენს. მან თავის მამისაგან, მცხეთოსისაგან, ძირითადი სამფლობელოს მცხეთას გარ-

---

[42] А. С. Хаханов, დასახ. ნაშრ., გვ. 3, 34.

[43] А. С. Хаханов, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

[44] როგორც ჩანს, ა. ხახანაშვილი მართალია, როდესაც აცხადებს, რომ ეს სუფიქსი ქართული წარმოშობისა არისო (იხ. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის „მოამბე“, ტ. I, თბილისი, 1937, გვ. 211, 213, 214).

[45] А. С. Хаханов, დასახ. ნაშრ., გვ, 3.

[46] ვ. სენ-მარტენი... დასახ. ნაშრომი, გვ. 53. ა. ჭყონია, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

და, მემკვიდრეობად მიიღო აგრეთვე ის მიწა-წყალი, რომელიც მდებარეობდა არაგვიდან და თბილისიდან, ვიდრე ტაშისკარისა და ფარავნის ტბამდე[47].

უფლოსის მიერ დაკავებული ტერიტორია ვ. სენ-მარტენის აზრით, ახლოს იდგას იმ მიწა-წყალთან, რომელიც ჰეროდოტეს მიხედვით, ტიბარენების კუთვნილებას შეადგენდა. ხოლო ამ უკანასკნელთა ტერიტორია ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნისათვის საკმაოდ შეკვეცილი ჩანს იმასთან შედარებით, რომელიც მათ ეკავათ „დაბადებისა“ და ასურეთის ბატონობის ხანაში. კერძოდ, ჰეროდოტეს დროს ტიბარენებს მნიშვნელოვნად გაუწევიათ ღალისიდან აღმოსავლეთის მიმართულებით.

ეს გარემოება აძლევს საფუძველს ვ. სენ-მარტენს დაასკვნას, რომ „დაბადების“ თუბალი (იგი ანტიკური ხანის ტიბარენს შეესაბამება), თავის სახელწოდებას იღებს უფლოსისაგან, რის გამოც ტიბარენები ეპონიმის განსახიერებას წარმოადგენენ მხოლოდ, რომელმაც ეს სახელი მისცა მთელ ხალხს, ეთნოსს. ტიბარენთა ტომი, როგორც ჩანს, გავრცელებული ყოფილა მცირე აზიაში ვიდრე ღალისამდე, ხოლო მათი პოლიტიკური ცენტრი ქალაქ უფლისციხეში მდებარეობდა.

რაც შეეხება საკუთრივ ტიბარ ფუძეს, იგი ეტიმოლოგიურად ა. ხახანაშვილის აზრით, დაკავშირებულია ტბასთან, საიდანაც მიღებულია ზედსართავი სახელი ტბელი (თუ ტობელი), რომელიც შეესაბამება სვანურ ტობს (ტვიბარი).

ამრიგად, ვ. სენ-მარტენისა და ა. ხახანაშვილის მიერ წარმოდგენილი სურათი საკმაოდ საინტერესოა. უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ სავსებით სწორად მოიქცნენ ხსენებული ავტორები, როდესაც ეთნარქის სახელწოდებას არ მიანიჭეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ხალხის თუ ტომის საკუთარი სახელის გაჩენისათვის, რასაც ასე ხშირად ჰქონდა ადგილი მათ თანადროულ ისტორიოგრაფიაში. ასეთი მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში მათ უნდა დაეშვათ ეთნარქების მცხეთოსისა და უფლოსის ისტორიულობა, უნდა ეცნოთ ეთნიკური სახელების მეშეხების (მუშქები) და თუბალების (თაბალი) წარმომავლობა ამ ეთნარქთაგან. მაგრამ, ჩვენი აზრით, მათ დაუშვეს ერთი არსებითი ხასიათის შეცდომა, ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად მათი დებულება იმის შესახებ, რომ ეთნიკურ ტერმინ მეშეხს (მუშქი) საფუძვლად ედოს მცხეთის სახელწოდება. პირიქით, როგორც ეს გამოარკვია ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის მაგალითზე პროფ. კ. წერეთელმა, უცხოურ წყაროებში დადასტურებული ფორმები მესხთა ირგვლივ ქართული მესხ || მუსხის ვარიანტების გადმოცემას წარმოადგენს. უკეთ რომ ვთქვათ, ქართული მესხის გადმოსაცემად არსებულა ორი უძველესი პარალელური ფორმა. ერთს ედო საფუძვლად „მესხ“ ფუძე, საიდანაც წარმოიშვა ებრაული mešek (მეშექ) და ბერძნული mesh (oi); ხოლო მეორეს—„მუსხ“ ფუძე, საიდანაც წარმოდგა აქადური (ასურულ-ბაბილონური) mušku, სამარიტანული niōšek || mōšok, ბერძნული mosoẖ || miosẖ (oi), ხუნძური mosok[48].

მაშასადამე, გასაზიარებელია ვ. სენ-მარტენისა და ა. ხახანაშვილის დებულება, რომ ეთნარქ მცხეთოსის სახელი საფუძვლად არ ედო უცხოურ წყაროებში დაცულ ცნობებს მესხების შესახებ; აგრეთვე სარწმუნოა მათი მოსაზრება

---

[47] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 101.

[48] კ. წ ე რ ე თ ე ლ ი. ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის ისტორიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. XV, №—2, 1954, გვ. 111—118.

მცხ ფუძის დადასტურების თაობაზე ზემოხსენებულ პარალელურ სახელწოდებებში. ასევე ფრიად საგულისხმოა, რომ ა. ხახანაშვილმა პირველმა მიუთითა ტიბარენის ტბიდან მომდინარეობის საკითხი, რაც როგორც დავინახავთ, საკმაოდ მართებულ დებულებას წარმოადგენს.

ამრიგად, მესხების ეტიმოლოგიის ირგვლივ სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე განმტკიცებული აზრი არსებობს. იგივე ითქმის აგრეთვე ეთნიკური ტერმინის თუბალის (თაბალი, ტიბარენი) შესახებაც. აკად. ა. შანიძემ დაბეჯითებით დაამტკიცა, რომ მცირე აზიის ერთ-ერთი ტბის ტობადის (თანადროული თურქული აჯი-გიოლი)სახელწოდებაში თავს იჩენს ქართველურ ენებში ფართოდ გავრცელებული სიტყვა ტაბა, რაც ძველ ქართულში ტბას აღნიშნავს[49]. ხოლო აქედან გამომდინარე აკად. ს. ჯანაშიამ ასურულ ლურსმულ წარწერებში დამოწმებული ქვეყნის თაბალის ეტიმოლოგიის ქართველურ ენათა მასალებით ახსნის შესანიშნავი მაგალითი წარმოადგინა. აკად. ს. ჯანაშიას აზრით, ასურული თაბალი ქართული სიტყვა „ტაბად“ (ტბა) და ქართველურ სუფიქს „ალ“-ად იშლება.[50]

ამასთან საქართველოს ისტორიული ტოპონიმიკის შესწავლამ ცხადჰყო, რომ ამის სინამდვილეში მრავალი გეოგრაფიული ნომენკლატურა თავისში ტბის ძველ მწერლობამდისეულ სახელწოდებას შეიცავს. ასე, მაგალითად, ტაბახმელა, ტაბაწყური, ტობანიერი, ტიბაანი, ტაბაყური, ტობავარჩხილი, ტობათა, წყალტუბო, ტობახჩა, (თეთრი ტბა) ტაბაკინი და სხვა[51].

რაკი მეგრულ-ჭანური ტობა (ტიბა) ძირითადი საფუძველია ზოგად ქართული ტბისათვის, ხოლო ტოპადით ცნობილია თანადროული ტბა მცირე აზიაში, ამიტომ საფიქრებელია, რომ ეთნიკური ტომი თაბალი (თუბალი, ტიბარენი) მეგრულ-ჭანური მოსახლეობის უძველეს ეთნოსად ვიცნოთ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ნიშანდობლივი ჩანს სტრაბონის ცნობა ტიბარენების შესახებ. მისთვის ტიბარენები ხალხთა დიდ ოჯახს წარმოადგენს. ტიბარენებისათვის სტრაბონი ხმარობს ტერმინს. „ტიბარენთა ტომებს“, „Τιβαρανικῶν ἐθνῶν“[52] ანტიკური ხანის ავტორთა სათანადო ცნობების განხილვა ადასტურებს, რომ ამ „ტიბარენთა ტომების“ კრებითი მნიშვნელობის სახელწოდებაში იგულისხმებიან სანები იგივე მაკრონები, ჭანები და სხვა. ხოლო ამ ხალხთა ეთნიკური ვინაობა სავსებით ნათელია, ისინი მეგრულ-ჭანური წარმოშობის ტომებია. საგულისხმოა, რომ აკად. გ. მელიქიშვილი თაბალებს (ტიბარენები) ასევე დასავლურ-ქართულ ეთნიკურ კოლექტივს აკუთვნებს[53].

---

[49] А. Шанидзе, К этимологии названия „Топала“, ენიმკის „მოამბე“, ტ. 1, თბილისი, 1937, გვ. 79—88.

[50] ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიმკის „მოამბე“, ტ. I, თბილისი, 1937. გვ. 235.

[51] А. Шанидзе, დასახ. ნაშრ. გვ. 81—82, ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ. გვ. 235.

აქ ჩამოთვლილ სახელწოდებათა გარდა ჩვენი ყურადღება მიიქცია გვარმა თუბალაურმა (იხ. გაზეთი „ივერია“, 1895, №—201, გვ .2—3. შდრ. ქართული ბიბლიოგრაფია, Петроград) 1916, გვ. 13, №—290). ცხადია, ხსენებულ გვარში ფუძე „თუბალ“-ია, „ა“—კნინობითია ,ხოლო „ური“—კარგად ცნობილი გვართა სუფიქსი.

[52] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, გვ. 94. ამ გარემოებაზე პირველად ყურადღება გაამახვილა ვ. სენ-მარტენმა (იხ. მისი Recherches. . . Paris, 1847.

[53] საქართველოს ისტორია (მავეტი), თბილისი, 1956, გვ. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრაბონის გადმოცემას „ტიბარენთა ტომების“ კრებითი სახიათის შესახებ, ვფიქრობთ მხარს უნდა უჭერდეს ასურული ლურსმული წარწერებიც. კერძოდ, ასურეთის მეფის სალმანასარ III-ის ერთ-ერთი წარწერიდან ჩანს, რომ მან თაბალის 24 ქვეყანა (ტომთა კავშირი) დაიპყრო. ამ ცნობიდან სრული უეჭველობით გამოსჭვივის, რომ თაბალი კრებითი სახელწოდების მატარებელი ტერმინია, თუმცა არ გამოირიცხება, ცხადია, თაბალის კერძოობითი მნიშვნელობაც.

წინამდებარე მიმოხილვა სრული არ იქნებოდა, თუ განხილვის საგნად არ გავხდიდით ცნობილ მკვლევარისა და საზოგადო მოღვაწის, ჩვენი უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორის, მოსე ჯანაშვილის შრომებს აქ აღძრულ საკითხთა რიგში. მართალია, მ. ჯანაშვილს არ მოუცია ერთიანი კონცეფცია ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემაზე, მაგრამ მისი ცალკეული წერილები მაინც იძლევა ავტორის გარკვეულ წარმოდგენას ჩვენთვის საინტერესო საკითხთა შემართ.

მ. ჯანაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისს პერიოდს ახასიათებს მნიშვნელოვანი სქემატურობა, პირველწყაროებისადმი არაკრიტიკული მიდგომის მეთოდი. ეს ნაკლი აშკარად გამოსჭვივის როგორც მის „საქართველოს ისტორიის“ პირველ და მეორე გამოცემებში, ისე ავტორის მიერ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებში.

მე-20 საუკუნის დამდეგი მ. ჯანაშვილის მოღვაწეობის გარდამავალი საფეხურია. აქედან იწყება ჩვენი ავტორის შედარებით ნაყოფიერი მოღვაწეობის ხანა. მართალია, ამ პერიოდის ნაშრომებსაც თან სდევს აღწერითი ხასიათი, მაგრამ „საქართველოს ისტორიის“ მესამე გამოცემა[54] საგრძნობლად განსხვავდება მის წინა გამოცემათაგან, როგორც შინაარსობლივად, ისე ფაქტობრივი მასალის თვალსაზრისით. ამ ნაშრომიდან ჩანს, რომ ავტორი გაურბის „ქართლის ცხოვრების“ უბრალო პერეფრაზირებას, ცდილობს ამა თუ იმ მოვლენას მეცნიერული საფუძველი მოუნახოს და სხვ. ასე, მაგალითად, საქართველოს უძველესი პერიოდის დახასიათებისას, მ. ჯანაშვილი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ დროთა ხანგრძლივ ვითარებაში ქართველმა ხალხმა დაივიწყა თავისი წარსული და ქართლის (არმაზი, ა.-ბ.) ქალაქის აშენება მიაწერა ქართლოსს, მცხეთისა მცხეთოსს, უფლისციხისა უფლოსს[55].

ეს გარემოება ნათლად მოწმობს მ. ჯანაშვილის კრიტიკულ დამოკიდებულებაზე „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთი ცნობის მიმართ.

მ. ჯანაშვილის „საქართველოს ისტორია“-ში (იგულისხმება მესამე გამოცემა) ყურადღება ექცევა ქართველ ტომებს — მუშქებსა და თაბალებს. იგი აღნიშნავს უცილობელ კავშირს თაბალ-თუბალ-ტიბარენს შორის ერთი მხრივ, ხოლო მუშქ-მეშეხ-მოსხ-მესხს შორის მეორე მხრივ აქვეა მოცემული ხსენებული ტომთა გავრცელების სწორი ლოკალიზაცია; აღნიშნულია, რომ ასურული ლურსმული წარწერების მიხედვით, ეს ორი ძლიერი ტომი (მისი სიტყვით, ერი) ძველი წელთაღრიცხვის მე-12-17 საუკუნეებში სახლობდა კაპადოკიაში კილიკიამდე და ზემო ევფრატამდე[56]. გათვალისწინებულია მუშქებისა და თაბალების მოკლე. მაგრამ სწორი პოლიტიკური ისტორია.

---

[54] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბილისი, 1906.

[55] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, ტ .I, თბილისი, 1906.

[56] ი ქ ვ ე, გვ. 15.

ამასთან დაკავშირებით მ. ჯანაშვილის სხვა ნაშრომში[57] ხაზგასმულია, რომ თუბალები (თობელი) იყვნენ არა მარტო ძველაღმოსავლურ დიდებულ ცივილიზაციათა (ქალდეა, ეგვიპტე, ბაბილონეთი) მომსწრენი, არამედ მათ ქმედითი და ცხოველი მონაწილეობა მიუღიათ ამ ცივილიზაციათა შექმნაში, როგორც ერთ-ერთი უფროსი და უმნიშვნელოვანესი მათი წევრთაგანი. მართალია, აქ ცოტაოდენ გადაჭარბებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ცხადია, რომ თუბალებს დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ძველაღმოსავლური მეტალურგიის წარმატებით განვითარებაში. სწორედ ამაზე ამახვილებს თავის ყურადღებას მ. ჯანაშვილი. მისი სიტყვით, ქართველები ისტორიული თუბალის მემკვიდრენი არიან, ე. ი. იმ თუბალისა თუ თუბალ-კაინისა, რომელიც იყო „კვრით ხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა“ (შესაქმეთა, 4, 22). ამ რკინისა და სპილენძის მეტალურგ თუბალ-კაინს თუ თუბალკინს (პ. უსლარით იგი უდრის თვალკინს) თავის სახელწოდებაში დაუცავს საკუთარი პროფესიის სახელი „კინა“, რაც მეგრულად (ქართულად) რკინას ნიშნავს[58]. ამასთან, ჩვენი ავტორის აზრით, თუბალის (თობელი-თუბალი-თოველი-თოვალი-ტიბარი-ტიბარენი) სახელწოდებაში შემონახულია სპილენძის ქართული სახელი თუთფერი ანუ თითფერი. მაგრამ მ. ჯანაშვილი ამაზე არ ჩერდება, იგი თვლის, რომ თუბალის სახელწოდებაში ამჟამადაც ისმის მისი შთამომავლის ქართველის ეთნიკური სახელი ქალ-თველი-ქალ-თუვალი-ქართველი[59].

საგულისხმოა, რომ მ. ჯანაშვილი თუბალის იბერთან კავშირის საკითხში ეკამათება ი. ფლავიუსს. იგი ფიქრობს, რომ თუბალში დასანახია არა საკუთრივ იბერია, როგორც ამას ი. ფლავიუსი გადმოგვცემს, არამედ ისტორიული საქართველოს ის ნაწილი, რომელიც ზღვის ნაპირზე მდებარეობდა, ტბიან ადგილას. მისი აზრით, თობელი, თუბალი, თაბალი, ტიბარენი, ტიბრანი ახსნას პოულობს ქართული ტბის (ტობა, ტოპო, ტვიბ) სახელწოდებიდან.[60] ამასთან ანგარიშგასაწევია მ. ჯანაშვილის მიერ ზემოთ მითითებული გარემოება, რომ თუბალ-კაინში „კაენი “შეესაბამება მეგრულ „კინას“, საიდანაც ბუნებრივი აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ მ. ჯანაშვილი თუბალებს (თაბალებს) მეგრულ-ჭანურ ტომებად თვლიდა.

რაც შეეხება მუშქთა საკითხს, მ. ჯანაშვილი მათ ხეთების მონათესავე ხალხად გულისხმობს. მესხთა ტომის ისტორიას მიუძღვნა მან სპეციალური წერილი „მესხი“[61]. მისი სიტყვით, „მესხი“, „მეშეხი“, „მოსოხი“ ღვიძლი ძმაა თობელ!! თუბალისა, რაც დასტურს პოულობს „დაბადების“ სათანადო ადგილის ცნობიდან (10,2).

მესხები ცნობილი ქართველი ტომია; ისინი „დაბადების“ გარდა იხსენიებიან ასურულ ლურსმულ წარწერებში მუშქების სახელწოდებით. მათი სახელი დამოწმებულია ისტორიული მესხეთის ტოპონიმიკაში, სახელდობრ, აქ ერთ-ერთ

---

[57] М. Г. Джанашвили, О родстве грузинского языка с индо-европейскими, Тбилиси, 1913, стр. 2-3.

[58] მ. ჯანაშვილი, ქართველები და ქართული ენა. II. იველია. ჟურნალი „განათლება“, 1916, №—V—VI, გვ. 329.

[59] М. Г. Джанашвили. О родстве..., გვ. 2. თუბალის აქ წარმოდგენილი ეტიმოლოგია, რა თქმა უნდა, მცდარია.

[60] მ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბილისი, 1906, გვ. 10.

[61] მ. ჯანაშვილი, ქართველები და ქართული ენა. III. 2 მესხი (და ხეთა) ჟურნალი „განათლება“, 1916, №—7, გვ. 402—407.

სოფელს ეწოდება მუსხი, სადაც მუსხელიშვილები ცხოვრობენ. ეტიმოლოგიურად მესხი ნაწარმოებია მზიდან, რაკი მიჟ სვანურად მზის დღეს ნიშნავს, ხოლო ა-მჲ-შ აფხაზურად ნათელ დღეს...

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის შესახებ სათანადო დასკვნებიც უნდა გამოვიტანოთ:

მე-19 საუკუნის ქართულმა ისტორიოგრაფიამ ძალზე დიდი შრომა გასწია ნაციონალური საისტორიო აზროვნების განვითარების საქმეში. მართალია, ამ ხანის ისტორიკოსებს გააჩნდათ გარკვეული ხასიათის ნაკლი, მაგრამ ერთი გარემოება წითელი ზოლივით გასდევს მათ პატრიოტულ საქმიანობას. ესაა სამშობლოსადმი უანგარო სიყვარული და ძლიერი სურვილი ქართველი ხალხის განათლება-გათვითცნობიერებისა.

იბადება კითხვა — რა მიიღო მე-19 საუკუნის ქართულმა ისტორიოგრაფიამ მემკვიდრეობად იმ დროიდან, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ისტორიულ აზროვნებას საქართველოში? შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მემკვიდრეობა მართლდენ „ქართლის ცხოვრებით“ განისაზღვრებოდა, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ ვახუშტისა და თეიმურაზ ბაგრატიონების შრომებს საქართველოს ისტორიიდან. ამ ვითარებაში ქართველი ხალხის ნამდვილი და სრული ისტორიის შედგენა შეუძლებელ საქმედ ჩანდა. სწორედ მე-19 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიისათვის არის ფრიად დამახასიათებელი ის არსებითი გარემოება, რომ მისთვის არ არსებობდა სიძნელე, მას წარბი არ შეუხრია გაჭირვების წინაშე და დიდი ენთუზიაზმითა და ენერგიით ჰკრეფდა მასალებს ძველი ხელნაწერებიდან, ტაძრების წარწერებიდან, სიგელ-გუჯრებიდან და ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაში დაცული სინამდვილიდან.

მე-19 საუკუნის ქართველი ისტორიკოსები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდნენ ძველ დავიწყებულ ნაშთთა მოპოების მიზნით, რათა შემდეგში მათი შემწეობით კიდევ უფრო დაწვრილებით შეესწავლათ სამშობლოს ძველი წარსული.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლით, „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა ანალიზისა და უცხო მეცნიერთა შრომების გათვალისწინებით შეუდგნენ მე-19 საუკუნის ქართველი ისტორიკოსები სამშობლოს ძველი და ახალი პერიოდის ისტორიის შესწავლას.

მაშასადამე, როგორც ჩანს, მე-19 საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ცალკეული წარმომადგენლის მეცნიერული გზა არ იყო ადვილი. მათ უპირატესად საკუთარი სახსრებით უხდებოდათ საქართველოს წარსულის შესწავლა და გამომზეურება, რაც ძალზე დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

სწორედ ამ კუთხით უნდა ვაფასებდეთ ჩვენ გასული საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიას, მათ მიერ დაშვებული ცალკეული შეცდომები აიხსნება იმჟამინდელი ისტორიული მეცნიერების დაბალი განვითარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

А. А. БАРАМИДЗЕ

О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ ИСТОРИИ ДРЕВНЕЙ ГРУЗИИ В ГРУЗИНСКОЙ ИСТОРИОГРАФИИ ВТОРОЙ ПОЛОВИНЫ XIX ВЕКА

Резюме

В данной статье нами критически разбираются материалы собранные историкам Грузии (П. Иоселиани, Д. Чубинашвили, С. Бараташвили, Д. Бакрадзе, А. Хаханашвили, М. Джанашвили) второй половины XIX века по расселению и этногенезу отдельных картвельских племен (тубалы, мушки, халибы, тибарены). Подчеркивается, что некоторые грузинские историки второй половины XIX века, находясь под определенным влиянием западноевропейской историографии, такими же путями и методами исследуют интересующие их вопросы этногенеза, как и синхронная европейская историография.

В статье особое внимание уделяется вопросу этнической принадлежности общества Табал. На основании отдельных оригинальных соображений грузинских историков (А. Хаханашвили, М. Джанашвили) прошлого века и на анализе античных (Страбон) и ассирийских исторических источников автор, вопреки принятому мнению, пришел к заключению, что тубалы (античные тибарены), равно как и халибы, следует приурочить к западно-грузинской или мегрелочанской языковой группе.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1964
Труды Батумского научно-исследовательского института, т. III, 1964

ციფრული ბიბლიოთეკა

ვ. შამილაძე

მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები აჭარაში

აჭარაში მესაქონლეობის განვითარების ინტენსიურმა ხასიათმა მეურნეობის ამ დარგში შრომის ორგანიზაციის ფორმათა მრავალგვაროვნება განაპირობა. მესაქონლეობის საიალაღო ტიპი ბარის, ფერდისა და მთის საფეხურებით[1] საქონლის მოვლა-პატრონობის რთულ კომპლექსს ქმნიდა.

ბარში, ხანგრძლივი ზამთრის პირობებში, საქონლის გამოზამთრება „მეახორეთა“ მეშვეობით ხორციელდებოდა, ხოლო ფერდასა („ყიშლა“) და მთაში საქონლის მოვლა-პატრონობის საქმე „მემთევრსა“ და „მენახირეს“ ჰქონდა დაკისრებული. გარდა ამისა, აჭარაში ფართოდ იყო ცნობილი „საქონლის აბარების“, „საქონლის დაბმის“, „დაზიარების და „ქესუმედ აყვანის“[2] ინსტიტუტები. საქონლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული თითოეული ეს ფორმა აჭარის ცალკეულ ხეობებში (ხოლო ზოგჯერ სოფლებშიც) კონკრეტულ სამეურნეო-გეოგრაფიულ თავისებურებებით იყო გაპირობებული და საქონლის მეპატრონეთა თუ მენახირე-ამბარებელთა შორის ვალდებულება-ანაზღაურების მტკიცედ დადგენილ და განსაზღვრულ პირობებს ითვალისწინებდა.

---

1 მესაქონლეობის საიალაღო ტიპი ზემოაღნიშნული სამი საფეხურით (იხ. გ. ჩიტაია, იმერეთის ექსპედიცია (ბაღდათი რაიონი), ენიმკის მოამბე, II, ტფ., 1937 წ., გვ. 338; მისივე, ხევსურული სახლის „სენე“, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტ. შრ., I, თბ., 1947. გვ. 155). არსებითად განსხვავდება მომთაბარული მესაქონლეობისაგან. საიალაღო მესაქონლეობის ქართულ-კავკასიური ტიპი გულისხმობს მესაქონლეობა-მიწათმოქმედების სიმბიოზურ ხასიათს, რომლის დროსაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დამჯდარ სამიწათმოქმედო მეურნეობას ეწევა ბარში, ხოლო მესაქონლეობის მთურ, საიალაღო ეტაპს ოჯახის ერთეული წევრები (მემთევრი) და სასოფლო-სათემო მენახირეები უძღვებიან. მესაქონლეობის მომთაბარული ტიპი ძირითად სამეურნეო საქმიანობად მესაქონლეობას გულისხმობს, რომლის დროსაც მოსახლეობა იძულებულია საქონელთან ერთად მომთაბარე ცხოვრებას მოკიდოს ხელი.

(პიოტროვსკის აზრით კავკასიაში საიალაღო მესაქონლეობას საფუძველი ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში ჩაეყარა. იგი მისი აზრით დაკავშირებული უნდა ყოფილიყო წვრილფეხა მესაქონლეობის განვითარებასა და ძაღლის გამოჩენასთან. **Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Л., 1949, გვ. 40).**

2 ქესუმე უნდა მომდინარეობდეს თურქული სიტყვიდან **Kesmek** - გადაჭრა, გაჭრა იხ. **Д. А. Магазаник, Турецко-русский словарь, М. 1945 г. გვ. 336).** აჭარაში „ქესუმე“ სამუშაოს ნარდად, „გადაჭრით“ აღებას ნიშნავს. აქ ცნობილია სახლის მშენებლობის ქესუმედ აღებაც (იხ. თ. ჩიქოვანი, ზემო აჭარული სახლი, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, I, ბათუმი, 1960 წ., გვ. 97). აჭარის სამეურნეო-კულტურულ ყოფაში შემჩნეული თურქული ტერმინები თურქეთის ბატონობის პერიოდშია გაჩენილი, მაგრამ ამ ტერმინებით აღნიშნული ფაქტი, მოვლენა თუ ინსტიტუტი ძველი და ტრადიციული უნდა იყოს.

აჭარაში მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში თუ მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერებში, გარდა ზოგიერთი ფრაგმენტული ხასიათის ცნობისა, თითქმის არაფერი მოიპოვება. ამდენად, ქვემოთ განხილული საკითხები ძირითადად ჩვენ მიერ ველზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების შუქზე იქნება წარმოდგენილი.

I. მენახირეობა

აჭარაში მსხვილფეხა საქონლის მწყემსს „მ ე ნ ა ხ ი რ ე“ || „ნ ა ხ ი რ ჯ ი ს“, ხოლო მწყემსის ხელობას „მენახირეობას“ || „ნ ა ხ ი რ ჯ ო ბ ა ს“ უწოდებდნენ. ტერმინი მენახირე, როგორც მსხვილფეხა საქონლის მწყემსის სახელწოდება XIX საუკუნის მეორე ნახევარში საკმაოდ ფეხმოკიდებული ჩანს[3]. მენახირე || ნახირჯი აღნიშნულ პერიოდში ფართოდ იყო დამკვიდრებული საქართველოსა და ა/კავკასიის სხვა კუთხეებშიც[4].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მენახირეობის ინსტიტუტს აჭარის უმრავლეს ხეობებში გარკვეული, ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა .ამასთანავე, მენახირეობამ განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა ზემო აჭარაში, რაც მსხვილფეხა მესაქონლეობის შედარებით ინტენსიური განვითარებით იყო გამოწვეული. უნდა აღინიშნოს, რომ მესაქონლეობის ფართო განვითარებას ადგილზე ხელშემწყობ სხვა გარემოებებთან ერთად ზემო აჭარის ვრცელი ალპური საძოვრებიც აპირობებდა[5], რომელთა ექსპლოატაციის ყველაზე მოხერხებულ და საიმედო

---

3 სიტყვა მენახირე სულხან-საბა ორბელიანს მოხსენებული არა აქვს, ხოლო ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით მენახირე-მეზროხე, ზროხათ მძოვებელი მწყემსია (იხ. მისი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961 წ., გვ. 276). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზროხა საბას განმარტებით „ზოგადი სახელი არის ყოველთა ზროხათა, ხოლო მამალსა ზროხასა ეწოდების — ხარი და დედალსა—ფური, ხოლო შვილთა მათთა ხბო“... (სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 226), მენახირე მართლაც მსხვილფეხა საქონლის მწყემსის შესატყვისი გამოდის. ძველ ქართულ ენაში მენახირე-მწყემსის აღსანიშნავად „მემროწლე“ იხმარებოდა (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959 წ, გვ. 146, 373, 574).

4 И. З. Андроников, скотоводство в Закавказском крае, СМИЭБГКЗК, т. V. ч. 1, Тифлис, 1888. გვ. 196.

მსხვილფეხა საქონლის ჯოგი „ნახირის“ სახელწოდებას ატარებდა. აჭარაში ჯოგისა თუ ნახირის შესატყვისად „საქონელს“ ხმარობენ (ასე მაგ., იტყვიან „საქონლისთინ მენახირე დევკავეთ“, „საქონელი თაში ავრეკეთ“, „საქონლის პატრონი კაცი“ და ა. შ.). როგორც პ. გუგუშვილი მიუთითებს, „საქონელი“ შინაური პირუტყვის, უპირატესად მსხვილრქიანის აღმნიშვნელ სიტყვად ლიტერატურულ ქართულში მხოლოდ XIX საუკუნიდან ვრცელდება (იხ. მისი, საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს. ტ. III, თბ., 1959, გვ. 439). რამდენადაც სიტყვა საქონელი თანამედროვე ქართულში როგორც სულდგმული (პირუტყვი) ასევე უსულო ქონების (ნივთეული) მნიშვნელობით იხმარება, აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით ძველ ქართულ ენაში „საქონელი“ მოძრავი სულდგმული ქონების, კერძოდ, პირუტყვის აღმნიშვნელიც უნდა ყოფილიყო (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. II, ტფ., 1929, გვ. 416).

5 აჭარის ალპური საძოვრების მაღალი სამეურნეო მნიშვნელობა წარსულში არაერთ მოგზაურ-მკვლევარს აღუნიშნავს (იხ. Г. Казбек, три месяца в Турецкой Грузии, ЗКОИРГО, X, 1, 1876, г. გვ. 44—45; Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Грузии и Адчаре, СПБ; 1878, გვ. 73, В. лисовский Чорохский край, вып. 1, Тиф., 1887, გვ. 99—100.
ნ. ნიჟარაძე, აჭარის ალპური მეურნეობა, ბათუმი, 1948 წ., გვ. 29—35 და სხვ.

ფორმად აქაურ პირობებში მენახირეობის ინსტიტუტი ითვლებოდა. იგი მთელ საიალაღო პერიოდში. რომელიც დროით ბარში გაცხარებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ემთხვეოდა, საქონლის მოვლა-პატრონობის საქმეში ოჯახში მუშახელის ეკონომიური გამოყენების საშუალებას იძლეოდა. საქონელი, ამ ხნის განმავლობაში, მენახირეებს და წველა-დღვებისათვის გამოყოფილ პირს— მემთევრს ებარა, მაშინ, როდესაც ოჯახის ძირითადი მუშახელი სამიწათმოქმედო სამუშაოებით და პირუტყვის საზამთრო საკვების დამზადებით იყო დასაქმებული. თავის მხრივ, საიალაღო პერიოდს აჭარელი გლეხის ეკონომიკაში არანაკლები მნიშვნელობა ეძლეოდა, რამდენადაც „თევრობისას“ აქაური ძროხის ლაქტაცია საგრძნობლად იზრდებოდა და საოჯახო მოხმარებისა თუ გაცვლა-გასაღებისათვის აუცილებელი რძის პროდუქტების მეტი წილი ამ დროს მზადდებოდა. საქონლის მოვლა-პატრონობის სწორი ორგანიზაცია იალაღებზე სხვა აუცილებლობითაც იყო გამოწვეული. მთის ცვალებადი კლიმატი, რთული რელიეფი, სხვადასხვა დაავადებანი და საქონლის ჭურდობა-დატაცების ხშირი შემთხვევები ყოველმხრივ ართულებდა მენახირისა და მოიალაღე-მესაქონლის მდგომარეობას. მენახირის არჩევისას სოფელი ითვალისწინებდა ამ გარემოებას და ამ მოვალეობას მესაქონლეობაში საკმაოდ გამოცდილ პირს აკისრებდა. ასეთი პირი პატიოსნებით, შრომისმოყვარეობითა და ნდობით უნდა ყოფილიყო ცნობილი[6]. აჭარის ბევრ ხეობასა თუ სოფლებში მენახირეობა ზოგჯერ რომელიმე გვარის თუ ოჯახის ხვედრად ითვლებოდა, თუმცა თუ რომელიმე პირი ამ საქმისათვის შეუფერებელი აღმოჩნდებოდა, სოფელს მისი გადარჩევის სრული უფლება ჰქონდა. ზოგჯერ მენახირედ არჩევას ამა თუ იმ პირის ეკონომიური მდგომარეობა განსაზღვრავდა, მენახირეობაზე სურვილს აცხადებდა ის პირი. რომელსაც ბარში მიწის საკმაო ფართობი არ გააჩნდა და მიწის იჯარით აღებასა და დამუშავებას მენახირეობას არჩევდა[7], რადგან მენახირის შრომის ანაზღაურება, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ძირითადად ნატურით (მარცვლეულით) ხდებოდა და მენახირეს მთელი წლის სარჩო-მარცვლეულით უზრუნველყოფდა. აჭარის უმრავლეს ხეობებში მენახირეები ცალკეულ სასოფლო მწყემსებად გვევლინებიან, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა რამდენიმე სოფლის ან ხეობის საზაფხულო საძოვრები მომიჯნავე ტერიტორიაზე მდებარეობდა და მათ შორის საზღვარი თითქმის წაშლილი იყო, საქონელს აერთიანებდნენ და სოფელთა განსაზღვრული რაოდენობა საერთო მენახირეებს ირჩევდა. ხშირი იყო შემთხვევებიც,

---

[6] ჭვანას ხეობის ს. ხაბელაშვილებში მცხოვრებ ა. ჭაღალიძეს სოფელი 27 წელიწადს ირჩევდა მენახირედ. თევრობის წინ სოფელი იკრიბებოდა და ადგენდა „იმაზე გვაქ ნდობა და ისდა იყოსო“, მართლაც, ა. ჭაღალიძეს ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი სული საქონელი დაეკარგა (უნიშნოდ), რომლის ანაზღაურება მისთვის არავის დაუკისრებია. ასევე შეიძლება ითქვას მარითის ხეობის სს. მაწყვალთა-კარაპეტის მენახირე ასლან ზოიძეზე, რომლის სახელი სოფლის საძოვრის ტოპონიმიკაშიც კი აისახა. მაწყვალათის საძოვარზე დღესაც შემორჩენილია სახელები „ასლანას ნაქოხვარი“, „ასლანას ჰაღილი“ და ა. შ. მწყემსის დაქირავების დროს ამა თუ იმ პირის პირად თვისებებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ აფხაზი მესაქონლეებიც (იხ. Ц. Н. Бжания, Скотоводческое хозяйство в Абжйской Абхазии, труды Абхазского инстит. языка, литературы и истории, XXVIII, Сухуми, 1957, გვ. 129.

[7] ეს პროცესი წარსულში თბილისის გუბერნიის გლეხთა დაბალ ფენებშიც შეიმჩნეოდა (А. Натроев, О крупном рогатом скоте в Тифлисской губернии, ТКОСХ, № 7—8, Тифлис, 1891 გვ. 320).

როდესაც გარკვეული საზაფხულო საძოვარი სხვადასხვა სოფლებისა და ხეობის მცხოვრებთა მფლობელობაში იყო. ასეთ შემთხვევაში მენახირეს არა რომელიმე სოფელი, არამედ „იაილის“ მოსახლეობა ირჩევდა.

აჭარის ზოგიერთ ხეობაში (ღორჯომი, ჭვანა) წარსულში ცნობილი იყო ე. წ. „რიგით მენახირეობა“, რომლის დროსაც სოფლის ყოველ კომლს რიგრიგობით უნდა გაეწია მენახირეობა[8].

„თევრობის“ დასაწყისში, როცა ხვნა-თესვის სამუშაოები იყო გაჩაღებული და მუშახელის დიდი ხნით მოცდენა არ შეიძლებოდა, კომლთა შორის რიგი 3 დღით იყო განსაზღვრული. შუა ზაფხულში, როცა ბარში სამუშაოები მიწყნარდებოდა, თითოეულ კომლს 8—10 დღემდე შეეძლო გამოეყო მორიგე მენახირე. რიგით მენახირეობის ვადას საბოლოო ჯამში ამა თუ იმ კომლის საქონლის რაოდენობა განსაზღვრავდა.

მენახირის არჩევა-ანაზღაურების ფორმები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სხვადასხვა ხეობებში განსხვავებულ ხასიათს ატარებს. საქონლის საძოვარზე გადარეკვამდე რამდენიმე დღით ადრე, სოფლის უხუცესობა („თავი ხალხი“) თათბირობდა, მენახირეს გამოჰყოფდა[9]. და სავალდებულო პირობებს, აგრეთვე, „სამენახირო“ გასამრჯელოს ფორმასა (ფული, ნატური) და ოდენობას განუსაზღვრავდა. ჭვანის ხეობაში, ამ გადაწყვეტილების მიღების დროს, მენახირედ არჩეული პირის დასწრება სავალდებულო არ იყო; პირობებს ქაღალდზე ჩამოწერდნენ, მუხტრის ბეჭედს დაუსვამდნენ და მენახირეს სახლში გაუგზავნიდნენ. გადაწყვეტილება დიდი სამართლიანობით გამოჰქონდათ და ითვალისწინებდა როგორც საქონლის მეპატრონის, ისე მენახირის უფლება-მოვალეობებს. ამის შემდეგ სოფელში „თევრობას“ გამოაცხადებდნენ, სოფელსა და ყიშლებში სათიბი ჭალების დასაცავად „ყორუხჩებს“[10] გამოჰყოფდნენ. ამ დროიდან საქონლის ბარში დატოვება დაუშვებლად მიაჩნდათ.

რამდენადმე განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც მენახირეს სოფელთა გაერთიანება ირჩევდა. ასე მაგ., მარითის ხეობის სოფლები ოლადაური, მახალაკიძეები, ბაბოშვილები და ჯუმუშაური საერ-

---

[8] მენახირეობის ანალოგიური ფორმა ცნობილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც. მ. მაჩაბელის ცნობით, ხევსური, თუში და ჭისტი მესაქონლეები ზაფხულობით რიგით (ყოველი კომლი) მენახირეობის ფორმას იყენებდნენ (М. В. Мачабели, Экономический быт гост. крестьян Тионетского уезда, Тифлисской Губернии, МИЭБГКЗК, т, V. г. 1, გვ. 465), აღნიშნულ გარემოებას ხევსურეთის ძიმართ ადასტურებს ს. მაკალათია (იხ. მისი, ხევსურეთი ტფ., 1935, გვ. 65).

[9] ს. მაკალათიას ცნობით „ხევსური სხვის მწყემსად ჭირით არა წავა, ამიტომ შეძლებულ მწყემსად იყვანს მთიულს ან გუდამაყრელს, რომელსაც ჭირაში აძლევს ერბო-ყველს ან ჭირნახულს“ (ს .მაკალათია, ხევსურეთი, ტფ.,1935, გვ. 65). კერძო პირთან ჭირით მენახირეობა არც აჭარაში იყო გავრცელებული, რამდენადაც ასეთი დიდი ჯოგურ-მესაქონლური მეურნეობის წარმოების მაგალითები აქ თითქმის სრულიად არ გვხვდება. აჭარლები მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მენახირეებად დგებოდნენ მაშინ, როდესაც მსგავს პირობებში ხევსური მესაქონლეები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომლთა შორის რიგით მენახირეობის ფორმას არჩევდნენ.

[10] თურქული სიტყვიდან—Korucu ტყის მცველი (Д. А. Магазаник დასახ. ნაშრ., გვ. 362). აჭარაში ყორუხჩებს სათიბის მცველებსაც უწოდებდნენ. ასეთივე იყო ყორუხჩის მნიშვნელობა საქართველოს სხვა კუთხეებშიც. „დასტურლამალში“ მოხსენებული „მეყორულე“ განმარტებულია როგორც „მცველი საძოვრის ადგილისა“ („დასტურლამალი“, ტფ., 1886. გვ. 177).

თო მენახირეებს არაბებდნენ საქონელს. მიუხედავად იმისა, რომ მენახირეთა არჩევა ყოველწლიურად მახალაკიძეების მეჩეთში ხდებოდა, საბოლოო და გადამწყვეტი სიტყვა მაინც ოლადაურელთ ეკუთვნოდათ, რადგან ოლადაურში სხვა სოფლებთან შედარებით თავი ხალხი უფრო მეტი იყო. კონკრეტულად ამის გამო „თავი მენახირე“ სოფ. ოლადაურიდან უნდა აერჩიათ. ანალოგიურ გარემოებასთან გვაქვს საქმე იმავე ხეობის ს. მაწყვალთასა და კარაპეტს შორის, თუმცა აქ მაწყვალთელებს უპირატესობას არა თავი ხალხი ანიჭებდა, არამედ სოფლის საერთო საძოვრის გამგებლობა, რომელიც ამ ორ სოფელს შორის ურთიერთობის ყველა სფეროში იჩენდა თავს და კარაპეტელთა დაქვემდებარებულ მდგომარეობას აპირობებდა.

„თა გეივსებოდა“ თუ არა, მენახირეს მოვალეობის შესრულება უნდა დაეწყო. იგი წინადღით ჩამოივლიდა ქოხებს, ჩაბარებულ საქონელს მოინახულებდა და სიას შეადგენდა. ამავე დროს, მენახირე გულდასმით იმახსოვრებდა თითეული საქონლის ფერს, გარეგნობას, დაღს („სერი“) თუ სხვა გამოსარჩევ ნიშნებს. საზაფხულო საძოვრებზე ასვლის პირველ ხანებში საქონელი იალაღების ახლო-მახლო (2—3 კმ) ძოვდა. შუა ზაფხულიდან მოკიდებული საქონელი თანდათანობით საძოვრების სიღრმეში ინაცვლებდა, ხოლო „თევრობის“ ბოლოს მოიალაღეთა დასახლებას საკმაო მანძილით (6—7 კმ) შორდებოდა. ასეთ მანძილზე გადარეკვისას მენახირეს ყურადღება უნდა მიექცია ჩამორჩენილი, სუსტი და „ჯანდაკი“ საქონლისათვის. კარგი მენახირე საქონელს ნებაზე მიუშვებდა. დაუშვებლად მიაჩნდათ საქონელზე გაჯავრება, ყვირილი, ცემა. განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდნენ მაკე საქონლის მიმართ.

საძოვარზე მენახირე ჯოგის თავში იდგა, თანდათან ინაცვლებდა წინ და „სურუნთ“ საქონელს ნებას არ აძლევდა წინ გაჭრილიყო. ასეთი კონტროლი მენახირეს საშუალებას აძლევდა თანაბრად და მაქსიმალურად გამოეყენებინა საძოვარი, თანაც თავიდან აეცილებინა საქონლის უმიზნო ხეტიალი[11]. მენახირე გაძუძუებულ ყურადღებასა და თვალყურს ადევნებდა, რომ საქონელი ნადირს არ დაეზიანებია, ან ჭურდებს არ გაერეკათ[12]. ორივე ამ საფრთხისაგან დაცვა განსაკუთრებით ძნელდებოდა უამინდობისა და ნისლის დროს, ხოლო თუ შემთხვევით საქონელი ღამით გარეთ დარჩებოდა, ხიფათი თითქმის გარდაუვალი იყო. გარდა ამისა, საქონელს სერიოზულ ზიანს აყენებდა ძლიერი ქარი, ჭექა-ქუხილი, „კოხი“ (სეტყვა) და წვიმა, რაც არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა მთაში[13]. სეტყვისა და ქარიშხლის დროს საქონელი ფრთხებოდა და ხშირად კლდე-ღრეში იჩეხებოდა.

---

[11] საძოვრების წესიერ გამოყენებას ასე თუ ისე ყურადღებას აქცევდა სოფელიც. „თევრობის“ პერიოდში, განსაკუთრებით კი მეორე ნახევარში ბარში სამუშაოების შემსუბუქებასთან ერთად, სოფლიდან რამდენიმე პირი მთაში ადიოდა და სხვათაშორის მენახირის საქმიანობასა და საძოვრების მდგომარეობას ამოწმებდა.

[12] როგორც დ. ბაქრაძე მიუთითებს, პირუტყვის ქურდობა-დატაცების შემთხვევები განსაკუთრებით ხშირი ყოფილა საზაფხულო საძოვრებზე (Д. Бакрадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 88—89) ჩვენ მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, იშვიათად რომ რომელიმე მოიალაღე მოსახლე მთიდან ზარალის გარეშე დაბრუნებულიყო.

[13] აღნიშნული სტიქიური მოვლენები დიდ ზარალს აყენებდა მესაქონლეებს თბილისის გუბერნიის საძოვრებზეც (А. Натроев, Количество скота и пастбищные места Тифлисской губернии, ТКОСХ, 1888, № 7—8, გვ. 378).

ამავე დროს, ხანმოკლე ძლიერი წვიმები ძლიერ დაჭანებულ რელიეფზე ხშირად მეწყერს იწვევდა და დამფრთხალ საქონელს იტაცებდა. ხშირი იყო „ჭუხილის დაცემის“ (მეხის დაცემის) შემთხვევებიც. ხიფათისაგან თავდასაცავად მენახირეები საქონელს ტყეში მიერეკებოდნენ, სადაც გარკვეული ტერიტორია ჰაღილებად ჰქონდათ შემოღობილი. ტყეში საქონელი დაცული იყო ქარისა და სიცივისაგან, თანაც აქ ნისლი ვერ აღწევდა, რაც აადვილებდა საქონლისადმი თვალყურის დევნებას.

მენახირეს საძოვარზე გარკვეული ყურადღება უნდა მიექცია საქონლის დარილებისათვისაც. საქონლის ხელზე დაგრილება ბარში ერთეული შემთხვევებით ამოიწურებოდა, მაშინ, როდესაც ჯოგური დაგრილება, ძირითადად, იალაღებზე საქონლის შესამჩნევად მომაგრება-გამოჯანსაღებასთან ერთად იწყებოდა. მწარმოებელი ბუღები, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, აჭარაშიაც ჯოგთან ერთად იყო გაშვებული. ერთი შეხედვით, ჯოგური დაგრილება სტიქიური ხასიათისა ჩანდა, მაშინ, როდესაც ხალხურ ცოდნა-გამოცდილებას აქაც შეჰქონდა რეგულირების გარკვეული ელემენტები. კერძოდ, „მემთევრი“ ამა თუ იმ ძროხას შეამჩნევდა თუ არა „სადევნებელ“ ნიშანს, მენახირეს აფრთხილებდა. ყურადღება მიექცია და ძროხისათვის ჯიშიანი ბუღა შეერჩია. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ ზოგჯერ ადევნილ ძროხას „მაკინარი“—რამდენიმე ბუღა, „კალო მოზვრი“ და ახალმოზარდი „მოცვეთიც“ კი „ეებმებოდა“. ასეთ შემთხვევაში, თუ ძროხა „ბეჩი“ მფრთხალი იყო, არ ჩერდებოდა, აქეთიქით აწყდებოდა და ხშირად იღუპებოდა.

მენახირე ვალდებული იყო მტკიცედ დაეცვა საქონლისათვის წყლის დალევინების რეჟიმიც. დილით და საღამოთი საქონელი იაილებში მოწყობილ ხის „ჯარაში“ ლევდა წყალს. შუადღის ხანს მენახირე საქონელს წყაროზე ან ხევში ჩარეკავდა, ხოლო მზის ჩასვლამდე ერთი ორი საათით ადრე იაილებისაკენ მოაბრუნებდა. მენახირეს გამოანგარიშებული ჰქონდა დრო, რომელიც საქონელს საძოვრებიდან ქოხებამდე დასჭირდებოდა, ისე რომ იაილებში შებინდებამდე უნდა მიეყვანა, რათა მემთევრეებს დღის სინათლზე მოემთავრებინათ წველა.

საზაფხულო საძოვარზე პირუტყვის სასოფლო გაერთიანების დროს, საქონლის რაოდენობა 500—600 სულამდე აღწევდა. ასეთ შემთხვევაში საქონელს 5—6 მენახირე უნდა გაძღოლოდა, რომელთა შორის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი თავი ანუ უფროსი მენახირის როლში გამოდიოდა. თავი მენახირის მოვალეობა აჭარაში არ ატარებდა ჩამოყალიბებულ ხასიათს. საძოვრების დანაწევრება უბნურ, სასოფლო (იშვიათად სახევო ან სასოფლო გაერთიანების) სარგებლობაში საშუალებას არ იძლეოდა დიდძალი საქონლის თავშეყრისა და მენახირეთა პროფესიული გაერთიანების წარმოქმნისათვის, სადაც რომელიმე მათგანი გარკვეული პრივილეგიებით ისარგებლებდა. ამდენად, აჭარაში არსებული თავი მენახირის უფლება-მოვალეობანი არ იყო ისე ჩამოყალიბებული, როგორიც საქართველოს სხვა კუთხეებში სარჭლებისა თუ მენახირეთა გაერთიანების უფროსთა სახით შეინიშნება[14]. მიუხედავად ამისა, თავი მენახირე მაინც

---

[14] აფხაზეთში წვრილფეხა საქონლის მეპატრონენი ზაფხულის პერიოდში ერთიანდებოდნენ გარკვეულ კოლექტივად. ე. წ. „აგუპად“, რომელიც მესაქონლეობაში დიდი ცოდნა-გამოცდილების მქონე უხუცეს ხელმძღვანელს ირჩევდა. ეს კოლექტივი, რომელიც 9 კაცამდეც კი აღწევდა, ზოგჯერ მონათესავე პირებისაგან შედგებოდა. ამ შემთხვევაში აგუპის თავად გვა-

საჭიროებდა უმნიშვნელო შეღავათებით. მას, როგორც საქონლის მოვლა-პატრონობაში გამოცდილ კაცს, უზრუნველყოფილი ჰქონდა ყოველწლიური არჩევა მაშინ, როდესაც რიგითი მენახირე ადვილად შეიძლებოდა შეეცვალათ. წვიმიან ამინდში თავი მენახირე ქოხიდან ხელმძღვანელობდა სხვებს, ხოლო კარგი ამინდის დროს, როცა საქონელს საძოვარზე გარეკავდნენ და მენახირეები სხვადასხვა მხარეს დანაწილდებოდნენ, იგი ყველაზე უფრო მოხერხებულ სამეთვალყურო პუნქტს აირჩევდა. მას შეეძლო ებრძანებინა რიგითი მენახირისათვის ავდარში თუ ღამით გაბნეული საქონლის მოძებნა და მოყვანა. სამაგიეროდ, თავი მენახირის პასუხისმგებლობაც შედარებით მეტი იყო. საქონლის დაკარგვის შემთხვევაში საქონლის პატრონი მენახირეს მოთხოვდა პასუხს, თუმცა დაკარგული საქონლის ანაზღაურებაში რიგით მენახირესაც ისეთივე წილი ედებოდა, როგორც უფროსს. ამ გარემოებას თავისებური გამართლებაც ჰქონდა, რამდენადაც მენახირეთა საერთო შემოსავალი „თევრობის“ დამთავრების დროს თანაბრად ნაწილდებოდა რიგითსა და უფროს მენახირეს შორის.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ სამენახირეოს ანაზღაურება ძირითადად ნატურით ხდებოდა და ანაზღაურების ნორმები სხვადასხვა ხეობასა და სოფელში განსხვავებული იყო. ასე მაგალითად, ჭვანის ხეობის სოფ. ვარჯანაულში თევრობის მთელ პერიოდში ერთ სულ საქონელზე (მეწველი, ბერწი, მოზარდი) ერთ კოდ (ცხრა ოყა) სიმინდს ან 12 კვერცხ (ნახევარი ოყა) „იარაღს“ (კარაჭი) უხდიდნენ[15]. თუ მენახირე ფულად ანაზღაურებას არჩევდა, სულზე 50 კაპ. იყო განსაზღვრული, რაც სავსებით შეესაბამებოდა სიმინდისა და კარაჭის საფასურს. ს. წყაროთაში მენახირეს 10 სულ საქონელზე ფუთნახევარ სიმინდს ან მანეთ ფულს უხდიდნენ. ხეობის უფრო ზემო წელში, ს. ნაღვარევში, მენახირის ანაზღაურება უფრო იზრდებოდა; აქ 5 სულ საქონელზე 20 ოყა სიმინდი ან მანეთი ფული უნდა გაედაეხადათ. სხალთის ხეობის ს. ხიხაძირში მენახირეს ერთ სულ საქონელზე ნახევარი კოდი სიმინდი ეძლეოდა. მარითის ხეობის ს. ოლადაურში სამენახირო შედარებით დაბალი იყო. აქ 6 სული საქონლის ანაზღაურება ერთ პინა (22 კგ-მი) სიმინდით იყო განსაზღვრული. ანაზღაურების ასეთი მერყეობა დამოკიდებული იყო სოფლისა თუ ხეობის ეკონომიურ პირობებსა და საძოვრების გეოგრაფიულ მდებარეობაზე (სიმაღლეზე ზღვის დონიდან, კლიმატი, რელიეფი), ამასთან დიდი ყურადღება ეჭცეოდა საძოვრების განლაგებას იალებთან, სოფელთან, ტყესთან, სამიმოსვლო გზებთან, დასარწყულებელ ადგილებთან და ა. შ. ყველა ეს გარემოებანი პირდაპირ კავშირში იყო იმ ხიფათთან, რომელიც მენახირესა და საქონელს მოელოდა უამინდობის, ნადირისა თუ ქურდების მხრივ.

რისა თუ ოჯახის უფროსი გამოდიოდა, რომელიც სხვა თვისებებთან ერთად. მამულითა და ჭონებითაც გამოირჩეოდა (იხ. Ц. Н. Бжания, Из истории хозяйства Абхазов, Сухуми, 1962, გვ. 77–79).

სამეგრელოში სარჭლად ირჩევდნენ, „ერთ გამოცდილ სიტყვა-პასუხიან მწყემსს, რომელსაც მთიდან ჩამოსვლამდე დანარჩენები ყველაფერში ემორჩილებიან როგორც უფროსს. უიმისოდ ფეხს ვერ გადადგამენ, ის არის მათი ხელმძღვანელი, გზის მაჩვენებელი“ (თ. სახოკია, მოგზაურობანი, გურია-აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბ., 1950, გვ. 284).

[15] კოდი, კვერცხი და პინა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა წონითი ერთეულის აღმნიშვნელად იხმარებოდა.

მენახირის ანაზღაურების მხრივ ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეების მოსახლეობაშიც. XIX საუკუნის მეორე ნახევრის მასალების მიხედვით თბილისის მაზრის ქართველი მოსახლეობა მწყემსებს უხდის ხორბალს ან ქერს. მეწველ ძროხაზე და ხარზე წელიწადში თითო კოდ (3 ფუთი) ხორბალს, ხოლო ბერწ საქონელზე — თითო კოდ ქერს[16]. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში ადგილობრივი მკვიდრნი ყოველ თავ საქონელზე (მსხვილფეხა) იხდიდნენ თითო კოდ ქერს, ე. ი. დაახლოებით 30 კაპ. ხბოზე გადასახადი 1/2 კოდით განისაზღვრებოდა, რაც ფულად 15 კაპ. იყო გამოსახული[17]. მენახირის ანაზღაურების მსგავსი ფორმა წარსულში ცნობილი იყო თბილისის გუბერნიის სხვა მაზრებშიც[18].

აღებულ პერიოდში (XIX ს-ის მეორე ნახევარი) მენახირის ანაზღაურების ნატურალური ფორმა ადგილს უთმობს ფულად ფორმას[19], აღნიშნული პროცესი შეიმჩნევა აჭარაშიც, რაც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის თანდათანობითი განვითარების შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

გარდა ფულადი ანაზღაურებისა აჭარის მენახირე „თევრობის“ პერიოდში უზრუნველყოფილი იყო საგზლითაც. მოიალაღე მოსახლეობა ვალდებული იყო, რიგით, დღეში სამჯერ გამოესაინძღლებოდა მენახირეს. საუზმესა და ვახშამს სახლში მიართმევდნენ, ხოლო სადილს „ტავარჯუხში“[20] (მწყემსის ჩანთაში) ჩაულაგებდნენ და საძოვარზე ატანდნენ.

საჭმელი არ ეძლეოდათ მხოლოდ სასოფლო გაერთიანებათა მენახირეებს, რამდენადაც აქ ჩვეულებრივ 5—6 კაცამდე გროვდებოდა და მათი გამასპინძლება მთის პირობებში ზედმეტ ტვირთად დააწვებოდა მემთევრს. სამაგიეროდ ასეთ საძოვრებზე შუა ზაფხულში მოიალაღე მოსახლეობა 2—2 ოყა „კაიმაღს“ (ნაღებს) აგროვებდა და მენახირეებს აძლევდა, რომელთაც შემდეგ იგი თანაბრად უნდა გაენაწილებინათ.

აჭარაში ხარების სამწყემსავად ცალკე მწყემსს „მეხარეს“ ქირაობდნენ. მეხარეების არჩევა მენახირეებთან ერთად ხდებოდა, თუმცა მეხარეს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა მენახირესთან და მისი ვალდებულება-ანაზღაურების ნორმებიც განსხვავებული იყო. მეხარე მთაში 10—15 დღით გვიან ადიოდა, მანამდე ხარები ბაოში „საქერობო“ (ხვნა-თესვა) სამუშაოებს ასრულებდნენ. შემოდგომაზე ხარებს დაახლოებით ამდენივე ხნით ადრე ჩამოარეკავდნენ, რამდენადაც იქ ამ დროისათვის „ჭალობა“ (თიბვა) დამთავრებული იყო და „მარხილობა“ უნდა დაწყებულიყო. ხარებისათვის თითქმის ყველა იალაღზე საქონლისაგან მოშორებით ცალკე საძოვარს („ხარიათაღს“)[21] ყოფდნენ, სადაც მეხარეებს ქვის პატარა ჭოხი („კალიბი“) ჰქონ-

---

[16] И. З. Андроников, დასახ. ნაშრ., გვ. 198.

[17] Х. А. Веремишев, Экономический быт государственных крестьян в Ахалцихском и Ахалкалакском уездах Тифлисской губернии, МИЭБСКЭК, т. III, ч. II, გვ. 174.

[18] А Натроев, О крупном рогатом скоте в Тифлисской губернии, ТКССХ, № 7—8, Тифлис, 1891, გვ. 320, ვ. ითონიშვილი, მესაქონლეობა სამგორში. საქ. მუზ. მოამბე, XXIII—B, თბ., 1962 წ., გვ. 185.

[19] И. З. Андроников, დასახ. ნაშრ., გვ. 197.

[20] ტავარჯუხი — ზურგზე მოსაკიდებელი ტყავის ჩანთა, ხალთა, (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ,. 1960, გვ. 1234).

[21] ხარის საწოლი (yatak=თურქულად საწოლს ნიშნავს. იხ. Д. А. Магазаник, დასახ. ნაშრ., გვ. 668).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ აშენებული. კალიბს ქარისაგან დაცულ, ჩავარდნილ ადგილას აგებდნენ, რომლის ირგვლივ ღამღამობით ხარი უნდა დაწოლილიყო.

მენახირისაგან განსხვავებით, რომელსაც საქონელი მხოლოდ დღით ებარა, მეხარე თავის საქონელზე დღე-ღამის განმავლობაში იყო პასუხისმგებელი. ყოველივე ეს შედარებით ართულებდა მეხარის მოვალეობას, მაგრამ მათი ანაზღაურებაც თევრობის შედარებით მოკლე პერიოდის მიუხედავად საგრძნობლად მაღალი იყო. იმავე ჭვანის ხეობაში უღელ ხარში მეხარეს 1 მანეთს აძლევდნენ. ღორჯომის ხეობის ს. აგარაში უღელ ხასარეზე 24 კვერცხი (1 ოყა) კარაქი უნდა გადაეხადათ, ხოლო მარითის ხეობის ს. ოლადაურში მეხარეს 2 უღელ ხარში ერთ პინა სიმინდს უხდიდნენ[22]. ანაზღაურების სხვაობა სხვადასხვა ხეობებში იმავე პირობებით იყო გამოწვეული, რაც ზემოთ სამენახირეოს მიმართ აღვნიშნეთ. რამდენადაც მეხარე საძოვარზე მოშორებული იყო იალაღებისაგან, მოიალაღე მოსახლეობას საჭმლის მაგიერ უღელ ხარზე თითო კოლოფი მაწონი უნდა გაეგზავნა.

განსხვავებული პირობები და ვალდებულებანი ჰქონდა წაყენებული აჭარაში „მეცხვარესაც“, თუმცა წვრილფეხა საქონლის მცირერიცხოვნება მის მენახირესა და მეხარესთან შედარებით უკანა პლანზე აყენებდა. აჭარის უმრავლეს ხეობებში ცხვრის რაოდენობა კომლზე ერთეულებს არ აღემატებოდა, ხოლო ზოგი მოსახლე ცხვარს სრულიად არ ინახავდა. წვრილფეხა მესაქონლეობის შედარებით შეზღუდულ ხასიათს აჭარაში თავისი მიზეზები გააჩნდა, რაც უპირველესად ადგილობრივ სამეურნეო-გეოგრაფიული თავისებურებებით იყო გამოწვეული. თევრობის პერიოდში მეცხვარედ ძირითადად მოზარდებს აყენებდნენ, რამდენადაც ცხვარი იალაღების ახლო-მახლო ძოვდა და მისი მოვლა ძნელ საქმეს არ წარმოადგენდა. მეცხვარეს უმთავრესად ფულადად უნაზღაურებდნენ—სულზე 2 შაურიდან 2 აბაზამდე. მარითის ხეობის ზოგ სოფელში ცხვარიც მენახირეებს ებარათ. 6 მენახირიდან 4 საქონელში მიდიოდა, 2 ცხვარში. ყოველ მეორე დღეს 2 მენახირე საქონლიდან ცხვარში გადადიოდა და პირიქით. ამგვარი მონაცვლებით ცხვარში ყოფნა ყველა მენახირეს უხდებოდა. ანაზღაურება ცხვარზე ცალკე იყო გამოყოფილი (10 სული თხა-ცხვარი—ერთი პინა სიმინდი) შემოსავალი საქონლისაგან მიღებულ სამენახირეოს უერთდებოდა და თანაბრად ნაწილდებოდა მენახირეთა შორის.

მენახირე-მეხარეები საზღაურს შემოდგომაზე, ბარში ღებულობდნენ. ამ პერიოდისათვის საქონელი უკვე ბარში იყო, ხოლო მოსავალი აღებული. ნოემბრის ბოლოს „ნ ა ლ ი ე ბ ი რ ო მ დ ე ი ნ ა ყ ე ბ ო დ ა“[23] და სუფთა სიმინდს ბეღელში გადაიტანდნენ, მენახირეები შეგროვდებოდნენ და სოფელს ჩამოივლიდნენ. ჯერ მარცვლეულს ერთ ადგილას მოაგროვებდნენ, ხოლო შემდეგ თანაბრად გაინაწილებდნენ.

---

[22] თბილისის მაზრაში ზოგჯერ მწყემსი მუშა პირუტყვის ძოვებისათვის ქირას არ ღებულობდა, სამაგიეროდ პატრონს თითოეული ხარი ზაფხულის განმავლობაში თითო დღე მწყემსის სასარგებლოდ უნდა ემუშავებინა (იხ. И. З. Андроников დასახ. ნაშრ., გვ. 198).

[23] ნოემბრის ბოლოს ნალიაში შეყრილ სიმინდს „ტოკვეცებით“ ნაყავდნენ (ზოგჯერ თუ სიმინდი საკმარისად არ იყო გამხმარი, იცოდნენ ნალიის ქვეშ ცეცხლის დანთება ანუ „ნალიების დაფუტება“), ასუფთავებდნენ და ბეღელში ინახავდნენ.

ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევასაც, როცა მენახირეს საქონელს ეკარგებოდა და პირიქით ვალდებულებაში რჩებოდა საქონლის პატრონთან. დაკარგული საქონლის ანაზღაურების პირობები მენახირესა და საქონლის პატრონს შორის თავიდანვე იყო დათქმული. თუ მენახირე საქონლის პატრონს საქონლის ქურდობა-დატაცების ან ნადირის მიერ დაზიანების მცირეოდენ ნიშანს მოუტანდა, იგი თავისუფალი იყო ანაზღაურებისაგან. ნიშნებად აღიარებული იყო ნადირის მიერ დაგლეჯილი საქონლის ტყავი, ძვლები, რქები, კუდი და ა. შ. მხედველობაში იყო მიღებული ქურდობა, დატაცების მცირეოდენი კვალი, თუნდაც ზედაპირი განცხადება და ეჭვიც კი[24]. მენახირე თავისუფალი იყო სეტყვის თუ ელჭექის მიერ დაზიანებული, აგრეთვე კლდე-ღრეში გადაჩეხილი საქონლის ანაზღაურებისაგან. დაკარგული საქონელი უნდა აენაზღაურებინა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ამ საქონლის რაიმე კვალს ან ნიშანს ვერ მიაკვლია და პატრონს ვერ წარუდგინა. ასეთი შემთხვევა მართლაც გამონაკლისი იყო, რამდენადაც დაკარგული საქონლის ძებნაში მენახირესთან ერთად საქონლის პატრონი და მთელი მოიალაღე მოსახლეობა მონაწილეობდა და კვალიც ადრე თუ გვიან გამოჩნდებოდა. საერთოდ ეს საკითხი მენახირის ნდობა—არ ნდობის საკითხი იყო და რამდენადაც მენახირეებად უფრო მეტად სანდო ხალხს ირჩევდნენ, ზოგჯერ მენახირეს უნიშნოდ დაკარგულ საქონელსაც კი არ ანდევინებდნენ. გადახდის შემთხვევაში მენახირე იხდიდა ფულით, მარცვლეულით ან სამაგიერო საქონლით. თუ დაკარგული საქონლის პატრონს დანარჩენი მიბარებული საქონლის ჭირა უნდა აენაზღაურებინა — ჯერ მენახირეს დაკარგულის საფასურს გამოუქვითავდა და დანარჩენს უკლებლივ გადაუხდიდა.

მართალია, მენახირეობა აჭარაში შრომისმოყვარე და პატიოსანი კაცის ხელობა იყო, მაგრამ საქონლის ასე თუ ისე ჭეზღუდული ოდენობა და ანაზღაურების დაბალი ნორმები მას გამდიდრების წყაროდ არ ხდიდა. მით უმეტეს, რომ ჭენახირე მთელი ზაფხული მოწყვეტილი იყო ბარში სამიწათმოქმედო სამუშაოებს და მოკლებული იყო საკუთარი მეურნეობის წარმოების საშუალებას. მას არც საქონლის მოშენება-მომრავლება შეეძლო, ისე როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვა კუთხის მეჯოგე-მენახირეებს შორის. ცნობილია, რომ აფხაზეთში მწყემსს ზამთრობით ხუთი წლით ქირაობდნენ. ამ ხნის განმავლობაში აყვანილი საქონლის ნახევრის ნამატს საქონლის პატრონი სანახევროდ უყოფდა მწყემსს. გარდა ამისა, მწყემსს ეძლეოდა ტანსაცმელი[25]. იარაღი, ჭურჭლეულობა და კვირაში ერთი დღის (ხუთშაბათის) ნაწველი. ხუთი წლის თავზე ფარა შესამჩნევად იზრდებოდა და მწყემსიც დიდ ჯოგს (200—250 თავი ცხვარი) იღებდა გასამრჯელოდ. ადგილი ჰქონდა ისეთ კურიოზულ შემთხვევებსაც, როდესაც გარკვეული ხნის განმავლობაში საქონლის პატრონი ღარიბდებოდა და

---

24 სამგორში, ანალოგიურ შემთხვევაში, მწყემსი ვალდებული იყო პატრონისათვის დაკარგული საქონლის გური მიეტანა. ასეთ შემთხვევაში მწყემსი საქონლის პატრონს პირუტყვის „ერთ ფეხს“ (ძროხის საფასურიის ერთ მეოთხედს) უნაზღაურებდა. უგერშოდ დაკარგულ საქონელს მთლიანად ახდევინებდნენ (ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 185).

25 აჭარაში მენახირის ტანსაცმელით უზრუნველყოფა საქონლის ამბარებალთა მხრივ სავალდებულო პირობით არ იყო გათვალისწინებული. საერთოდ აჭარელი მენახირის ტანსაცმელი არ განსხვავდებოდა სხვა მოიალაღე პირის ტანსაცმლისაგან, გარდა, იმისა, რომ ზედა ტანსაცმლად მენახირე ჩვეულებრივად თხის ტყავისაგან შეკერილ „ქეჩხოს“ (ბეწვიანი მოხასხამი) ატარებდა. ამასთანავე მენახირის აუცილებელი თანამგზავრი იყო ხბოს ტყავისაგან შეკერილი ტარჯუხი (საჭმლის წასაღებად) და ჯოხი (ხშირ შემთხვევაში—თოფი).

თავისივე მენახირეს უდგებოდა მწყემსად[26]. აღნიშნული პერიოდისათვის აჭარელ მენახირეებთან შედარებით მაღალ ანაზღაურებას იღებდნენ მწყემსები მთიულეთში, თუშეთში, სამეგრელოში და სხვ.[27]. აჭარაში მენახირის ეკონომიური დაწინაურების ასეთი შემთხვევები ზემოხსენებული მიზეზების გამო სრულიად გამორიცხული იყო.

II. საქონლის გაბარება || აბარება ქესუმე

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აჭარაში ასევე გამოკვეთილ სახეს ატარებს საქონლის გაბარება || აბარება, აგრეთვე, საქონლის ქესუმედ აყვანა. პირუტყვის აბარება საქართველოში ძველთაგანვე იყო ცნობილი. ქვათახევის მონასტრის 1492 წლის სიგელის მიხედვით კონსტანტინე მეფეს ქვლივიძეებისათვის ცხვარი მიუბარებია[28]. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ („თრიალეთის რიგისა და გამოსაღების საბატონოსა და სამოხელეოსათვის“) განსაზღვრულია საქონლის აბარების პირობები: „ფურის ბარება და უკვდავად შენახვა, ხბო შემნახავს და ყოველ წელიწადს ფურზედ სამი ლიტრა ერბო საქონლის პატრონს ეძლევა[29]“. „დასტურლამალიდან“ ირკვევა, რომ საქონლის გარდა საქართველოში სცოდნიათ ფრინველის გაბარებაც[30]. დედოფალს „გაბარებული ჰყოლია „სადიასახლისო ძროხებიც“[31]. დაახლოებით 1679 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ მანგლურ სიგელში საქონლის აბარების ინსტიტუტი კიდევ უფრო გამოკვეთილად ჩანს. „ფური თუ მიაბაროს, პატრონმა ორი ლიტრა ერბო ფურზედ და კამეჩზედ — სამი. თუ საყველედ მიაბაროს, კამეჩზედ ლიტრა ყველი. ამას გარეთ არა ეთხოვებოდეს რა: არ გუთნის ჯუნა, არცა კოდის პური და სხვა“[32]. XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქონლის გაბარების ინსტიტუტს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჩამოყალიბებული ხასიათი ეძლევა და საქონლის პატრონსა და აბარებელს შორის ვალდებულება—ანაზღაურების მტკიცე ნორმები დგინდება[33].

აჭარაში მოსავლელად პირუტყვს ძირითადად ქვემო აჭარიდან ზემო აჭარაში აბარებდნენ. საქონლის გაბარების ინსტიტუტის თავისებურებანი აქ მთელი რიგი მიზეზებით იყო განსაზღვრული. ჯერ ერთი, აჭარის რიგი სოფლები დიდი მანძილით იყო დაშორებული ალპურ საძოვრებს, მეორეც, ბევრი სოფელი საერთოდ მოკლებული იყო იალაღებით სარგებლობის საშუალებას. ასეთ პირობებში საქონლის გადარეკვა იალაღებზე და საერთოდ საქონლის მოვლა-პატრონობის საქმე ოჯახს მძიმე ტვირთად აწვებოდა. ხშირ შემთხვევაში საქონლის აბარებას ამა თუ იმ ოჯახის ეკონომიური პირობებიც განსაზღვრავდა. ეკონომი-

---

[26] Ц. Н. Бжания, Из истории хозяйства абхазов. Сухуми, 1962, გვ. 91—94.

[27] ს. მაკალათია, თუშეთი, ტფ., 1933, გვ. 53, მისივე, მთიულეთი, ტფ., 1930, გვ. 53 და სხვ.

[28] თ. ქორდანია, ქრონიკები.... II, ტფ., 1897, გვ. 309.

[29] ვახტანგ მეექვსე, „დასტურლამალი“, ტფ., 1886, გვ. 35.

[30] ფრინველის გამბარებელს (ე. ი. პატრონს) ყოველწლიურად „მიბარებულ ბატზედ ორი ჭუჭული“ ეძლეოდა („დასტურლამალი„“, გვ. 15, 35).

[31] იქვე, გვ. 109.

[32] თ. ქორდანია, ქრონიკები... II ტფ., 1897, ძვ. 495.

[33] И. З. Андроников, დასახ. ნაშრ., გვ. 189.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურად ჩამორჩენილ ოჯახს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო საზაფხულო საძოვარზე ჯარგვალის აშენება, ანდა თევრობისათვის აუცილებელი ჭურჭლეულობისა და მოწყობილობის შეძენა. ასეთ შემთხვევაში იგი იძულებული იყო საქონელი შედარებით შეძლებული მეზობლისათვის აებარებია. საქონლის გაბარებას ადგილი ჰქონდა მაშინაც, როცა ოჯახს საკუთარი მემთევრი არა ჰყავდა.

ქვედა აჭარიდან საქონლის აბარებას ზოგჯერ სისტემატური ხასიათი ჰქონდა. ამ ნიადაგზე პატრონსა და ამბარებელს შორის გარკვეული ურთიერთობა იყო დამყარებული. საქონლის აბარება ხდებოდა თევრობის წინ რამდენიმე დღით ადრე. საქონელს ქვემო აჭარიდან ძირითადად პატრონები ამორეკავდნენ. აბარებისას ძირითადი ყურადღება ექცეოდა პირუტყვის წველადობასა და ჯანმრთელობას. მხარეებს შორის დათქმული პირობით ამა თუ იმ მეწველ ძროხაზე ამბარებელს პატრონისათვის განსაზღვრული ოდენობის კარაქი და ყველი უნდა დაემზადებია. ზედმეტი პროდუქტი ამბარებელს „სამემთევრო“ გასამრჯელოდ რჩებოდა. ჭვანის ხეობაში საქონლის პატრონი სამემთევროს ფულად (ერთ სულ მეწველ ძროხაზე ათი შაური) იხდიდა[34]. ამ შემთხვევაში ძროხისაგან მიღებული „უხდური“ მთლიანად საქონლის პატრონს უბრუნდებოდა. იმავე ჭვანის ხეობაში მეწველ საქონელთან ერთად „უგვი“ საქონლის (ბერწი. მოზარდი) აბარებისას თუ მისი რაოდენობა 2—3 სულს არ აღემატებოდა. გასამრჯელოს არ ახდევინებდნენ, თუმცა საქონლის პატრონი ვალდებული იყო ამბარებელის სასარგებლოდ ბარში გარკვეული სამუშაოები (დახმარება ხვნა-თესვაში, შეშის მოტანაში და ა. შ.) შეესრულებინა. აჭარის სხვა ხეობებში უგვ საქონელზე ახდევინებდნენ ფულით (სულზე ერთი მანეთამდე) ან ნატურით (სულზე ერთი ოყა კარაქი). აბარების შემთხვევაში მენახირის დადგენილ გასამრჯელოს — სამენახირეოს საქონლის პატრონი იხდიდა. მასვე უნდა გადაეხადა თავისი წილი „საბალახო ბაჟიდან“, აგრეთვე, „ქოხის || შეშის ბაჟიდანაც“. საქონლის დაკარგვის შემთხვევაში ამბარებელი თავისუფალი იყო, რამდენადაც დანაკარგს მენახირე საერთო წესით ანაზღაურებდა.

საქონლის აბარების რამდენადმე თავისებურ სახეს წარმოადგენს აჭარაში ცნობილი ე. წ. საქონლის ქესუმედ ანუ გადაჭრით აყვანა“. ჭვანისა და ღორჯომის ხეობებში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ქესუმედ აყვანის პირობები საგრძნობლად განსხვავდებოდა საქონლის გაბარების პირობებისაგან. ქესუმედ მიცემის დროს საქონლის პატრონი თავისუფალი იყო სამენახირეოს, აგრეთვე, საძოვარზე დაწესებული სხვა გადასახადებისაგან. გარდა ამისა, ქესუმედ ამყვანი (და არა მენახირე) პირდაპირ პასუხისმგებლობას კისრულობდა საქონლის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში. საქონლის პატრონი თავისუფალი იყო ყველა იმ მოვალეობისაგანაც, რომლის შესრულება მას დაევალებოდა საქონლის ჩვეულებრივი გაბარების დროს.

კონკრეტულად თითოეული სახის საქონლის მიმართ ჭვანისა და ღორჯომის ხეობებში ქესუმედ აყვანის პირობები ასე გამოიყურებოდა:

1. მეწველ ძროხაზე საქონლის პატრონს ეძლეოდა 4—6 ოყა კარაქი და 4—6 ოყა ყველი (წველადობის მიხედვით). უხდურის დანარჩენი ნაწილი ქესუმედ ამყვანს რჩებოდა.

---

[34] საქონლის აბარება ფულით XIX ს-ის მეორე ნახევარში ცნობილი იყო მეგრელ მეჯოგეთაშორისაც (თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 102).

2. ბერწ მეწველ ძროხაზე საქონლის პატრონის ეს წილი 2—3 ოყა კარაქისა და ამდენსავე ყველზე ჩამოდიოდა.

3. უგვ საქონელზე გადასახადი, პირიქით, საქონლის პატრონს უნდა გადაეხადა, სულზე — ერთი მანეთი ფული ან ერთი ოყა კარაქი. უგვი საქონლიდან აცალკევებდნენ „ხმელ ბერწს“ (უწველი ბერწი), რამდენადაც მისი მოვლა შედარებით ძნელი იყო. ხმელ-ბერწზე ქესუმედ ამყვანი იღებდა მანეთნახევარს ან ოყანახევარ კარაქს. ქესუმედ აყვანის დროს საქონლის ამყვანი გულდასმით ამოწმებდა წველადობას. ზოგჯერ 2—3 დღის განმავლობაში ძროხას პატრონის თანდასწრებით წველიდნენ, შემდეგ დღიური წველადობის საშუალო რაოდენობას ადგენდნენ და პირობებსაც ამის მიხედვით გადაწყვეტდნენ.

საქონლის აბარების ან ქესუმედ აყვანის დროს დღის წესრიგში დგებოდა საქონლის აკლიმატიზაციის საკითხი. ზემო აჭარის ბევრ საძოვარს აბარებული ბარის საქონელი ძნელად ეგუებოდა, „ცხრო“ ემართებოდა და „აცხელებდა“. ამიტომ ღორჯომისა და ჭვანის ხეობათა სოფლებში აბარებული თუ ქესუმედ აყვანილი საქონლის უმეტესი ნაწილი მთაში არ აჰყავდათ და იქვე სოფლად უვლიდნენ. ეს გარემოება ერთთავად ხელსაც აძლევდა სოფლის მოსახლეობას. ზაფხულის პერიოდში, როცა საკუთარი საქონელი მთაში იყო გარეკილი, ხოლო მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ბარში რჩებოდა, რძის პროდუქტების უზრუნველყოფა ძირითადად, აბარებული საქონლით ხდებოდა. ამავე მიზნით ბარში საკუთარი საქონლის შენახვა ძნელი იყო, რადგანაც ზეგნის საქონელი, ცქვიტი და მოძრავი, სოფლის ვიწრო საძოვრებზე ვერ „იმართებოდა“. ქვემო აჭარის საქონელი კი წყნარი, „სეფილი “და ადვილი მოსავლელია. ამდენად, მოსახლეობა არჩევდა თავიანთი საქონელი მთაში გაერეკა და საზაფხულო უხდურისათვის საქონელი ქვემო აჭარიდან აებარებინა. მეორეს მხრივ, ზოგიერთი სოფელი (ს. ინწკირვეთი) მთის იალაღებზე „იასაღს“[35] აცხადებდა და სხვა ხეობის, სოფლის თუ პირის საქონელს თავის საძოვარს ახლოს არ აკარებდა. ასეთ საძოვრებზე არ უშვებდნენ აბარებულ და ქესუმედ აყვანილ საქონელსაც. თავის მხრივ ქვემო აჭარის საქონლისათვის ზეგანის სოფლები იგივე მთის მოვალეობას ასრულებდა. საქონლის სოფლად შენახვა ნაკლებად სახიფათო იყო ქურდებისა და ნადირის მხრივაც. ისეთ სოფლებში რომელთა საზაფხულო იალაღები ზღვის დონიდან შედარებით დაბლა იყო განლაგებული და სხვისი საქონლის აყვანა იასაღად არ ითვლებოდა, აბარებული საქონლის ნაწილს (მოზარდი, ბერწი) თავიანთ საქონელთან ერთად მთაში მიერეკებოდნენ: ღორჯომის ხეობის ზოგიერთ სოფელში (სს. მეკეიძეები, ტუნაძეები და სხვა) აბარებული და ქესუმედ აყვანილი საქონლის რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ სოფლის მოსახლეობა მისთვის სპეციალურ მენახირეებს ჭირაობდა და საქონელს სოფლის განაპირა „ბრაგა“ ადგილებში (უხმარი ადგილები, რომლებიც არც იხვნებოდა და არც ითიბებოდა) აძოვებდა. მენახირის დაქირავების პირობები სოფლად იგივე იყო, რაც საზაფხულო საძოვარზე.

III. საქონლის დაბმა

წარსულში, აჭარაში საქონლის გაბარებასთან ერთად მოსახლეობა ხშირად იყენებდა ე. წ. „საქონლის დაბმის“ წესსაც. ეთნოგრაფიული მასალე-

---

[35] თურქული სიტყვიდან yasak(ğ), აკრძალული, აკრძალვა (იხ. Д. А. Магазаник, დასახ. ნაშრ., გვ. 666).

ბით ირკვევა. რომ საქონლის დაბმა აჭარაში ჩვენ მიერ განხილული საქონლის ბა-
ბარების ერთ-ერთ თავისებურ სახეს წარმოადგენდა. მაგრამ იმდენად, რამდენა-
დაც ეს ფორმა შედარებით გამოკვეთილ, რელიეფურ სახეს ატარებდა, ჩვენ მას
ცალკე საკითხად გამოვყოფთ. საქონლის მოვლა-პატრონობის ეს ფორმა ძირი-
თადად ბარში საზამთრო საკვების სიმცირით იყო გამოწვეული. ცნობილია, რომ
აჭარა ძველთაგანვე მოკლებული იყო საზამთრო საძოვრებს. ბარში საკვები ბა-
ზრის ასე თუ ისე შეზღუდული (სათიბების ნაკლებობა) ხასიათი აჭარული ხანგრ-
ძლივი ზამთრის პირობებში, მოსახლეობას აიძულებდა დამატებითი საკვები რე-
სურსები ეძებნა. ხშირ შემთხვევაში, საქონელს გამოსაზამთრებლად საკვები-
შედარებით უკეთ მომარაგებულ სოფლებში „უბამდნენ“[36].

საინტერესოა ის გარემოება, რომ თუ საქონლის გაბარება ძირითადად ქვე-
მო აჭარიდან ზემო აჭარის სოფლებში ხდებოდა, საქონლის დაბმის შემთხვევე-
ბი პირიქით წარმოგვიდგება, თუმცა იმავე ფორმას ზოგჯერ ზემო აჭარის მო-
სახლეობა ურთიერთშორისაც იყენებდა. ამასთან, თუ გაბარებას ადგილი ჰქონდა
ზაფხულობით, საქონლის დაბმა მხოლოდ და მხოლოდ ზამთრობით იყო მიღე-
ბული. ეს გარემოება გარკვეული მიზეზებით იყო გამოწვეული. ალპური საძოვ-
რებით მდიდარ ზემო აჭარას ზაფხულობით საქონლის გაბარება მაინცდამაინც
დიდ ტვირთად არ აწვებოდა, ხოლო ზამთრის პირობებში საქონლის საკვებით
შედარებით უკეთ ქვემო აჭარის სოფლები იყო უზრუნველყოფილი[37]. სხვათა-
შორის აღნიშნულმა გარემოებამ ოსებისა და გორის მაზრის მოსახლეობის ურ-
თიერთობაშიც იჩინა თავი. მთიანი ოსეთის მოსახლეობა გამოსაზამთრებლად სა-
ქონელს გორის მაზრის დაბლობ ზოლში აბარებდა, სადაც ერთი ძროხის გაზამ-
თრვის საფასური სამი მანეთიდან ექვს მანეთამდე ადიოდა[38]. ასეთივე ვითარება
შეინიშნება ახალქალაქისა და თიანეთის მაზრებშიც[39].

საქონლის დაბმა საქონლის მოვლა-პატრონობის წლიურ ციკლში ზემო და
ქვემო აჭარის მოსახლეობას შორის ურთიერთ-დამოკიდებულების გარკვეულ
ფორმას ქმნიდა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგილობრივი სამეურ-
ნეო-გეოგრაფიული პირობების რიგი თავისებურებებით იყო გამოწვეული. ეს
ურთიერთობა ხშირ შემთხვევაში სცილდებოდა უბრალო სამეურნეო ურთიერ-
თობის ფარგლებს. საქონლის დაბმა-გაბარების პროცესში სოფლები თუ ოჯა-
ხები ხანგრძლივ ურთიერთობას ამყარებდნენ ერთმანეთთან, რაც ზოგჯერ დამო-
ყვრება-დანათესავების მიზეზიც ხდებოდა.

---

[36] საზამთრო საძოვრების უქონლობა და ბარში თივა-ჩალისა თუ სხვა ხელოვნური საკვე-
ბის სიმცირე საქართველოს მთიანეთის მესაქონლეობის ფართო განვითარების ერთ-ერთ ხელ-
შემშლელ მიზეზს წარმოადგენდა. ეს გარემოება ზემო აჭარის გარდა ნათლად ჩანს სვანეთის
(იხ. მ. გეგეშიძე, მორწყვის სისტემა ზემო სვანეთში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის,
IX, ტბ. 1960, გვ. 327, თავისუფალი სვანი, უშგულის აღწერა, ივერია, 1888, № 35, გვ. 37). და
ხევსურეთის მაგალითზე (Г. Радде, Хевсурия, и Хевсури, Тифлис, 1881, 223—224).

[37] ქვემო აჭარის ზოგიერთ სოფლებში მიწათმოქმედების ფართო მასტაბით წარმოება სა-
ქონლის საკვების (ჩალა, ბზე, ფუჩეჩი) შედარებით სიუხვეს ქმნიდა, რომლის გასაღება სატრანს-
პორტო გზების არსებობის გამო შეუძლებელი ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობა ზამ-
თრობით ზემო აჭარელთა საქონელს იბამდა.

[38] С. В. Мачабели, Экономический быт гов. крестьян Горийского уезда, Тифлисской губернии, МИЭБГКЗК т. VI, ч. I, გვ. 230.

[39] И. З. Андроников, დასახ. ნაშრ., გვ. 193.

ქვემო აჭარის სოფლები (შუახევისა და ქედის მიდამოებიდან) ძირითადად მეწველსა და მუშა საქონელს იბამდნენ. პირველ შემთხვევაში, „გასაზამთრო". გასამრჯელოს საქონლის მომვლელი ნაწველის სახით იღებდა. ზოგჯერ, როცა დაბმულ ძროხას ახალშობილი ხბო ჰყავდა და რძეს ხბოს გარეშე არ იძლეოდა, დამბმელს ხბო მიჰყავდა და გასაზამთროში რჩებოდა. ბერწ-მეწველი ძროხის დაბმის შემთხვევაში საქონლის პატრონს გასაზამთროში ნაწველის გარდა ფულიც (50 კაპიკიდან ერთ მანეთამდე)უნდა დაემატებია. უგვი საქონლის დაბმისას გასამრჯელო ფულადად იყო განსაზღვრული. წლიან „დოჩზე" (ხბო) ჭვანისა და ღორჯომის ხეობები ქედა-შუახევის ახლომახლო სოფლების მოსახლეობას მანეთნახევარს უხდიდა, ძროხაზე (ხმელბერწი) გასაზამთრო ოროორნახევარ მანეთამდე ადიოდა, ხოლო როცა მომვლელი 3 სულ საქონელს იბამდა, გასაზამთროში მას ერთი სული საქონელი უნდა დარჩენოდა[40]. გასაზამთრო გასამრჯელოს აღნიშნული ფასები საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვადასხვა მხარეში რამდენადმე განსხვავებული იყო. აღნიშნული პერიოდის მასალების გაცნობისას ჩანს, რომ მთაგორიან პირობებში გასაზამთროს რაოდენობა მნიშვნელოვნად დიდია. ასე მაგ., თიანეთისა და რაჭის მაზრებში ერთი სული საქონლის გამოზამთრვა ორიდან სამ მანეთამდე ღირდა[41], ხოლო ახალქალაქის მაზრის მთაგორიან სოფლებში — სამიდან-ოთხ მანეთამდე[42]. სვანეთში „ცხენის გაკვება: მთელს ზამთარს ღირდა სამი „ლერწვაში", ხარისა და ძროხის თითოეულად „ლერწვაში"[43].

რამდენადმე განსხვავებული პირობები იყო მუშა პირუტყვის დაბმის დროს. ქვემო აჭარაში მიწათმოქმედების განვითარების შედარებით ფართო მასშტაბი იმაზე მეტ გამწევ ძალას თხოულობდა, რამდენის შენახვაც მას შეეძლო (განსაკუთრებით ზაფხულობით). ამიტომ გაზაფხულზე, საქერობო სამუშაოების დაწყებასთან ერთად, ქვემო აჭარაში გამწევი ძალის მწვავე ნაკლებობა იგრძნობოდა, რასაც მოსახლეობა მუშა საქონლის დაბმით ნაწილობრივ მაინც ინაზღაურებდა. ასეთ ვითარებაში საქონლის მომვლელი გასამრჯელოდ გამწევი ძალის დროებით გამოყენებაზე თანხმდებოდა[44]. ჯერ კიდევ შემოდგომაზე მას უფლება ჰქონდა მოსავლელად აყვანილი ხარები შეშისა და თივა-ჩალის მოსაზიდად გამოეყენებინა; ხოლო რაც მთავარი იყო, გაზაფხულზე საქერობო სამუშაოები შეესრულებინა (ხვნა-თესვა, დაფარცხვა და ა. შ.). ამის შემდეგ, გამწევ ძალას საქონლის პატრონს უბრუნებდნენ, საიდანაც იგი საზაფხულო საძოვარზე მიჰყავდათ. საქონლის დაბმისას პირუტყვის ქურდობა-დატაცებისა თუ დაზიანების ანაზღაურება ამავე წესით ხდებოდა, როგორც საქონლის გაბარების დროს ,თუმცა ბაგური მოვლა-პატრონობის პირობებში ეს შემთხვევები მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

---

[40] ა. ნატროევის ცნობით თბილისის გუბერნიაში ხანგრძლივი ზამთრის პირობებში, საქონლის პატრონი იძულებული ხდებოდა ალაფით უკეთ მომარაგებულ მეზობლებთან პირუტყვის სანახევროდ გაზამთრებაზე დათანხმებულიყო (А. Натроев, დასახ. ნაშრ., გვ. 312).

[41] И. З. Андроников, დასახ. ნაშრ., გვ. 193.

[42] Х. А. Веремишев, დასახ, ნაშრ., გვ. 175.

[43] ბ. ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, გვ. 117.

[44] მუშა-პირუტყვის გამოზამთრების შემთხვევაში ანალოგიურ მდგომარეობასთან გვქონდა საქმე გორის მაზრაშიც, თუმცა იქ მუშა საქონლის მომვლელი მარტო გამწევი ძალის გამოყენებას არ სჯერდებოდა და დამატებით ფულად ანაზღაურებასაც მოითხოვდა.(И. З. Андроников დასახ. ნაშრ., გვ. 193).

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. დაზიარება (სათავზიარო)

საქონლის „დაზიარება“ ანუ „სათავზიაროდ შენება“ აჭარაში შედარებით ნაკლებად იყო გავრცელებული. ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. როგორც ცნობილია, საქონლის მოვლა-პატრონობის ეს ფორმა გაცილებით რთული იყო და ძირითადად წვრილფეხა მესაქონლეობაში გამოიყენებოდა. აჭარაში კი, ზამთარში საქონლის ბაგური კვების პირობებში, წვრილფეხა საქონელს უმნიშვნელო რაოდენობით ინახავდნენ .ამდენად საქონლის დაზიარება თავისი მაშტაბით დაბმა-გაბარების ტოლი ვერ იქნებოდა, თუმცა ჭვანის, ღორჯომის, ხიხაძირისა და მარითის ხეობებში პირუტყვის სათავზიაროდ შენების არაერთი შემთხვევაა ფიქსირებული.

საქონლის დაზიარების პირობები აჭარაში სრულ მსგავსებას პოულობს საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ საქონლის მოვლა-პატრონობის ანალოგიურ ფორმებთან. სათავზიაროდ ჭვანის ხეობაში საქონლის პატრონი ორ-სამ „დედო ცხვარს“ იძლეოდა, რომლის ნამრავლი, შეთანხმების თანახმად, სამი, ოთხი თუ ხუთი წლის თავზე მას საქონლის მომვლელისათვის უნდა გაენაწილებინა. ამავე დროს, დედო ცხვარი საქონლის პატრონს უბრუნდებოდა. მატყლს, გარიგების თანახმად, „სანახევროდ“ ინაწილებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ საქონელი „ურწანი“ (ბერწი) რჩებოდა და აღარ მრავლდებოდა, სათავზიაროდ ამყვანს შეეძლო იგი პატრონისათვის დაებრუნებინა და სამაგიეროდ მოვლის გასაძრჯელი მოეთხოვა.

საქონლის დაზიარების ფორმა ფართოდ იყო ცნობილი საქართველოში. სამგორის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, დაზიარებული საქონლის მომვლელი გასამრჯელოდ მიბარებული საქონლის ნახევარს იღებდა. თუ დაზიარებულ საქონელში მშრალი ძროხა გაერეოდა, ხოლო მომვლელის ხელში ხბოს მოიგებდა, ნაწველით მთლიანად მომვლელი სარგებლობდა. დაზიარების პერიოდის ნამატს მომვლელი საქონლის პატრონს შუაზე გაუყოფდა და თავს (ძროხას) დაუბრუნებდა[45].

საქონლის დაზიარების წესი დაახლოებით ასევე გამოიყურებოდა თბილისის გუბერნიის მოსახლეობაში[46], თერგისა და არაგვის ხეობებში[47] და ა. შ. ა. საფაროვის ცნობით, თუშეთში საქონლის მოვლა-პატრონობის ამ ფორმას „საკუთრად დაზიარებისა“ და „სანახევროდ დაზიარების“ სახით გაღარიბებულ მესაქონლე თანასოფლელისადმი დახმარების მიზნით იყენებდნენ[48].

აჭარაში საქონლის დაზიარება შედარებით ფართოდ გამოიყენებოდა სხალთისა და მარითის ხეობების მოსახლეობაში.

აღნიშნული ხეობებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოძრაობა უხდებოდათ კახაბრის დაბლობსა და ჩაქვის ხეობაში დასახლებულ მომთაბარე ქურთ მესაქონლეებს, რომლებიც ამ პერიოდისათვის ჩირუხისა და სარიჩაირის საზაფხულო იალაღებით სარგებლობდნენ. ქურთ მომთაბარეთა უმრავლესობას გარ-

---

[45] ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

[46] С. В. Мачабели, Экономический быт гос. крестьян Тифилисского уезда, Тифлисской губернии, МИЭБГКЗК, 1, Тифлис, 1887, გვ. 247. А. Натроев, დასახ. ნაშრ., გვ. 320 და სხვ.

[47] В. Н. Гесевский, Состояние скотоводства Верховях рек, Терека и Белой Арагви, МУКЛЗНИСК, I, 288.

[48] А. Сафаров, Заметки овцевода, КСХ, 1895. № 84, გვ. 1441—1442.

კვეული, კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივი სოფლების მო-
იალაღე მოსახლეობასთან, რაც ზოგჯერ სამეურნეო ურთიერთობაშიც იჩენდა თავს[49]. კერძოდ, ხშირი იყო ქურთ მესაქონლეთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის საქონლის დაბმა-გაბარების თუ დაზიარების შემთხვევები. ქურთი მესაქონლეები სიამოვნებით იბარებდნენ სათავზიაროდ აქაური მოსახლეობის წვრილფეხა საქონელს, რამდენადაც ზამთრობით ისინი კოლხეთის დაბლობის საზამთრო საძოვრებზე გადადიოდნენ და დაზიარების პირობით აყვანილი საქონლის მოვლა მათთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ქურთ მომთაბარეებთან დაზიარების პირობები არ განსხვავდებოდა ადგილზე არსებული პირობებისაგან. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქონლის სათავზიაროდ ამყვანი თავისი მსხვილფეხა საქონლის გარკვეულ ნაწილს, ზამთრობით დაზიარებულ საქონლის პატრონს უბამდა (სუსტი, დაზიანებული ან ახალხბოიანი საქონელი, რომელიც ხანგრძლივ გადასვლებს ვერ იტანდა), სათავზიაროს პირობები არ ირღვეოდა და გასაზამთრო გასამრჯელოსთან მას არავითარი კავშირი არა ჰქონდა. საქონლის დაზიანების თუ დაკარგვის შემთხვევაში, სათავზიაროდ ამყვანი ვალდებული იყო იმავე წესით აენაზღაურებინა, როგორც ეს საქონლის დაბმა-გაბარების დროს ხდებოდა.

დასკვნა

ჩვენ მიერ განხილული ეთნოგრაფიული მონაცემები ადასტურებს, რომ:

1. აჭარაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეინიშნება მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმათა მრავალგვაროვნება („მენახირეობა", „მემთევრეობა", „დაბმა-გაბარება", „ქესუმედ აყვანა", „დაზიარება") საქონლის მოვლა-პატრონობის თითოეული ეს ფორმა ხალხური შრომითი ჩვევებისა და მეურნეობის ამ დარგში საუკუნეობრივი ემპირიული ცოდნა-გამოცდილების ბაზაზე იქმნებოდა.

2. მენახირეობის, საქონლის დაბმა-გაბარების თუ დაზიარების ინსტიტუტი უპასუხებდა კონკრეტულ სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებსა და მოცემული კუთხის კულტურულ-ეკონომიურ თავისებურებებს. ამის შესაბამისად, განსახილველ პერიოდში, მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის თითოეული ფორმა, რომელიც ადგილზე მიწათმოქმედება-მესაქონლეობის ხვედრითი წონით, საზაფხულო საძოვრებისადმი უფლებრივი დამოკიდებულებით და საქონლის საზამთრო საკვების მარაგის მეტ-ნაკლებობით იყო შეპირობებული, აჭარის ამა თუ იმ ხეობაში განსხვავებული, თავისებური ხასიათისა და ნიშნების მატარებლად წარმოგვიდგება. ეს განსხვავება-თავისებურებანი საბოლოო ჯამში მენახირე-ამბარებელთა და საქონლის მეპატრონეთა შორის ვალდებულება-ანაზღაურების ნორმათა სხვაობაში იჩენდა თავს.

---

[49] აჭარაში ქურთი მესაქონლეების შესახებ იხილეთ: Г. Казбег, დასახ. ნაშრ., გვ. 44—45; В. Лисовский, დასახ. ნაშრ. გვ. 65—66. Э. Лазиен, Берег русского Лазистана, ИКОИРГО, XVIII, 2, 1905, გვ. 146.; Н. Н. Шабров, Краткое описание марирутов от Батуми... Тифлис, 1907, გვ. 2 და სხვა. ზოგი ავტორის ცნობით ქურთი მომთაბარეების ერთი ნაწილი ქურდობითა და ძარცვა-გლეჯით იკლებდა ადგილობრივ მოსახლეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. XIX ს-ის მეორე ნახევარში მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ესა თუ ის ფორმა (მენახირეობა, საქონლის დაბმა-აბარება და სხვა) გარკვეულ როლს ასრულებდა ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობის სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობის საქმეში. ზოგჯერ ეს ურთიერთობანი სცილდებოდა უბრალო სამეურნეო თანამშრომლობის ფარგლებს და კულტურულსა თუ სოციალურ ურთიერთობათა სფეროშიც იჩენდა თავს.

4. მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ეს ფორმები, რომლებიც აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ადგილობრივი, ლოკალური თავისებურებების მატარებელია, XIX ს-ის მეორე ნახევარში პარალელებს პოულობს საქართველოსა და ამიერკავკასიის ბევრ კუთხეში მოქმედ ანალოგიურ ფორმებთან. თავისთავად აქ მოტანილი ეთნოგრაფიული მასალა საინტერესოა მესაქონლეობის ზოგადი ისტორიისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისათვის.

В. М. ШАМИЛАДЗЕ

ФОРМЫ ОРГАНИЗАЦИИ ТРУДА В СКОТОВОДЧЕСКОМ ХОЗЯЙСТВЕ АДЖАРИИ

Резюме

Анализ этнографических данных приводит к выводу, что в скотоводческом хозяйстве Аджарии во второй половине XIX века имелись различные формы организации труда, которые создались и развелись на базе многовековых народных традиции.

Каждая из этих форм („მენახირეობა“, „საქონლის დაბმა-გაბარება“, „დაზიარება“ და სხვა). отвечала конкретной хозяйственно-географической среде и культурно-экономическим условиям того или иного района Аджарии.

Формы организации труда, связанные со скотоводческим хозяйством, в различных ущельях Аджарии представлены местными локальными чертами, которые в конечном счете находят отражение взаимоотношении между хозяевами скота с одной стороны, и наемными пастухами и принимателями на откорм чужого скота—с другой. В рассматриваемой период жизни Верхней и Нижней Аджарии это обстоятельство иногда выходило за рамки простой формы хозяйственного сотрудничества и в той или иной степени отражалась в культурной и социальной сфере.

Разнообразные формы ведения скотоводческого хозяйства второй половины XIX века в Аджарии находят параллели и в других районах Грузии и Закавказья.

Изучение указанных форм освещает некоторые общие историко-этнографические вопросы, связанные со скотоводческим хозяйством.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი—СОДЕРЖАНИЕ

1. ა. სურგულაძე, სკკპ XXII ყრილობა და მუშათა ახალი ყოფის შესწავლის ამოცანები 3

A. Т. Сургуладзе. XXII съезд КПСС и задачи изучения нового быта рабочих 11

2. ი. ბაუჟაძე, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საკითხები აჭარის ჩაის მრეწველობაში 13

И. С. Баужадзе. Вопросы увеличения производительности труда чайной промышленности 27

3. დ. მოურავიძე, მრეწველური პროდუქციის თვითღირებულების ელემენტთა კლასიფიკაციის საკითხისათვის 29

Д. Н. Моуравидзе. К вопросу о классификации элементов себестоимости промышленной продукции 55

4. ზ. თანდილავა, შრომის ლექსები და სიმღერები ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში 59

З. Тандилава. Трудовые стихи и песни в лазском устном народном творчестве 75

5. ა. ახვლედიანი, აჭარის საისტორიო სიტყვიერების საკითხისათვის . . . 71

А. А. Ахвледиани. К вопросу исторической словестности Аджарии . 88

6. ვლ. მგელაძე, ლაზური დასახლების მორფოლოგიის ძირითადი საკითხები . . 89

В. А. Мгеладзе. Основные вопросы морфологии лазского поселения . . 102

7. ნ. შამანაძე, მეკობრეობის ასახვა მწყემსთა პოეზიაში 103

Н. Ш. Шаманадзе. Изображение корсарства в пастушеской поэзии . 118

8. ა. რამიშვილი, ზღვისპირა ზოლის ძველი ნამოსახლარები ჩაქვის რაიონში . 119

А. Т. Рамишвили. Древние поселения приморской полосы в Чаквинском районе

9. არჩილ ბარამიძე, საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში . . . 133

А. А. Барамидзе. О некоторых вопросах истории древней Грузии в грузинской историографии второй половины XIX века 153

10. ვ. შამილაძე, მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები აჭარაში 155

В. М. Шамиладзе. Формы организации труда в скотоводческом хозяйстве Аджарии 172

ეროვნული
ბიბლიოთეკა